

საქონალური დავები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2025, №7

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2025, №7

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2025, №7

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2025, №7

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. ზრუნვის მოვალეობის დარღვევა

დირექტორის მიერ საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის
ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 4; 18

2. სამენარმეო საზოგადოების დაშლა

საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმება 32

ლიკვიდაციის პროცესის დაწყება 68

3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

პარტნიორის გარიცხვა 79; 96

ინფორმაციის მიღებისა და

დოკუმენტის გაცნობის უფლება 135

პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის

ბოროტად გამოყენება 149

4. სააქციო საზოგადოება

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება 163

1. ზრუნვის მოვალეობის დარღვევა

დირექტორის მიერ საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-73-73-2018

23 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობა, ზიანის
ანაზღაურება, კომპენსაციის სახით თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 1999 წლის 27 სექტემბერს დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ა-სი“, რომლის უფლებამონაცვლეა შპს „გ. ს-სი“ (შემდეგში – კომპანია, საზოგადოება, მეორე მოპასუხე). საზოგადოების ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა (48.9%) წილის მესაკუთრე პარტნიორს – ლ. ნ-იას (შემდეგში – პირველი მოპასუხე, აპელანტი, მოწინააღმდეგე მხარე, დირექტორი, ხელმძღვანელი, წარმომადგენელი, მაჟორიტარი პარტნიორი), რომელიც გარდაიცვალა საკასაციო სამართალწარმოების დროს, ამჟამად საწარმოს ხელმძღვანელობს გ. ნ-ია, საზოგადოებაში სოლიდურ წილს ფლობს ვ. ნ-იაც (41.37%), რომლებიც კომპანიაში ერთად ქმნიდნენ მაჟორიტარი პარტნიორების ჯგუფს.

2. ქ. თბილისში, ... მდებარე 6861.00 კვ.მ უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: №1-დან №15-ის ჩათვლით, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: ...), რომელიც საზოგადოებას ეკუთვნოდა, კომპანიის დირექტორის მოთხოვნის საფუძველზე დაიყო ორ დამოუკიდებელ ერთეულად – 4889.00 კვ.მ (ს/კ: ...) და 1972.00 კვ.მ მიწის ნაკვეთებად ((ს/კ ...) შემდეგში სადავო უძრავი ქონება).

3. 2015 წლის 13 იანვარს საზოგადოების დირექტორის შვილმა და კომპანიის ერთ-ერთმა სოლიდური წილის მფლობელმა პარტნიორმა, როგორც ფიზიკურმა პირმა, ქ. ქ-გან (შემდეგში – სესხის კრედიტორი, იპოთეკარი) ისესხა 35 000 აშშ დოლარი, პროცენტის დაურიცხავად,

ერთი თვის ვადით. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა კომპანიის საკუთრებაში არსებული 1972.00 კვ.მ უძრავი ქონება. დირექტორის უფლებამოსილება, სესხის უზრუნველსაყოფად დაეტვირთა საზოგადოების ქონება გამომდინარეობდა 2015 წლის 13 იანვრის კრების ოქმიდან, რომლითაც დირექტორს დაევალა სადავო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადება.

4. 2015 წლის 30 მარტს საზოგადოებასა და შპს „ქ.ე.კ-ის“ (შემდეგში – სადავო ქონების მყიდველი) შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მყიდველმა საზოგადოების საკუთრებაში რიცხული სადავო მიწის ნაკვეთი 85 000 ლარად შეისყიდა. ნასყიდობის ხელშეკრულების დადების უფლებამოსილებას გამყიდველი სანარმოს დირექტორი აფუძნებს 2015 წლის 30 მარტის პარტნიორთა კრების ოქმს, რომელსაც ესწრებოდნენ ხმათა უმარველესობის მქონე პარტნიორები. მყიდველ კომპანიას წარმოადგენს მის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც, ამავდროულად, 2015 წლის 13 იანვარს დადებულ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში – სესხის კრედიტორია.

5. 2015 წლის 9 ივლისს აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურმა მყიდველი კომპანიის სახელზე რიცხული 1972.00 კვ.მ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 2015 წლის 30 მარტის (ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების) მონაცემებით 467 000 ლარად/210 000 აშშ დოლარად შეაფასა.

6. 23.07.2015 წ. აღსრულების ეროვნული ბიუროს დასკვნით, თბილისში, (ს/კ: ...) მდებარე სანარმოს მეორე უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებად დადგენილია 572 000 აშშ დოლარი.

7. მოსარჩელის მოთხოვნა:

სანარმოს 8.39% წილის მფლობელმა პარტნიორებმა – ხ. ს-მა (0.49%), ი. ქ-მა (0.49%), ვ. ქ-მა (0.49%), თ. ს-ძემ (0.49%), ვ. დ-ნმა (0.49%), ვ. ლ-მა (0.49%), ო. დ-ძემ (0.49%), ნ. ბ-ძემ (0.49%), ა. ო-ძემ (0.49%), ვ. ბ-რმა (0.99%), ო. ნ-მა (0.49%), ო. გ-მა (0.99%), ლ. ა-მა (0.49%), ე. შ-ნმა (0.99%), (შემდეგში ერთობლივად – მოსარჩელები, მინორიტარი პარტნიორები, აპელანტები, კასატორები) სარჩელით მიმართეს სასამართლოს, რომლითაც 2015 წლის 13 იანვრისა და 30 მარტის პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობა, კომპანიის დირექტორისათვის 210 000 აშშ დოლარის ზიანის საზოგადოების სასარგებლოდ დაკისრება და საზოგადოებიდან გასვლა და წილის კომპენსაცია მოითხოვეს. მოსარჩელეთა მტკიცებით, სანარმოს დირექტორმა გაყალბებული პარტნიორთა კრების ოქმის საფუძველზე საზოგადოების ქონება გაასხვისა მის რეალურ ღირებულებასთან შედარებით მიზეზულ თანხად, იქამდე კი პირადი ინტერესებისამებრ (მისი შვილის სასარგებლოდ) დატვირთა სანარმოს

კუთვნილი უძრავი ნივთი.

8. მოპასუხეთა პოზიცია:

8.1. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლის წარდგენით უარყვეს სარჩელის საფუძვლიანობა. პირველი მოპასუხის მტკიცებით, პარტნიორთა კრების ოქმების სიყალბე დადასტურებული არ იყო შესაბამისი მტკიცებულებებით. ამასთან, სადავო კრებებზე გადანყვეტილება მიიღეს 90.27% წილის მფლობელმა პარტნიორებმა და მოსარჩელე პარტნიორების კრებაზე დასწრება-არდასწრების საკითხი გავლენას ვერ მოახდენდა კრებაზე მიღებულ გადანყვეტილებებზე. მოპასუხემ კრების ოქმის ბათილობის მოთხოვნის ხანდაზმულობაზეც მიუთითა.

9. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება:

9.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 იანვრის გადანყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სასამართლომ პირველ მოპასუხეს საზოგადოების სასარგებლოდ 85 000 ლარის გადახდა დააკისრა. პარტნიორთა სადავო კრების ოქმების ბათილად ცნობისა და საზოგადოებიდან გასვლის სანაცვლოდ წილის კომპენსაციის თაობაზე მოსარჩელეთა მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის გადასაწყვეტად „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, 31-ე მუხლებით იხელმძღვანელა.

9.2. სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელეებს შედავებული კრების ოქმების ბათილობის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესი არ გააჩნდათ.

9.3. სასამართლომ მიიჩნია, რომ სანამოს დირექტორი სადავო ქონების გასხვისებისას არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა და მისი ქმედებით საზოგადოებას ზიანი მიადგა. ამასთან, სასამართლოს განსჯით, სანარმოს აქტივიდან პირველი მოპასუხის მიერ გასხვისებული ქონების საბაზრო ღირებულებად 210 000 აშშ დოლარის განსაზღვრის თაობაზე შეფასების აქტი, რომელიც მოსარჩელეებმა წარმოადგინეს სასამართლოში, არ ასახავდა რეალურ მონაცემებს, რამდენადაც ფასის განსაზღვრისას გათვალისწინებული არ იყო ქონების იპოთეკით დატვირთვის საკითხი და მისი ზეგავლენა გასასხვისებელი საგნის ღირებულებაზე. სასამართლოს შეფასებითვე, მოპასუხე მხარემ ვერ დაადასტურა, რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით და მას ბრალი არ მიუძღვოდა კომპანიისათვის ზიანის მიყენებაში. სასამართლომ სანარმოს ზიანი მინის ნასყიდობის ფასის ოდენობით – 85 000 ლარით განსაზღვრა.

10. მხარეთა სააპელაციო საჩივრები:

10.1. აღნიშნული გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს როგორც მოსარჩელემ, ისე პირველმა მოპასუხემ/სანარმოს დირექტორ-

მა. მოსარჩელებმა სადავო გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, მოპასუხემ კი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

11. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და სამართლებრივი დასკვნები:

11.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მოსარჩელეთა სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, სასამართლომ მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა, გაუქმდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილებით, მინორიტარი პარტნიორების სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-6 პუნქტებში მითითებული გარემოებები.

11.2. სააპელაციო პალატამ გაიზიარა დირექტორის მიერ ფიდუციური ვალდებულების დარღვევის თაობაზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა, თუმცა აღნიშნა, რომ ამ ვალდებულების დარღვევისათვის დირექტორი პასუხს აგებდა საზოგადოების წინაშე და ქონების ნასყიდობის თანხის მოთხოვნის უფლება მხოლოდ საზოგადოებას ჰქონდა, დირექტორის წინააღმდეგ სარჩელი კი აღძრული ჰქონდა არა საწარმოს, არამედ უმცირესობაში მყოფ პარტნიორებს. პალატის განსჯით, მოსარჩელეთა სარჩელი დერივაციულ სარჩელს არ განეკუთვნებოდა, რამდენადაც ამ შემთხვევაში საზოგადოებას აქვს მოთხოვნა მესამე პირების და არა საკუთარი პარტნიორების მიმართ.

11.3. პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია წილის კომპენსაციის თაობაზე პარტნიორთა მოთხოვნაც, ვინაიდან მათ ასეთი მოთხოვნა შეეძლოთ მიემართათ არა საწარმოსა და მისი დირექტორის, არამედ დომინანტი პარტნიორების წინააღმდეგ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე.

11.4. რაც შეეხება პარტნიორთა კრების ოქმების ბათილობის საკითხს, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სადავო ოქმების ბათილობა არ წარმოშობდა მომჩივნათვის რაიმე სამართლებრივ შედეგს, ქონება გასხვისებული იყო და მისი დაბრუნება შეუძლებელი, შესაბამისად, აღიარებითი სარჩელის ბუნებიდან გამომდინარე, ბათილობის მიმართ იურიდიული ინტერესის დაუსაბუთებლობის გამო, არ არსებობდა მოსარჩელეთა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი წინაპირობები.

12. საკასაციო მოთხოვნა და მისი საფუძველები:

12.1. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მინორიტარმა პარტნიორებმა (მოსარჩელებმა), რომლებმაც მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება მო-

ითხოვეს.

12.2. კასატორთა მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი. მითითებული ნორმის შინაარსი არ ქმნის დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ საზოგადოების პარტნიორს უფლება არ აქვს, სარჩელი შეიტანოს დირექტორის წინააღმდეგ, იმ შემთხვევაში, თუ დირექტორმა დაარღვია ფიდელიტური ვალდებულებები. ნორმა არ განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვისაც აქვს დირექტორის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის უფლება, თუმცა საგულისხმოა, რომ საზოგადოების ინტერესების დაცვა ევალება საზოგადოების თითოეულ პარტნიორს, მათ შორის უმცირესობაში მყოფ პარტნიორსაც, რომელთაც აქვთ უფლება, საზოგადოების ინტერესების დასაცავად დირექტორის წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი, თუ დირექტორის არაკეთილსინდისიერმა ქმედებებმა საზოგადოებას მიაყენა ზიანი. კასატორის განსჯით, ნორმის პალატიული განმარტება აზრს მოკლებულია, რამდენადაც საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება აქვს დირექტორს, რომელიც საზოგადოების სახელით საკუთარი თავის წინააღმდეგ სარჩელს არ აღძრავს. კასატორთა განმარტებით, სააპელაციო პალატამ ასევე არასწორად განმარტა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის საფუძველზეც უნდა დაეკმაყოფილებინა სარჩელი.

12.3. კასატორთა განმარტებით, ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითხოვდნენ წილის კომპენსაციას, თუ დაკმაყოფილდებოდა მათი მოთხოვნა, საზოგადოებიდან გასვლაზე. კასატორთა მითითებით, ისინი იზიარებენ სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ მენარმეთა შესახებ კანონში განერილი არ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის საკითხი, თუმცა, მათი მოსაზრებით, ასეთ დროს სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა კანონის ანალოგიით და დაეკმაყოფილებინა საზოგადოებიდან გასვლისა და მათი წილის კომპენსაციის თაობაზე მინორიტარ პარტნიორთა მოთხოვნა.

13. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი:

13.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო, ამავე პალატის 2018 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვის, მხარეთა მოსაზრებების მოსმენისა და

მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების შედეგად ასკვნის, რომ მოსარჩელეთა საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

14. სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორის პრეტენზიები ნაწილობრივ საფუძვლიანია, რის გამოც საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

15. სარჩელი, რომლის დაკმაყოფილებისკენაც ისწრაფვიან კასატორები, ერთდროულად რამდენიმე ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მოთხოვნას აერთიანებს, შესაბამისად, საკასაციო პალატა საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში თითოეული ამ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლიანობაზე თანმიმდევრულად იმსჯელებს.

16. პალატის განმარტებით, ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელეთა მოთხოვნა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (დავის წარმოშობის დროს მოქმედი) 9.6 (შპს-ს დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ის არ შეასრულებს ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ), სსკ-ის 709-ე (დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე), 394.1 (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებუ-

ლებელი გარემოება) მუხლებიდან გამომდინარეობს.

17. განსახილველი დავის მთავარი საკვანძო საკითხი დირექტორის პერსონალური პასუხისმგებლობის დამდგენი სამართლებრივი წინაპირობების შემოწმება და ამ ასპექტში დირექტორის ქმედების მართლზომიერების შეფასებაა.

18. საკასაციო სასამართლომ დირექტორის პასუხისმგებლობის შესახებ მნიშვნელოვან გადანყვეტილებებში განმარტა, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „კომპანიის დირექტორს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომლებსაც ეწოდება ფიდუციური მოვალეობები, და რომლებიც, სხვასთან ერთად, მოიცავს დირექტორის მოვალეობას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის („ზრუნვის მოვალეობა“)“ (იხ. სუსგ №ას-1307-1245-2014, 6 მაისი, 2015 წელი; სუსგ №ას-1158-1104-2014, 6 მაისი, 2015 წელი). მიუხედავად იმისა, რომ „მენარმეთა შესახებ“ კანონი შესაბამისი გამიჯვნას არ აკეთებს, მისი მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის დანაწესი „ზრუნვის მოვალეობასთან“ ერთად (რომელსაც სხვაგვარად ასევე „გულისხმიერების მოვალეობას“ ან „გულმოდგინების მოვალეობასაც“ უწოდებენ) თავის თავში მოიცავს დირექტორის ფიდუციური მოვალეობების კიდევ ერთ სახეს – „ერთგულების მოვალეობას“. ერთგულების მოვალეობა დირექტორს ავალდებულებს კორპორაციის ინტერესების უპირატესად დაცვას ნებისმიერ პირად ინტერესთან შედარებით, რაც სხვასთან ერთად გულისხმობს პირადი გამორჩენის მიზნით თანამდებობის გამოყენების დაუშვებლობას და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დირექტორი რაიმე მიზეზით პირადად დაინტერესებულია კომპანიის მიერ კონკრეტული გადანყვეტილების მიღებით ან გარიგების დადებით.

18.1. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზრუნვის მოვალეობის დარღვევის შესახებ სარჩელის განხილვისას დირექტორს საწარმოსათვის ზიანის მომტანი გადანყვეტილების გამო პასუხისმგებლობისაგან იცავს ბიზნეს გადანყვეტილების მართებულობის პრეზუმფიცია. „ბიზნეს გადანყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფიციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადანყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადანყვეტილების მიღებისას იგი ინფორმებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადანყვეტილების შედეგისათვის კომპანი-

ის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან“ (იხ. სუსგ №ას-1307-1245-2014, 6 მაისი, 2015 წელი; სუსგ №ას-1158-1104-2014, 6 მაისი, 2015 წელი). რაც შეეხება ერთგულების მოვალეობის დარღვევას, ასეთ სიტუაციაში Business Judgment Rule არ გამოიყენება და სასამართლოს აქვს დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსობრივად შემოწმების შესაძლებლობა, რის გამართლებასაც ის წარმოადგენს, რომ დირექტორების დაინტერესების და მიკერძოებულობის შემთხვევაში კომპანიას რეალურად არ ყავს ნეიტრალური გადაწყვეტილების მიმღები პირი, რომელიც შეძლებდა სამეწარმეო განსჯა მოეხდინა. შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია თავად განსაზღვროს დადებული გარიგება წარმართულია თუ არა სამართლიანი მოლაპარაკების საფუძველზე და შეთანხმდა თუ არა სამართლიანი ფასი. (Business Judgment Rule-ის არსი, ფუნქციები და რეცეფცია საქართველოს საკორპორაციო სამართალში ლაშა ზურაბიანი, გვ 42, http://lawjournal.ge/wp-content/uploads/2020/05/DGZR-5-2020_6_3_23.pdf)

18.2. კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, რომელიც სადავო არაა საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე, საწარმოს დირექტორმა, ერთ შემთხვევაში, საკუთარი შვილის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთა საწარმოს ქონება, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ისე გაასხვისა კომპანიის ქონება, რომ გამოკვეთილი არ ყოფილა ამ გარიგების დადების მიმართ საწარმოს კომერციული თუ სხვა სახის სამართლებრივი ინტერესი. უფრო მეტიც, საკასაციო პალატის განსჯით, საქმის გარემოებათა ერთობლიობა – კერძოდ, სესხის/იპოთეკის ხელშეკრულებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებათა ერთმანეთის მიყოლებით დადება, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება იმ კომპანიასთან, რომლის ხელმძღვანელი და 100%-იანი წილის მესაკუთრე მსესხებლის კრედიტორია, ნასყიდობის საგნის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულების სასამართლოსთვის წარმოუდგენლობა მოპასუხე მხარის მიერ, ქონების არარენტაბელურ ფასად რეალიზაცია ბაღებს გონივრულ და საფუძვლიან ეჭვს ამ გარიგებათა შორის კავშირის არსებობისა და საწარმოს ქონების კომპანიის სოლიდური წილის მფლობელი პარტნიორის და, ამავდროულად, დირექტორის შვილის კერძო ფინანსური ვალდებულების დასაფარად გამოყენების თაობაზე. სასამართლოს შეფასების საგანია, დირექტორის ქმედების სამართლებრივი მხარე, კერძოდ, ზემოხსენებული სადავო გარიგებების დადების დროს დაარღვია თუ არა მან ფიდუციური ვალდებულებები და კონკრეტულად რაში გამოიხატა იგი. გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს დირექტორმა კომპანიის ქონება მის რეალიზაციამდე ცოტა ხნით ადრე საკუთარი შვილის პერსონალური სასესხო ვალდებულების უზრუნველსაყოფად დატ-

ვირთა, ცხადია, პრეზუმირებულია, რომ იგი ამ გარიგების დადებისას ხელმძღვანელობდა არა საწარმოს, არამედ პირადი/კერძო ინტერესებით, რაც დირექტორის მიერ საწარმოს მიმართ ერთგულების მოვალეობის დარღვევის სამართლებრივ შემადგენლობას აფუძნებს.

18.3. ზრუნვისა და ერთგულების მოვალეობათა გამიჯვნას არსებითი პროცესუალური მნიშვნელობა აქვს, რადგან ერთგულების მოვალეობის დარღვევის გამო დირექტორის პასუხისმგებლობის შესახებ სარჩელის განხილვისას მოსარჩელის მტკიცების ტვირთში ზიანის ფაქტთან ერთად შედის მხოლოდ იმ გარემოების დადასტურება, რომ დირექტორს გადანყვეტილების/გარიგების მიმართ პირადი დაინტერესება ჰქონდა. თუ მოსარჩელე აღნიშნულის დადასტურებას მოახერხებს, მაშინ დირექტორის გადანყვეტილების დასადასტურებლად სამენარმოო გადანყვეტილების თავისუფლების წესის/ბიზნეს გადანყვეტილების მართებულობის პრეზუმფციის მოქმედება გამოირიცხულია, რაც ნიშნავს მტკიცების ტვირთის გადასვლას მოპასუხე დირექტორზე, რომელმაც უნდა ამტკიცოს, რომ მის მიერ მიღებული გადანყვეტილება ყოველმხრივ სამართლიანი და გონივრული იყო კორპორაციისათვის (იხ. სუსგ. №766-766-2018, 10.06.2019).

18.3.1 პირველმა მოპასუხემ/საწარმოს დირექტორმა მის წინააღმდეგ მიმართულ მოთხოვნას შესაგებელში მხოლოდ ის არგუმენტი დაუჟირისპირა, რომ როგორც სესხის/იპოთეკის, ასევე – ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს მოქმედებდა პარტნიორთა კრების გადანყვეტილების საფუძველზე – ანუ პარტნიორთა მანდატით. საკასაციო პალატის განსჯით, მოპასუხის ეს მითითება, მისი, როგორც ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ სამართლებრივ ბერკეტად ვერ გამოდგება. დირექტორი მისი უფლებამოსილების განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს საწარმოს საუკეთესო ინტერესების პრინციპით და არ უნდა იქცეს მაჟორიტარი/დომინანტი პარტნიორის ნების მექანიკურ აღმასრულებლად. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენს რა კაპიტალურ საზოგადოებათა კატეგორიას, რომელიც, თავის მხრივ, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი, არაერთ ურთიერთობაში დამოუკიდებლად, საკუთარი ქონებრივი რესურსით მონაწილეობს, უნდა იმართებოდეს იმ რწმენით, რომ თითოეული მენეჯერული გადანყვეტილება ემსახურება საწარმოს კეთილდღეობას, უზრუნველყოფს მის განვითარებას, მოგების ზრდას, ლიკვიდურობას და ა.შ. ცხადია, თუკი მაჟორიტარი პარტნიორები ხმათა უმრავლესობით პარტნიორთა კრებაზე მიიღებენ გადანყვეტილებას, რომელიც მათ პირად პერსონალურ ინტერესებს ეხმიანება და არა საწარმოს განვითარებას ან მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას კრედიტორთა წინაშე, დირექტორმა უნდა იმოქ-

მედოს საწარმოს ინტერესების შესატყვისად, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ქმედება შეფასდება ფიდუციური ვალდებულებების არაკეთილსინდისიერად შეფასების ასპექტში. საკასაციო პალატის ეს მსჯელობა გამომდინარეობს თავად კანონმდებლის ნებიდან, კერძოდ, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 9.6 მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, თუ ანაზღაურება აუცილებელია, საზოგადოების ხელმძღვანელების ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

18.3.2. საკასაციო პალატის განმარტებით, საწარმოს წესდებით უძრავი ქონების დატვირთვისა და გასხვისების უფლების პარტნიორთა თანხმობასავალდებულო გარიგებად კატეგორიზაცია, არ შეიძლება გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ დირექტორისათვის ქონების გასხვისების უფლების მინიჭების თაობაზე პარტნიორთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება, დირექტორს ავალდებულებს ამ მოქმედების განხორციელებას. ეს დანაწესი მიზნად ისახავს მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში დირექტორის საქმიანობის პარტნიორთა კონტროლს დაქვემდებარებას, თუმცა გარიგების რენტაბელურობის, მისი საწარმოსათვის სარგებლიანობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება დირექტორის, როგორც გულმოდგინე ხელმძღვანელის სამეწარმეო განსჯის სფეროს განეკუთვნება, რა დროსაც დირექტორი უნდა მოქმედებდეს საწარმოზე ზრუნვის, ერთგულების მოვალეობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. ამრიგად, დირექტორი პარტნიორის მითითების, გადაწყვეტილების ბრმა შემსრულებელი არ უნდა იყოს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, გარიგებიდან წარმოშობილი ზიანი ბრალად დირექტორის შეერაცხება, თუკი მისი ქმედება ჯდება მეწარმეთა კანონის 9.6 მუხლის დარღვევის კონცეპტში. განსახილველ შემთხვევაში, კომპანიის მაჟორიტარმა პარტნიორებმა, რომელთაგან ერთ-ერთი თავად ხელმძღვანელობდა საწარმოს, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, ხელოვნურად შექმნეს სამართლებრივი საფუძველი, საწარმოს ქონება გამოეყენებინათ პირადი კეთილდღეობისათვის. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მტკიცების ტვირთის განაწილების ფარგლებში, მოპასუხეს ევალებოდა, სასამართლოსთვის წარედგინა მტკიცებულებები, რაც სასამართლოს მისი ქმედების მართებულობასა და მართლზომიერებაში დაარწმუნებდა, თუმცა მოპასუხეს მის მიერ საწარმოს გულმოდგინედ გაძლოლის მტკიცებისათვის არათუ რელევანტური მტკიცებულებები, არამედ კვალიფიციური შედავებაც კი არ წარმოუდგენია, მოპასუხე მხოლოდ პარტნიორთა გადაწყვეტილებაზე მითითებით შემოიფარგლა, რაც მას საწარმოს წინაშე ფიდუციური ვალდებულებების შესრულებისაგან და მათი დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისგან არ ათავისუფლებს.

19. საკასაციო პალატის განსჯით, სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი დასკვნები გამოიტანა იმის შესახებ, რომ კომპანიის დირექტორის მიერ საზოგადოების ქონების გასხვისება არ ემსახურებოდა საზოგადოების ინტერესებს და დირექტორი მოქმედებდა ფიქციური ვალდებულების დარღვევით, თუმცა, ამის მიუხედავად, არასწორად განმარტა მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი (ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ), და ამავე კანონის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტი (თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ არ განახორციელა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, პარტნიორს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად...), როდესაც ამ სარჩელის ინიცირების უფლება ნორმის ვინრო, სიტყვა-სიტყვითი განმარტების ფარგლებში, ერთი მხრივ, მხოლოდ საწარმოს/კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთა პრეროგატივად განსაზღვრა, ხოლო, მეორე მხრივ, დერივაციული სარჩელის ობიექტად გარეშე მესამე პირები – საწარმოს წინაშე ანგარიშვალდებული სუბიექტები მოიაზრა და ამ პირთა წრიდან კომპანიის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები გამოორიცხა. ამ საკითხზე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები საკასაციო პრეტენზია.

20. სამართლის მეცნიერებაში დერივაციულ (არაპირდაპირ) სარჩელს უწოდებენ აქციონერის/პარტნიორის მიერ ინიცირებულ მოთხოვნას, რომელსაც იგი წარადგენს კორპორაციის სასარგებლოდ და კორპორაციის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. კორპორაციული მართვის პრინციპებით სარჩელის წარდგენის შესაძლებლობის აღიარება წარმოადგენს ინვესტორთა რწმენის გაზრდის საფუძველს და აღიქმება აქციონერთა უფლებების დაცვის რეალურ მექანიზმად, რაც ზოგადად კორპორაციულ მართვაში მცირე აქციონერთა/მინორიტარ პარტნიორთა ჩართულობას უზრუნველყოფს და ეფექტური კორპორაციული მართვის მოდელის ჩამოყალიბებაზეც აისახება (იხ., მაჭავარიანი ს. დისერტაცია: კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში“.

თბილისი, 2015, 143, 144). ანალოგიური მსჯელობაა განვითარებული სამოსამართლო სამართალშიც. საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში განიმარტა, რომ დერივაციული სარჩელი წარმოადგენს დირექტორთა კორპორაციული ანგარიშვალდებულების მექანიზმს. დერივაციული სარჩელი უზრუნველყოფს, რომ დირექტორის არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურებული იქნება კომპანიისათვის კომპანიის სახელით მოქმედი აქციონერის (პარტნიორის) მიერ სასამართლოსათვის მიმართვის გზით. ასეთი სარჩელი, ერთის მხრივ, ერთგვარი პრევენციაა დირექტორის მხრიდან გადაცდომის საწინააღმდეგოდ, როდესაც მას გააზრებული აქვს, რომ აქციონერი (პარტნიორი) უფლებამოსილია დირექტორატის გვერდის ავლით დამოუკიდებლად აღძრას სარჩელი კომპანიის სახელით და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. დერივაციული სარჩელის აღძვრა უნდა მოხდეს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით (case-by-case). ამდენად, დერივაციული სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე გამოდის საწარმოს წარმომადგენლად. ... ასეთი სარჩელის აღძვრისას, მან უნდა მიუთითოს დირექტორის ქმედებით კომპანიისათვის, და არა პირადად მისთვის, მიყენებულ ზიანზე (იხ. სუსგ. საქმე №ას-687-658-2016; 06.11.2018წ, №ას-457-436-2015, 6.06.2016წ). განსახილველ შემთხვევაშიც, სწორედ ეს ვითარება იკვეთება, მინორიტარ პარტნიორთა ჯგუფი საწარმოს სასარგებლოდ ითხოვენ კომპანიის დირექტორისათვის (უფლებამონაცვლე – ვ. ნ-ია) ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას, რაც დერივაციულ სარჩელთა კატეგორიას განეკუთვნება.

21. სააპელაციო სასამართლოს დავაზე საერთოდ არ გამოურკვევია საწარმოსათვის დირექტორის ქმედებით მიყენებული ზიანის მოცულობა, რომელიც მხარეთა შორის სადავო გარემოებას წარმოადგენს. მოსარჩელები ზიანის სახით მოითხოვენ გასხვისებული ქონების მათ მიერ წარმოდგენილი შეფასების აქტში ასახული თანხის 210 000 აშშ დოლარის საწარმოს სასარგებლოდ დირექტორისათვის დაკისრებას, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მოპასუხე მხარე უთითებს, რომ ქონების სასყიდლად განსაზღვრული თანხა 85 000 ლარი საწარმოში მიიღო და საზოგადოებას ქონების შესაბამის თანხად რეალიზაციით ზიანი არ მიდგომა. საკასაციო პალატის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვის დროს დაწვრილებით უნდა გამოიკვლიოს საზოგადოების დირექტორის მიერ საწარმოსათვის ზიანის მიყენების საკითხი და მტკიცებულებათა კომპლექსურად შეფასების გზით დაადგინოს საწარმოს დირექტორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა – ზიანი და მისი ოდენობა.

22. საკასაციო საჩივრის ფარგლებში კასატორები სადავოდ ხდიან წილის კომპენსაციის საწინააღმდეგო საწარმოდან გასვლის თაობაზე სარჩე-

ლის დაკმაყოფილებაზე უარის თქმაზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლიანობასაც. მენარმეთა შესახებ კანონის ის რედაქცია, რომელიც მოქმედებდა სარჩელის აღძვრის დროს, შპს-დან პარტნიორის გასვლას მხოლოდ წილის გასხვისებას/დათმობას უკავშირებდა, თუმცა კანონმდებელი სამენარმეო ურთიერთობის სუბიექტებს შესაძლებლობის ფანჯარას უტოვებდა წილის კომპენსაციის სანაცვლოდ საწარმოდან გასვლის საკითხი და მისი აღსრულების წესები წესდებით მოენსერიგებინათ. წინამდებარე შემთხვევაში, მოპასუხე საწარმოს წესდება წილის კომპენსაციის სანაცვლოდ საწარმოდან გასვლის რეგულაციას და შესაბამის პროცედურულ წესებს არ ითვალისწინებს. სამოსამართლო პრაქტიკის თანახმად, პარტნიორმა გასვლის ნება საზოგადოების მიმართ უნდა გამოხატოს, ხოლო საზოგადოებამ გასვლის ნება უნდა მიიღოს. გასვლის თაობაზე განცხადებას საზოგადოების საერთო კრება იხილავს, რადგან ამ დროს გადასაწყვეტია როგორც კომპენსაციის, ისე – წილის დანარჩენ პარტნიორებზე გადანაწილების საკითხი. საზოგადოებამ, შესაძლოა, უარიც უთხრას პარტნიორს გასვლაზე, რასაც საზოგადოების კაპიტალის დაცვა ამართლებს. ეს კი იმას გულისხმობს, რომ პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლა შესაძლებელია იმ პირობებში, თუ საზოგადოებას აქვს თავისუფალი სახსრები კომპენსაციის გადასახდელად (შდრ: სუსგ 3კ/409-03, 07.05.2003 წელი, №ას-201-201-2018, 8.10.2018 წელი). გასათვალისწინებელია ისიც, რომ წილის ღირებულების განსაზღვრა მხოლოდ მატერიალური ფასეულობებიდან არ ხდება, არამედ მხედველობაში მიიღება საზოგადოების აქტივები და პასივები, ყველა ის ვალდებულებები, რომელიც საზოგადოებას მესამე პირების წინაშე აქვთ. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელებს სასამართლოსთვის არ წარმოუდგენიათ საზოგადოებიდან გასვლის შესახებ მოთხოვნის პარტნიორთა კრებაზე გატანისა და მსჯელობის თაობაზე მტკიცებულება, მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში წარმოდგენილი არ ყოფილა არც წილის სამართლიანი ღირებულების დამდგენი მტკიცებულებები, მოსარჩელებმა ვერც იმის დასაბუთება შეძლეს, რომ მათ ჰქონდათ საზოგადოებიდან გასვლის პატივსადები ინტერესი და, რომ, წილის კომპენსაციის სანაცვლოდ საზოგადოების დატოვება საზიანო არ იქნებოდა კაპიტალური საზოგადოების შემდგომი ფუნქციონირებისათვის. შესაბამისად, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა ამ სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით სწორად განსაზღვრეს დავის პროცესუალური შედეგი.

23. რაც შეეხება პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობის სასარჩელო მოთხოვნას, ამ საკითხზე საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ დასკვნებს და თავადაც დასძენს, რომ განსახილველ დავაზე სამართალწარმოების დღის

ნესრიგში დგას დირექტორის ფიდუციური ვალდებულების დარღვევის და, აქედან გამომდინარე, მისთვის პერსონალური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, რის გადასაწყვეტადაც პარტნიორთა კრების ოქმის ნამდვილობა-ბათილობის საკითხს (რომელიც, თავის მხრივ, მინორიტარ პარტნიორთა კრებაზე მონვევის პროცედურული წესების დაუცველობასა და კრებაზე გადანყვეტილების მათი მონაწილეობის გარეშე მიღების შედავებას ეფუძნება), არანაირი სამართლებრივი მნიშვნელობა არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, ამ აღიარებითი სარჩელის მიმართ მოსარჩელეთა იურიდიული ინტერესი დაუსაბუთებელია.

24. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

25. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადანყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. ს. ს-ის, ი. ქ-ის, ვ. ქ-ის, თ. ს-ძის, ო. დ-ძის, ა. ო-ძის, ო. ნ-ის, ო. გ-ის, ვ. ღ-ის, ლ. ა-ვის, ვ. ბ-რის, ნ. ბ-ძის, ე. შ-ნის და ვ. დ-ნის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დირექტორის მიერ საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1436-2020

31 მაისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „დ-მა“ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „კომპანია“, „საზოგადოება“, „აპელანტი“ ან „კასატორი“) წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნდა 2013... წლის 30 იანვარს თ. თ-ლის (შემდგომში – „მოპასუხე“, „პირველი პარტნიორი“ ან „ყოფილი დირექტორი“) მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით.

2. მოპასუხემ, როგორც კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელმა პარტნიორმა, 2013 წლის 23 მარტს მიიღო გადაწყვეტილება კომპანიის 100% წილიდან 48%-ის ს. ს-თვის (შემდგომში – „მეორე პარტნიორი“ ან „ამჟამინდელი დირექტორი“), ხოლო 10%-ის ნ. კ-თვის (შემდგომში – „მესამე პარტნიორი“) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე ცვლილება შევიდა კომპანიის წესდებაში და წილები გადანაწილდა შემდეგნაირად: მოპასუხე/პირველი პარ-

ტნიორი – 42%, მეორე პარტნიორი – 48%, მესამე პარტნიორი – 10%.

3. კომპანიის წესდებაში მისი საქმიანობის საგნად მითითებულია: ა) ჯანდაცვის სფეროში არსებული უახლესი ტექნოლოგიების გავრცელების ხელშეწყობა და ამ მიზნით ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება; ბ) პაციენტების მიღება და დერმატო-კოსმეტოლოგიური პროცედურების ჩატარება (ინექციური და არაინექციური მეთოდები). სხვადასხვა თერაპიული გამაახალგაზრდავებელი პროცედურები, ლაზერული ეპილაცია. წესდებაში, ასევე, მითითებულია, რომ საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა.

4. მოპასუხემ მისი დირექტორობის პერიოდში, სოლარიუმის აპარატების შესყიდვის მიზნით, კომპანიის ანგარიშიდან საზღვარგარეთ ორ ტრანშად გადარიცხა 17 075 ევრო. კერძოდ, 04.03.2014 წელს კომპანია S. T. ..., K., S.-ის სასარგებლოდ გადარიცხა 5 122,50 ევრო, ხოლო 16.06.2014 წელს კომპანია S. T. ..., G, I-ის სასარგებლოდ 11 952,50 ევრო.

5. 2014 წლის 22 სექტემბერს გაიმართა კომპანიის პარტნიორთა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ მეორე და მესამე პარტნიორები. კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით შეიცვალა საზოგადოების იურიდიული და ელექტრონული მისამართი, ასევე, მოპასუხე გათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან და მის ნაცვლად დირექტორად დაინიშნა მეორე პარტნიორი.

6. მოპასუხეს 2017 წლის 06 ივნისს გაეგზავნა შეტყობინება კომპანიის პარტნიორთა კრების მოწვევისა და კრებაზე განსახილველი საკითხების თაობაზე. კერძოდ, დღის წესრიგით განსახილველი იყო: მოპასუხის, როგორც კომპანიის დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი, კომპანიისათვის 17 075 ევროს ოდენობით მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით; კომპანიის პარტნიორებს შორის გაუარესებული ურთიერთობის გათვალისწინებით, შემდგომი ერთობლივი ბიზნეს-საქმიანობის გაგრძელების შეუძლებლობის გამო სანარმოს ფუნქციონირების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, მათ შორის, მისი შესაძლო ლიკვიდაცია, გაყოფა ან რეორგანიზაცია.

7. 2017 წლის 19 ივნისს გაიმართა კომპანიის პარტნიორთა კრება. სხდომაზე მოხსენება გააკეთა მეორე და მესამე პარტნიორების წარმომადგენელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მეორე პარტნიორმა საზოგადოების დირექტორად დანიშნვიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ, კომპანიის მომსახურე ბანკისგან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე დაადგინა, რომ მოპასუხის მიერ, მისი დირექტორობის პერიოდში, კომპანიის საბანკო ანგარიშიდან საზღვარგარეთ განხორციელდა ორი საექვო ტრანზაქცია, ჯამში 17 075 ევროს ოდენობით. მეორე და მესამე პარტნიორებმა მოპასუხეს მისცეს შესაძლებლობა

ერთი კვირის ვადაში წარედგინა შესაბამისი ხელშეკრულება და ინვოისი, ასევე, სხვა დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებდნენ ხელშეკრულების დადების ფაქტს, მის მიზანსა და მიზანშეწონილობას. აღნიშნული დოკუმენტებისა და ინფორმაციის დანიშნულ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში, კომპანია იტოვებდა შესაძლებლობას, მისთვის ზიანის მიყენების გამო, მოპასუხის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი წარედგინა.

8. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა ამ უკანასკნელისათვის 17 075 ევროს დაკისრება.

9. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხის მიერ მისი დირექტორობის პერიოდში კომპანიის საბანკო ანგარიშიდან განხორციელებული ტრანზაქციის (17 075 ევრო) სანაცვლოდ მას არავითარი საქონელი არ მიუღია. ამასთან, კომპანიას არ გააჩნია არავითარი ოფიციალური დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება, საგარანტიო წერილი ან სხვა), როლითაც თავისი უფლებების დაცვას შეძლებდა. მოსარჩელეს თანხის მიმღები კომპანიის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებიც კი არ გააჩნია (მისამართი, რეგისტრაციის ნომერი და ა.შ.).

10. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო. მისი განმარტებით, კომპანიას ზიანი ამჟამინდელი დირექტორის ქმედების გამო მიადგა. მან არ გადარიცხა ნასყიდობის საფასურის დარჩენილი ნაწილი, რის გამოც კომპანიას აღარ მიეწოდა შეძენილი სოლარიუმის აპარატები.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 08 იანვრის დამატებითი გადაწყვეტილებით მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა წარმომადგენლის დახმარებისათვის განუღი ხარჯის ანაზღაურება 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი 1195,10 ლარის ოდენობით.

13. მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და დამატებით გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი. მან მოითხოვა გადაწყვეტილებების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 21 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

15. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-7 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

16. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „მენარმეთა შესა-

ხებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით და ყოფილი დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სოლარიუმის სეგმენტის დამატების თაობაზე არ მიიჩნია მცდარ, შეუთავსებელ და არაგონივრულ გადაწყვეტილებად, რადგან იგი თავსდება საწარმოს ბიზნეს-საქმიანობის ინტერესებში და ვერ განიხილება კომპანიისათვის ზიანის წარმომშობად. მოპასუხის მიზანი იყო საწარმოს მომგებიანობის გაზრდა, რაც არ შეიძლება გახდეს მისი პასუხისმგებლობის საფუძველი. სასამართლოს განმარტებით, პასუხისმგებლობას ვერ წარმოშობს ვერც ის გარემოება, რომ სოლარიუმის აპარატების თავისი მონაცემებით ვერ განთავსდებოდა კომპანიის ოფისში და აღნიშნული მოითხოვდა რიგი სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, შესაბამისი კონდიციონერების სისტემის მონყობასა და ელ. ენერგიის მიწოდებას, ვინაიდან არ დასტურდება, რომ მოპასუხის მიერ ამგვარი ხარჯები არ იყო გათვალისწინებული. ამასთან, უპირველეს ყოვლისა, არ დასტურდება დირექტორის მიზანი კომპანიისათვის ზიანის მიყენების თაობაზე. მის მიერ არ შეძენილა საწარმოს საქმიანობასთან რადიკალურად შეუთავსებელი ნივთი, რასაც შესაძლოა მისი პასუხისმგებლობა წარმოეშვა.

17. სააპელაციო პალატის განმარტებით, როგორც წესი, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს დირექტორის გადაწყვეტილების მართებულობა. სასამართლოს აღნიშნული უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მაშინ, თუ მოსარჩელე დაამტკიცებს, რომ დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ბიზნეს-გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფციის მოქმედების ერთ-ერთი წინაპირობა (დირექტორის პირადი დაუინტერესებლობა (მიუკერძოებლობა), საკმარისი ინფორმაციის არსებობა მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და კეთილსინდისიერი მოქმედება კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე) დაირღვა. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე განმარტავს, რომ მოპასუხის მიერ განხორციელებული საეჭვო გადარიცხვების (ჯამში 17 075 ევრო) მიუხედავად, კომპანიას არ მიუღია არავითარი საქონელი, ამავდროულად კომპანიას არ გააჩნია რაიმე ოფიციალური დოკუმენტი (ხელშეკრულება ან სხვა დოკუმენტი), რომელიც თავისი უფლებების დაცვის საშუალებას მისცემდა, თუმცა მხოლოდ აღნიშნულ გარემოებაზე მითითება არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს, რომ დირექტორის გადაწყვეტილება მიჩნეულ იქნეს კომპანიის საზიანოდ მიღებულ გადაწყვეტილებად. იმ პირობებში, როდესაც არ დასტურდება დირექტორის არაკეთილსინდისიერი განზრახვა, დაუშვებელია მისი პასუხისმგებლობის წარმოშობა.

18. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ მოსარჩელეს შეეძლო ზიანის თავიდან არიდება იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დროულად დაუკავშირდებოდა

კონტრაქტს, ან/და გადაიხდიდა დარჩენილ საფასურს და მიიღებდა სოლარიუმის აპარატებს ან/და დროულად უარყოფდა ხელშეკრულებას, რითაც მაქსიმალურად უზრუნველყოფდა ზიანის შემცირებას, თუმცა კომპანიას არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის დარეგულირებისათვის. მოპასუხემ თანხის გადარიცხვა განახორციელა 04.03.2014წ. და 16.06.2014წ., ხოლო მეორე პარტნიორი კომპანიის დირექტორად დაინიშნა 2014 წლის 22 სექტემბერს, ჯერ კიდევ სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში, შესაბამისად, კომპანიას შეეძლო დროული ნაბიჯების განხორციელების გზით მოეგვარებინა არსებული გაუგებრობა. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება, რომ მოსარჩელეს ჰქონდა რაიმე მცდელობა დაკავშირებოდა კონტრაქტს, მაშინ როდესაც გადარიცხვებზე ასახული ინფორმაციით შესაძლებელი იყო მასთან დაკავშირება და არსებული გაუგებრობის აღმოფხვრის მცდელობა მაინც. აღნიშნულის ნაცვლად მოსარჩელე სამი წლის გასვლის შემდგომ ითხოვს გადახდილი თანხის მოპასუხისაგან ანაზღაურებას, რაც გაუმართლებელია.

19. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარდგენილი არ არის მტკიცებულებები, რომელთა ერთობლიობაში შეფასებით პალატა მივიდოდა დასკვნამდე, რომ მოპასუხე, როგორც საზოგადოების დირექტორი, კეთილსინდისიერად, კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე არ მოქმედებდა. შესაბამისად, მოპასუხის მიერ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების მიღებისას მოქმედებს „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფიცია.

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის და, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლები.

21. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით დამატებით გადაწყვეტილებაზე წარდგენილი სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 08 იანვრის დამატებითი გადაწყვეტილება და მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

22. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 21 ივლისის განჩინებაზე მოსარჩელემ წარადგინა საკასაციო საჩივარი. მან მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

23. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

23.1. სარჩელზე დართული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მო-

პასუხემ დირექტორად ყოფნის პერიოდში (30.01.2012წ.-დან 22.09.2014წ.-მდე) კომპანიას მიაყენა 17 075 ევროს ოდენობის ზიანი, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან აღნიშნული თანხა გადაურიცხა უცხოურ კომპანიებს მათთან ხელშეკრულების გაფორმებისა და თანხის მიმღები კომპანიების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების განსაზღვრის გარეშე;

23.2. იმ პირობებში, როდესაც საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ: მოპასუხის მიერ სოლარიუმის აპარატების შეძენა და ამ სეგმენტზე მომსახურების დაწყების ინიცირება არ ყოფილა შეთანხმებული კომპანიის პარტნიორებთან (ყოფილი დირექტორის მიერ წესდების 5.6. მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევა); თანხის გადარიცხვა სოლარიუმის აპარატების შესაძენად უცხო ქვეყნის კომპანიისათვის მოხდა ხელშეკრულების გაფორმების გარეშე; არ ყოფილა ჩატარებული არანაირი ანალიზი, რა სარგებლის მომტანი იქნებოდა კომპანიისთვის სოლარიუმით მომსახურების დაწყება; თავად მოპასუხემ მისი დირექტორობის პერიოდში დაარღვია სოლარიუმის შესყიდვის ფასის გადახდის ვალდებულება და სრულად არ გადაიხადა შეკვეთილი საქონლის ღირებულება; აღნიშნული აპარატურა არ იყო თავსებადი კომპანიის შესაძლებლობებთან; მოპასუხეს თანხა უნდა გადაერიცხა 2014 წლის 30 მაისამდე, ე. ი. მისი დირექტორობის პერიოდში, ხოლო საზოგადოების საბუღალტრო დოკუმენტაციაში არ მოიპოვება დოკუმენტი თანხის გადახდის ვადის გაგრძელების თაობაზე დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხეს ფიდუციური ვალდებულება არ დაურღვევია. ზემოაღნიშნული ქმედებები არ თავსდება გულმოდგინების, ერთგულებისა და კეთილსინდისიერების საზღვრებში;

23.3. კასატორი დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სოლარიუმის სეგმენტის დამატება, სოლარიუმის აპარატების შეძენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და ამ მიზნით მოპასუხის მიერ სხვადასხვა ქვეყანაში თანხის გადარიცხვა, არ უნდა იქნეს მიჩნეული არაგონივრულ და კომპანიის საზიანო გადაწყვეტილებად. კასატორის განმარტებით, მოპასუხის ქმედება იყო არაკეთილსინდისიერი და საზოგადოებისათვის საზიანო შემდეგი გარემოებების გამო: მომსახურების ამ სეგმენტზე შესვლა არ იყო ნებადართული კომპანიის პარტნიორების მიერ. კერძოდ, საზოგადოების წესდების (23.03.2012წ. რედაქცია) 5.6. მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაა საჭირო წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დასაწყებად ან შესაწყვეტად. ამდენად, სასამართლოს არ აქვს უფლება ჩაერიოს იმ საკითხების გადაწყვეტაში, რაც კომპანიის დამფუძნებელთა გადასაწყვეტია. მომსახურების რა სეგმენტზე დაიწყებს ესა თუ ის ბიზნესი ოპერირებას, კონკრეტული კომპანიის გადასაწყვეტია და სასამართლოს მიერ ამ ფაქტის გამარ-

თლება ვერ მოხდება, რადგან კომპანიას სოლარიუმით მომსახურება, როგორც საქმიანობის სფერო, არ ჰქონია და მისი წამოწყება არ ყოფილა ნებადართული პარტნიორების მიერ; მოპასუხე კომპანიის დირექტორი იყო 2014 წლის 22 სექტემბრამდე, მაშინ, როდესაც აპარატურის ღირებულება უნდა გადახდილიყო 2014 წლის 30 მაისამდე, თუმცა მან შეგნებულად არ გადაიხადა სრულად აპარატურის ღირებულება, ვინაიდან იცოდა, რომ ჩადიოდა პარტნიორებთან შეუთანხმებელ ქმედებას, რის გადაფარვასაც ის შეძლებდა, თუკი თანხის დიდ ნაწილს მეორე პარტნიორს გადახდევინებდა და თავისი უკანონო გადაწყვეტილების თანამონაწილეს გახდიდა; მოსარჩელეს არ ჰქონია გამოცდილება და არ ჰყავდა სათანადო პერსონალი (ადამიანური რესურსი), რომელიც შეძლებდა ამ ტიპის მომსახურების გაწევას, ანუ მომსახურების ეს ტიპი საერთოდ უცხო იყო კომპანიისათვის; ბაზრის ამ სეგმენტზე იყო დიდი კონკურენცია და არ არსებობდა არავითარი წინარე ანალიზი, რომელიც ზედაპირულად მაინც დაასაბუთებდა ამ გადაწყვეტილების მომგებიანობასა და წარმატებულობას; ის აპარატურა, რომელიც შეძენილ იქნა მოპასუხის მიერ, იყო არათავსებადი კომპანიისათვის;

23.4. კასატორი, ასევე, არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოსარჩელეს შეეძლო კონტრაქტთან დაკავშირება და ხელშეკრულების მოშლა. როგორ უნდა მოეხდინა მოსარჩელეს იმ ხელშეკრულების უარყოფა, რომელიც არ არსებობს ან/და როგორ უნდა დაკავშირებოდა კომპანიას, რომლის რეკვიზიტებიც მისთვის ცნობილი არ ყოფილა;

23.5. კომპანიის პარტნიორთა 19.06.2017წ. გადაწყვეტილებით მოპასუხეს მიეცა შესაძლებლობა, რომ კრების ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში საზოგადოებისათვის წარედგინა ყველა საჭირო ინფორმაცია, რათა საზოგადოების პარტნიორები დაერწმუნებინა, რომ მისი მხრიდან შესრულებული იყო წესდებითა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით ნაკისრი საწარმოს კეთილსინდისიერად მართვის მოვალეობა, თუმცა უშედეგოდ;

23.6. თუკი საზოგადოების ახალი ხელმძღვანელობა მოახდენდა დარჩენილი თანხის გადახდას, მაშინ ის დაცული უნდა ყოფილიყო დამატებითი ზიანისაგან. მოპასუხეს არ წარუდგენია შესაბამისი მტკიცებულება, რომ ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელე დანადგარს მიიღებდა, რომელსაც, მართალია, პირადი სარგებლობისათვის ვერ გამოიყენებდა, თუმცა მოახდენდა მის რეალიზაციას, რათა გადახდილი თანხა არ დაეკარგა.

24. კასატორმა, ასევე, მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 16 ივნისის ადგილზე თათბირით მიღებული განჩინების გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყო-

ფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა ინდ. მეწარმე და დამოუკიდებელი ექსპერტის, აუდიტორი „დ. რ-ის“ მიერ 2019 წლის 21 იანვარს შედგენილი ექსპერტიზის დასკვნის საქმეზე დართვის თაობაზე.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 08 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

26. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 21 ივლისის განჩინება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს

27. წინამდებარე საქმეში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია ყოფილი დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი კომპანიის მიმართ ფიქციური მოვალეობის (კონკრეტულად „ზრუნვის მოვალეობის“) დარღვევისათვის.

28. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კომპანიის წინაშე დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (დავის წარმოშობის დროს მოქმედი) მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი [დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ], საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი [მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება] და 408-ე მუხლის პირველი ნაწილი [იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება].

29. საკასაციო სასამართლომ დირექტორის პასუხისმგებლობის შესახებ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში განმარტა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (დავის წარმოშობის დროს მოქმედი) მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კომპანიის დირექტორს აკის-

რია განსაკუთრებული მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომლებსაც ფი-
დუციური მოვალეობები ეწოდება, და რომლებიც, სხვასთან ერთად,
მოიცავს დირექტორის მოვალეობას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს
კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანა-
ლოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებ-
რივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი
ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის („ზრუნ-
ვის მოვალეობა“) (იხ. სუსგ საქმე №ას-1307-1245-2014, 06 მაისი, 2015
წელი; №ას-1158-1104-2014, 06 მაისი, 2015 წელი). აღნიშნული მოვალე-
ობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დირექტორი საზოგადოების წი-
ნაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებს სოლიდარულად, მთელი
თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

30. ზრუნვის მოვალეობის დარღვევის შესახებ სარჩელის განხილ-
ვისას დირექტორს საწარმოსთვის ზიანის მომტანი გადაწყვეტილების
გამო პასუხისმგებლობისგან იცავს „ბიზნეს გადაწყვეტილების მართე-
ბულობის“ პრეზუმფცია, რომელიც წარმოადგენს დაშვებას, რომ გა-
დაწყვეტილების მიღებისას კომპანიის დირექტორი იყო სათანადოდ ინ-
ფორმირებული და მოქმედებდა კეთილსინდისიერად, იმ რწმენით, რომ
განხორციელებული მოქმედება კომპანიის საუკეთესო ინტერესებში
იყო. ასეთ საქმეებში მოსარჩელეს ეკისრება ზემოაღნიშნული დაშვე-
ბის გაბათილების ტვირთი, რადგან სასამართლოს არ შეუძლია ეჭვი შე-
იტანოს დირექტორის გადაწყვეტილების სისწორეში, თუ ის რაციონა-
ლური პროცესის შედეგად იქნა მიღებული და დირექტორი ყველა მნიშ-
ვნელოვან და გონივრულად ხელმისაწვდომ ინფორმაციას ფლობდა (იხ.
სუსგ საქმე №ას-370-344-2017, 18 აპრილი, 2019 წელი; №ას-766-766-
2018, 10 ივნისი, 2019 წელი).

31. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ ზრუნ-
ვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან, მიიღოს ისეთი გადაწყვე-
ტილებები, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღ-
ნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარე-
ბელიც და მცდარიც, თუმცა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულო-
ბის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონი-
ერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილე-
ბა მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზ-
ნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ
ზომით, რაც მას მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყ-
ვეტილების შედეგისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი
პასუხისმგებლობისაგან (იხ. სუსგ საქმე №ას-1307-1245-2014, 06 მაი-
სი, 2015 წელი; №ას-1158-1104-2014, 06 მაისი, 2015 წელი).

32. პრეზუმფცია დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილე-

ბის მართებულობის შესახებ („სამენარმეო გადანყვეტილების თავისუფლების“ წესი), მოქმედებს მხოლოდ ოთხი კუმულაციური წინაპირობის არსებობისას:

32.1. დირექტორმა უნდა მიიღოს გადანყვეტილება (უნდა იმოქმედოს). ისეთ შემთხვევაში, როცა დირექტორმა გამოიჩინა უმოქმედობა და არ მიიღო გადანყვეტილება, იგი ვერ იქნება დაცული „სამენარმეო გადანყვეტილების თავისუფლების“ წესით (აღნიშნულში არ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც უმოქმედობა, თავისთავად, მიღებული გადანყვეტილების შედეგია, ანუ მიღებულია გადანყვეტილება მოქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ);

32.2. გადანყვეტილების მიღებამდე დირექტორმა უნდა მიიღოს ინფორმაცია, რომელიც ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე ადამიანისათვის საკმარისია არსებულ გარემოებებში კონკრეტული გადანყვეტილების მისაღებად, ანუ გადანყვეტილების მიღების პროცესი უნდა აკმაყოფილებდეს კეთილგონიერულობის სტანდარტს;

32.3. გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს კეთილსინდისიერად. ეს მოთხოვნა არ ითვლება დაკმაყოფილებულად, თუ სხვა გარემოებებთან ერთად, დირექტორისთვის ცნობილია, რომ იგი იღებს კანონსა-წინააღმდეგო გადანყვეტილებას;

32.4. დირექტორს არ უნდა ჰქონდეს პირადი დაინტერესება.

33. თუ დასახელებული ოთხი პირობიდან რომელიმე არ არის დაკმაყოფილებული, მაშინ პრეზუმფცია ვერ ამოქმედდება.

34. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთის განაწილების თვალსაზრისით, „ბიზნეს გადანყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციის არსებობა თავდაპირველი მტკიცების ტვირთს მოსარჩელეს აკისრებს, რომელმაც უნდა მიუთითოს ოთხი კუმულაციური წინაპირობიდან ერთ-ერთის (ან რამდენიმეს) არარსებობაზე. თუ მოსარჩელე აღნიშნულს დაადასტურებს, მაშინ პრეზუმფცია ქარწყლდება, რის შედეგადაც მტკიცების ტვირთი გადადის მოპასუხე დირექტორზე, რომელმაც უნდა ამტკიცოს, რომ მისი მოქმედება/გადანყვეტილება ყველაზე ხელსაყრელი იყო საზოგადოებისათვის.

35. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე უთითებს, რომ ყოფილი დირექტორის მიერ სოლარიუმის აპარატების შეძენის შესახებ მიღებული გადანყვეტილებითა და ამ მიზნით განხორციელებული ტრანზაქციების შედეგად, მას ზიანი მიაღდა. კერძოდ, აღნიშნული გადარიცხვების სანაცვლოდ შესაბამისი საქონელი არ მიუღია, ამასთან, არ არსებობს ხელშეკრულება ან სხვა ოფიციალური დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც კომპანია შეძლებდა თავისი უფლებების დაცვას, მოსარჩელისთვის თანხის მიმღები კომპანიის რეკვიზიტებიც კი არ არის ცნო-

ბილი.

36. ამდენად, მოსარჩელე უთითებს „ბიზნეს გადანყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციის წარმოშობისათვის სავალდებულო მეორე წინაპირობის – ინფორმირებული, რაციონალური პროცესის შედეგად მიღებული გადანყვეტილების, არარსებობაზე, თუმცა სააპელაციო სამართლომ ისე დაადგინა „ბიზნეს გადანყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციის არსებობა, რომ ეს გარემოებები არ გამოუკვლევია.

37. სააპელაციო სამართლომ გადანყვეტილების მიღებისას იმსჯელა მხოლოდ სოლარიუმის აპარატების შეძენის შესახებ ყოფილი დირექტორის მიერ მიღებული გადანყვეტილების მიზანზე და მართებულობაზე, თუმცა მას არ შეუფასებია დირექტორის ფაქტობრივი ქმედებები სოლარიუმის აპარატების შესაძენად გარიგების დადების შესახებ გადანყვეტილების მიღებისა და აპარატების შეძენის პროცესში.

38. სასამართლოს, ასევე, არ შეუფასებია რა როლი აქვს კომპანიის ამჟამინდელი დირექტორის ქმედებებს ზიანის დადგომაში და რომელი დირექტორის ქმედებებია მიზეზობრივ კავშირში ზიანთან.

39. სასამართლოს არ გამოუკვლევია მიღებულ იქნა თუ არა სოლარიუმის აპარატების შეძენის შესახებ გადანყვეტილება სათანადო ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს ინფორმაციას, რომელიც ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე ადამიანისათვის საკმარისი იქნებოდა არსებულ გარემოებებში სოლარიუმის აპარატების შეძენის შესახებ გადანყვეტილების მიღებისათვის.

40. აღნიშნულის შემდეგ მნიშვნელოვანია იმ ქმედებების გამოკვლევა, რომლებიც მოპასუხე დირექტორმა, ხოლო შემდგომ ახალმა დირექტორმა განახორციელა აპარატების შეძენის პროცესში. კერძოდ, არ არის გამოკვლეული არსებობდა თუ არა მოპასუხესა და უცხოურ კომპანიას/კომპანიებს შორის მოლაპარაკება სოლარიუმის აპარატების შეძენაზე და აღნიშნული მოლაპარაკების შედეგად, დაიდო თუ არა მათ შორის გარიგება და რა პირობებით; ვისი უმოქმედობით არ განხორციელდა აპარატების საფასურის სრულად გადახდა და რა იყო მიზეზი მათი არგამოგზავნის. დადგენილია, რომ მოპასუხემ სოლარიუმის აპარატების შესაძენად ჯამში 17 035 ევრო გადარიცხა 2014 წლის 04 მარტს და 16 ივნისს. დადგენილია, ასევე, რომ მოპასუხე დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლდა 2014 წლის 22 სექტემბერს და მის ნაცვლად დირექტორად დაინიშნა მეორე პარტნიორი. კასატორი მიუთითებს, რომ ნასყიდობის დარჩენილი საფასური უნდა გადახდილიყო მოპასუხის დირექტორობის პერიოდში, 2014 წლის 30 მაისამდე. ამის საწინააღმდეგოდ, მოპასუხე განმარტავს, რომ ნასყიდობის საფასურის დარჩენილი ნაწილი სწორედ ამჟამინდელ დირექტორს უნდა გადაერიცხა. შესაბამისად, გამოსაკვლევია, როდის უნდა განხორციელებულიყო დარჩენი-

ლი საფასურის გადახდა და ხომ არ ემთხვევა ეს პერიოდი მეორე პარტნიორის დირექტორობის პერიოდს. ამ ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კი, უნდა დადგინდეს რა მოქმედებები განახორციელა ამ უკანასკნელმა ფულადი ვალდებულების შესასრულებლად და რა როლი აქვს მის ქმედებებს ზიანის დადგომაში.

41. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: (ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; (ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

42. ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას თავად მიიღოს გადაწყვეტილება დავაზე, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, რაც საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების საფუძველია. კერძოდ, წინამდებარე განჩინების 37-ე-39-ე და მე-40 პუნქტებში მითითებული გარემოებების შესაბამისად, სასამართლომ უნდა დაადგინოს მოპასუხე, როგორც კომპანიის დირექტორი სოლარიუმის აპარატების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას იყო თუ არა სათანადოდ ინფორმირებული და მოქმედებდა თუ არა კეთილსინდისიერად, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება კომპანიის საუკეთესო ინტერესებში იყო; ასევე, ზიანის დადგომა სრულად ან ნაწილობრივ ხომ არ განაპირობა ამჟამინდელი დირექტორის ქმედებებმა.

43. კასატორი, აგრეთვე, ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 16 ივნისის ადგილზე თათბირით მიღებული განჩინების გაუქმებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა ინდ. მენარმე და დამოუკიდებელი ექსპერტის, აუდიტორი „დ. რ-ძის“ მიერ 21.01.2019წ. შედგენილი ექსპერტიზის დასკვნის საქმეზე დართვის თაობაზე.

44. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხარეთა მიერ მათი მოთხოვ-

ნების დასასაბუთებლად და მითითებული ფაქტების დასამტკიცებლად საჭირო მტკიცებულებების წარდგენის საკმაოდ მკაცრად განერილ პროცედურას, რომლის შესაბამისად, მხარეებს მტკიცებულებათა წარდგენა შეუძლიათ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას შესაბამისი წესების დაცვით. საქმის მომზადების დასრულების შემდეგ, საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე მხარეები შეზღუდულნი არიან ახსნა-განმარტებების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო გაცხადებული. იგივე წესი მოქმედებს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, სადაც ახალი ფაქტების მითითება და ახალი მტკიცებულებების დაშვება მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრული საპატიო გარემოებების არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი (სსსკ-ის 380-ე მუხლი).

45. ამდენად, მხარეთა მიერ ფაქტების მითითებისა და მტკიცებულებების წარდგენის პროცედურა მკაცრად ფორმალიზებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია ფაქტები და მტკიცებულებები სასამართლოს კანონით დადგენილი წესითა და პროცედურის დაცვით წარედგინოს.

46. საქმეზე მტკიცებულებების დართვის ზემოაღნიშნული წესი დაკავშირებულია სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედ შეჯიბრებითობის პრინციპთან (სსსკ-ის მე-4 მუხლი) და გულისხმობს იმას, რომ სასამართლო საქმის გადაწყვეტისას ხელმძღვანელობს მხოლოდ იმ მტკიცებულებებით, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით დაერთვება საქმეს. სხვა მტკიცებულებები მხედველობაში არ მიიღება, თუნდაც მას საქმის მართებულად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს.

47. განსახილველ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.06.2020წ. ადგილზე თათბირით მიღებული განჩინებით აპელანტს უარი ეთქვა საქმეზე მტკიცებულების დართვაზე იმ საფუძველით, რომ მოსარჩელეს აღნიშნული მტკიცებულების წარდგენა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს შეეძლო. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და აღნიშნავს, რომ აპელანტს არ დაუსაბუთებია, რატომ ვერ შეძლო ექსპერტიზის ჩატარება და დასკვნის წარდგენა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. ის გარემოება, რომ ექსპერტიზის დასკვნა მომზადებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, არ წარმოადგენს მტკიცებულების წარუდგენლობის საპატიო მი-

ზეზს. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ აპელანტი წარმოადგენს მოსარჩელე მხარეს და, შესაბამისად, მას არა მარტო საქმის მოსამზადებელ ეტაპზე, არამედ სარჩელის აღძვრამდეც შეეძლო ექსპერტიზისათვის მიმართვა და დასკვნის მომზადება. აპელანტის წარმომადგენელმა სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ ექსპერტიზა დაინიშნა საქმის მოსამზადებელ ეტაპზე, 2018 წლის 11 სექტემბერს, თუმცა აღნიშნულის შესახებ მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ უცნობებია და მტკიცებულების წასადგენად დამატებითი ვადა არ მოუთხოვია.

48. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აპელანტს მართებულად ეთქვა უარი საქმეზე მტკიცებულების დართვაზე. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.06.2020წ. ადგილზე თათბირით მიღებული განჩინება სწორია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძვლები.

49. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

50. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „დ-ას“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 21 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. შპს „დ-ას“ მოთხოვნა ინდ. მენარმე დამოუკიდებელი ექსპერტი, აუდიტორი „დ. რ-ის“ მიერ გაცემული 2019 წლის 21 იანვრის ექსპერტიზის დასკვნის №... დ. რ. საქმეზე დართვის თაობაზე უარის თქმის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 16 ივნისის საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. სამეწარმეო საზოგადოების დაშლა

საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმება

განჩინება
საქართველოს სახელმწიფო

№ას-1133-2018

26 ივლისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი
ნ. ბაქაძე

დავის საგანი: მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შპს „მ-ი ...-ის“ აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „მ-ი ...“-ის დამფუძნებელი/პარტნიორისა და იმავდროულად დირექტორის ჯ. ლ-ძის სარჩელი (შემდეგში: მოსარჩელე, საწარმოს დამფუძნებელი პარტნიორი და იმავდროულად დირექტორი, აპელანტი ან კასატორი) მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შპს „მ-ი ...-ის“ (შემდეგში: საწარმო ან შპს) აღდგენის მოთხოვნის თაობაზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდეგში: მოპასუხე: საჯარო რეესტრი ან მარეგისტრირებული ორგანო) წინააღმდეგ არ დაკმაყოფილდა (მოსარჩელე მის მიერ აღძრული სარჩელის იურიდიულ ინტერესად იმაზე მიუთითებს, რომ სასამართლოს მიერ საწარმოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში აღდგენის შემთხვევაში, შპს, როგორც აქტიური იურიდიული პირი, ჩაერთვება სამოქალაქო ბრუნვაში, განახორციელებს თავის მოთხოვნებს მოვალეების მიმართ, შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ამასთან დაიბრუნებს კუთვნილ ქონებებს, რომლებიც მოძიებულია და უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მესაკუთრეს).

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა საწარმოს დამფუძნებელი პარტნიორის სარჩელი და უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

3. განსახილველ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგენი-

ლად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

3.1. შპს „მ-ი ...“ წარმოადგენდა მეწარმე სუბიექტს, ის 2006 წლის 15 მარტს რეგისტრირებული იქნა საგადასახადო ინსპექციაში და მიენიჭა ს/ნ...;

3.2. შპს-ის პარტნიორები იყვნენ: მ. ბ-ძე – 5.00000000%, გ. ლ-ძე – 5.00000000%, თ. ყ-ი 15.00000000% და წინამდებარე დავის მოსარჩელე – 75.00000000%;

3.3. საწარმოს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება დაიწყო 2009 წლის 4 ნოემბერს. მეურვედ დანიშნული იქნა ნ. ბ-ი;

3.4. საწარმოს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების და მისი

(ს/ნ ...) რეგისტრაციის გაუქმების შესახებ განჩინება მიღებული იქნა 2012 წლის 27 ივნისს. აღნიშნული განჩინება შპს-მ გაასაჩივრა კერძო საჩივრით, რაც არ დაკმაყოფილდა;

3.5. შპს-ს (ს/ნ ...) რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული იქნა 2014 წლის 30 მაისს;

4. არ იქნა გაიზიარებული საწარმოს დამფუძნებელი/პარტნიორისა და იმავდროულად დირექტორის (მოსარჩელის/აპელანტის) წარმომადგენლის მტკიცება იმის თაობაზე, რომ შპს-ს გააჩნდა 8 000 000-მდე ლარის ქონება, რომელიც მეურვემ არ მოიძია, რადგან ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება მოსარჩელე მხარის წარმომადგენელს სასამართლოსთვის არ წარუდგენია.

5. სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 102-ე მუხლის პირველი ნაწილზე მიუთითა, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამდენად, ამ ნორმის დანაწესი განსაზღვრავს, თუ რომელი გარემოებები უნდა დამტკიცდეს სამოქალაქო საქმის განხილვის და გადაწყვეტის მიზნით (მტკიცების საგანი) და ვინ, ე.ი. რომელმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ეს გარემოებები (მტკიცების ტვირთი). მტკიცების საგნის განსაზღვრისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს სარჩელსა და მოპასუხის შესაგებელს. მტკიცების საგანს შეადგენენ ფაქტები, რომლებზეც მოსარჩელე და მოპასუხე ამყარებენ თავიანთ სასარჩელო მოთხოვნებსა და სარჩელის წინააღმდეგ მიმართულ შესაგებელს.

6. სასამართლომ მიუთითა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 პრიმა მუხლის პირველ ნაწილზე (დავის გადაწყვეტის დროისათვის მოქმედი რედაქციით), რომლის თანახმად, საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს დაინტერესებულ პირს. ტერმინი „დაინტერესებული პირი“

ამ კანონში გამოიყენება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობით. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების საფუძველია უფლებამოსილი პირის/ორგანოს სათანადო წესით მიღებული და დამოწმებული გადაწყვეტილება ან უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შედგენილი გარიგება. იმავე მუხლის მე-3 ნაწილით კი, საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილება გულისხმობს საწარმოს ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის პროცესის, გადახდისუნარობის, გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების დაწყებისა და შეწყვეტის, ლიკვიდატორის, მეურვის, რეაბილიტაციის მმართველის ან გაკოტრების მმართველის, ასევე სარეგისტრაციო დოკუმენტის ცვლილების შესახებ ინფორმაციის ასახვას მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში;

7. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, განსახილველ შემთხვევაში სადავო არ არის, რომ შპს-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება დაიწყო 2009 წლის 4 ნოემბერს, თვითონ საწარმოსავე განცხადების საფუძველზე. მეურვედ დანიშნული იქნა ნ. ბ-ი. საწარმოს (ს/ნ ...) მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებისა და მისი რეგისტრაციის გაუქმების შესახებ სასამართლოს განჩინება მიღებული იქნა 2012 წლის 27 ივნისს. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 27.06.2012 წლის განჩინებით დასტურდება, რომ შპს-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების მომენტში ამ უკანასკნელს ბალანსზე ქონება არ ჰქონდა. საწარმოს დამფუძნებელი პარტნიორი და იმავდროულად დირექტორი საწარმოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში გაკოტრების რეჟიმში აღდგენას იმ საფუძველით მოითხოვს, რომ გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში გაკოტრების მმართველის და მეურვის მიერ სრულად არ იქნა მოძიებული მოვალის ქონება, შესაბამისად, სამეურვეო ქონების სრულად მოძიებამდე და რეალიზაციამდე არ არსებობდა ვალაუვალი მოვალის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების საფუძველი. გარდა ამისა, აპელანტი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში საწარმოს რეგისტრაციის აღდგენის მოთხოვნას უკავშირებს ასევე გაკოტრების წარმოების დასრულების შემდეგ საწარმოს პარტნიორის მიერ ქონების აღმოჩენის ფაქტს. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოება უნდა განხორციელდეს შეჯიბრებითობის საფუძველზე. ამ პრინციპის თანახმად, თითოეული მხარე სარგებლობს თანაბარი შე-

საძლებლობით, რომ მათ განკარგონ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საპროცესო საშუალებები, ამასთან, შეჯიბრებითობა გულისხმობს მხარეთა უფლებას, მიუთითონ ფაქტებზე თავიანთი მოთხოვნების, თუ შესაგებლის დასასაბუთებლად და წარმოდგინონ მტკიცებულებები ამ ფაქტების დადასტურება-დამტკიცებისათვის. ამდენად, სამოქალაქო სამართალწარმოებაში თითოეული მხარის უფლებრივ ტვირთს წარმოადგენს იმ ფაქტების მითითება და დამტკიცება, რომლითაც მხარეებს სურთ დაასაბუთონ თავიანთი სასარჩელო მოთხოვნები ან გააქარწყლონ სასარჩელო მოთხოვნათა დასასაბუთებლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

8. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინებით დასტურდება საწარმოს გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების ეტაპზე ამ უკანასკნელის ბალანსზე ქონების არარსებობის ფაქტი, საწინააღმდეგო გარემოების, კერძოდ, გაკოტრების მმართველის და მეურვის მიერ მოვალის ქონების არასრულად მოძიებისა და გაკოტრების საქმის დასრულების ეტაპზე მოვალის ბალანსზე ქონების არსებობის დადასტურების მტკიცების ტვირთი მოსარჩელე მხარეზე იყო.

9. სასამართლომ მიუთითა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველ პუნქტზე (დავის განხილვის დროს მოქმედი რედაქციით), რომლის შესაბამისად, გაკოტრების საქმის წარმოება დასრულდება გაკოტრების მმართველის მიერ სამეურვეო ქონების რეალიზაციისა და რეალიზაციით მიღებული თანხის ამ კანონის შესაბამისად განაწილებისთანავე. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გაკოტრების მმართველისა და კრედიტორთა ინფორმაციის შესაბამისად, სასამართლოს გამოაქვს განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებისა და საწარმოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. განსახილველ შემთხვევაში შპს „მ-ი ...“-ის (ს/ნ ...) რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული იქნა 2014 წლის 30 მაისს.

10. სასამართლომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტზე (დავის განხილვის დროს მოქმედი რედაქციით) დაყრდნობით განმარტა, რომ თუ საწარმოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ აღმოჩნდება ქონება, რომელიც ეკუთვნოდა გაუქმებულ საწარმოს, აღსრულების ეროვნული ბიურო ამ ინფორმაციას აქვეყნებს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ ვებგვერდზე. კრედიტორი, რომლის მოთხოვნაც არ დაკმაყოფილებულა, უფლებამოსილია, აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 15 დღის განმავლობაში მი-

მართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვოს ასეთი ქონების აუქციონის წესით რეალიზაცია. აღსრულების ეროვნული ბიურო უზრუნველყოფს ამ კანონის 38-ე მუხლით განსაზღვრული წესით ქონების რეალიზაციას და ქონების რეალიზაციიდან მიღებულ თანხას ანაწილებს იმ კრედიტორთა შორის, რომლებმაც დადგენილ ვადაში მიმართეს, მათი მოთხოვნების რიგითობის გათვალისწინებით. თუ კრედიტორი დადგენილ ვადაში არ მიმართავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს, ან აუქციონზე ქონება არ გაიყიდა, ან კრედიტორმა უარი თქვა ქონების ნატურით საკუთრებაში მიღებაზე, ქონება მიექცევა სახელმწიფო საკუთრებაში.

11. სასამართლოს შეფასებით ზემოაღნიშნული მუხლი ადგენს სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ გაუქმებული საწარმოს აღმოჩენილი ქონების განაწილების წესს. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაშიც, რეგისტრაცია გაუქმებული საწარმოს ქონება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა განაწილდეს ზემოაღნიშნული ნორმით დადგენილი წესით.

12. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე შპს-ს დამფუძნებელი/პარტნიორისა და დირექტორის სასარჩელო მოთხოვნას საწარმოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში აღდგენის თაობაზე, უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

13. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

13.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საწარმოს დამფუძნებელმა პარტნიორმა, რომელმაც საქმის არსებითად განხილვის მიზნით, საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა, არსებითად განხილვა და, ახალი გადანყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება (შპს „მი-ი...“-ის რეგისტრაციის აღდგენა მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში; საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაეკისროს მოსარჩელის მიერ პროცესის ხარჯების ანაზღაურება) მოითხოვა შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით:

13.2. გასაჩივრებული განჩინება საპროცესო სამართლებრივი ნორმების დარღვევით არის მიღებული. სსკ-ის 249.4 მუხლის თანახმად, გადანყვეტილების სამართლებრივ შეფასებაში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც იხელმძღვანელა სასამართლომ. გასაჩივრებული განჩინება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სრულად გაზიარებით არის შემოფარგლული და ეთანხმება სარჩელის უარყოფის დასკვნებს;

13.3. სააპელაციო სასამართლომ ყველაზე საკვანძო სამოტივაციო

ნაწილში არასწორად დაასკვნა, რომ თითქოსდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინებით დასტურდება, რომ მოსარჩელე/კასატორ სანარმოს, გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების ეტაპზე, ბალანსზე ქონება არ გააჩნდა. სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ თითქოს მოსარჩელე (აპელანტმა/კასატორმა) სანარმომ ბალანსზე რიცხული ქონების არარსებობას ვერ დაუპირისპირა რაიმე მტკიცებულება, რომელიც ამ მტკიცებულებაში მითითებულ ფაქტებს, კერძოდ, რეალიზებული ქონების გარდა, მოვალის საკუთრებაში სხვა ქონების არსებობის ფაქტს სამართლებრივ საფუძველს შეურყევდა. სასამართლოს ამ დასკვნის შეცდომის არსი სწორედ იმაშია, რომ მოვალეს – ლიკვიდირებულ სანარმოს შეიძლება გაკოტრების (ანუ იძულებითი ლიკვიდაციის) დასრულების მომენტისათვის ქონება მართლაც არ გააჩნდეს რამდენიმე მიზეზის გამო: ლიკვიდატორმა ან გაკოტრების მმართველმა თავისი ფუნქციების არაპროფესიულად განხორციელების გამო ვერ აღმოაჩინა ქონება, ანდა ქონება გადამალული იყოს თვითონ მოვალის მიერ (რას გახშირებული პრაქტიკა საგაკოტრებო პრაქტიკაში). მოცემულ შეთხვევაში მმართველთა არაპროფესიონალიზმს და არაკომპეტენტურობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ თუ ლიკვიდაციის დასრულების, უფრო მეტიც, რეესტრიდან მოვალის ამოშლის შემდეგ, აღმოჩნდება რაიმე ქონება (ღირებულების ოდენობას მნიშვნელობა არ აქვს) – აღნიშნული გარემოება, სტანდარტული ევროპული სამართლისა და ევროპულ-სამართლებრივი დოგმატიკის თანახმად (რაც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც არის უკვე ასახული), საკმარისი საფუძველია იმისა, რომ რეესტრიდან ამოშლილი მოვალე კვლავ იქნეს აღდგენილი რეესტრში ერთადერთი მიზნით: ხელახლა განხორციელდეს „მოძიებული“ ქონებების ლიკვიდაცია (რეალიზაცია და უფლებამოსილ პირებზე ამონაგების განაწილება); გასაჩივრებული განჩინებით ძალიან ბევრი სამართლებრივი საკითხი ღია დარჩა, მაგალითად, რა ბედი უნდა ენიოს იმ წილებს, რომლებიც დღესაც, როგორც სხვადასხვა სანარმოს პარტნიორს, ოფიციალურად ეკუთვნის რეესტრიდან ამოშლილ მოსარჩელე სანარმოს, ზოგან – 50%, ხოლო ზოგან – 100 % (მაგალითად, შპს „ტ-სი ...“-ში, რომელიც საკონსტიტუციო საჩივრის ავტორია).

13.4. კასატორს მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო უთითებს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლის საფუძველზეც დადგინდა მოვალის რეესტრიდან ამოშლა, ქონების მფლობელი სამართლის სუბიექტის რეესტრში აღდგენა არაფერ კავშირშია კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს გადაწყვეტილებასთან. რეესტრში სუბიექტის აღდგენის შემთხვევაში არ ხდება სასამართლოს ამ გადაწყვეტილების რევიზია, პირიქით, სასამართლოს გადაწყვეტილებით დასრულდა ერთი სამართლებრივი აქტი – რეესტრიდან

ამოშლა, რომელსაც, გარკვეული წინაპირობების არსებობისას უნდა მოჰყვეს მეორე სამართლებრივი აქტი – სანარმოს რეგისტრაციის რეგისტრში აღდგენა. ეს ორი აქტი ერთმანეთის თანმიმდევრობით ხორციელდება და ერთმანეთის ხელისშემშლელებად არ გვევლიანებიან;

13.5. მოცემულ შემთხვევაში არსებითია ერთადერთი ფაქტობრივი გარემოება – ქონების არსებობა, რომლებიც სამართლებრივად მოვალეს ეკუთვნის. მოვალე, როგორც სამართალსუბიექტი, სამართლებრივ ბმაშია თავის ქონებასთან. მოვალის კუთვნილი და მოგვიანებით აღმოჩენილი ქონების ლიკვიდაციას ხელი არ უნდა შეუშალოს მოვალის „გაქრობამ“, ანუ რეესტრიდან ამოშლამ;

13.6. სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი, სამართლებრივად სწორად უნდა შეეფასებინა მოსარჩელის მიერ საქმეში წარდგენილი სარჩელი მეურვეობისა და გაკოტრების მმართველების წინააღმდეგ, რომლის საფუძველზე ის მოპასუხეებისაგან ითხოვდა ზიანის ანაზღაურების სახით დაახლოებით 7 427 760 ლარს. ეს სარჩელი, რომლითაც ცალსახად დასტურდებოდა, რომ მოსარჩელეს მესამე პირების მიმართ გააჩნდა მოთხოვნები, სასამართლომ წარმოებაში მიიღო, თუმცა, შემდეგ შეწყდა საქმისწარმოება მოსარჩელე/კასატორი სანარმოს რეესტრიდან ამოშლის გამო. ამდენად, მოსარჩელე სანარმოს გააჩნდა დელიქტური სასარჩელო მოთხოვნა მესამე პირების მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ ვალაუვალი მოვალის ქონების მოუძიებლობისა და რეესტრიდან მოვალის დაუსაბუთებლად ამოშლისათვის ხელშეწყობის გამო. სააპელაციო სასამართლომ საერთოდ სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა ეს ფაქტობრივი გარემოება, მეტიც, მტკიცებულებითი ძალა არც კი მიანიჭა სანარმოს მიერ აღძრულ სარჩელს მეურვეობისა და გაკოტრების მმართველების წინააღმდეგ. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არ დაუშვა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ დამატებით მოსარჩელე სანარმოს სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონებების არსებობის ფაქტს, რომელთა ოდენობა დაახლოებით 1 500 000 ლარს აჭარბებდა, მართალია, ეს მტკიცებულებები დაგვიანებით იქნა წარდგენილი, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს უნდა შექმნოდა რწმენა, რომ რეესტრიდან ამოშლილ მოვალეს ნამდვილი საკუთრების უფლებით გააჩნდა ქონება. ზოგადად სუბიექტის რეესტრში აღსადგენად ქონების ღირებულებას და მის ოდენობას მნიშვნელობა არ აქვს. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სიმბოლურად 1 ლარის ქონების არსებობაც კი საკმარისია იმისათვის, რომ სუბიექტის მიმართ განხორციელდეს დამასრულებელი სალიკვიდაციო ღონისძიებები, კერძოდ, მოხდეს ამ ქონების (1 ლარის) რეალიზაცია და მისი განაწილება უფლებამოსილ პირებზე, ბოლოს კი ნული (0) ქონების სუბიექტის ამოშ-

ლა რეესტრიდან. გერმანული დოგმატიკა აღიარებს პრინციპს: „მხოლოდ უქონელი სუბიექტი უნდა ამოიშალოს რეესტრიდან“, უქონელი – აქ ნული ქონების ტოლფასია. იმ შემთხვევაში, თუ სიმბოლურად 1 ლარის ქონების მფლობელი სუბიექტი შეცდომით მაინც ამოშალეს რეესტრიდან, აუცილებლად უნდა მოხდეს მისი რეესტრში ხელახლა აღდგენა და 1 ლარზე იმავე დამასრულებელი სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება. ამიტომ სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილით და საქმის ამ გარემოების (ქონების არსებობის ფაქტის) გასარკვევად, თავისი ინიციატივით უნდა მიემართა ამ კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ღონისძიებისათვის, როგორიცაა მტკიცებულებების მოპოვება/მოძიება/გამოთხოვა. მით უმეტეს, მოსარჩელის მიერ სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე წარდგენილი იყო დამატებით 1 500 000 ლარის ღირებულების ქონების დამადასტურებელი დოკუმენტები, მათ შორის, სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერები, რითაც დასტურდებოდა მოსარჩელე საწარმოს წილობრივი მონაწილეობა (50%, 100 %) სხვადასხვა საწარმოში;

13.7 გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილში სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივად არ დაუსაბუთებია, რა ვითარებაში და რა წინაპირობების არსებობისას ხდება გაუქმებული სამეწარმეო საზოგადოების აღდგენა. სასამართლომ არ შეაფასა, რომ ქონება ორგანულად არის დაკავშირებული სამართლის სუბიექტთან; ქონება წარმოადგენს იურიდიული სტატუსის მქონე სამართლის სუბიექტის ერთ-ერთ თავისებურებას (სსკ-ის 24.1 მუხლი). მითითებული დისპოზიცია სსკ-ის დასახელებულ ნორმაში შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „იურიდიული პირი არის ... საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი...“. თუკი სუბიექტს სამართლებრივი ბმა აქვს ქონებასთან, ანუ მას რაღაც ეკუთვნის, ასეთი სუბიექტი მანამდე ინარჩუნებს თავის სამართალსუბიექტობას, ვიდრე მისი ქონება სრულად (მთლიანად) არ გადანაწილდება უფლებამოსილ პირებზე (კრედიტორებზე, პარტნიორებზე). მოცემულ შემთხვევაში სასამართლოსთვის სადავო არ უნდა ყოფილიყო ის ფაქტი, რომ რეესტრიდან ამოშლილ მოვალეს – მოსარჩელე (აპელანტ/კასატორ) საწარმოს გააჩნდა ქონება (დაახლოებით 10 000 000 ლარის), თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ქონების ღირებულებას და მის ოდენობას მნიშვნელობა არ აქვს;

13.8. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, გაკოტრების საქმის წარმოება დასრულდება გაკოტრების მმართველის მიერ სამეურვეო ქონების რეალიზაციისა და რეალიზაციით მიღებული თანხის ამ კანონის შესაბამისად განაწილებისთანავე. მოსარჩელემ სადავოდ გახადა ის გარემოება, რომ სა-

მეურვეო ქონების სრული რეალიზაცია არ მომხდარა, ვინაიდან მმართველებმა არ ამოიღეს 7 400 000 ლარზე მეტი თანხა მოვალის მიერ რეალიზებული უძრავი ქონებებიდან. ამდენად, სანამ მოვალის მთლიანი სამეურვეო ქონება არ იქნებოდა მოძიებული და რეალიზებული, გაკოტრების საქმის წარმოება არ უნდა დასრულებულიყო, სწორედ ამ შინაარსით უნდა განემარტა სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული სპეციალური კანონის 42-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტები;

13.9. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა ის, რომ მოსარჩელე საწარმო ამოიშალა რეესტრიდან კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, არამედ ის, რომ ამოშლილ სამართლის სუბიექტს გააჩნდა/აღმოაჩნდა სარეალიზაციო ქონება, ხოლო რეესტრიდან ამოშლით მას არ მიეცა ქონების მოძიებისა და მისი შემდგომი ლიკვიდაციის შესაძლებლობა. მოცემულ საქმეზე ნაკლებად მნიშვნელოვანია გაკოტრების საქმის დასრულება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რასაც მოჰყვა მოვალის რეესტრიდან ამოშლა. აქ უმთავრესია ამოშლილი სუბიექტისა და მისი არსებული ქონების ურთიერთდაკავშირება, რაც მხოლოდ სუბიექტის რეესტრში რეგისტრაციის აღდგენით შეიძლება განხორციელდეს (როგორც გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაშია მოხსენიებული „ხელახალი გაცოცხლებით“), რის შედეგადაც „გაცოცხლებული“ სუბიექტი სამართლებრივად ისევ დაუკავშირდება/მიეზღვება თავის ქონებას. მოსარჩელე საწარმოს რეესტრში აღდგენა (ანუ სამართლებრივად მისი „ხელახალი გაცოცხლება“) იმით არის განპირობებული, რომ მან დადგენილი წესით დაასრულოს გაკოტრების წარმოების გახსნით დაწყებული სალიკვიდაციო ღონისძიებები. სალიკვიდაციო ღონისძიება სრულად მხოლოდ მაშინ მთავრდება, როდესაც მოხდება მოვალის ყველა ქონების ლიკვიდაცია. ასეთ ფაქტს კი მოსარჩელე საწარმოს შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, საწარმოს აღდგენა უნდა მომხდარიყო სწორედ გაკოტრების რეჟიმში, რასაც იურიდიულ ლიტერატურაში „პასიურ რეჟიმს“ უწოდებენ (შეად. რ. მიგრიაული, „ქართული კერძო სამართლის საკითხები, მე-2 გამოცემა, 2016წ; გვ. 186-191). პასიური რეჟიმის სხვა შემთხვევაა, როდესაც სამართლის სუბიექტი პარტნიორთა გადაწყვეტილებით უქმდება და ხორციელდება ნებაყოფლობითი ლიკვიდაცია. პასიურ რეჟიმში, მათ შორის, გაკოტრების რეჟიმში, მყოფი სუბიექტი განსხვავდება იმ სუბიექტისაგან, რომელიც მოგებაზეა ორიენტირებული, ანუ როგორც იურიდიულ ლიტერატურაში მოიხსენიებენ „აქტიურ რეჟიმში“ იმყოფება (შეად. რ. მიგრიაულის დასახელებული ნაშრომი, გვ. 186). ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელე საწარმოს აღდგენა რეესტრში უნდა მომხდარიყო პასიურ, ანუ

გაკოტრების რეჟიმში. ამ რეჟიმში მოხდებოდა აღმოჩენილი ქონების ხელახალი ლიკვიდაცია და უფლებამოსილ პირებზე გადანაწილება;

13.10. როგორც უკვე აღინიშნა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, რომ გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების გამო, საჯარო რეეტრმა მოსარჩელე საწარმოს რეგისტრაცია გააუქმა 2014 წლის 30 მაისს. მთავარი ისაა, რომ სამართლებრივად შესაძლებელია სწორედ გაუქმებული საზოგადოების რეესტრში ხელახლა აღდგენა. გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებაში აისახა, არ არის მისი რეესტრში ხელახალი აღდგენის დამაბრკოლებელი გარემოება;

13.11. ასევე არასწორია სააპელაციო სასამართლოს მიერ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის განმარტება. ნორმის შინაარსი შემდეგია: თუ მოვალეს რაიმე ქონება აღმოაჩნდება, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ეს ინფორმაცია უნდა გამოაქვეყნოს საჯაროდ, ხოლო კრედიტორს, რომლის მოთხოვნაც არ დაკმაყოფილდა, უფლება აქვს მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვოს ასეთი ქონების აუქციონის წესით რეალიზაცია, ხოლო თუ კრედიტორი არ მიმართავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს, ქონება მიექცევა სახელმწიფო საკუთრებაში. გარდა იმისა, რომ მოცემული ნორმის ბოლო ნაწილი ანტიკონსტიტუციურია (იხ. შპს „ტიფლისი 777“-ის კონსტიტუციური სარჩელი № 1/1/1250), თვითონ ნორმის შინაარსი არ გამომდინარეობს მოცემული საქმის არსიდან და მისი გავრცელება მასზე დაუშვებელია. ამ ნორმაში არაა მითითება იმაზე, თუ ვის მიერ და როგორ ხდება ქონების აღმოჩენა, შემდეგ არაა მონესრიგებული, თუ როგორ ხდება ეს ინფორმაცია აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელში და ბოლოს, აღსრულების ეროვნულ ბიუროს, როგორც ერთ-ერთ სსიპ-ს, არაფერი აკავშირებს დამთავრებულ გაკოტრების საქმისწარმოებასთან და წარმოების მონაწილეებთან (კრედიტორებთან და მოვალესთან), გარდა ერთი შემთხვევისა, თუკი თვითონ არ არის გაკოტრების საქმეთა მმართველი. მოცემულ შემთხვევაში ქონება აღმოჩენილია მოსარჩელის – მოვალის ძირითადი პარტნიორისა და დირექტორის მიერ. მას არ ავალდებულებდა კანონი, ეს ინფორმაცია აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის, როგორც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის, გადაეცა. მოსარჩელემ ერთადერთი და სწორი სამართლებრივი გზა აირჩია – მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გაუქმებული მოვალის (საწარმოს) სამეწარმეო რეესტრში აღდგენა, ხოლო აღსრულების ეროვნული ბიურო არ ყოფილა გაკოტრების მმართველი. რაც შეეხება მოქმედ ნორმას, იგი ისეთ შემთხვევას გულისხმობს, როდესაც აღსრულების ეროვნული ბიურო (როგორც გაკოტრების მმართველი) თვითონ აღმოაჩენდა რაიმე ქონებას,

რომელიც რეალურად არსებობდა, გაკოტრების წარმოების მიმდინარეობისას და ეკუთვნოდა მოვალეს, მაგრამ არც წინა მმართველების და არც მის, როგორც მეურვის მიერ ვერ იქნა აღმოჩენილი. აღსრულების ეროვნული ბიუროს ჩართულობა ამ პროცესში იმით არის განპირობებული, რომ მას მეტად მიუწევდა ხელი მოვალეთა ქონებებთან, შესაბამისად, ზემოხსენებული ნორმით ბიუროს აქტიურობაა გამოკვეთილი. სამუხაროდ ამ გზით არ გაუანალიზებია სააპელაციო სასამართლოს სპეციალური კანონის ეს ნორმა;

13.12. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად გამოიყენა „გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის 38-ე მუხლი, რომელიც ადგენს ჯერ კიდევ არსებული და არა გაუქმებული მოვალის ქონების აუქციონზე რეალიზაციის წესს, შესაბამისად, რეესტიდან ამოშლილი მოვალის მიმართ არ უნდა გამოყენებულიყო ეს დანაწესი;

13.13. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არ გამოიყენეს „მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლის და სსკ-ის მე-5 მუხლის ანალოგია, რომლის თანახმადაც, გაუქმებული სუბიექტის მონაცემები შეიძლება აღდგენილი იქნას სამენარმეო რეესტრში. მოსარჩელე საწარმო რეესტრში აღსადგენად ყველა წინაპირობას აკმაყოფილებს, მით უფრო, რომ მისი ამოშლა რეესტრიდან 2014 წლის 30 მაისს იმ პირობებში მოხდა, როდესაც მას ჯერ კიდევ გააჩნდა ქონება და შესასრულებელი ჰქონდა ვალდებულებები;

13.14. სასამართლომ არასწორად განმარტა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 პრიმა მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს დაინტერესებულ პირს. მოსარჩელემ/კასატორმა სადაოდ გახადა ის გარემოება, რომ „დაინტერესებულ პირებად“ წარმოჩნდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განმხილველი ის მოსამართლე, რომელმაც წარმოება შეწყვიტა საწარმოს სარჩელზე გაკოტრების მმართველების წინააღმდეგ, რითაც ხელი შეუშალა საწარმოს თავისი მოთხოვნების განხორციელებაში მოპასუხეების წინააღმდეგ და მისი თანაშემწე. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო უთითებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმადაც, საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილებების საფუძველია უფლებამოსილი პირის/ორგანოს სათანადო წესით მიღებული და დამოწმებული გადაწყვეტილება ან უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შედგენილი გარიგება. სასამართლო არასწორად განმარტავს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს

კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტს, რადგან დაინტერესებულია ის პირი, რომლის კანონიერ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სააგენტოს გადაწყვეტილება ან ქმედება (და ასეთად არ შეიძლება მოსამართლე და მისი თანაშემწე იქნენ მიჩნეული). მოსარჩელე საწარმოს 75%-იანი წილის მესაკუთრე ჯ. ლ-ძე წარმოადგენს დაინტერესებულ პირს და ეს სტატუსი მან ასევე მას შემდეგ შეიძინა, რაც საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა საწარმოს რეგისტრაციის აღდგენაზე რეესტრში;

13.15. კასატორი უთითებს, მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება დასრულდა 2012 წელს, 2013-2014 წლებში იგი, როგორც მოვალე, ჯერ კიდევ ირიცხებოდა საჯარო რეესტრში და როგორც სრულუფლებიან იურიდიულ პირს შეეძლო, პრეტენზიები განეცხადებინა მის კუთვნილ ქონებებზე ისევე, როგორც წარედგინა პრეტენზიები მესამე პირების მიმართ. ამიტაც დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოება, რომ საქმეში არსებული მასალებით თითქოსდა არ დასტურდებოდა, რომ მმართველებმა არ მოიძიეს მოვალის კუთვნილი ქონება;

13.16. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით კასატორს მიაჩნია, რომ გამოვლენილია საკასაციო საჩივრის არსებითად განსახილველად დასაშვებად ცნობის სსსკ-ის 391.5 მუხლი „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფუძველი, ასევე, საკასაციო საჩივარი დასაშვებია იმიტომაც, რომ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესოსამართლებრივი დარღვევებით.

13.17. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე საწარმოს წარმომადგენელმა წერილობითი შუამდგომლობა წარმოადგინა და მოითხოვა საქმისათვის საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 26 სექტემბრის შუამდგომლობისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის განაჩენის დართვა, რომელთა საფუძველზე, კასატორის მოსაზრებით დასტურდება, რომ მოსარჩელე საწარმოს გააჩნია ქონებები, რომლებიც მოიძია საწარმოს 75 %-იანი წილის მფლობელმა ჯ. ლ-ძემ მას შემდეგ, რაც იგი პატიმრობიდან გათავისუფლდა და როგორც საწარმოს დამფუძნებელი მაჟორიტარი პარტნიორი და დირექტორი მოითხოვს საწარმოს რეგისტრაციის აღდგენას, რაც ის გზა არის, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება, როგორც აქტიური პირი, ჩაერთვება სამოქალაქო ბრუნვაში და აქტიური ქმედებებით დაიბრუნებს ქონებებს.

13.18. საწარმოს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

13.19. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე კასატორმა 2023 წლის 21 ნოემბერს განცხადება წარმოადგინა, რომელსაც დაურთო საჯარო რეესტრის 2023 წლის 19 ოქტომბრისა და 26 ოქტომბრის გადანყვეტილებები, რომლებითაც კასატორის მოსაზრებით დასტურდება, რომ მოსარჩელე (კასატორი) სანარმო ფლობს ქონებებს, შესაბამისად, მის მიერ აღძრული სასარჩელო მოთხოვნა არის დასაბუთებული და კანონიერი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მასში მოთავსებული მტკიცებულებებისა და საკასაციო საჩივრის პრეტენზიების, რომლებიც სამართლებრივად მნიშვნელოვანია მოცემული საქმისათვის, არსებითად განხილვის გზით მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩელე სანარმოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს, სსსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე სავალდებულო სამართლებრივი მითითებებით, რადგან საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე შეუძლებელია ახალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, ხოლო საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ არის საკმარისი შემაჯამებელი გადანყვეტილების მისაღებად.

14. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სანარმოს საკასაციო პრეტენზია ნაწილობრივ დასაბუთებულად არის მიჩნეული.

15. საკასაციო სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი ნაწილმდგრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამოირიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენი-

ლი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში; მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადანყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა.

16. მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირისაკენ მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა, საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადანყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

17. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და მათი აღრევა არიდებული უნდა იქნეს. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამარ-

თლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულება (იხ. ბოელინგი /ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.).

18. მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლო-სათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან.

19. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). მოსარჩელის სტადიის შემდეგ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოპასუხის სტადია, რაც მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების პასუხად შესაგებელში შედავებული გარემოებების კვალიფიციურობაზეა დამოკიდებული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილებაში (საქმეზე №ას-664-635-2016; პუნქტი 201) მითითებულია: „2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007წ.-ის კანონი №5669-სსმ), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისათვის უარყოფით საპროცესო სამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება შეუდავებლად და, შესაბამისად, დამტკიცებულად. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგანაც მოსარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან. აღნიშნული გარემოე-

ბა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაცაა. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტორივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება“.

20. ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება (შეად. სუსგ-ებს: №ას-475-2019, 15.04.2021წ; №ას-1065-2020, 08.04.2021წ; №ას-338-2019, 22.03.2021წ; №ას-1239-2021, 10.06.2022წ; №ას-34-2022, 21.06.2022წ; №ას-1091-2023, 26.07.2024წ; №ას-655-2024.26.07.2024წ; №ას-662-2024, 26.07.2024წ.).

21. სსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

22. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზე-

დაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

23. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქტუალური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან.

24. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სა-

მართლებრივი ნორმა. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, გვ.64; სხვა მრავალთა შორის იხ. სუსგ-ები: №ას 1726-2019, 9.12.2021წ; №ას-1598-2022, 17.02.2023წ; №ას-594-2021, 20.10.2023წ.).

25. საწარმოს დამფუძნებელი პარტნიორი და იმავდროულად დირექტორი საწარმოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში გაკოტრების რეჟიმში („პასიურ“ რეჟიმში) აღდგენას (იხ. წინამდებარე განჩინების 13.8 ქვეპუნქტი) იმ საფუძველით მოითხოვს, რომ გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში გაკოტრების მმართველის და მეურვის მიერ სრულად არ იქნა მოძიებული მოვალის ქონება, შესაბამისად, სამეურვეო ქონების სრულად მოძიებამდე და რეალიზაციამდე არ არსებობდა ვალაუვალი მოვალის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების საფუძველი. გარდა ამისა, კასატორი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში საწარმოს რეგისტრაციის „პასიურ“ რეჟიმში აღდგენის მოთხოვნას უკავშირებს ასევე გაკოტრების წარმოების დასრულების შემდეგ საწარმოს პარტნიორის მიერ ქონების აღმოჩენის ფაქტს. მოცემულ შემთხვევაში აღძრულია აღიარებითი სარჩელი, რომლის იურიდიულ ინტერესად მოსარჩელე მიუთითებს, რომ სასამართლოს მიერ შპს „მ-ი...“-ის მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში აღდგენის შემთხვევაში, შპს, როგორც აქტიური იურიდიული პირი, ჩაერთვება სამოქალაქო ბრუნვაში, განახორციელებს თავის მოთხოვნებს მოვალეების მიმართ, შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ამასთან დაიბრუნებს კუთვნილ ქონებებს, რომლებიც მოძიებულია და უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მესაკუთრეს (იხ. წინამდებარე განჩინების პუნქტი 1).

26. იურიდიული დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით სარჩელის ინსტიტუტის საპროცესო კლასიფიკაცია ხდება მიკუთვნებით, გარდაქმნით და აღიარებით სარჩელებად. პირველი ორი ჯგუფის სარჩელების ძირითადი მახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ამ ტიპის სარჩელებზე მიღებული გადაწყვეტილება რეალური, აღსრულებადი გადაწყვეტილებაა და ამიტომ მათ აღსრულებად სარჩელადაც მოიხსენიებენ. რაც შეეხება აღიარებით სარჩელს, ის ასევე დარღვეული, თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვის საპროცესო საშუალებაა, თუმცა, აღიარებითი სარჩელის მიმართ საკანონმდებლო დათქმები განსხვავებულია. იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის სუბიექტური ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას უნდა ემსახურობდეს აღიარებითი სარჩელი. სსკ-ის 180-ე მუხლი ადგენს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, კერძოდ: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016; 226-227-ე პუნქტები; ასევე – სხვა მრავალთა შორის სუსგ-ები: №ას-698-2023, 24.07.2023წ; N№ას-1257-2022, 26.06.2023 წ; №ას-1480-2019, 11.09.2023წ.).

27. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია:

27.1. შპს „მ-ი ...“ წარმოადგენდა მეწარმე სუბიექტს, ის 2006 წლის 15 მარტს რეგისტრირებული იქნა საგადასახადო ინსპექციაში და მიენიჭა ს/ნ...;

27.2. შპს-ს პარტნიორები იყვნენ: მ. ბ-ძე – 5.00000000%, გ. ლ-ძე – 5.00000000%, თ. ყ-ი 15.00000000% და წინამდებარე დავის მოსარჩელე - 75.00000000%;

27.3. საწარმოს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება დაიწყო 2009 წლის 4 ნოემბერს. მეურვედ დანიშნული იქნა ნ. ბ-ი;

27.4. საწარმოს (ს/ნ ...) მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების და მისი რეგისტრაციის გაუქმების შესახებ განჩინება მიღებული იქნა 2012 წლის 27 ივნისს. აღნიშნული განჩინება შპს-მ გაასაჩივ-

რა კერძო საჩივრით, რაც არ დაკმაყოფილდა;

27.5. შპს-ს (ს/ნ...) რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული იქნა 2014 წლის 30 მაისს;

28. სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებით მოცემულ საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განჩინებით დასტურდება საწარმოს გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების ეტაპზე ამ უკანასკნელის ბალანსზე ქონების არარსებობის ფაქტი, საწინააღმდეგო გარემოების, კერძოდ, გაკოტრების მმართველის და მეურვის მიერ მოვალის ქონების არასრულად მოძიებისა და გაკოტრების საქმის დასრულების ეტაპზე მოვალის ბალანსზე ქონების არსებობის დადასტურების მტკიცების ტვირთი მოსარჩელე მხარეზე იყო, რაც მან ვერ განახორციელა.

29. საკასაციო სასამართლო მისსავე გადაწყვეტილებას მოიხმობს (იხ. სუსგ №ას-1480-209, 11.09.2023წ.), რომელშიც განხილულია ევროპული კორპორაციული სამართლის გამოცდილება, როგორც ლიკვიდაციის გზით უკვე გაუქმებული იურიდიული პირის ფუნქციონირების განაგრძოლების ევროპული მოდელი, კერძოდ:

29.1. ჰოლანდიური კანონის შესაბამისად დაარსებული იურიდიული პირი შეიძლება გაუქმდეს, ქვემოთ მითითებული გარემოებების შემთხვევაში (ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის (DCC) მუხლი 2:19):

- საერთო კრებაზე მიღებული დადგენილებით ან, თუ იურიდიული პირი ფონდია და წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით;

- იმ მოვლენის დადგომის შემთხვევაში, რომელიც წესდების თანახმად იწვევს გაუქმებას და რა გარემოებაც არ წარმოადგენს დადგენილებას ან აქტს, რომლის მიზანიც გაუქმებაა;

- მას შემდეგ, რაც იგი გაკოტრებულად გამოცხადდა, ან მისი ქონებრივი მდგომარეობის გამო, გაკოტრდა ან გადახდისუუნარო გახდა;

- იმ შემთხვევაში, როდესაც იურიდიული პირი ფონდი ან კავშირია, თუ მას აღარ ჰყავს წევრები;

- სავაჭრო და სამრეწველო პალატის განკარგულებით;

- სასამართლო გადაწყვეტილებით, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კომპანიამ უნდა შეწყვიტოს არსებობა (i) მისი გაუქმების დროს, თუ იმ პერიოდისთვის მას არ გააჩნია რაიმე ქონება (DCC მუხლი 19(4)), ან (ii) ლიკვიდაციის შემთხვევაში, იმ დროს, როდესაც დასრულდება ლიკვიდაცია, ე.ი. მაშინ, როდესაც ლიკვიდატორს აღარ აქვს ქონება (DCC მუხლი 19(6)). ნიდერლანდებში იურიდიული პირი გაუქმების შემდეგ არსებობას განაგრძობს იმ ფარგლებში, რაც საჭიროა მისი კაპიტალის ლიკვიდაციის მიზნებისთვის. გაუქმება იურიდიულ

პირს მიზანს უცვლის და მისი მიზანი ხდება გაუქმებული იურიდიული პირის ლიკვიდაცია; გაუქმებული იურიდიული პირი ლიკვიდაციის პროცესშია. ჰააგის სააპელაციო სასამართლო ემხრობა (სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება მიღებულ იქნა როტერდამის სასამართლოს გადანყვეტილების (როტერდამის სასამართლო, 2006 წლის 12 იანვარი/JOR 2006, no.62) შემდეგ, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალწარმოების მხარე – სავაჭრო პალატა, კანონის მიხედვით ვალდებული იყო, წარედგინა მოთხოვნა იმ გადანყვეტილების რეგისტრაციის შესახებ, რითიც უარს აცხადებდა კომპანიის გაუქმების შესახებ მოთხოვნაზე, ვინაიდან საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი მტკიცებულება, რომ ზიანი მიადგა სამართლებრივ განჭვრეტადობას და საჯარო რეესტრის სანდოობას. აპელაციაში გასაჩივრებისას, ჰააგის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა (30 January 2007/JOR 2007, no. 66), რომ სასამართლო უფლებამოსილია მხოლოდ გაუქმების შეწყვეტის შესახებ, რაც ეფუძნება კონკრეტულ პირობებში შეტანილ საჩივარს და გაუქმებული კომპანიის გახანგრძლივებულ არსებობას) გაუქმებული იურიდიული პირის არსებობის შეზღუდულ გაგრძელებას, რაც დამტკიცებული უნდა იყოს სასამართლოს მიერ კონკრეტული პირობების მიხედვით. ნიდერლანდების კანონმდებლობა ითვალისწინებს გაუქმებული კომპანიის შერწყმის ან გაყოფის შესაძლებლობას. იურიდიულ პირს აქვს ეს უფლებამოსილება მიუხედავად იმისა, თუ რა საფუძვლით გაუქმდა;

29.2. გარდა ნიდერლანდებში არსებული გაუქმების საფუძვლებისა, ფრანგული კომპანია შეიძლება გაუქმდეს იმ ვადის გასვლის შემდეგ, რა ვადითაც იგი დაფუძნდა (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს ვადა იურიდიული აქტის მეშვეობით გახანგრძლივდა) ან მისი მიზნის შესრულებით ან გაუქმებით (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1844-5, 1844-7 და 1844-8); აუცილებლად უნდა მოხდეს გაუქმებული ფრანგული კომპანიის ლიკვიდაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა (i) შერწყმის მეშვეობით ის სხვა კომპანია ხდება, (ii) გაყოფის მეშვეობით მისი ქონება გადაეცემა სხვა კომპანიას ან (iii) ან ჰყავს ერთი აქციონერი, რა შემთხვევაშიც კომპანიის აქტივები გადადის აღნიშნული პირის ხელში. გაუქმებულ კომპანიას უფლება არ აქვს განახორციელოს შერწყმა ან გაყოფა, რის შედეგადაც მასში გაერთიანდება სხვა კომპანია ან იგი მოიპოვებს სხვა კომპანიის კაპიტალს. გაუქმებული კომპანიის კორპორაციული უფლებამოსილება განაგრძობს არსებობას მისი ქონების ლიკვიდაციის სასარგებლოდ, სანამ ლიკვიდაციის პროცესის დასრულება საჯაროდ მოხდება. კომპანიის წესდების თანახმად, განსაზღვრული ვადის ამონურვის შედეგად საწარმოს გაუქმების შემთხვევაში, აქციონერებს არ შეუძლიათ მითითებული პერიოდის გახანგრძლივება და არც აღნიშნული ვადისთვის უკუქალის მინიჭება. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო

კოდექსი არ შეიცავს ცალსახა სამართლებრივ დებულებებს, რომელიც ადგენს, რომ გაუქმებაზე უარის თქმა დაუშვებელია, დოქტრინა არ იძლევა გაუქმებაზე უარის თქმის შესაძლებლობას. გაუქმებული კომპანიის აქციონერებს ერთსულოვანი დადგენილებითაც აღარ აქვთ უფლებამოსილება, გადაწყვიტონ, რომ ლიკვიდაცია არ განხორციელდება;

29.3. გერმანიის სამართალში შემდეგი საფუძვლები გამოიყენება:

- კავშირის წესდებაში მითითებული პერიოდის გასვლა;
- რაც შეეხება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სამართლოს გადაწყვეტილება, რომ კომპანიის მიზნის მიღწევა აღარ არის შესაძლებელი;

- საფონდო ბირჟის კაპიტალთან დაკავშირებით გადახდისუუნარობის პროცედურის დაწყება და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიმართ გაკოტრების პროცედურის დაწყება;

- სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც კაპიტალის მდგომარეობის საფუძველზე, უარს აცხადებს გადახდისუუნარობის პროცედურის დაწყებაზე;

- მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც ხარვეზებს ადგენს საფონდო ბირჟის ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდებაში. გაუქმებული კომპანიები კვლავაც განაგრძობენ არსებობას იმდენად, რამდენადაც აღნიშნული საჭიროა მათი კაპიტალის ლიკვიდაციის მიზნებისათვის. გაუქმებული კომპანიები შეიძლება შერწყმის ან გაყოფის მონაწილე პირები აღმოჩნდნენ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი კომპანიების არსებობის გახანგრძლივება გადანყდება. კერძოდ, გერმანიაში დასაშვებად მიიჩნევა გაუქმებული კომპანიების არსებობის გახანგრძლივება. გარკვეულ პირობებში, წინამდებარე წესი შესაძლებელია არ იყოს ნებადართული. მაგალითად, კომპანია, რომელიც დაიშალა არასაკმარისი კაპიტალის გამო, შესაძლებელია ხელახლა იყოს რეგისტრირებული ახალი ფინანსური აქტივების აღმოჩენის შემდეგ. იგივე წესი გამოიყენება იმ კომპანიების მიმართ, რომლებიც უკვე გაუქმდნენ იმის გამო, რომ მათ არ ჰქონდათ სადამფუძნებლო წესდება. კომპანიის არსებობის გახანგრძლივება შეიძლება გადანყდეს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით იმ პირობით, რომ დივიდენდების განაწილება ლიკვიდაციის შემდეგ არ დაწყებულა. გერმანული კანონმდებლობა ითვალისწინებს იმ კომპანიის არსებობის გახანგრძლივებას, რომელიც უკვე გაუქმებულია ათწლეულების განმავლობაში. აღნიშნული გარემოება ეფუძნება იმ არგუმენტს, რომ არც ინდივიდუალური აქციონერი და არც აქციონერთა უმცირესობა არ არის უფლებამოსილი იმ კომპანიის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც უკვე გაუქმებულია. ივარაუდება, რომ, როდესაც კომპანიის ამოცანა იცვლება

გაუქმების შედეგად, ორგანიზაციის მიზანი შეიძლება კვლავ შეიცვალოს კომპანიის აღდგენის მოტივით. გაუქმებული კომპანიის აღდგენის გადაწყვეტილება ძალაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც ის რეგისტრირდება საჯარო რეესტრში.

29.4. ინგლისის და უელსის კანონმდებლობის თანახმად, დაარსებული კომპანიები შეიძლება გაუქმდეს შემდეგი საფუძვლებით:

- რეგისტრაციის გაუქმებით ან კომპანიის რეგისტრატორების ინიციატივით;

- კომპანიის მოთხოვნის თანახმად, კომპანიის რეგისტრატორის მიერ რეგისტრაციის გაუქმებით;

- საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება, სადაც დადგენილია, რომ გავიდა კავშირის წესდებით გათვალისწინებული დროის ის პერიოდი, რა პერიოდითაც დაფუძნდა კომპანია;

29.5. ბელგიური კომპანია გაუქმების შემდეგ ლიკვიდაციის მიზნისთვის აგრძელებს არსებობას. იგი ფუნქციონირებას წყვეტს ლიკვიდაციის დასრულების დროს. ლიკვიდაცია მთავრდება მას შემდეგ, რაც საერთო კრება ლიკვიდატორს მისცემს თავისი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას ან სასამართლო გადაწყვეტილებით კომპანიის გაუქმების შემთხვევაში, ვინაიდან ლიკვიდაციის პროცესს დასრულებულად სასამართლო აცხადებს. ბელგიის მენარმეთა შესახებ აქტი გაუქმებაზე უარის თქმის კონკრეტულ ნორმატიულ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. გაუქმებული კომპანია უფლებამოსილია, იყოს იურიდიული შერწყმის ან გაყოფის მონაწილე, რის შედეგადაც იგი არსებობას შეწყვეტს, იმის გათვალისწინებით, რომ მას პარტნიორებისთვის ჯერ არ დაუწყია კაპიტალის გადანაწილება. შერწყმა არ გულისხმობს იმას, რომ გაუქმებული კომპანიის შეწყვეტის პროცესზე უარის თქმა შესაძლებელია, ვინაიდან შერწყმის მონაწილე კომპანია, რომელიც შერწყმის შედეგად არსებობას შეწყვეტს, გაუქმებულად მიიჩნევა, მისი ქონების ლიკვიდაციის შედეგების გარეშე;

29.6. გაუქმებული ესპანური კომპანია კვლავ აგრძელებს არსებობას, მისი აქტივების ლიკვიდაციის განმავლობაში. გაუქმებული ესპანური კომპანია შეიძლება იყოს სანარმოთა შერწყმის და გაყოფის პროცესის მონაწილე იმ პირობით, რომ ჯერ კიდევ არ დაწყებულა სანესდებო კაპიტალის აქციონერებს შორის განაწილება ან შესაბამისად, აღნიშნული კაპიტალის კომპანიის წევრებისადმი დაბრუნების პროცესი. The Ley 2/1995 de Sociedades de responsabilidad limitada („LSRL“) da the Ley 27/1999 de Cooperativas („LC“) მკაფიოდ განსაზღვრავს შპს-სა და კოოპერატივის მიმართ, რომ კომპანიის გაუქმება შეიძლება შეწყვეტილი იქნეს. გაუქმებული შპს-ის პარტნიორთა კრება უფლებამოსილია აღადგინოს შპს-ის ფუნქციონირება, რამდენადაც გაუქმების საფუძველი

აღარ არსებობს. ამასთან, სააქციო კაპიტალი არ არის სანესდებო კაპიტალზე ნაკლები და ლიკვიდაციის შემდეგ, დივიდენდების განაწილება ჯერ არ დაწყებულა. შპს-ის ფუნქციონირების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს წესდებაში შეტანილი ცვლილებების მოთხოვნების შესაბამისად და ხმათა დადგენილი უმრავლესობით. მაგრამ, თუ კომპანია კანონის მოქმედების შედეგად გაუქმდა, მაშინ დადგენილება მისი განახლების შესახებ ვერ იქნება მიღებული. წესდებაში განსაზღვრული ვადების გასვლის შემდეგ, თუ მანამდე არ მოხდება ვადის გაგრძელება და შესაბამისი გადაწყვეტილების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, შპს კანონის მოთხოვნების შესაბამისად გაუქმდება და აღარ იქნება შესაძლებელი მისი აღდგენა;

29.7. იტალიაში, კომპანიის დირექტორები ინარჩუნებენ საწარმოს მართვის ძალაუფლებას „კომპანიის მთლიანობისა და კაპიტალის ღირებულების შენარჩუნების მიზნით“ იმ მომენტიდან, როდესაც მათ ეცნობებათ კომპანიის გაუქმების შესახებ და როცა ლიკვიდატორები დაინიშნებიან. ლიკვიდაციის პროცესის დროს, კომპანიის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მარეგულირებელი დებულებები კვლავ ძალაში რჩება, სადაც შესაძლებელია. გაუქმებული კომპანია შეიძლება იყოს შერწყმის ან გაყოფის პროცესის მონაწილე მხარე იმ პირობით, რომ მას ჯერ კიდევ არ დაუწყია თავისი კაპიტალის განაწილება აქციონერებისადმი. გაუქმებულ კომპანიას შეუძლია შეწყვიტოს გაუქმების პროცესი ლიკვიდაციის პროცედურის დასრულებამდე, საერთო კრების დადგენილებით, თუ გაუქმების საფუძველი აღარ არსებობს;

29.8. ინგლისური კომპანიები ბიზნეს საქმიანობას წყვეტენ იმ მომენტში, როცა იგი უქმდება. მაგრამ კომერციული საქმიანობა შეიძლება დროებით განახლდეს კომპანიის ლიკვიდაციის მიზნებისთვის. დირექტორთა კორპორატიული შესაძლებლობები და უფლებამოსილებები დამოუკიდებელი რჩება მანამ, სანამ კომპანია შეწყვეტს არსებობას. გაერთიანებულ სამეფოს არ განუხორციელებია ევროპული საბჭოს მესამე დირექტივის იმპლემენტაცია თავის სამართლებრივ სისტემაში და არ იცნობს სამართლებრივი შერწყმის ან გაყოფის კონცეფციას. სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ინგლისური კომპანიის შეწყვეტის პროცესი, რომელიც გაუქმდა ორი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც კომპანიამ შეწყვიტა არსებობა, ლიკვიდატორის ან იმ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელსაც სასამართლო დაინტერესებულ პირად მიიჩნევს. კერძოდ, ასეთი პირები შეიძლება იყვნენ: აქციონერი ან კრედიტორი. საჩივარი წარმოდგენილი უნდა იყოს ორი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პრესაში გამოქვეყნებული იქნება რეგისტრაციის გაუქმების შესახებ განცხადება. თუ სასამართლო გააუქ-

მებს კომპანიის შეწყვეტის პროცესს, კომპანიამ შესაძლებელია გააგრძელოს ფუნქციონირება და რეგისტრირებულ იქნეს მარეგისტრირებელ ორგანოში (იხ. European Company Law – Wolters Kluwer, Law& Business, 2008; Continuation of the Legal Entity that has been Dissolved in an European Perspective).

30. ზემოხსენებული ევროპული კორპორაციული სამართლის გამოცდილების, რომელიც ლიკვიდაციის შედეგად გაუქმებული იურიდიული პირის ფუნქციონირების გახანგრძლივების რეგულირებას ასახავს, მოხმობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ზოგადად უკვე გაუქმებული იურიდიული პირის არსებობის გახანგრძლივების შესაძლებლობა აღიარებულია იურიდიული დოქტრინითა და ევროპული ქვეყნების კანონმდებლობით. დადგენილია, რომ მოცემულ საქმეზე მოსარჩელე საწარმოს გაკოტრების (ვალუფალობის) გამო მოხდა მისი რეგისტრაციის გაუქმება, შესაბამისად, სამართლებრივი შეფასების მიზნით, სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა გამოიკვლიოს კასატორის პრეტენზიის დასაბუთებულობა, რომელიც ემყარება საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადების შესახებ სასამართლოს მიერ 2012 წლის 27 ივნისის მიღებული განჩინებიდან საწარმოს (ს/ნ ...) რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებამდე – 2014 წლის 30 მაისამდე პერიოდში განვითარებული მოვლენების დამადასტურებელ მტკიცებულებებს, რათა მხარეს იმაზე მეტი მტკიცების ტვირთი არ დაეკისროს, ვიდრე მას ობიექტურად ხელეწიფება რომ დაძლიოს.

31. მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 ივნისის განჩინებით დადგენილია, რომ „შპს „მ-ი ...“-ის სამეურვეო ქონება რეალიზებულია, ქონების რეალიზაციით შემოსული თანხა განაწილებულია, მოვალის სხვა რაიმე ქონება ვერ იქნა მოძიებული და გაკოტრების მმართველის მიერ წარმოდგენილი იქნა მოვალის გაკოტრების ანგარიში, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შპს „მ-ი ...“-ის გაკოტრების საქმის წარმოება უნდა დასრულდეს და უნდა გაუქმდეს საზოგადოების რეგისტრაცია სამენარმეო რეესტრში“. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სარჩელში (შესაბამისად, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებში) მითითებულ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ გაკოტრების მმართველებმა არ მოიძიეს ყველა ქონება, მოვალე საწარმოს სხვა ქონების საკითხი ღიად დარჩა და ამ ქონებების მოძიებას აქტიურად შეუდგა ჯ. ლ-ქ პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ 2013-2014 წლებში; ამ პერიოდში საწარმო ჯერ კიდევ რეგისტრირებული იყო რეესტრში, შესაბამისად, კასატორს მიაჩნია, რომ რეესტრიდან ამოშლამდე, სამე-

წარმოადგენს სუბიექტის არსებობის სრულად დამთავრებამდე, მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განახორციელოს მოთხოვნები მესამე პირთა მიმართ.

32. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვის ეტაპზე უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს, რა ქონება აღმოჩნდა საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 2012 წლის 27 ივნისიდან საწარმოს (ს/ნ ...) რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებამდე – 2014 წლის 30 მაისამდე. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია გამოკვლეული იქნეს კასატორის მიერ სარჩელში (შესაბამისად, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებში) მითითებული გარემოებები (თანდართული შესაბამისი მტკიცებულებებით), რომ შპს „მ-ი ...“-ის გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების შესახებ 2012 წლის 27 ივნისის მიღებული განჩინების შემდეგ ცდილობდა თავისი უფლებების დაცვას. გარდა იმისა, რომ განსახილველი დავის მოსარჩელე (კასატორმა) საწარმომ კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოს 2012 წლის 27 ივნისის განჩინებაზე (იხ. ამ კერძო საჩივარში მითითებულია, კრედიტორი სახელმწიფოს-შემოსავლების სამსახურის სახით დაკმაყოფილების შემდეგ, სხვა კრედიტორების ინტერესებს აღარ მიექცა ჯეროვანი ყურადღება, სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა კი არასაკმარისი აღმოჩნდა გაკოტრების მმართველის მიერ მოვალის სხვა ქონებების მოსაძიებლად), მოსარჩელემ ასევე სარჩელი აღძრა მოსარჩელე საწარმოს მეურვის/გაკოტრების მმართველის ნ. ბ-ის, გაკოტრების მმართველის – ვ. კ-ძისა და საწარმოს მეურვის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წინააღმდეგ. სარჩელი არ იქნა წარმოებაში მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 2 დეკემბრის განჩინებით, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრდა მოსარჩელე საწარმოს მხრიდან. სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 20 თებერვლის განჩინებით მოსარჩელე საწარმოს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა 2013 წლის 2 დეკემბრის განჩინება და პირველი ინსტანციის სასამართლოს დაევალა შპს „მ-ი ...“-ის სარჩელის (ზემოხსენებული სამი მოპასუხის წინააღმდეგ) დასაშვებობის ეტაპიდან განხილვა. სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 20 თებერვლის განჩინების სამართლებრივ მოტივაციაში მითითებულია, რომ სარჩელზე დართული ამონაწერით მენარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან დასტურდება, რომ 2013 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით შპს „მ-ი ...“ რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში... სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების შესახებ მხოლოდ სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლა არ არის საკმარისი იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის

შენწყვეტილად მიჩნევისათვის... საქმის ფაქტობრივ გარემოებათა ქრონოლოგიის მიხედვით, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2014 წლის 29 ივლისს დარეგისტრირდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართვა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 ივნისის განჩინებით შპს „მ-ი ...“-ის გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებისა და სამენარმო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, თანდართული დასახელებული განჩინებით; ამის შემდეგ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2014 წლის 30 მაისს მიიღო გადაწყვეტილება №B... შპს „მ-ი ...“-ის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, რაც გახდა საფუძველი თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ შპს „მ-ი ...“-ის სარჩელზე მოპასუხეების: ვ. კ-ის, ნ. ბ-ის და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, 2014 წლის 25 ივნისის განჩინებით საქმის წარმოების შეწყვეტის. ამ განჩინების ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთებით, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროისათვის გაუქმებული იყო მოსარჩელე სუბიექტის რეგისტრაცია საჯარო რეესტრის 2014 წლის მაისის გადაწყვეტილებით.

33. საკასაციო სასამართლოს მიერ ზემოხსენებული ფაქტების ქრონოლოგიაზე მითითება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სამართლებრივად მნიშვნელოვანია, თუ რა ქმედებებს მიმართავდა მოსარჩელე საწარმო თავისი უფლებების დასაცავად, სანამ მოცემულ სარჩელს აღძრავდა 2014 წლის 3 სექტემბერს. მოსარჩელის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებები მნიშვნელოვანია მოცემული დავის მოსარჩელე/კასატორი საწარმოს საპროცესო აქტიურობისა და ნამდვილი იურიდიული ინტერესის დასადგენად, რადგან ასევე უნდა დადგინდეს საწარმოს ინტერესების დასაცავად მისი დირექტორისათვის, როგორც პატიმრობაში მყოფი პირისათვის, თუნდაც წარმომადგენლის ყოლის პირობებში, რამდენად იყო ხელმისაწვდომი ადეკვატური სამართლებრივი მექანიზმები იმ უფლებების დასაცავად, რომელიც საწარმოს ფუნქციონირებას უკავშირდებოდა. „სამართალში საბოლოო სუბსტანციური მიზნის მისაღწევად, გარდა ნორმის მატერიალური სამართლიანობისა, არსებითია პროცედურული/პროცესუალური მხარის სამართლიანობა, მორალურობაც, რაც სამართალწარმოების პროცესში ჰპოვებს ასახვას. სამართალწარმოება წარმოადგენს პროცესს, რომლის ფარგლებშიც დაპირისპირებული მხარეები მიუკერძოებელ არბიტრთან წარადგენენ თავისი უფლებების დამადასტურებელ მტკიცებულებებს, რომელიც ამ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიღებს გადაწყვეტილებას ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ. ფულერი ამბობს, რომ ძალიან ფართო სახით თუ ავსახავთ, სასამართლოს წინაშე დგას ორი ამოცანა: კონკრეტული დავის გადაწყვეტისა, რომელიც ადრევეა

წარმოშობილი და სამართლის ნორმის შექმნა. სასამართლოს გადაწყვეტილებას აქვს როგორც რეტროსპექტული, ასევე პერსპექტიული ხასიათი. სასამართლო ქმნის სამოსამართლო სამართალს, მაგრამ იმისათვის რომ მის მიერ შექმნილი ნორმები გახდეს ლეგიტიმური/მორალური, სასამართლო ვალდებულია მკაცრად მისდიოს გარკვეულ წესებს“ (იხ. გიორგი გოგიაშვილი- STUDIA IURIDICA, სამოსამართლო სამართალი; Judge-Made Law; მეორე გამოცემა; 2020წ; გვ. 50-51). საწარმოს სარჩელში, რომელიც დირექტორმა ჯ. ლ-ქმ აღძრა მოპასუხეების: ვ. კ-ძის, ნ. ბ-ის და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მითითებულია: სახელმწიფოს ჯ. ლ-ძის მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედება (ქმედებები აღწერილია ამავე სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებში). უკანონო სისხლისამართლებრივი დევნა, ქონების ჩამორთმევა სათანადოდ იქნა შეფასებული საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით, როდესაც ევროპის საპარლამენტო ასამბლეის პოლიტპატიმრის დეფინიციის 3 „გ“ მუხლის თანახმად, ჯ. ლ-ქე მიჩნეული იქნა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად და 2013 წლის 13 იანვარს სწორედ პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლეს პატიმრობიდან (იხ. ტ. 1, ს.ფ. 44-46; იხ. ტ. 2, ს.ფ. 146-150 – საქართველოს პარლამენტის დადგენილება). სხვასთან ერთად, ამ გარემოებაზე უთითებს მოსარჩელის წარმომადგენელი კერძო საჩივარშიც, რომლითაც მოითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 ივნისის საოქმო განჩინების (შპს „მ-ი ...“-ის სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ) გაუქმებას. სარჩელზე, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, თანდართულია 2014 წლის 10 ივლისის საჩივარი საჯარო რეესტრის 2014 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებაზე №B... შპს „მ-ი ...“-ის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, რომელშიც, სხვადასხვა გარემოებასთან ერთად, მითითებულია საწარმოს მაჟორიტარი პარტნიორისა და დირექტორის ჯ. ლ-ძის პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლებაზე, რის შემდეგაც მან დაიწყო საწარმოს კუთვნილი ქონების მოძიება და მოიძია ქონება. ეს საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

34. მოცემული დავის ფარგლებში აპელანტმა წერილობითი შუამდგომლობა წარადგინა სააპელაციო სასამართლოში და მოითხოვა საქმეზე დამატებითი მტკიცებულებების დართვა, რომლებიც, აპელანტის მოსაზრებით ადასტურებს მისი სარჩელის დასაბუთებულობას, ამასთან, აპელანტმა სსსკ-ის 380-ე მუხლზე მიუთითა და განმარტა, რომ შუამდგომლობაზე თანდართული მტკიცებულებების მოპოვება მხოლოდ სააპელაციო სამართალწარმოების ამ ეტაპზე გახდა შესაძლებელი, რის გამოც მხარემ ვერ შეძლო მათი წარდგენა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის. საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში (იხ. წინამ-

დებარე განჩინების 13.5 ქვეპუნქტი), საკასაციო სასამართლომ მოისმინა სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 13 დეკემბრის სხდომის ოქმი, სადაც აპელანტის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ შპს „მ-ი“-ს გაკოტრების პერიოდისათვის გააჩნდა მატერიალური და არამატერიალური ქონება. ახალი მტკიცებულებით დასტურდება, რომ კიდევ სხვა ქონება გააჩნია შპს-ას, გარდა ჩამოთვლილისა, რომელიც შეადგენს 1 000 000-ს. სამართლებრივი პრინციპია, რომ არ შეიძლება გაკოტრდეს ის საწარმო, რომელსაც რაიმე სახის ქონება გააჩნია, თუნდაც ერთი თეთრის ღირებულების. სასამართლოს შეკითხვის პასუხად, აპელანტმა განმარტა, რომ საწარმოს დირექტორის იმ პერიოდისათვის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი იყო და პატიმრობაში იმყოფებოდა, რის გამოც ვერ შეძლო დოკუმენტების მოძიება. რეალურად ქონება არსებობს და შპს „მ-ი ...“ გაკოტრებულია; თავის მხრივ, სხდომაზე გამოცხადებულმა ჯ. ლ-ძემ განმარტა, რომ ის ციხიდან მიმართავდა როგორც სასამართლოს, ასევე პროკურატურას, რომ საწარმოს ქონება გააჩნია. აპელანტის ამ შუამდგომლობას არ დაუჭირა მხარი მოპასუხემ მხარემ იმ დასაბუთებით, რომ მოსარჩელე/აპელანტ მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა, ყველა მტკიცებულება წარედგინა ქვედა ინსტანციის სასამართლოში, ამასთან, საწარმოს წარმომადგენელი – რ. მ-ლი გაკოტრების საქმეში თვითონვე იყო ჩართული და შეეძლო, თუ რაიმე სახის დოკუმენტები ჰქონდა, წარედგინა სასამართლოსთვის. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, ვინაიდან აპელანტმა მხარემ ვერ დაასაბუთა სსსკ-ის 380-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნის განხორციელება.

35. კასატორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილით და ქონების არსებობის ფაქტის გასარკვევად, თავისი ინიციატივით უნდა მიემართა ამ კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ღონისძიებისათვის, როგორიცაა მტკიცებულებების მოპოვება/მოძიება/გამოთხოვა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დასახელებული ნორმის გამოყენება სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართალწარმოებაში ნიშნავს იმას, რომ მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებში „სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა გამოკითხვისა და შეკითხვების მიცემის გზით ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების სრულად და ზუსტად განსაზღვრას“ (იხ. თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, ზ. ძლიერიშვილი – სამოქალაქო საპროცესო სამართალი; I ნაწილი; რედაქტორი – თ. თოდური; 20246; გვ. 91-95); „მე-4 მუხლის მე-2 ნაწილში ლაპარაკია სასამართლოს ინიციატივაზე მტკიცების პროცესში. მაგრამ სასამართლოს შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ამას

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს. მაგალითად, სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები მხარეთა შუამდგომლობით (103-ე და 203-ე მუხლები); სასამართლოს შეხედულებაზე დამოკიდებული რომელი მტკიცებულება მიიღოს და არ მიიღოს (104-ე მუხლი); სასამართლოს თავისი ინიციატივით შეუძლია დაადგინოს აგრეთვე ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულების ადგილზე დათვალიერება (120-ე მუხლი), დანიშნოს ექსპერტიზა (162-ე მუხლი) და ა.შ. კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა (მაგალითად, 350-ე მუხლის მე-3 ნაწილი) მტკიცებულებათა შეგროვება მხარეთა შუამდგომლობის გარეშე შეიძლება გახდეს მოსამართლის (სასამართლოს) აცხილების საფუძველი (31-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი) – (იხ. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი; 2004; გვ.8-9);“

36. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე საწარმოს მაჟორიტარი პარტნიორი და იმავდრულად დირექტორი ჯ. ლ-ძე პოლიტიკატიმრად იქნა ცნობილი საქართველოს პარლამენტის მიერ (შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების /საქმე №ას-664-635-2016/ 205-ე პუნქტს) და მან პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ დაიწყო საწარმოს კუთვნილი ქონების მოძიება, რასაც მოპასუხე არ შედავებია, სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალსა და სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი მტკიცების ტვირთის ფარგლებში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სათანადოდ არ არის გამოკვლეული მოსარჩელე მხარის ხელმისაწვდომობა ისეთ მტკიცებულებებზე, რასაც შესაძლოა მის მიერ აღძრული აღიარებითი სარჩელის ნამდვილობისათვის – იურიდიული ინტერესის გამოსაკვეთად მნიშვნელობა ჰქონდეს. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, მოსარჩელის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების ქრონოლოგია სამართლებრივად მნიშვნელოვანია, რადგან მოსარჩელე აქტიური მოქმედებით – კონკრეტული საპროცესოსამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით ცდილობდა თავისი უფლების დაცვას. ამასთან საპროცესო აქტიურობის გარდა, მნიშვნელოვანია მატერიალურსამართლებრივი რეგლამენტაცია, რომელიც შესაბამისი ფაქტობრივი წინაპირობების დამტკიცების შემთხვევაში, სარჩელით მისაღწევ იურიდიულ შედეგს უკავშირდება.

37. საკასაციო სასამართლო ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლს მოიხმობს, რომლის თანახმად, ყოველ ფიზიკურ პირს ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება- ასევე მოიცავს მატერიალური ინტერესის

არსებობას, როგორც საკუთრების უფლებით დაცვის ობიექტს. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ 1983 წელს საქმეში: *Bramelid and Malmström v. Sweden* (განაცხადის №. 8588/79, 8589/79; 1983); იხ. აგრეთვე; შპს „J.A.Pye (Oxford) და შპს „J.A. Pye (Oxford) Land“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადის №. 44302/02, §61, 30 აგვისტო, 2007). „იურიდიული პირის ქონება, იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის საკუთრებაა და არა მისი დამფუძნებლების ან მასში მონაწილე პირების“ (იხ. ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ. 115). საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში (საქმე №ას-664-635-2016) განმარტებულია, რომ ზოგადად, საწარმოში წილის ფლობა, წარმოადგენს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს (სსკ-ის 147-ე და 152-ე მუხლები). ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, ასევე, მოიცავს საწარმოს წილებზე საკუთრების უფლებას. კერძოდ, აღნიშნული საკითხი განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ მიერ 1982 წელს საქმეში: *Bramelid and Malmström v. Sweden* (განაცხადის №. 8588/79, 8589/79; 1982). ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ თავდაპირველად განიხილა ის საკითხი, წარმოადგენდა თუ არა „აქციები“ მფლობელობას – კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში. მათ ასევე განსაზღვრეს ის რთული და კომპლექსური საკითხი, რომელიც „წილს“ უკავშირდებოდა. კერძოდ, სერტიფიკატი, რომელიც მისი მფლობელის საწარმოს წილზე საკუთრების უფლებას განამტკიცებს და ასევე, მასთან დაკავშირებულ უფლებებს (განსაკუთრებით, ხმის მიცემის უფლებას). ამასთან, სერტიფიკატი მოიცავს საწარმოს წილებზე არაპირდაპირი მოთხოვნის უფლებას. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ეჭვს არ იწვევდა ის ფაქტი, რომ წილებს საწარმოში გარკვეული ეკონომიკური და ქონებრივი ღირებულება გააჩნდა. შესაბამისად, ევროკომისიამ დაასკვნა, რომ წილები წარმოადგენს „მფლობელობას“ კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში. ზემოხსენებული საქმე – *Bramelid and Malmström v. Sweden* [http://www.echr.coe.int/LibraryDocs/DG2/HRHAND/DG2-EN-HRHAND-04\(2003\).pdf](http://www.echr.coe.int/LibraryDocs/DG2/HRHAND/DG2-EN-HRHAND-04(2003).pdf) – მნიშვნელოვანია არა მარტო იმის გამო, რომ იგი აღიარებს წილის საკუთრების უფლების კონვენციით გარანტირებული საკუთრების უფლების ფარგლებში მოქცევას, არამედ იმიტომაც, რომ ნათლად აჩვენებს აღნიშნული მუხლის გამოყენების შესაძლებლობას კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს შორის.

38. „სამოქალაქო სამართლის სოციალური ღირებულება, უწინარეს ყოვლისა. განპირობებულია იმ ფუნქციური შესაძლებლობებით, რომ-

ლებიც სამართლის მოცემულ დარგს გააჩნია. სამოქალაქო სამართალი სწორედ ის დარგია, რომელსაც იურიდიულ ენაზე გადააქვს ცივილიზაციის ყველაზე მთავარი მიღწევები- პიროვნების თავისუფლება, კერძო საკუთრება, თავისუფალი სამენარმეო საქმიანობა“ (იხ. ჯონი ხეცურიანი – სამოქალაქო სამართლის ფუნქციები; რჩეული შრომები; თბილისი; 2021; გვ. 265).

39. კასატორის პრეტენზიასთან მიმართებით, რომელიც წინამდებარე განჩინების 13.9-13.10 ქვეპუნქტებშია ასახული, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე („შპს ტიფლისი 777“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; №1/243, 18.04.2029წ.), რომლის საფუძველზე ასევე განიმარტა, რომ: „25. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, გაკოტრების მმართველის მიერ სამეურვეო ქონების რეალიზაციისა და რეალიზაციით მიღებული თანხის განაწილებისთანავე გაკოტრების საქმის წარმოება სრულდება. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების საფუძველზე, გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება, იმავდროულად, იწვევს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში სანარმოს რეგისტრაციის გაუქმებას. ამავე კანონის 55¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების საფუძველზე იურიდიული პირის რეგისტრაცია გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, მისი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. 26. ამრიგად, გადახდისუუნარო სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია გაკოტრების წარმოების დასრულება და შესაბამისი სასამართლოს გადაწყვეტილების მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაცია (№01/243; II-6.2 – 25,26). საკასაციო სასამართლო სწორედ ამიტომ მიუთითებს, რომ დამატებით არის გამოკვლევი და დასადგენი, თუ რა ქონება აღმოჩნდა სანარმოს გაკოტრებულად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 2012 წლის 27 ივნისიდან სანარმოს (ს/ნ ...) რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებამდე – 2014 წლის 30 მაისამდე – იხ. წინამდებარე განჩინების 33-ე პუნქტი. ამ საკითხის დამატებითი გამოკვლევისა და დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმეზე გადაწყვეტილების მიღება, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ფორმალურ-იურიდიულ მიდგომას არ შეეწიროს პირის უფლების დაცვა. „კანონიერების პრინციპი მოითხოვს, რომ შემომდეს, ეროვნულ დონეზე სასამართლოების მიერ გამოყენებულმა ლო-

ნისიძეებმა გამოიღო თუ არა შედეგები, რომლებიც კონვენციის პრინციპებთან შესაბამისობაშია (*Ielas v Croatie*; №55555/08, პარ.76; 20.05.2010);

40. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ 2014 წლის 30 მაისამდე შპს „მ-ი...“ რეესტრში ირიცხებოდა, შესაბამისად, ზემოხსენებულ პერიოდში რა ქონება, შესაძლო მოთხოვნები და პრეტენზიები ჰქონდა საწარმოს არის სააპელაციო სასამართლოს მიერ დამატებით საკვლევი და დასადგენი გარემოება. „სამართალი ცხოვრებიდან უნდა ამოვიდეს. მაგრამ მას არ უნდა მოსწყდეს. მის მიერ ქმნადი ცხოვრება არსებულის სრულყოფა უნდა იყოს და არა მისგან მოწყვეტა“ (იხ. ბესარიონ ზოიძე – ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში; თბილისი; 2005; გვ. 129). თითოეულმა პირმა უნდა შეძლოს უფლების სასამართლო წესით დაცვა, ამასთან, „საქართველოს კონსტიტუციით დაცვის სუბიექტია კერძო პირთა საკუთრება, როგორი ფუნქციური დატვირთვაც არ უნდა ჰქონდეს მას, სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად იქნება გამოყენებული თუ არასამეწარმეო მიზნებისათვის. საკუთრება უპირობოდ დაცული ფასეულობაა, იმის მიუხედავად, თუ რა ღირებულების მფლობელობაა სახეზე და რა სოციალური ტვირთის მატარებელია იგი“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/411).

41. რაც შეეხება კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზე მოსარჩელე გაკოტრებულად იქნა ცნობილი, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება ესაა კანონით დადგენილი წესით საქმის განხილვის შედეგად სასამართლოს მიერ მიღებული მართლმსაჯულების აქტი, რომელიც პასუხობს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და რომლითაც საქმე არსებითად წყდება. „ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილება არის მართლმსაჯულების აქტი, რომლის მეშვეობითაც წესრიგდება მოდავე მხარეებს შორის სამართლებრივი ურთიერთობები. გადაწყვეტილება სასამართლო საქმიანობის საბოლოო პროდუქტად მიიჩნევა“ (იხ. მ. სულხანიშვილი, სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც საპროცესო დოკუმენტი და მისი გასაჩივრების ფორმები მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, „მართლმსაჯულება და კანონი“, № 4(47), 2015, გვ. 19.).

სასამართლო გადაწყვეტილების „საბოლოობის“, მისი შეუქცევადობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი გულისხმობს, რომ ამ გადაწყვეტილების შეცვლა შეუძლებელია და მისი შედეგები შეუქცევადია. ხსენებულ პრინციპს მრავალი მიზანი გააჩნია. მისი საჯაროსამართლებრივი ინტერესი გამოიხატება, მაგალითად: სამართლებრივ განსაზღვრულობაში, სამართლებრივ უსაფრთხოებაში, სტაბილურობასა და მარ-

თლმსაჯულებისადმი სანდოობაში. გადაწყვეტილების „საბოლოოობის“ პრინციპი კერძო პირის უფლებასა და ინტერესსაც ემსახურება, რადგან ის ამით განმეორებითი სამართალწარმოებისგან დაცული იქნება. სასამართლო გადაწყვეტილების, როგორც მართლმსაჯულების აქტის, დანიშნულებაა მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა შორის დავების გადაწყვეტა. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ესაა გადაწყვეტილების თვისება, რომელსაც იგი იძენს გარკვეული, კანონით ზუსტად განსაზღვრული პირობების საფუძველზე (იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თ., 2005, გვ.377).

42. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს, რომ ფაქტის პრეიუდიციულობის შემოწმებისას საჭიროა შეფასდეს არა მხოლოდ ფორმალურ-პროცესუალური წინაპირობები (არსებობდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის სუბიექტებიც სხვა სამოქალაქო საქმეში იღებენ მონაწილეობას), არამედ, მნიშვნელობა ენიჭება ასევე ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს – კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები უნდა ამართლებდეს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, ანუ განსაზღვრავდეს მხარის მატერიალურ-სამართლებრივ უფლებებსა და ვალდებულებებს, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები შეუდავებელი ფაქტებია და სასამართლო არ არის უფლებამოსილი, სხვა დავაში მხედველობაში მიიღოს ამ ფაქტების წინააღმდეგ წარდგენილი შედავება, აღნიშნულს მოწმობს სსსკ-ის 266-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი (იხ. სუსგ-ები: №ას-547-510-2017, 04.05.2018წ; №ას-15-2020, 11.03.2021წ; №ას-456-2020, 11.11.2022წ; №ას- 551-2023, 31.10.2023წ.).

43. მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 ივნისის განჩინებით გადაწყვეტილია საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადება მართლმსაჯულების აქტის მიღების დროს საქმეზე დადგენილი და გამოკვლეული გარემოებების საფუძველზე (სასამართლომ შეისწავლა მოვალის გაკოტრების ანგარიში, მოისმინა გაკოტრების მმართველისა და კრედიტორების ინფორმაცია და იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს სამეურვეო ქონება რეალიზებულია, ქონების რეალიზაციით შემოსული თან-

ბა განაწილებულია, მოვალის სხვა რაიმე ქონება ვერ იქნა მოძიებული და გაკოტრების მმართველის მიერ წარმოდგენილი იქნა მოვალის გაკოტრების ანგარიში). თუმცა, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული განმარტებების გათვალისწინებით, შეუძლებელია იმ მოცემულობის გვერდის ავლა, რომ შპს „მი-...“ -ის, როგორც იურიდიული პირის, რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში გაუქმდა 2014 წლის 30 მაისს, შესაბამისად, როგორც აღინიშნა, დამატებით არის გამოსაკვლევი და დასადგენი არა ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც 2012 წლის 27 ივნისის მდგომარეობით ჰქონდა სასამართლოს, არამედ, 2012 წლის 27 ივნისიდან 2014 წლის 30 მაისამდე პერიოდში რა ქონება გააჩნდა/აღმოაჩნდა საწარმოს რეგისტრაციის გაუქმებამდე. აქედან გამომდინარე „res iudicata“ (დავა გადაწყვეტილია) სამართლებრივი პრინციპი, რომელიც სამართლებრივი უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების აქტის შეუქცევადობას ემსახურება, წინამდებარე დავაზე (ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა) არ იქნება დარღვეული. „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებებშიც განამტკიცებს მიდგომას, რომ პირველი ოქმის პირველი მუხლი ვრცელდება არსებულ საკუთრებაზე და არ უზრუნველყოფს პირის უფლებას, მიიღოს ქონება (იხ. თამარ ზარანდია, ნანა მჭედლიძე – საკუთრების უფლების დაცვა საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით; გვ. 202; გამოქვეყნებულია ლადო ჭანტურიასადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში /LIBER AMICORUM LADO CHATURIA/; თსუ გამომცემლობა, 2023წ.).

44. მოცემულ შემთხვევაში სარჩელის მოპასუხეა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ეს გარემოება იმით არის საყურადღებო, რომ მოსარჩელის მიერ სასურველი იურიდიული მიღწევის შემთხვევაში, მოპასუხის უფლების შელახვა ვერ მოხდება, მისი კანონისმიერი ფუნქციის გათვალისწინებით, არც სამართლებრივი განჭვრეტადობისა და საჯარო რეესტრის სანდოობის კუთხით წარმოიქმნება სამართლებრივი უსაფრთხოების რისკი. „სასამართლო გადაწყვეტილების ადრესატები მხოლოდ დავაში მონაწილე მხარეები როდი არიან, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალისათვის საჭიროა საზოგადოების სოლიდარობა დამდგარი შედეგის მიმართ, მართლმსაჯულების განხორციელებაში მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების ნდობის პრეზუმფციის გამომუშავება“ (იხ. გიორგი გოგიაშვილი – STUDIA IURIDICA, სამოსამართლო სამართალი; Judge-Made Law; მეორე გამოცემა; 2020წ; გვ.53).

45. კასატორის მიერ საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე წარმოდგენილი ახალი მტკიცებულებები (იხ. წინამდებარე განჩინების 13.16

და 13.18 ქვეპუნქტები) ვერ იქნება განხილული საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებში, რადგან შესაძლოა ისინი ახალი ფაქტობრივი გარემოებების შემცველი იყოს და არ წარმოადგენს საკასაციო საჩივრის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილ სამართლებრივ მოსაზრებებს (შეად. სუსგ-ებს: №ას-1585-2022, 12.06.2023წ; №ას-1181-2023, 11.12.2023წ; №ას-1469-2023, 29.03.2024წ.).

46. საკასაციო სასამართლო არ იმსჯელებს საკასაციო საჩივრის იმ არგუმენტებზე, რომლებიც არაარსებითია მოცემული დავის ფარგლებში. დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain [GC]* par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France [GC]*, par. 81); *Boldea v. Romania*, პარ. 30).

47. საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გზით გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და, ზემოხსენებული სამართლებრივი მითითებების საფუძველზე, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად.

48. სსსკ-ის 53.4 მუხლის საფუძველზე, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 412-ე, 257.3, 264.3 მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „მ-ი ...-ის“ დამფუძნებლის ჯ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ლიკვიდაციის პროცესის დაწყება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-48-2022

16 სექტემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: პარტნიორთა კრების ოქმების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ჯ-ა“ (შემდგომში – „პირველი მოპასუხე“, „საზოგადოება“ ან „კომპანია“) სამენარმო რეგისტრში რეგისტრირებულია 2017 წლის 03 მაისიდან. მისი დამფუძნებელი პარტნიორები არიან ლ. კ-ძე (შემდგომში – „მოსარჩელე“) 50%-იანი და ნ. კ-ვა (შემდგომში – „მეორე მოპასუხე“ ან „კასატორი“) 50%-იანი წილით. საზოგადოების ხელმძღვანელობაზე/ნარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია დ. კ-ძე (შემდგომში – „დირექტორი“ ან „საზოგადოების დირექტორი“).

2. საზოგადოების 2018 წლის 11 მაისის პარტნიორთა კრების ოქმის მიხედვით, რომლის დღის წესრიგსაც საზოგადოების ლიკვიდაცია წარმოადგენდა, კრებაზე არ გამოცხადდნენ 50%-იანი წილის მფლობელი მოსარჩელე და საზოგადოების დირექტორი. იმავე სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 25 მაისის იგივე დღის წესრიგით განმეორებითი კრების მოწვევის თაობაზე.

3. 2018 წლის 25 მაისს გამართულ განმეორებით კრებაზე საზოგადოების დირექტორი და მოსარჩელე კვლავ არ გამოცხადდნენ. ვინაიდან კრება გადაწყვეტილებაუნარო იყო, იგი გაიდო 2018 წლის 15 ივნისს. აღნიშნული კრების მოწვევის თაობაზე შეტყობინებები ჩაჰბარდა მოსარჩელის შვილს, რომელიც იმავდროულად არის საზოგადოების დირექტორი.

4. მოსარჩელე და საზოგადოების დირექტორი კვლავ არ გამოცხადდნენ 2018 წლის 15 ივნისს გამართულ პარტნიორთა საერთო კრებაზე და 50%-იანი წილის მფლობელი მეორე მოპასუხის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის თაობაზე. გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად მითითებულია ის ფაქტობრივი გარემოებები, რომ კომპანია რეგისტრაციის დღიდან არ ფუნქციონირებს, არ

გააჩნია საოფისე ფართი, არ ჰყავს თანამშრომლები და არ აქვს სამომავლოდ განსახორციელებელი გეგმა, ამასთან ერთად, პარტნიორებს აქვთ კომუნიკაციის პრობლემა.

5. საზოგადოების პარტნიორთა 2018 წლის 24 ივლისის კრების ოქმის საფუძველზე, რომელსაც მოსარჩელისა და საზოგადოების დირექტორის გამოუცხადებლობის გამო, კვლავ ერთი პარტნიორი ესწრებოდა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე. ლიკვიდაციის მმართველად დაინიშნა გ. ჭვა და გადაეცა საზოგადოების საქმიანობის ამსახველი მასალა.

6. აღნიშნული კრების ოქმის თანახმად, მოსარჩელისა და საზოგადოების დირექტორისათვის ცნობილი იყო სხდომის თარიღი და დღის წესრიგი. მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო იგივე დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე ორჯერ გადაიდო განხილვა – 05.07.2018 წელს და 16.07.2018 წელს. საბოლოოდ გადაწყვეტილება მიღებული იქნა 24.07.2018 წელს.

7. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, საზოგადოების მიმართ დაწყებულია ლიკვიდაციის პროცესი, ხოლო ლიკვიდატორად მითითებულია გ. ჭვა.

8. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების მიმართ და მოითხოვა საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ პარტნიორთა 2018 წლის 15 ივნისის კრების ოქმის ბათილად ცნობა.

9. მოსარჩელის განმარტებით, მას საზოგადოების პარტნიორთა 2018 წლის 15 ივნისის საერთო კრების მოწვევის თაობაზე შეტყობინება არ ჩაბარებია. მართალია, შეტყობინების ჩაბარება მოხდა მოსარჩელის საცხოვრებელ ადგილას, თუმცა იგი ჩაჰბარდა მოსარჩელის შვილს, საზოგადოების დირექტორს, რომელიც არც რეგისტრირებულია და არც ფაქტობრივად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. ამასთან, მოსარჩელესა და მის შვილს საქმიანი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაძაბული პირადი ურთიერთობა ჰქონდათ, რაც მათ შორის კომუნიკაციას ართულებდა. გზავნილის გაგზავნის მომენტში მოსარჩელე საზღვარგარეთ, ესპანეთში იმყოფებოდა, სადაც საზოგადოების პოტენციურ პარტნიორებთან საქმიან შეხვედრებს მართავდა. იგი ესპანეთიდან საქართველოში დაბრუნდა 14 ივნისს და ვინაიდან პარტნიორთა კრების ჩანიშვნის თაობაზე მისთვის ცნობილი არ ყოფილა, კრებაზე ვერ გამოცხადდა. ამასთან, 2018 წლის 15 ივნისის პარტნიორთა კრების ოქმი მოსარჩელეს არ გაგზავნია, რის გამოც ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების არსებობის თაობაზე მისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი.

10. მოსარჩელემ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება სა-

დავოდ გახდა იმ საფუძვლითაც, რომ არ არსებობდა ლიკვიდაციის დაწყების აუცილებლობა. მისი განცხადებით: საზოგადოება ფუნქციონირებს და მისი გაკოტრების საფრთხე არ არსებობს; საზოგადოებამ და არსების დღიდან დაიწყო სამენარმეო საქმიანობა და შეიძინა უძრავ-მოძრავი ქონება; მეორე მოპასუხემ ლიკვიდაციის პროცესის დაწყების საფუძვლად იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ საზოგადოებას კრედიტორების ვალდებულებების დასაფარად ათი ათასობით ლარი სჭირდება, თუმცა, ამის საწინააღმდეგოდ, ლიკვიდაციის დაწყების შესახებ განცხადებაში აღნიშნა, რომ კომპანიას კრედიტორები არ ჰყავს და არცერთი მათგანი დაასახელა; მეორე მოპასუხის ინტერესს საზოგადოების ლიკვიდაციის ხარჯზე რეალიზებული ქონების ღირებულების მითვისება წარმოადგენს და, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მისი ქმედება უფლების ბოროტად გამოყენებად უნდა შეფასდეს.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 აგვისტოს განჩინებით მოსარჩელის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა და დავის საბოლოო გადაწყვეტამდე შეჩერდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 21.06.2018წ. გადაწყვეტილების საფუძველზე დაწყებული საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესი.

12. პირველმა მოპასუხემ წარდგინილი შესაგებლით სარჩელი ცნო, ხოლო მეორე მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო.

13. მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელი წარადგინა მოპასუხეთა მიმართ და დამატებით მოითხოვა საზოგადოების პარტნიორთა 2018 წლის 24 ივლისის კრების ოქმის ბათილად ცნობა. მოსარჩელის განმარტებით, საზოგადოების წესდების მე-19 მუხლის მიხედვით, საზოგადოების ლიკვიდაციას ახორციელებენ ლიკვიდატორები. 2018 წლის 24 ივლისის საერთო კრების ოქმით კი, მეორე მოპასუხის მიერ დანიშნულ იქნა მხოლოდ ერთი ლიკვიდატორი – გ. ჭ-ვა. შესაბამისად, წესდებით შეთანხმებული წესის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება ბათილია.

14. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საზოგადოების პარტნიორთა 2018 წლის 15 ივნისის და 2018 წლის 24 ივლისის კრების ოქმები.

15. მეორე მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-

ლატის 2021 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

17. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-7 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

18. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება საზოგადოების პარტნიორთა 2018 წლის 15 ივნისის კრების თაობაზე მისი არასათანადოდ ინფორმირებულობის შესახებ და მიუთითა, რომ მოსარჩელესა და საზოგადოების დირექტორს კრების მოწვევის თაობაზე პირველად ეცნობათ 08.05.2018 წელს, ხოლო განმეორებით 18.05.2018 წელს და 01.06.2018 წელს, მოსარჩელის საცხოვრებელ მისამართზე: ქ. თბილისი, ..., ბინა 30ა. გზავნილის ჩაბარების დასტურებს ხელს აწერს მოსარჩელის შვილი, საზოგადოების დირექტორი, რომელსაც უარი არ განუცხადებია გზავნილების ჩაბარებაზე და არც რამე უცნობებია წერილების ჩაუბარებლობის შესახებ. ამასთან, გზავნილები კრების მოწვევის თაობაზე დამოუკიდებლად ეგზავნებოდა საზოგადოების დირექტორს და მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და სავარაუდო შედეგების შესახებ. მითუმეტეს, რომ იგი თავად აფრთხილებდა პარტნიორებს საზოგადოებაში არსებული მძიმე მდგომარეობის თაობაზე.

19. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, იმავე მუხლის მე-5 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით, მე-7 პუნქტით და განმარტა, რომ საწარმოს ლიკვიდაცია სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას და ამგვარ საკითხზე სავალდებულოა ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილება. ანალოგიურ დათქმას შეიცავს საზოგადოების წესდების 15.3. პუნქტი, რომლის თანახმად, პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებას იღებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

20. სააპელაციო პალატამ ასევე იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 54-ე მუხლებით და ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საზოგადოების პარტნიორთა 2018 წლის 15 ივნისის საერთო კრებაზე საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილება ერთხმად არ იქნა მიღებული, აღნიშნული კრების ოქმი ბათილ გარიგებად მიიჩნია. ამასთან, როგორც თანმდევი შედეგი, ასევე ბათილად მიიჩნია საზოგადოების პარტნიორთა 2018 წლის 24 ივლისის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება.

21. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაზე მეორე მოპასუხემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

22. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

22.1. სასამართლოს არ გამოუკვლევია და არ უმსჯელია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის მამა-შვილისა და იმავდროულად საზოგადოების დირექტორისა და პარტნიორის მიერ მიღებული ერთპიროვნული გადაწყვეტილებები და განხორციელებული ქმედებები. მათ ერთობლივად, კასატორის მოსაშორებლად და სანესდებო კაპიტალის დასატოვებლად, განახორციელეს შემდეგი მოქმედებები: ურთიერთშეთანხმებით, კასატორის ინფორმირების გარეშე და კანონდარღვევით გაყიდეს საზოგადოების ბალანსზე რიცხული წისქვილი, მიწის ნაკვეთი და სატვირთო ავტომობილი მისაბმელით; ამასთან, მეორე მოპასუხემ და საზოგადოების დირექტორმა კასატორის ინფორმირების გარეშე ერთმანეთთან გააფორმეს ფიქტიური სესხის ხელშეკრულება 300 000 აშშ დოლარზე. თუმცა, კასატორის მოქმედებებით ყველა ზემოაღნიშნული ქონება დაუბრუნდა კომპანიას, მაგრამ რისკი რჩება და მათ კვლავ შეუძლიათ საზოგადოებისა და კასატორის ფინანსურად დაზარალება. მათი ინტერესია კომპანიის გაკოტრება სარგებლის მიღების მიზნით;

22.2. რეორგანიზაცია/ლიკვიდაციის პროცესი გარდაუვალი იყო საზოგადოების ძირითადი საშუალებების – მიწის ნაკვეთის, წისქვილისა და ავტომანქანის გასხვისების შემდგომ, ვინაიდან მას ძირითადი სამუშაო საშუალებები აღარ რჩებოდა. შესაბამისად, რეორგანიზაცია/ლიკვიდაციის გადაწყვეტილებით საზოგადოების საზიანოდ არაფერი განხორციელებულა. ამასთან, პარტნიორთა გადაწყვეტილებით არ შექმნილა არათანაბარი მდგომარეობა და ამას არც ლიკვიდაციის დასრულების შემდგომ მიიღებდნენ პარტნიორები. აღნიშნული გადაწყვეტილებით პარტნიორის არსებითი ინტერესი არ შელახულა.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

24. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

25. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ პარტნიორთა 2018 წლის 15 ივნისისა და 2018 წლის 24 ივლისის კრების ოქმების ბათილად

ცნობის მართლზომიერება.

26. საზოგადოების წესდების 19.3. პუნქტის თანახმად, საზოგადოების ლიკვიდაცია ხდება პარტნიორ(ებ)ის გადაწყვეტილებით, ხოლო წესდების 15.3. პუნქტის მიხედვით, საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტის შესახებ პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებებს იღებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

27. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონის სადავო სამართალურთიერთობის დროს მოქმედი რედაქცია) (შემდგომში – „სპეციალური კანონი“) 47-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით. აღნიშნული კანონის მე-9¹ მუხლის მე-5 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პარტნიორთა საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას საწარმოს რეორგანიზაციასთან და ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

28. პარტნიორთა საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების წესი განისაზღვრება სპეციალური კანონის მე-9¹ მუხლით დადგენილი წესების მიხედვით. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. საწარმოს ყოველ პარტნიორს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში – დირექტორსაც, შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლიათ დღის წესრიგში დამატებათა შეტანა. პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება (ესწრებიან) ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი, თუ მასზე არ გამოცხადდება (გამოცხადდებიან) ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები).

29. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ საზოგადოების ლიკვიდაციის საკითხის განსახილველად საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრება თავდაპირველად მოწვეულ იქნა 2018 წლის 11 მაისს, რომელიც საზოგადოების 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის/მოსარჩელისა და საზოგადოების დირექტორის გამოუცხადებლობის გამო, ხელახლა მოწვეულ იქნა კიდევ ორჯერ 2018 წლის 25 მაისსა და 2018 წლის 15 ივნისს; დადგენილია ასევე, რომ მოსარჩელესა და საზო-

გადოების დირექტორს ჩაბარდათ შეტყობინებები ზემოაღნიშნულ საერთო კრებებზე მოწვევის თაობაზე.

30. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2018 წლის 15 ივნისს გამართული პარტნიორთა საერთო კრება ზოგადად გადაწყვეტილებაუნარიანი იყო სპეციალური კანონის მე-9¹ მუხლის შესაბამისად, თუმცა ლიკვიდაციის საკითხთან დაკავშირებით საერთო კრების გადაწყვეტილებაუნარიანობის შესაფასებლად გასათვალისწინებელია აგრეთვე სპეციალური კანონის მე-9¹ მუხლის მე-7 პუნქტის დანაწესი, რომლის თანახმად, ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას.

31. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ საზოგადოების ლიკვიდაცია მის ჩვეულებრივ საქმიანობას არ წარმოადგენს. ლიკვიდაცია არის იურიდიული პირის (საწარმოს) არსებობის შეწყვეტა, რომლის შედეგად, მისი უფლებები და მოვალეობები უფლებამონაცვლეობის წესით სხვა პირებზე არ გადადის. ამიტომ, ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებულ კრებაზე უნდა იქნეს მიღებული.

32. მიუხედავად აღნიშნული წესისა, სპეციალური კანონის მე-9¹ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ თუკი პარტნიორი, რომელსაც სათანადო წესით ეცნობა მოწვეული კრების ჩატარების დრო, ადგილი და დღის წესრიგი, კრებაზე მრავალჯერადად არ გამოცხადდება და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების შესახებ აცნობებს კრების მომწვევთ, საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება საერთოდ ვერ იქნება მიღებული. ნორმის ამგვარი განმარტება კანონის მიზნიდან არ გამომდინარეობს. კანონის მიზანს კი წარმოადგენს ყველა პარტნიორის მონაწილეობის უზრუნველყოფა ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას არ მიეკუთვნება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თუკი პარტნიორი, რომელიც სათანადო წესით ინფორმირებულია საერთო კრების მოწვევის შესახებ, საკუთარი გადაწყვეტილებით საერთო კრებაზე არ გამოცხადდება, ასეთ შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს სპეციალური კანონის მე-9¹ მუხლის მე-2 პუნქტით (ბოლო წინადადება) დადგენილი წესი და კრება გადაწყვეტილებაუნარიანად იქნეს მიჩნეული.

33. დადგენილია, რომ საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების თაობაზე 2018 წლის 15 ივნისის კრებაზე გადაწყვეტილება მიღე-

ბულ იქნა საზოგადოების 50% წილის მფლობელი პარტნიორის მიერ, რაც საზოგადოების წესდების 15.3. პუნქტისა და სპეციალური კანონის მე-9¹ მუხლის თანახმად, საკმარისია განმეორებით ჩატარებულ კრებაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

34. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს სპეციალური კანონის მე-9¹ მუხლის მე-9 პუნქტით [საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ ეს კანონი არ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს] გათვალისწინებულ შემთხვევას, რადგან საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება არ მიეკუთვნება ერთხმად მისაღები გადაწყვეტილებების კატეგორიას არც სპეციალური კანონით და არც საზოგადოების წესდებით. ამასთან, იგი არ არის ისეთი გადაწყვეტილება, რომლის შინაარსი ქმნის არათანაბარ მდგომარეობას ან ხელყოფს რომელიმე პარტნიორის არსებით ინტერესებს.

35. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კანონსაწინააღმდეგოდ და, აქედან გამომდინარე, ბათილ გარიგებად.

36. იგივე დასაბუთებით, ასევე, დაუშვებელია 2018 წლის 24 ივლისს მიღებული გადაწყვეტილების კანონსაწინააღმდეგო გარიგებად მიჩნევა, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც დადგენილია, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე ორჯერ – 05.07.2018 წელს და 16.07.2018 წელს გადაიდო კრება მოსარჩელისა და საზოგადოების დირექტორის გამოუცხადებლობის გამო და მხოლოდ აღნიშნულის შემდგომ იქნა გადაწყვეტილება მიღებული.

37. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძვლები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გა-

დანყვეტილება.

38. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადანყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

39. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

40. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადანყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადანყვეტილებების (განჩინებების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

41. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, უნდა გაუქმდეს წინამდებარე საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 აგვისტოს განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

42. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველ ნაწილზე [საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადანყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები] და განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება. იმავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან

საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. დასახელებული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (მოსარჩელის მიმართვა (საზოგადოების საერთო კრების მოწვევის შესახებ); 12.03.2018წ. მიმართვა (საზოგადოების საერთო კრების მოწვევის შესახებ); თბილისის საქალაქო სასამართლოს 03.04.2018წ. და 26.06.2018წ. განჩინებები (საქმე №2/35002-17); თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 31.01.2018წ. განჩინება (საქმე №2პ/259-18)) მთლიანობაში „09“ ფურცლად.

43. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანაცვები, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

44. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს გადანაცვლებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასაზღაურებლად 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე შ ი ბ ა :

1. ნ. კ.-ვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 19 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადანაცვები;
3. ლ. კ.-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ლ. კ.-ძეს (პ.ნ. ...) ნ. კ.-ვას (პ.ნ. ...) სასარგებლოდ დაეკისროს 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასაზღაურებლად;
5. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 აგვისტოს განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც დავის საბოლოო გადანაცვლებამდე შეჩერდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 21 ივნისის №... გადაწყვეტილების საფუძველზე დაწყებული შპს „ჯ-ას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: ...) ლიკვიდაციის პროცესი;

6. ლ. კ-ძეს დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (ლ. კ-ძის მიმართვა (შპს „ჯ-ას“ საერთო კრების მოწვევის შესახებ); 12.03.2018წ. მიმართვა (შპს „ჯ-ას“ საერთო კრების მოწვევის შესახებ); თბილისის საქალაქო სასამართლოს 03.04.2018წ. და 26.06.2018წ. განჩინებები (საქმე №2/35002-17); თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 31.01.2018წ. განჩინება (საქმე №2პ/259-18)) მთლიანობაში „09“ ფურცლად;

7. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

პარტნიორის გარიცხვა

განმინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-549-2021

31 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: საზოგადოებიდან პარტნიორების გარიცხვა, წილე-
ბის გადანაწილება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „კ. ს-ო“ რეგისტრირებულია 2017 წლის 24 თებერვალს. საწარ-
მოს დირექტორია ბ. კ-ძე (შემდგომში – „პირველი მოსარჩელე“ ან „პირ-
ველი კასატორი“), ხოლო პარტნიორები არიან: პირველი მოსარჩელე –
17%, ფ. ა-ძე (შემდგომში – „მეორე მოსარჩელე“ ან „მეორე კასატორი“)
– 16,6%, მ. ს-ძე (შემდგომში – „პირველი მოპასუხე“) – 16,6%, შ. ე-ძე
(შემდგომში – „მეორე მოპასუხე“) – 16,6%, ი. ფ-ძე (შემდგომში – „მესა-
მე მოპასუხე“) – 16,6% და მ. გ-ლი (შემდგომში – „მეოთხე მოპასუხე“) –
16,6%.

2. შპს „ჯ. კ-ი“ რეგისტრირებულია 2008 წლის 24 ნოემბერს. პარტნი-
ორები არიან: თ. ჭ-ია – 33%, ა. ფ-ძე – 33% და პირველი მოპასუხე – 34%.
საწარმოს დირექტორია პირველი მოპასუხე.

3. შპს „ი. მ-ლი“ რეგისტრირებულია 2013 წლის 29 იანვარს. პარტნიო-
რები არიან: მეოთხე მოპასუხე – 50% და გ. გ-ი – 50%. საწარმოს დირექ-
ტორია მეოთხე მოპასუხე.

4. შპს „მ-ი“ რეგისტრირებულია 2015 წლის 23 აპრილს. პარტნიორები
არიან: ბ. ხ-ვა – 50% და მესამე მოპასუხე – 50%. საწარმოს დირექტო-
რია ა. ფ-ძე.

5. შპს „G. S.“ რეგისტრირებულია 2013 წლის 07 თებერვალს. პარტნი-
ორები არიან: მ. დ-იძე – 40%, მესამე მოპასუხე – 30% და ა. ს-ძე – 30%.
საწარმოს დირექტორია მ. დ-იძე.

6. შპს „ზ. ი-ი“ რეგისტრირებულია 1996 წლის 06 მაისს. საწარმოს
100% წილის მფლობელია ზ. ე-ძე. საწარმოს დირექტორები არიან ზ. ე-

ძე და ა. ე-ძე. მეორე მოპასუხე და ზ. ე-ძე არიან ნათესავები – ბიძაშვილები.

7. შპს „ს. ქ-ა“ რეგისტრირებულია 2018 წლის 25 ივნისს. პარტნიორები არიან: მეოთხე მოპასუხე – 25%, ზ. ე-ძე – 25% და პირველი მოპასუხე – 50%. საწარმოს დირექტორია გ. გ-ი.

8. შპს „კ. ს-ოს“ და შპს „ჯ. კ-ს“, შპს „G. S.“-ს, შპს „მ-ი“-ს, შპს „ზ. ი-ს“ შორის 2017 წლის 16 ივნისს დაიდო ქვიშის ექსკლუზიურად მიწოდების დამოუკიდებელი ხელშეკრულებები, რომელთა თანახმად, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა გამყიდველის საკუთრებაში არსებული ლიცენზიის საფუძველზე მოპოვებული და გადამუშავებული ნედლეულის, კერძოდ, კვარცმინდერის შპატიანი ქვიშის (შემდგომში „ნედლეული“) ექსკლუზიურად მიყიდვა მყიდველისათვის. მყიდველს უნდა აენაზღაურებინა გამყიდველისათვის შესყიდული ნედლეულის ღირებულება ამ ხელშეკრულებებით დადგენილი წესით. ექსკლუზივის დარღვევისათვის ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ იქნა პირგასამტეხლო.

9. საქმეშია 2017 წლის 16 ივნისის ანალოგიური შინაარსისა და კონსტრუქციის ხელშეკრულება შპს „კ. ს-ოსა“ და შპს „ი. მ-ლს“ შორის, თუმცა სადავოა შპს „ი. მ-თან“ წერილობითი ფორმით ხელშეკრულების გაფორმების ფაქტი და მასზე დირექტორის, მეოთხე მოპასუხის ხელმოწერის ნამდვილობა.

10. ხელშეკრულებების მხარეებმა: შპს „მ-ი“-მა, შპს „ჯ. კ-მა“ და შპს „G. S.“-მა შპს „კ. ს-ოსთვის“ ხელშეკრულებების ფარგლებში ქვიშის მიწოდება დაიწყო 2017 წლის 27 ივნისიდან და შეწყვიტეს 2018 წლის 19 სექტემბერს.

11. 2018 წლის 20 სექტემბრიდან იგივე პირობებითა და წესებით, რაც შპს „კ. ს-ოსთან“ გაფორმებული ხელშეკრულებებით იყო გათვალისწინებული, შპს „მ-ი“, შპს „ჯ. კ-ი“, შპს „G. S.“ და შპს „ზ. ი-ი“ ქვიშის რეალიზაციას ახორციელებენ შპს „ს. ქ-ასთან“.

12. შპს „კ. ს-ოს“ პარტნიორმა, მეოთხე მოპასუხემ 2018 წლის 05 სექტემბერს განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრს და მოითხოვა საწარმოს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია, კერძოდ, წესდების 7.11 პუნქტის ცვლილება.

13. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 06.09.2018წ. გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა. ადმინისტრაციული ორგანოს განმარტებით, სარეგისტრაციოდ წარდგენილი იყო შპს „კ. ს-ოს“ პარტნიორთა კრების ოქმი, რომელსაც ესწრებოდნენ კომპანიის 66,4% წილის მესაკუთრეები – მოპასუხეები. აღნიშნულ კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საზოგადოების წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების, კერძოდ, წესდების 7.11 მუხლის ცვლილების თაო-

ბაზე, რომლითაც მოხდა რეგისტრირებული უფლების ცვლილება. ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ წარდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა რეგისტრაციის პირობებს. კერძოდ, წესდების 7.11 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „პარტნიორთა კრებაზე გადანაცვეტილებები მიიღება ხმების საერთო რაოდენობის 65%-ით“, რაც ცვლიდა პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებას. შესაბამისად, უფლებამოსილი პირის მიერ წარსადგენი იყო კანონის შესაბამისად შედგენილი და დამოწმებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში შესაბამისი დოკუმენტაციის წარუდგენლობის გამო, 2018 წლის 24 ოქტომბერს შეწყდა წარმოება.

14. აღნიშნული სახის განცხადება მეოთხე მოპასუხემ ასევე შეიტანა 2018 წლის 11 ივლისს, რომელიც შეჩერდა მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ 2018 წლის 11 ივლისს, ხოლო 2018 წლის 20 აგვისტოს შეწყდა წარმოება.

15. შპს „კ. ს-ოს“ პარტნიორებმა – მოპასუხეებმა, განცხადებით მიმართეს შპს „კ. ს-ოს“ დირექტორს, პირველ მოსარჩელეს და მოითხოვეს შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე საზოგადოების მომხმარებლისა და პაროლის გადაცემა, ასევე, მეტი სანდოობისათვის ქვემომხმარებლად განმცხადებელთა დამატება, რომელთაც წვდომა ექნებოდათ დეკლარაციის წაკითხვაზე, ხოლო ყველა სხვა ფუნქცია მათთვის იქნებოდა შეზღუდული. განმცხადებელთა განმარტებით, მათი არაერთი თხოვნის მიუხედავად, დირექტორმა არ გადასცა ინფორმაცია ბანკის სრული ამონაწერისა და ორგანიზაციის ვებგვერდის პაროლის თაობაზე, შეგნებულად ხდებოდა დროის გაჭიანურება და საზოგადოების მართვა ხორციელდებოდა არაკეთილსინდისიერად, რაც მათ ზიანს აყენებდა. განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ თუკი არ დაკმაყოფილდებოდა მათი მოთხოვნა, 2018 წლის 19 სექტემბრიდან ის ორგანიზაციები, რომლის წარმომადგენლებიც ისინი იყვნენ, დაუყოვნებლივ შეწყვეტდნენ შპს „კ. ს-ოსთან“ თანამშრომლობას, კერძოდ, ქვიშის მიწოდებას.

16. შპს „კ. ს-ოს“ 05.04.2019 წლით დათარიღებულ პარტნიორთა კრების ოქმში აღნიშნულია, რომ პარტნიორთა კრება გაიმართა 2018 წლის 31 ოქტომბერს, სადაც განხილულ იქნა კომპანიისათვის მიყენებული ზიანისა და მიზანმიმართულად შექმნილი მძიმე ვითარების გამო, კომპანიის პარტნიორების – მოპასუხეთა გარიცხვის საკითხი. კრებაზე მოსარჩეელებმა მიიღეს გადანაცვეტილება მოპასუხეთა საზოგადოების პარტნიორობიდან ერთობლივად გარიცხვის თაობაზე. აღნიშნული გადანაცვეტილების მიღებაში მოპასუხეებს მონაწილეობა არ მიუღიათ. კრებაზე პარტნიორების გარიცხვის მიზეზად მითითებულ იქნა ის გარემოება, რომ პარტნიორები მოქმედებდნენ ერთობლივად და ზიანს

აყენებდნენ კომპანიას, თუმცა ოქმში მითითებული არ ყოფილა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი საფუძვლები.

17. მოსარჩელებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხეთა მიმართ და მოითხოვეს შპს „კ. ს-ოს“ 05.04.2019წ. კრების ოქმით დადგენილი სამართლებრივი შედეგის აღიარება, მოპასუხეთა შპს „კ. ს-ოდან“ გარიცხვა და მათი კუთვნილი წილების მოსარჩელეთა საკუთრებაში აღრიცხვა ამ უკანასკნელთა წილების პროპორციულად – პირველი მოსარჩელე – 50,595% და მეორე მოსარჩელე – 49,405%.

18. მოპასუხეებმა წარადგინეს მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნეს.

19. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

20. მოსარჩელებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინეს სააპელაციო საჩივარი, რომლითაც გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

21. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 11 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

22. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-16 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

23. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, შპს „კ. ს-ოს“ წესდების თანახმად, საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება (6.1 პუნქტი); საზოგადოების მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორები პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით (7.1 პუნქტი); პარტნიორთა კრების კომპეტენცია, კრების ჩატარების წესი და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და წესდებით (7.2 პუნქტი); საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება/ესწრებიან განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო რაოდენობის ხმების მქონე პარტნიორები. თუ საერთო კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების მოწვევა შეიძლება იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით (7.8 პუნქტი); კენჭისყრისას თითოეული პარტნიორის ხმის რაოდენობა განისაზღვრება საზოგადოების საწესდებო კაპიტალში მისი წილის პროპორციულად (7.9 პუნქტი); თუ საერთო კრების გადაწყვეტილება პირდაპირ ეხება კონკრეტული პარტნიორის ინტერესებს, მაშინ ამ პარტნიორს კენჭისყრისას ხმის უფლება არა აქვს (7.10 პუნქტი); პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება ხმების საერთო რაოდენობის 65%-ით, ხოლო წესდების 7.12 პუნქტის „ბ“, „დ“

და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე, ხმათა საერთო რაოდენობის 80%-ით (7.11 პუნქტი); პარტნიორებს თანაბარ პირობებში აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები, თუ კანონით, წესდებით ან პარტნიორთა გადანყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (9.2 პუნქტი).

24. სააპელაციო პალატის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენდა იმ საკითხის გარკვევა, იყო თუ არა სახეზე შპს „კ. ს-ოს“ 66,4% წილის მქონე პარტნიორების, მოპასუხეების მხრიდან კომპანიისათვის ზიანის მიყენების ფაქტი და კომპანიის დანარჩენი, 33,6% წილის მქონე პარტნიორების, მოსარჩელების მიერ მათი კომპანიიდან გარიცხვის კანონისმიერი საფუძველი. ამ გარემოებების მტკიცების ტვირთი მოსარჩელებს ეკისრებოდათ. მათი მტკიცება შემოიფარგლა მხოლოდ იმ ფაქტებზე მითითებით, რომ მოპასუხეები მათივე კუთვნილ და კონტროლირებად კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებებით მნიშვნელოვან ზიანს აყენებდნენ შპს „კ. ს-ოს“, დააფუძნეს კონკურენტი საწარმო შპს „ს. ქ-ა“, რომელსაც ხელშეკრულების დარღვევით აწოდებდნენ ნედლეულს, თუმცა მოსარჩელებს ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარუდგენიათ, მხოლოდ სიტყვიერი განმარტება კი სადავო გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად ვერ მიიჩნეოდა.

25. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო საჩივარში აღნიშნული მსჯელობა, რომ არსებობს სასამართლოს გადანყვეტილება, რომლითაც დადგენილია პარტნიორთა მხრიდან ზიანის მიყენების ფაქტი, ვინაიდან, აპელანტებს სსსკ-ის 106-ე მუხლით გათვალისწინებული, კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება არ წარუდგენიათ.

26. სააპელაციო პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ მოსარჩელეთა მიერ დასახელებული კომპანიები (შპს „მ-ი“, შპს „ჯ. კ-ი“, შპს „G. S.“, შპს „ზ. ი-ი“), რომლებიც სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ შპს „კ. ს-ოსთან“, მენარმეთა რეესტრში რეგისტრირებული პირები იყვნენ და სამენარმეო საქმიანობას შპს „კ. ს-ოს“ შექმნამდე ახორციელებდნენ. ამ უკანასკნელთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას მოსარჩელეთათვის ცნობილი იყო კონტრაქტორ კომპანიებში მოპასუხეთა პარტნიორობის შესახებ. ამ კომპანიებთან შპს „კ. ს-ოს“ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა, სწორედ, მოდავე მხარეთა ერთობლივი პარტნიორული გადანყვეტილება იყო. შესაბამისად, ვინაიდან კონტრაქტორი კომპანიების მხრიდან ახალი საწარმოს დაფუძნება კანონით აკრძალულ ქმედებას არ წარმოადგენდა, ხოლო საქმის მასალებით არ დგინდებოდა, კონკრეტულად რა ზიანი მიაყენეს მოპასუხე პარტნიორებმა კომპანიას, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოპასუხეთათვის ისეთი პასუხისმგებლობის და-

კისრების საფუძველი, რასაც შესაძლოა მათი გარიცხვა გამოენჯია.

27. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტებით, 46-ე მუხლის პირველი პუნქტით, 47-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით და განმარტა, რომ მოსარჩელეთა ქმედება – პარტნიორობა კრებაზე 66,4% წილის მქონე დანარჩენი ოთხი პარტნიორის მონაწილეობის გარეშე, მათთვის ხმის უფლების ჩამორთმევით, მათი საზოგადოებიდან გარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ, არ შეესაბამებოდა კანონითა და საწარმოს წესდებით დადგენილ წესებს და არ გამომდინარეობდა მისი მიზნებიდან, ვინაიდან კანონისა და წესდების შესაბამისად, თითოეული პარტნიორის გარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული უნდა ყოფილიყო ყველა პარტნიორის მიერ „გასარიცხი“ პარტნიორის გამოკლებით. ამდენად, მხოლოდ 2 პარტნიორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დანარჩენი 4 პარტნიორის გარიცხვის შესახებ კანონით დადგენილი მოთხოვნების საწინააღმდეგო იყო, რის გამოც არ არსებობდა პარტნიორობა კრების ოქმით დადგენილი სამართლებრივი შედეგის ცნობის საფუძველი. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა უსაფუძვლო იყო და არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების წინაპირობა.

28. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაზე მოსარჩელებმა წარადგინეს საკასაციო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს. მოსარჩელებმა ასევე მოითხოვეს სააპელაციო სასამართლოს 30.09.2020წ. საოქმო განჩინების გაუქმება, რომლითაც მათ უარი ეთქვათ მტკიცებულებების გამოთხოვისა და დამატებითი მტკიცებულებების საქმეზე დართვის თაობაზე შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე.

29. საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ საფუძვლებს:

29.1. სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე. მოსარჩელე მხარე ითხოვდა ინფორმაციის გამოთხოვას კონკურენტი კომპანიის, შპს „ს. ქ-ის“ მიერ ნედლეულის შეძენისა და რეალიზაციის მოცულობების შესახებ, რაც დამატებით დაადასტურებდა იმ ზიანს, რაც კომპანიას მიადგა დომინანტი პარტნიორების მიერ კონკურენტი კომპანიის დაფუძნებისა და ფუნქციონირების შედეგად;

29.2. სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან შპს „ზ. ი-თან“ დაკავშირებით ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, რითაც დამატებით დაადასტურებოდა ე-ების ოჯახისა და მათი კომპანიის ბრალეული მონაწილეობა შპს „კ. ს-ოს“ მიზანმიმართული გაკოტრების საქმეში. არ არსებობდა შუამდგომ-

ლობების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან დაცული იყო ყველა საპროცესო წინაპირობა;

29.3. სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით მტკიცებულებების (სარჩელი და ცნობა ფინანსური მდგომარეობის შესახებ) საქმეზე დართვის თაობაზე, რითაც დასტურდებოდა დომინანტი პარტნიორების კიდევ ერთი მცდელობა კომპანიის გაკოტრებისა. კერძოდ, კომპანიაში, რომელიც უკვე წლებია დომინანტ პარტნიორთა ჯგუფის დამსახურებით არის ზარალზე, პარტნიორები ითხოვენ 2017 წლის უკვე რეინვესტირებული დივიდენდის განაწილებას. აღნიშნულ მოთხოვნას აყენებენ იმის მიუხედავად, რომ იციან კომპანიის ძირითადი საშუალებების რეალიზაციის გარეშე დივიდენდის განაწილება შეუძლებელია, რაც პარტნიორთა კრებაზეც დაადასტურეს, მაგრამ მაინც მიიღეს დივიდენდის განაწილების გადაწყვეტილება და წარადგინეს კიდევ სარჩელი. ამდენად, მოპასუხეთა არაკეთილსინდისიერი ქმედების დასადგენად მნიშვნელოვანი იყო წარდგენილი დოკუმენტების საქმეზე დართვა და სხვა მტკიცებულებებთან ერთად გამოკვლევა;

29.4. მოსარჩელეთა მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლომ მათ არ მისცა მტკიცებულებების გამოკვლევის შესაძლებლობა. მხარეთა ახსნა-განმარტებების შემდგომ სასამართლომ განაცხადა, რომ მტკიცებულებების გამოკვლევას საჭიროდ არ თვლიდა;

29.5. სასამართლომ უგულვებელყო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, არ გაეცნო მას და გასაჩივრებულ განჩინებაში მიუთითა, რომ მოსარჩელის პოზიცია მხოლოდ სიტყვიერ განმარტებებს ეფუძნებოდა;

29.6. სასასამართლომ არასწორად განმარტა წესდების 7.10 პუნქტი და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-4 პუნქტი;

29.7. კასატორების მითითებით პარტნიორების მოქმედებამ მნიშვნელოვანწილად შეუშალა ხელი სანარმოს საქმიანობის ეფექტურად და მომგებიანად წარმართვას, რითაც საკორპორაციო სამართლისთვის დამახასიათებელი, ზოგადი სამოქალაქო-სამართლებრივი კეთილსინდისიერების პრინციპიდან წარმომდგარი, თუმცა უფრო ინტენსიური ერთგულებისა და ხელშეწყობის მოვალეობა დაირღვა. ეს კი გამოიხატა კონკურენტი სანარმოს ჩამოყალიბებაში, რომელსაც, როგორც ფაქტობრივი გარემოებებიდან ჩანს, აკონტროლებენ დომინანტი პარტნიორები. მათივე კონტროლი ვრცელდება შპს-ს მთავარ მიმწოდებლებზე, რომელთაც შეწყვიტეს ურთიერთობა შპს-სთან და დაიწყეს დომინანტი პარტნიორების მიერ დაფუძნებული კონკურენტისთვის ნედლეულის მიწოდება. სანარმოს წარმატებული საქმიანობის ამგვარი საბოტაჟის

გამო, ნდობა, რომელიც საფუძვლად უდევს საერთო სამენარმო მიზნის მისაღწევად საწარმოში პარტნიორთა თავდაპირველი თუ შემდგომი ქონებრივი ინვესტირების განხორციელებას, საერთო ძალისხმევისა და ურთიერთნდობის გარემოში მოქმედებას, მნიშვნელოვანწილად დაზიანდა, რაც საკმარისი საფუძველია დომინანტ პარტნიორთა შპს-დან გასარიცხად;

29.8. თუკი პარტნიორები მათი ერთობლივი, ურთიერთშეთანხმებით მოქმედების (ერთობლივი ფაქტობრივი საფუძვლის) გამო აღმოჩნდნენ გასარიცხთა შორის, სახეზე აშკარა ინტერესთა კონფლიქტი იქნებოდა ამგვარ პარტნიორებს ხმის უფლება რომ ჰქონდეთ, რადგან გარიცხვის დროს ხმის უფლების შეზღუდვის საფუძველი უზოგადესი იდეაა, რომელიც საყოველთაო სამართლებრივ პრინციპს ეფუძნება „არავინ არ უნდა იყოს მსაჯული თავის საკუთარ საქმეში“;

29.9. საქმეზე დოკუმენტურად დგინდება, რომ არ არსებობს გადაწყვეტილება, რომელსაც დომინანტ პარტნიორთა ჯგუფი არ იღებს ერთხმად შპს „კ. ს-ოს“ ინტერესების საზიანოდ. ისინი მოქმედებდნენ ერთობლივად, შესაბამისად, მათ ჰქონდათ ინტერესთა კონფლიქტი გადაწყვეტილების მიღების დროს. დომინანტ პარტნიორთა გარიცხვა მოხდა წესდების 7.10 პუნქტისა და „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9¹ მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე. ამდენად, სასამართლოს მითითება, რომ დომინანტ პარტნიორებს ჩამოერთვათ ხმის უფლება, უსაფუძვლოა;

29.10. მოპასუხეებმა კომპანია შპს „ს. ქ-ა“ დააფუძნეს შპს „კ. ს-ოს“ დასაზიანებლად. აღნიშნული კომპანია შეიქმნა იმისთვის, რომ მოპასუხეებმა შპს „კ. ს-ოს“ ნაცვლად ნედლეული ექსკლუზიურად მას მიაწოდონ. ის ფაქტი, რომ დომინანტი პარტნიორები მინორიტარების ბიზნესიდან ჩამოცილებას (და შემდგომში უკვე შპს „კ. ს-ოს“ ბაზრიდან გაქრობას) ცდილობდნენ და ამის გამო შექმნეს „ალტერნატიული ერთობა“, ანუ კონკურენტი რეალიზატორი კომპანია, დადასტურებულია მიმოწერით, რომელიც საქმეშია წარდგენილი;

29.11. დომინანტი პარტნიორების (მოპასუხეების) მიერ 2018 წლის 06 აგვისტოს გაგზავნილ წერილში, რომლითაც ისინი ითხოვდნენ პირველი მოსარჩელის მიერ წილის დათმობას, მითითებულია შემდეგი: „აქვე გაცნობებთ, რომ თქვენი მხრიდან თანამშრომლობაზე უარის შემთხვევაში, ვგეგმავთ 11 აგვისტოდან შპს „კ. ს-ოსა“ და ჩვენს მიერ წარმოდგენილ მიმწოდებლებს შორის დადებული ხელშეკრულებების გაუქმებას და ალტერნატიული ერთობის ფუნქციონირებას, ხოლო შპს „კ. ს-ოს“ ადმინისტრაციასთან ურთიერთობის გაგრძელებას სასამართლოს შუამდგომლობით“;

29.12. გარდა ამისა, საქმეში წარდგენილია 19.09.2018წ. ელ. ფოსტით

გაგზავნილი მოპასუხეთა წერილი, სადაც მითითებულია შემდეგი: „გამომდინარე აქედან, თუ 2018 წლის 19 სექტემბრის დღის 14:00 საათამდე არ დაკმაყოფილება ჩვენი მოთხოვნა, ის ორგანიზაციები, რომლის წარმომადგენლებიც ჩვენ ვართ, დაუყოვნებლივ შეწყვეტენ „კ. ს-ოსთან“ თანამშრომლობას, კერძოდ, ქვიშის მიწოდებას“;

29.13. მართლაც, პარტნიორებმა უკანონოდ შეანყევტინეს მიმწოდებლებს გრძელვადიანი ექსკლუზიური ხელშეკრულებები იმავე დღეს, 2018 წლის 19 სექტემბერს და დაიწყეს მათ მიერ დაფუძნებული შპს „ს. ქ-ისათვის“ ნედლეულის მიწოდება;

29.14. შპს „ს. ქ-ა“ რომ შპს „კ. ს-ოსთვის“ კონკურენციის გასაწევად შეიქმნა, თავად მხარემაც აღიარა. ხელშეკრულებების დარღვევის ფაქტს, აგრეთვე, იმ ფაქტს რომ ხელშეკრულებები უშუალოდ მოპასუხეების ინსტრუქციით დაირღვა, ასევე ადასტურებენ მიმწოდებლებთან წარმოებულ დავაზე მონმის სახით დაკითხული პირები – მესამე მოპასუხე და გ. გ-ი. გარდა ამისა, აღნიშნული ფაქტები დასტურდება კომპანიების წარმომადგენლების მიერ სასამართლო სხდომაზე გაკეთებული განმარტებებითა და მხარეთა შორის არსებული მიმოწერით;

29.15. მოპასუხეთა ქმედებების შედეგად შპს „კ. ს-ოს“ მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი. კომპანიამ დაკარგა ექსკლუზიური მიმწოდებლები და ის დაგეგმილი შემოსავალი, რომელზეც იყო აგებული კომპანიის ბიზნეს საქმიანობა.

30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 06 აგვისტოს განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

31. კასატორებმა 2021 წლის 11 ოქტომბერს შუამდგომლობით მართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, წინამდებარე საქმის სხვა სამოქალაქო საქმესთან გაერთიანება მოითხოვეს (შპს „კ. ს-ო“ შპს „ჯ. კ-ის“, შპს „G. S.“-ის, შპს „ი. მ-ლისა“ და შპს „მ-ი“-ის წინააღმდეგ, საქმე №ას-728-2021), შემდეგი საფუძვლებით:

31.1. ორივე სამოქალაქო საქმე ერთი და იმავე სტადიაზე იმყოფება, კერძოდ, საკასაციო საჩივრები მიღებულია წარმოებაში;

31.2. წინამდებარე საქმეზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც სასამართლომ უნდა შეაფასოს, არის – რამდენად სწორად დაადგინა სასამართლომ პარტნიორების მიერ კომპანიისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. მეორე სამოქალაქო დავა ასევე ეხება შპს „კ. ს-ოს“ პარტნიორების მიერ კონტროლირებული კომპანიების მიერ, პარტნიორების უშუალო მითითებითა და მონაწილეობით ზიანის მიყენების საკითხს;

31.3. ზიანის ფაქტთან და ოდენობასთან დაკავშირებით წინამდებარე საქმეზე წარდგენილია იგივე მტკიცებულებები და მითითებულია იგივე გარემოებები, რაც მეორე საქმეში. შესაბამისად, არსებობს შესაძლებლობა, რომ უზენაესი სასამართლოს ორმა სხვადასხვა შემადგენლობამ განსხვავებულად შეაფასოს საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები და მიიღოს ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები. გარდა ამისა, ვინაიდან საქმე გვაქვს იდენტურ საფუძვლებთან, ერთი შემადგენლობის მიერ დავა უფრო სწრაფად და სწორად განიხილება, შესაბამისად, საქმეთა გაერთიანება გამართლებულია საპროცესო ეკონომიურობის თვალსაზრისითაც.

სამოტივაციო ნაწილი:

32. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად.

33. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

34. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასა-

ციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი საფუძვლით.

35. წინამდებარე საქმეში საკასაციო სასამართლოს შემოწმების საგანია სააპელაციო სასამართლოს იმ განჩინების მართლზომიერება, რომლითაც პარტნიორების ერთობლივი გარიცხვის შესახებ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მინორიტარი პარტნიორების სარჩელი არ დაკმაყოფილდა. კასატორების ძირითადი პრეტენზია სასამართლოს მიერ მტკიცებულებების არასათანადოდ შეფასებას, აგრეთვე, სასამართლოს მიერ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-4 პუნქტისა და კომპანიის წესდების 7.10 პუნქტის არასწორ განმარტებას ემყარება. ისინი დავობენ, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება მოპასუხეთა, როგორც შპს „კ. ს-ოს“ პარტნიორთა, ერთობლივი, განზრახი ქმედებების შედეგად კომპანიისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ფაქტი, რაც მათი გარიცხვის საფუძველს წარმოადგენდა. ამასთან, პარტნიორების გარიცხვა მოხდა კომპანიის წესდებითა და კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით.

36. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის დავის წარმოშობის დროს მოქმედი რედაქციით რეგლამენტირებული იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის მხოლოდ ერთი საფუძველი, კერძოდ, კანონის 3.7 მუხლის მიხედვით, პარტნიორის მიერ შესატანის შეუტანლობის შემთხვევაში.

37. მიუხედავად ამისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, აღიარებულია შპს-დან პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობა სხვა შემთხვევაშიც – მნიშვნელოვანი საფუძველის არსებობისას.

38. ასეთ შემთხვევაში გარიცხვის კორპორაციულსამართლებრივი საფუძველია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი: „იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვს ღირექტორის ან/და პარტნიორის მიმართ“.

39. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, პარტნიორის გარიცხვის მნიშვნელოვანი საფუძველი სახეზეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებამ აღარ უნდა ითმინოს გასარიცხი პარტნიორის კორპორაციულსამართლებრივი მონაწილეობა. კერძოდ, როდესაც, მისი ქცევა შეუძლებელს ხდის ან მნიშვნელოვნად ართულებს საზოგადოების მიზნის მიღწევას, რაც აუტანელს გახდიდა მისი საზოგადოების რი-

გეპში დარჩენას. საუბარია პიროვნულ თვისებებსა და ურთიერთობებზე, როგორიცაა, მაგალითად, ნდობის დეფიციტი, ვალდებულებების მძიმე დარღვევა, დანაშაულებრივი საქმიანობა, ნდობის ბოროტად გამოყენება და სხვა პარტნიორებთან დაძაბული ურთიერთობები. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძველი შეიძლება გახდეს არა ყველა სახის, არამედ იმგვარი ზიანი, რომელიც საწარმოს საქმიანობას უშლის ხელს გრძელვადიან პერსპექტივაში და მაშასადამე მის არსებობას საფრთხის ქვეშ აყენებს (იხ. სუსგ საქმე №ას-812-1099-2009, 09 ნოემბერი, 2009 წელი; №ას-1203-2018, 25 აპრილი, 2019 წელი).

40. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის სამართლებრივ შედეგს წილზე საკუთრების უფლების ჩამორთმევა წარმოადგენს. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა დაუშვებელია განხორციელდეს მისი წილის კომპენსაციის საკითხის გადაწყვეტის გარეშე, რათა არ მოხდეს მისი კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლების შელახვა. აღნიშნული კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია კომპანიაში თავისუფალი სახსრების არსებობაზე (იხ. სუსგ საქმე №ას-1203-2018, 25 აპრილი, 2019 წელი).

41. თუ შპს-დან პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა წესდებით კონკრეტულად არ არის რეგლამენტირებული, მაშინ გადაწყვეტილება მიიღება წესდებით პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების მიღებისათვის გათვალისწინებული ზოგადი პროცედურის შესაბამისად, „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9¹ მუხლის მე-4 პუნქტში მოცემული დათქმის გათვალისწინებით, რომ თუ გადაწყვეტილება შეეხება საზოგადოებასა და ერთ-ერთ პარტნიორს შორის დავას, მაშინ ამ პარტნიორს ხმის უფლება არა აქვს.

42. უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნულმა პრაქტიკამ და განმარტებებმა ასახვა ჰპოვა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციის 143-ე მუხლში [მუხლი 143. პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან: 1. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას სასამართლოს შეუძლია პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად წარდგენილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სარჩელის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება პარტნიორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ. 2. მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს, როდესაც პარტნიორის ქმედება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინტერესებს ან მისი პარტნიორად დარჩენა საზიანოა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემდგომი საქმიანობისთვის, თუ პარტნიორი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ წერილობით უშედეგოდ გააფ-

რთხილა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინტერესების დამაზიანებელი ქმედების შეწყვეტისა და შესაძლო გარიცხვის შესახებ... 8. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გარიცხულ პარტნიორს უნდა მიეცეს წილის სამართლიანი ფასი...].

43. „მენარმეთა შესახებ“ კანონის როგორც დავის წარმოშობის დროს, ისე ამჟამად მოქმედი რედაქციიდან და უზენაესი სასამართლოს განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ შპს-დან პარტნიორის გარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილება თითოეულ პარტნიორთან მიმართებით ინდივიდუალურად მიიღება. კერძოდ, ინდივიდუალური შეფასების საგანია თითოეული პარტნიორის ქმედება და ამ ქმედების შედეგად კომპანიისათვის ზიანის მიყენების ფაქტი.

44. წინამდებარე საქმეში კომპანიის 4 პარტნიორის ერთობლივი გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება იმაზე მითითებით იქნა მიღებული, რომ ისინი წარმოადგენდნენ ერთად მოქმედ პარტნიორთა ჯგუფს, რომელმაც განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა საწარმოს საზიანოდ, თუმცა თავად კრების ოქმი არ შეიცავს თითოეული პარტნიორის ქმედების ინდივიდუალურ შეფასებას მათი ერთად მოქმედების გარემოებების დასადგენად. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმის გათვალისწინებით, რომ საქმის მასალებიდან არ იკვეთება 4 მოპასუხიდან ერთის – მეორე მოპასუხის – იმგვარი წილობრივი მონაწილეობა შპს „ზ. ი-ში“ და შპს „ს. ქ-ში“, რომელიც სასამართლოს საშუალებას მისცემდა *prima facie* ევარაუდა, რომ მას შესაძლებლობა ჰქონდა გადამწყვეტი ზეგავლენა მოეხდინა ან შპს „კ. ს-ოს“ კონკურენტი კომპანიის დაფუძნების ან მასთან შპს „ზ. ი-ის“ მიერ ქვიშის ექსკლუზიურად მიწოდების ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილებებზე. ასეთ პირობებში კი სამართლებრივი საფუძველი ეცლება ყველა პარტნიორთან მიმართებაში გარიცხვის თაობაზე ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებას.

45. ამავე დროს, პარტნიორთა კრებამ ისე მიიღო 4 პარტნიორის გარიცხვის გადაწყვეტილება, რომ საერთოდ არ უმსჯელია გარიცხული პარტნიორების წილის კომპენსაციის საკითხზე.

46. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თითოეული მათგანის მიმართ გარიცხვის ინდივიდუალური საფუძვლების გამოკვეთისა და წილის კომპენსაციის გარეშე მოპასუხეთა საზოგადოებიდან გარიცხვის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა შპს „კ. ს-ოს“ წესდების 7.10 პუნქტითა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-4 პუნქტით [თუ გადაწყვეტილება შეეხება საზოგადოებასა და ერთ-ერთ პარტნიორს შორის დავას, მაშინ ამ პარტნიორს ხმის უფლება არა აქვს] დადგენილი წესის დარღვევით.

47. ვინაიდან დადგენილია პარტნიორთა გარიცხვის თაობაზე გადან-

ყვეტილების კომპანიის წესდებითა და კანონით განსაზღვრული პროცედურების დაუცველად მიღების ფაქტი, საკასაციო სასამართლო არამართებულად მიიჩნევს საკასაციო საჩივრის დაშვებას პარტნიორების მიერ საწარმოსთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებული გარემოებების კვლევის კანონიერების შემოწმების თვალსაზრისით, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც თავად 05.04.2019წ. კრების ოქმი არ შეიცავს ზიანთან დაკავშირებით კონკრეტულ გარემოებებზე მითითებას.

48. ამასთან, თუ საწარმოს დომინანტმა პარტნიორმა (ან ერთად მოქმედ პარტნიორთა ჯგუფმა, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს პარტნიორთა კრების კენჭისყრის შედეგზე) განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა ამ საწარმოს საზიანოდ, დანარჩენ პარტნიორებს აქვთ მისგან „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად (დავის წარმოშობის დროს მოქმედი რედაქცია), კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, რაც წინამდებარე დავის საგანს არ წარმოადგენს და შეიძლება იყოს დამოუკიდებელი დავის საფუძველი.

49. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელებს მართებულად ეთქვათ უარი 05.04.2019წ. კრების ოქმით დადგენილი სამართლებრივი შედეგის აღიარებაზე, 4 პარტნიორის ერთობლივად გარიცხვაზე. ხოლო, კასატორებს არ წარმოუდგენიათ იმგვარი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომელიც საკასაციო საჩივრის არსებითად განსახილველად დაშვების შესაძლებლობას მისცემდა სასამართლოს.

50. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული საპროცესო დარღვევებით; ვერც საკასაციო საჩივრის ავტორები მიუთითებენ რაიმე ისეთ დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

51. ამასთან, გასაჩივრებულნი განჩინება არ განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (იხ. მაგ., სუსგ საქმე №ას-1203-2018, 25 აპრილი, 2019 წელი), რის გამოც საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით; არც დასაბუთებული პოზიციაა წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ან/და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობის საფუძველით.

52. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უა-

რი უნდა ეთქვას განხილვაზე.

53. კასატორები აგრეთვე ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.09.2020წ. საოქმო განჩინების გაუქმებას, რომლითაც მათ უარი ეთქვათ მტკიცებულებების გამოთხოვასა და დამატებითი მტკიცებულებების საქმეზე დართვაზე. კასატორების განმარტებით, აღნიშნული მტკიცებულებებით დამატებით დადასტურდებოდა მოპასუხეთა მხრიდან კომპანიისათვის ზიანის მიყენების ფაქტი.

54. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლისა და 382-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. ამასთან, სააპელაციო სასამართლო მიიღებს ახლად წარმოდგენილ მტკიცებულებებს, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის, 380-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

55. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული სასამართლებრივი ნორმა წარმოადგენს ე.წ. „შეზღუდული აპელაციის“ პრინციპის განმსაზღვრელ ნორმას და სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ახალ ფაქტებზე მითითებისა და ახალი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობას უშვებს მხოლოდ საგამონაკლისო წესით, საპატიო მიზეზის არსებობისას. თავის მხრივ, მტკიცებულების წარდგენის საპატიოობაც სრულად უნდა შეესაბამებოდეს ამავე კოდექსით დადგენილ სტანდარტს (სსსკ-ის 215.3. მუხლი), რათა დაუსაბუთებლად არ შეილახოს პროცესის ფუნდამენტური პრინციპები (იხ. სუსგ საქმე №ას-123-123-2018, 09 ნოემბერი, 2018 წელი). ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ მტკიცებულებებს მნიშვნელობა ჰქონდეთ საქმის განხილვისთვის.

56. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა პარტნიორების გარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილების საზოგადოების წესდებითა და კანონით განსაზღვრული პროცედურების დაუცველად მიღება და არა ზიანის არარსებობა. უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლომ არამართებულად მიიჩნია განსახილველ შემთხვევაში ზიანთან დაკავშირებით მსჯელობა. შესაბამისად, მოსარჩელეთა მიერ მითითებულ მტკიცებულებებს, რომლებითაც, მათი განმარტებით, დამატებით დადასტურდებოდა მოპასუხეთა მხრიდან კომპანიისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, წინამდებარე დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობა

არ აქვს, რის გამოც საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აპელანტებს მართებულად ეთქვათ უარი ზემოაღნიშნული შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე.

57. კასატორებმა მოითხოვეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, წინამდებარე სამოქალაქო საქმის სხვა სამოქალაქო საქმესთან გაერთიანება.

58. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც სსსკ-ის XLIX თავი შეიცავს. იმავე კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, სსსკ-ის XLVI თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

59. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს წარმოებაშია რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმე, რომლებშიც ერთი და იგივე ან სხვადასხვა მხარე მონაწილეობს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გააერთიანოს ეს საქმეები ერთ წარმოებად ერთად განხილვისათვის, თუ ასეთ გაერთიანებას შედეგად მოჰყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა. მოსამართლე, რომელსაც მიმართეს საქმეთა გაერთიანების შესახებ შუამდგომლობით, თავის წარმოებაში არსებულ საქმესთან აერთიანებს თავის წარმოებაშივე ან სხვა მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეს, რის თაობაზედაც გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

60. ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმის დისპოზიცია სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპიდან გამომდინარეობს და სამართლებრივად ერთგვაროვანი საქმეების ერთდროულად და სწორად გადაწყვეტას ემსახურება. თუმცა, იმისათვის, რომ ორი ან მეტი საქმე ერთ წარმოებად გაერთიანდეს, კუმულატიურად უნდა არსებობდეს რამდენიმე წინაპირობა: აღნიშნული საქმეები უნდა იყოს ერთგვაროვანი, სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული და მათ გაერთიანებას შედეგად დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა მოჰყვეს.

61. მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საქმეებში, რომელთა გაერთიანებასაც მოსარჩელები ითხოვენ, სხვადასხვა მხარეები მონაწილეობენ.

62. აღნიშნული საქმეები სამართლებრივად დაკავშირებულია ერთმანეთთან, თუმცა ისინი არ არის ერთგვაროვანი, რადგან თითოეულ

საქმეში განსხვავებულია დავის საგანი და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

63. წინამდებარე საქმეში დავის საგანია შპს-დან 4 პარტნიორის გარიცხვა, ხოლო მეორე საქმეში ექსკლუზიური მიწოდების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება და ზიანის ანაღურების მოთხოვნა.

64. მიუხედავად ამისა, მათი გაერთიანება შესაძლებელი იქნებოდა წინამდებარე საქმეში საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველების გამოკვეთის შემთხვევაში, რამდენადაც მეორე საქმეში ექსკლუზიური მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის ფაქტის დადგენას შესაძლოა მნიშვნელობა ჰქონოდა გასარიცხი პარტნიორების ქმედებების შეფასებისას.

65. თუმცა, მოცემულ საქმეზე საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის საფუძველების არარსებობის შედეგად, არ გამოვლინდა საქმეთა გაერთიანების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების სამართლებრივი წინაპირობები.

66. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი. ამდენად, პირველ კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარისა და 1985 ლარის, ჯამში 2285 ლარის 70% – 1599,5 ლარი; ხოლო, მეორე კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარისა და 1930 ლარის, ჯამში 2230 ლარის 70% – 1561 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 182-ე, 391-ე, 401-ე, 284-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ბ. კ-ძისა და ფ. ა-ძის შუამდგომლობა საქმეთა გაერთიანების შეახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. ბ. კ-ძისა და ფ. ა-ძის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველი;

3. ბ. კ-ძეს (პ.ნ. ...) დაუბრუნდეს მ. ლ-ას (პ.ნ. ...) მიერ 2021 წლის 23 აპრილს № 10785260645 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარისა და შპს „კ. ს-ოს“ (ს.ნ. ...) მიერ 2021 წლის

28 ივლისის №083 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1985 (ათას ცხრაას ოთხმოცდახუთი) ლარის, ჯამში 2285 (ორი ათას ორას ოთხმოცდახუთი) ლარის 70% – 1599,5 (ათას ხუთას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

4. ფ. ა-ძეს (პ.ნ. ...) დაუბრუნდეს მ. ლ-ას (პ.ნ. ...) მიერ 2021 წლის 23 აპრილს № 10785257108 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარისა და შპს „კ. ს-ოს“ (ს.ნ.) მიერ 2021 წლის 28 ივლისის №084 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1930 (ათას ცხრაას ოცდაათი) ლარის, ჯამში 2230 (ორი ათას ორას ოცდაათი) ლარის 70% – 1561 (ათას ხუთას სამოცდაერთი) ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პარტნიორის გარიცხვა

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-441-2022

14 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
რ. ნადარაია (მომხსენებელი),
თ. ზამბახიძე**

დავის საგანი: პარტნიორთა კრების ჩატარების წესისა და შედეგების კანონიერად აღიარება, პარტნიორის გარიცხვა, საზოგადოების წილები შესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2020 წლის 23 მარტს, გ. რ-მა (შემდეგში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „ფ-ოს“, სს „ს. ბ-ის“, ბ. გ-ძისა და რ. ბ-ის მიმართ (შემდეგში – მოპასუხეები), შემდეგი სასარჩელო მოთხოვნებით:

1.1. შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) 2020 წლის 10 მარტის პარტნიორთა კრების ჩატარების წესისა და შედეგების კანონიერად აღიარება;

1.2. შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) პარტნიორის ბ. გ-ძის პარტნიორობიდან გარიცხვა;

1.3. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ბ. გ-ძის სახელზე აღრიცხული შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) 50% წილი საკუთრებაში გადაეცეს მეორე პარტნიორს, გ. რ-ს და გ. რ-ი ცნობილი იქნეს შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) 100% წილის მესაკუთრედ;

1.4. შპს „ფ-ო“ (ს/კ ...) ცნობილ იქნას თბილისში, ...-ის ქუჩა 3ა-ში, პირველ სართულზე მდებარე 94.81 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების (ს/კ ...) მესაკუთრედ;

1.5. გაუქმდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ, სააღსრულებო საქმეზე ... გავრცელებული ყადაღა უძრავ ნივთზე, მდებარე: თბილისში, ...-ის ქუჩა 3ა, პირველი სართული, 94.81 კვ.მ. ფართობი, (ს/კ ...);

1.6. გაუქმდეს სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ 2011 წლის 22 ნოემბრის ... იპოთეკის ხელშეკრულებით (რეესტრის ნომერი ...) და 2012 წლის 25 იანვრის 5111328-511144-540841-...-ა იპოთეკის ხელშეკრულებით (რეესტრის ნომერი ...) გავრცელებული იპოთეკა უძრავ ნივთზე, მდებარე: თბილისში, ...-ის ქუჩა 3ა, პირველი სართული, 94.81 კვ.მ. ფართობი (ს/კ ...);

1.7. სააღსრულებო ბიუროს ყადაღისგან, სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ 2011 წლის 22 ნოემბერს და 2012 წლის 25 იანვარს დატვირთული იპოთეკისგან თავისუფალ მდგომარეობაში შპს „ფ-ო“ (ს/კ ...) აღირიცხოს უძრავი ნივთის მესაკუთრედ, რომელიც მდებარეობს თბილისში, ...-ის ქუჩა 3ა-ში, პირველ სართულზე, 94.81 კვ.მ. ფართობი, (ს/კ ...).

2. მოპასუხეებმა წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 07 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, გ. რ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3.1. პირველი ინსტანციის სასამართლომ უდავოდ მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

3.1.1. შპს „ფ-ო“ (ს/კ ...) რეგისტრირებულია 2006 წლის 27 სექტემბერს. საზოგადოების დამფუძნებელ პარტნიორებს დაარსებიდან დღემდე წარმოადგენენ: ბ. გ-ძე – 50% და გ. რ-ი – 50%; ბ. გ-ძე ამავდროულად დაინიშნა კომპანიის დირექტორად და მიენიჭა საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. საზოგადოების ძირითად სამეწარმეო საქმიანობას წარმოადგენს იტალიური სამზარეულოს ტიპის რესტორნის მოწყობა. შპს „ფ-ო“ ფუნქციონირებდა მისამართზე, თბილისი, ...-ის ქუჩა №3ა, პირველი სართული, ფართი 94.81 კვ.მ., სახელწოდებით – კაფე „ფ-ო“. ასევე გააჩნდა ამავე სახელწოდების ფილიალი, მისამარ-

თზე: თბილისი, ... შრომითი ხელშეკრულების თანახმად, გ. რ-ი შპს „ფ-ოს“ კუთვნილ კვების ობიექტზე დასაქმებული იყო მენეჯერის თანამდებობაზე.

3.1.2. შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) წესდებით, პარტნიორები შეთანხმდნენ წინამდებარე დავისთვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ საკითხებზე:

დამფუძნებელ პარტნიორთა კრება არის საზოგადოების მმართველი ორგანო და შედგება პარტნიორებისგან ან მათი რწმუნებულებისგან (12.1 და 12.2 პუნქტები);

კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრებიან დამფუძნებელი პარტნიორები, რომელსაც საერთო ჯამში 50%-ზე მეტი ხმა გააჩნიათ. კრებას არა აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხზე, რომელიც არ არის ჩართული დღის წესრიგში (12.6 პუნქტი);

დამფუძნებელ პარტნიორებს კრებაზე გააჩნიათ საწესდებო კაპიტალში მათი წილის პროპორციული ხმების რაოდენობა და კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით (12.7 პუნქტი);

იმ შემთხვევაში, თუ დამფუძნებელ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება ერთ ან რამოდენიმე პარტნიორს, კერძოდ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საკითხის განხილვისას, ეს პარტნიორი კენჭისყრაში არ მონაწილეობს (12.8 პუნქტი);

პარტნიორთა კრების კომპეტენციას განეკუთვნება: საზოგადოების დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება... (13.1.5 პუნქტი); საზოგადოებიდან დამფუძნებელი პარტნიორის გარიცხვა (13.1.14 პუნქტი);

საზოგადოების მართვას ახორციელებს დირექტორი, რომელიც განაგებს საზოგადოების ქონებას, ფინანსური სახსრების ჩათვლით (14.3 პუნქტი).

3.1.3. სსიპ შემოსავლების სამსახურის 22.12.2012 წლის საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე, შპს „ფ-ოს“ გადასახდელად დაერიცხა 2319339,55 ლარი. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 1 ნოემბრის ცნობით შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) გადასახადი არ ერიცხება, ხოლო შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 31 აგვისტოს ბრძანებით გაუქმდა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება კომპანიის ქონებაზე.

3.1.4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ბ. გ-ძის სარჩელი მოპასუხე შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) მიმართ 2008 წლის 1 იანვრის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების შესახებ და კომპანიას ბ. გ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 249093,74 ლარის გადახდა. სარჩელის დაკმაყოფილების მიღების საფუძველი გახდა მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა. არსებულ დავაში მოპასუხეს, შპს „ფ-ოს“ დირექტორის ბ. გ-ძის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველ-

ზე, წარმოადგენდა ლ. ი-ძე, რომელიც ამავედროულად იყო კომპანიის ბუღალტერი.

3.1.5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 10.08.2011 წლის გადაწყვეტილებაზე 2011 წლის 18 აგვისტოს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაიწყო სააღსრულებო წარმოება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) კუთვნილი უძრავი ქონების (მდებარე თბილისში, ...-ის ქუჩა N3ა, პირველი სართული, ფართი 94.81 კვ.მ., ს/კ ...) იძულებით აუქციონზე რეალიზაცია. აღსრულების ეროვნული ბიუროს 08.11.2011 წლის განკარგულების საფუძველზე, იძულებით აუქციონზე გასხვისებული ქონების შემძენი გახდა რ. ბ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 127500 ლარად.

3.1.6. 2011 წლის 8 ნოემბერს დაარსდა კომპანია შპს „ფ-ო“, საიდენტიფიკაციო კოდით ..., რომლის 100% წილის მფლობელ დამფუძნებელ პარტნიორსაც წარმოადგენს რ. ბ-ი. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საგანია საკვები ობიექტის მართვა.

3.1.7. ფიზიკურ პირს, რ. ბ-სა და შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) შორის გაფორმებული აქტის საფუძველზე, რ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება (მდებარე თბილისში, ...-ის ქ. №3ა-ში, ს/კ ...), საზოგადოების კაპიტალში შესატანად უსასყიდლოდ გადაეცა შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...). დღეისთვის უძრავი ქონება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) სახელზე.

3.1.8. შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) კუთვნილ უძრავ ქონებაზე (მდებარე თბილისში, ...-ის ქ. №3ა-ში, ს/კ ...) სს „ს. ბ-ის“ მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, 22.11.2011 წლის ...-დ და 25.01.2012 წლის №511328-51144-54084-...-ა იპოთეკის ხელშეკრულებების საფუძველზე, რეგისტრირებულია ორი იპოთეკა. ამავე ქონებებზე კერძო აღმასრულებლის 14.09.2018 წლის მომართვის საფუძველზე რეგისტრირებულია საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა-ყადაღა.

3.1.9. არსებული იპოთეკის ხელშეკრულებების ფარგლებში, კრედიტორის – სს „ს. ბ-ის“ მოთხოვნის საფუძველზე, თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია სააღსრულებო საქმე №..., სადაც ერთ-ერთ მოვალეს წარმოადგენს შპს „ფ-ო“ (ს/კ ...). თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 მარტის განჩინებით, №... სააღსრულებო საქმეზე შეჩერდა სააღსრულებო წარმოება.

3.1.10. რ. ბ-ი არის ბ. გ-ძის მეუღლე.

3.1.11. 2020 წლის 6 სექტემბერს დარეგისტრირდა შპს „ლ-ო“, რომლის 100% წილის მფლობელ დამფუძნებელ პარტნიორს წარმოადგენს გ. რ-ი. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საგანია საკვები ობიექტის მართვა. საზოგადოებას გააჩნდა კვების ობიექტი (კაფე) მისამართზე: თბილისი, ... 14. ასევე გააჩნდა ფილიალი, მისამართზე: თბილისი, ...

3.1.12. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 თებერვლის განაჩენით, ბ. გ-ძე ცნობილი იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და დიდი ოდენობით), სსსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია) და სსსკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (გადასახადებისთვის თავის არიდება). ბ. გ-ძეს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. განაჩენი გასაჩივრდა სააპელაციო და საკასაციო წესით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 1 აგვისტოს განჩინებით დარჩა ძალაში.

3.1.13. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით, შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) უარი ეთქვა ბ. გ-ძის, რ. ბ-ისა და შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე, სადაც მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხეების მიერ ზიანის ანაზღაურება, რ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებული ქონებების 50%-ის მესაკუთრედ ბ. გ-ძის ცნობა, ბ. გ-ძის პარტნიორობიდან გარიცხვა და ბ. გ-ძის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება. გადაწყვეტილება გასაჩივრდა შპს „ფ-ოს“ (ს/კ) მიერ და მიმდინარეობს საქმის განხილვა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

3.1.14. 2020 წლის 10 მარტს ჩატარდა შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) პარტნიორობის კრება (განმეორებითი), დღის წესრიგით: ა) 28.02.2020 წელს მოწვეული კრების მიმოხილვა; ბ) ბ. გ-ძის შპს „ფ-ოს“ პარტნიორობიდან გარიცხვა; გ) საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების განხორციელება, გარიცხული პარტნიორის წილის მეორე პარტნიორის სახელზე აღრიცხვა; დ) ბ. გ-ძის შპს „ფ-ოს“ დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება; ე) შპს „ფ-ოს“ დირექტორად ლ. გ-ის დანიშვნა. კრებას ესწრებოდნენ გ. რ-ი (საზოგადოების 50% წილის მფლობელი პარტნიორი) და ბ. გ-ძის (საზოგადოების 50% წილის მფლობელი პარტნიორი) წარმომადგენელი ბ. გ-ძე.

3.1.15. პარტნიორობა 10.03.2020 წლის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ბ. გ-ძე გაირიცხა პარტნიორობიდან და მისი წილი საკუთრებაში გადაეცა გ. რ-ს, რის შედეგადაც გ. რ-ის სახელზე უნდა აღირიცხოს შპს „ფ-ოს“ წილი – 100%. ასევე ბ. გ-ძე გათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან და შპს „ფ-ოს“ დირექტორად დაინიშნა ლ. გ-ი. მითითებულ კრებაზე ბ. გ-ძის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ არცერთ საკითხს.

3.1.16. შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) პარტნიორობა 10.03.2020 წლის კრების ოქ-

მი სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნით წარედგინა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 16 მარტის გადანაცვებით, შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება, ვინაიდან კრებაზე გადანაცვებილება არ იყო მიღებული უფლებამოსილი პირის მიერ.

3.1.17. კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 10.08.2011 წლის გადანაცვებილებაზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება წარდგენილი არ ყოფილა. ასევე, ამავე გადანაცვებილების საფუძველზე წარმოებული სააღსრულებო წარმოების შედეგები ადმინისტრაციული წესით გ. რ-ს არ გაუსაჩივრებია.

3.2. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

3.2.1. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ ბ. გ-ძის, როგორც პარტნიორის ქმედება, ასევე, დირექტორის საქმიანობა ზიანის მომტანი იყო კომპანიისთვის.

3.2.2. სს „ს. ბ-ი“ წარმოადგენს კეთილსინდისიერ იპოთეკარს.

3.2.3. სასამართლომ დადგენილად არ მიიჩნია, რომ დღეისთვის სადავო უძრავი ქონების მესაკუთრე არის შპს „ფ-ო“ (ს/კ ...).

3.3. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

3.3.1. სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. რ-მა ვერ უზრუნველყო მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურება და უარი ეთქვა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. კერძოდ, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ზიანი, რომელიც შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) დაკისრებული ჰქონდა შემოსავლების სამსახურის 22.12.2012 წლის საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე, გაუქმდა და სსიპ შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 1 ნოემბრის ცნობით, შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) გადასახადი აღარ ერიცხებოდა, ხოლო, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება კომპანიის ქონებაზე გაუქმდა. ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ მითითებული განაჩენით დასტურდებოდა ბ. გ-ძის მხრიდან სახელმწიფოსთვის და არა კომპანიისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავდა მხოლოდ განაჩენზე დაყრდნობით მოპასუხის მხრიდან კომპანიისთვის ზიანის მიყენების ფაქტობრივი გარემოების დამტკიცების შესაძლებლობას.

3.3.2. სასამართლომ განმარტა, რომ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, როდესაც, სახეზეა კომპანიისათვის არსებითი ზიანის მიყენება, რაც არღვევს ნდობას პარტნიორთა შორის და რის გამოც, მათი

ერთობლივი საქმიანობა შეუძლებელი ხდება. გარდა ამისა, სახეზე უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირი, რომ ზიანი მხოლოდ პარტნიორის ქმედებამ გამოიწვია, რასაც მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ვერ ადასტურებდა.

3.3.3. სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ კომპანიის დაფუძნებისას, პარტნიორებმა საკუთარი წილი 50-50%-ით განსაზღვრეს, შესაბამისად, თავადვე გახდნენ გადაწყვეტილების მიღებანარიანობის რისკების მატარებელი და მოგვიანებით წარმოშობილი უთანხმოების გამო, საწარმოს ნაცვლად ავტონომიური გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით ისინი სასამართლოს ველარ მიმართავდნენ.

3.3.4. გარდა ზემოაღნიშნულისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ საფუძველი ეცლებოდა მესაკუთრედ ცნობის, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლებისა და უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული სხვა შეზღუდვების გაუქმების შესახებ მოთხოვნას და ამ მიმართებით, სასამართლომ განმარტა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს აღსრულების საგანზე მესამე პირის უფლების დაცვის გარანტიას. ზემოაღნიშნული მოთხოვნით სარჩელის წარდგენისას, მოსარჩელემ უნდა ადასტუროს სადავო ქონებაზე მისი საკუთრების უფლება. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) სახელზე სადავო უძრავი ქონების რეგისტრაციას წინ უძღოდა სააღსრულებო წარმოება, სადაც რ. ბ-მა უძრავი ქონება შეიძინა იძულებით აუქციონზე, აღმასრულებლის განკარგულების საფუძველზე. თავის მხრივ, სააღსრულებო წარმოება დაიწყო თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) ფიზიკური პირის – ბ. გ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის გადახდა. სასამართლომ უდავოდ მიიჩნია ის გარემოებაც, რომ გ. რ-ს არც თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 10.08.2011 წლის გადაწყვეტილებაზე წარუდგენია ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება და არც ამავ ე გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოებული სააღსრულებო წარმოების შედეგები გაუსაჩივრებია ადმინისტრაციული წესით. სასამართლოს განმარტებით, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ განაჩენზე დაყრდნობით რომც დადასტურებულიყო ქონების თაღლითური გზით სხვა პირის საკუთრებაში გადასვლა, საკუთრების წარმოშობის დამადასტურებელი საფუძველების ნამდვილობის პირობებში, მოქმედებდა ჩანაწერის მიმართ უტყუარობის პრეზუმფცია და მოსარჩელეს ვერ ექნებოდა იურიდიული ინტერესი მესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

3.3.5. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას სს „ს. ბ-ის“ სასარგებ-

ლოდ რეგისტრირებული იპოთეკის გაუქმების ნაწილში, სასამართლომ განმარტა, რომ იპოთეკის ხელშეკრულების ბათილობის შეფასებისას უნდა დადგენილიყო, იცოდა თუ არა იპოთეკარმა ამ დანაშაულებრივი სქემის შესახებ. სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოება დაიწყო სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ არსებული იპოთეკის ხელშეკრულებების რეგისტრაციის შემდგომ, შესაბამისად, ბანკისთვის ცნობილი ვერ იქნებოდა დანაშაულის ფაქტის ჩადენის შესახებ. უფრო მეტიც, როგორც უკვე აღნიშნა სასამართლომ, საკუთრების წარმოშობის დამადასტურებელი საფუძვლების ნამდვილობის პირობებში მოქმედებდა რეესტრის ჩანაწერის მიმართ უტყუარობის პრეზუმფცია და ისევე როგორც კეთილსინდისიერი შემძენის, კეთილსინდისიერი იპოთეკარის უფლებრივი მდგომარეობაც გარანტირებული იყო საჯარო რეესტრის სპეციფიკური დანიშნულებით.

4. პირველი ინსტანციის სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. რ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით, გ. რ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 07 ოქტომბრის გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. კერძოდ:

5.1.1. გ. რ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

5.1.2. შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) 2020 წლის 10 მარტის პარტნიორთა კრების ჩატარების წესი და შედეგები აღიარებულ იქნა კანონიერად;

5.1.3. შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) პარტნიორი ბ. გ-ძე გარიცხულ იქნა საზოგადოებიდან;

5.1.4. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ბ. გ-ძის სახელზე აღრიცხული შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) 50% წილი საკუთრებაში გადაეცა მეორე პარტნიორს – გ. რ-ს და გ. რ-ი ცნობილ იქნა შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) 100% წილის მესაკუთრედ;

5.1.5. შპს „ფ-ო“ (ს/კ ...) ცნობილ იქნა თბილისში, ...-ის ქუჩა 3ა-ში, პირველ სართულზე მდებარე 94.81 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების (ს/კ ...) მესაკუთრედ.

6. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

6.1. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ფ-ო“ (ს/კ ...) რეგისტრირებულია 2006 წლის 27 სექტემბერს. საზოგადოების დამ-

ფუძნებელ პარტნიორებს დაარსებიდან დღემდე წარმოადგენენ: ბ. გ-ძე – 50% და გ. რ-ი – 50%; ბ. გ-ძე ამავდროულად დაინიშნა კომპანიის დირექტორად და მიენიჭა საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. საზოგადოების ძირითად სამენარმეო საქმიანობას კი, იტალიური სამზარეულოს ტიპის რესტორნის მოწყობა წარმოადგენს. შპს „ფ-ო“ ფუნქციონირებდა მისამართზე: თბილისი, ...-ის ქუჩა №3ა, პირველი სართული, ფართი 94.81 კვ.მ., სახელწოდებით – კაფე „ფ-ო“. ასევე გააჩნდა ამავე სახელწოდების ფილიალი, მისამართზე: თბილისი, ... შრომითი ხელშეკრულების თანახმად, გ. რ-ი შპს „ფ-ოს“ კუთვნილ კვების ობიექტზე დასაქმებული იყო მენეჯერის თანამდებობაზე.

6.2. აპელანტი (მოსარჩელე) ითხოვდა ბ. გ-ძის პარტნიორობიდან გარიცხვას და მოთხოვნის საფუძველად უთითებდა სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ განაჩენს, რომლის თანახმად ბ. გ-ძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა თაღლითობის, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და გადასახადებისგან თავის არიდების საფუძველით. აღნიშნულ განაჩენზე დაყრდნობით აპელანტი (მოსარჩელე) განმარტავდა, რომ დადასტურებული იყო ბ. გ-ძის, როგორც პარტნიორის დანაშაულებრივი ქმედებები და როგორც დირექტორის ფიდუციური ვალდებულებების უხეში დარღვევა. მოპასუხის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებით კომპანიას მიადგა დიდი ოდენობით ზიანი და აზრს მოკლებული იყო პარტნიორების შემდგომი ერთობლივი საქმიანობის გაგრძელება.

6.3. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული განაჩენით დასტურდებოდა ბ. გ-ძის მხრიდან სახელმწიფოსთვის და არა კომპანიისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავდა მხოლოდ განაჩენზე დაყრდნობით მოპასუხის მხრიდან კომპანიისთვის ზიანის მიყენების ფაქტობრივი გარემოების დამტკიცების შესაძლებლობას და აღნიშნულის საპირისპიროდ, დასაბუთებულად მიიჩნია აპელანტის პოზიცია მასზედ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის განაჩენით დასტურდებოდა, რომ ბ. გ-ძემ, რომელიც არის შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) პარტნიორი და დირექტორი, თავისი მდგომარეობის გამოყენებით და დახმარებით ჩაიდინა: ა) სსსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და დიდი ოდენობით) გათვალისწინებული; ბ) სსსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია) გათვალისწინებული; გ) სსსკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (გადასახადებისთვის თავის

არიდება) გათვალისწინებული დანაშაულები. განაჩენის თანახმად, ქონებრივი უფლებების ხელში ჩაგდების მიზნით ბ. გ-ემ განახორციელა შემდეგი ქმედებები: ა) როგორც კომპანიის დირექტორმა, კომპანიის მიმართ არარსებული ვალის შესაქმნელად, შექმნა ფიქციური სესხის ხელშეკრულება; ბ) იგი მოქმედებდა ერთპიროვნულად, კერძოდ, ფიქციური სესხის ხელშეკრულების მხარეები იყვნენ ერთის მხრივ, ფიზიკური პირი – ბ. გ-ე, ხოლო მეორეს მხრივ, შპს „ფ-ო“, (ს/კ ...) რომლის დირექტორი იყო ბ. გ-ე; გ) სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მიმდინარე სამოქალაქო დავაზე შპს „ფ-ოს“ წარმომადგენელმა, ბ. გ-ის მინდობილმა პირმა – ლ. ი-ემ, ცნო სარჩელი და უარი განაცხადა მის გასაჩივრებაზე; დ) 2011 წლის 1 ნოემბერს, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოწყობილ აუქციონზე შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) კუთვნილი უძრავ-მოდრავი ქონება შეიძინა ბ. გ-ის მეუღლემ, რ. ბ-მა, რომელმაც იგივე ქონება შეიტანა 2011 წლის 8 ნოემბერს დაფუძნებული შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) სანესდებო კაპიტალში, ქონების გადამალვის მიზნით.

6.4. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 19.02.2016 წლის განაჩენის საფუძველზე დასტურდებოდა, რომ შპს „ფ-ოს“ დირექტორმა ბ. გ-ემ, ამავე საზოგადოების ქონების მოტყუებით დაუფლების მიზნით, შეადგინა 2008 წლის 1 იანვრით დათარიღებული ფიქტიური სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მას, როგორც ფიზიკურ პირს, შპს „ფ-ოს-თვის“ პერიოდულად, კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე ყოველთვიური 2%-იანი სარგებლის დარიცხვით უნდა ესესხებინა თანხა, არაუმეტეს 200000 ლარისა, რაც კომპანიას 2011 წლის 1 იანვრამდე უნდა დაებრუნებინა.

6.5. ასევე, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ აღნიშნული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ბ. გ-ემ აღძრა სარჩელი თანხის დაკისრების მოთხოვნით და მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, იძულებით აუქციონზე გასხვისდა შპს „ფ-ოს“ კუთვნილი უძრავ-მოდრავი ქონება, რომელიც შეიძინა ბ. გ-ის მეუღლემ რ. ბ-მა. გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით ბ. გ-ის დავალებით, კომპანიის თანამშრომლები აწარმოებდნენ ე.წ. „შავ ბუღალტერიას“, თანამშრომლები მუშაობდნენ ხელშეკრულების გარეშე, ოფიციალურად გაფორმებულ თანამშრომლებში გაცემული ხელფასის ოდენობა უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ხელზე აღებული, იმალებოდა რეალური შემოსავლები, ხოლო ხარჯები იზრდებოდა, რის გამოც მეორე პარტნიორი, გ. რ-ი, ვერ იღებდა კუთვნილი წილის შესაბამისად მოგებას.

6.6. ამავე განაჩენის მიხედვით, გამოკვეთილი მტკიცებულებებით ერთმნიშვნელოვნად დადგინდა, რომ ბრალდებულის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით დაზარალებულ გ. რ-ის მფლობელობიდან გავიდა მისი წი-

ლი, რომელიც შეადგენდა 50%-ს. საქმის მასალების საფუძველზე პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ფ-ოს“ კუთვნილი მოძრავი და უძრავი ქონება გატანილ იქნა იძულებით აუქციონზე. 2011 წლის 1 ნოემბერს გამართულ პირველ იძულებით აუქციონზე შპს „ფ-ოს“ უძრავი ქონება 127.500 ლარად, ხოლო მოძრავი ქონება 15.660 ლარად ბ. გ-ძის მეუღლის – რ. ბ-ის სახელით ფაქტობრივად შეიძინა ბ. გ-ძემ.

6.7. პალატამ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით ერთმნიშვნელოვნად დასტურდებოდა, რომ ბ. გ-ძემ დაარღვია ნაკისრი ვალდებულება – შელახა საზოგადოების მიზანი, რაც თავისთავად შეუძლებელს ხდიდა პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნებას; პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ საზოგადოების პარტნიორთა შორის არსებობდა უთანხმოება, უნდობლობა, რაც ბ. გ-ძესგან მომდინარეობდა, რომლის საფუძველი ბ. გ-ძის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული და ამორალური ქმედება იყო და მიუხედავად აღნიშნულისა, არ დააკმაყოფილა გ. რ-ის სარჩელი ბ. გ-ძის პარტნიორთა სიიდან გარიცხვასთან დაკავშირებით. პალატის შეფასებით, აღნიშნული უთანხმოება იმდენად სიღრმისეული იყო, რომ წარმოუდგენელი იქნებოდა შემდგომში პარტნიორების ერთობლივი საქმიანობის გაგრძელება. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ შეუძლებელი იქნებოდა სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საზოგადოებას მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობა გაეგრძელებინა.

6.8. ასევე, პალატამ ყურადღება მიაქცია საქმეზე დადგენილ გარემოებას, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის 22.12.2012 წლის საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე, შპს „ფ-ოს“ გადასახდელად დაერიცხა 2319339,55 ლარი. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 1 ნოემბრის ცნობით კი, შპს „ფ-ოს“ (ს/კ) გადასახადი არ ერიცხებოდა, ხოლო, შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 31 აგვისტოს ბრძანებით, გაუქმდა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება კომპანიის ქონებაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა ბ. გ-ძის სარჩელი მოპასუხე შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) მიმართ 2008 წლის 1 იანვრის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების შესახებ და კომპანიას ბ. გ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 249093,74 ლარის გადახდა. სარჩელის დაკმაყოფილების მიღების საფუძველი გახდა მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა. არსებულ დავაში მოპასუხეს, შპს „ფ-ოს“ დირექტორის – ბ. გ-ძის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, წარმოადგენდა ლ. ი-ძე, რომელიც ამავდროულად იყო კომპანიის ბუღალტერი.

6.9. პალატამ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 10.08.2011 წლის გადაწყვეტილებაზე 2011 წლის 18 აგვისტოს გაცემუ-

ლი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაიწყო სააღსრულებო წარმოება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) კუთვნილი უძრავი ქონების (მდებარე თბილისში, ...-ის ქუჩა №3ა, პირველი სართული, ფართი 94.81 კვ.მ., ს/კ ...) იძულებით აუქციონზე რეალიზაცია. აღსრულების ეროვნული ბიუროს 08.11.2011 წლის განკარგულების საფუძველზე, იძულებით აუქციონზე გასხვისებული ქონების შემძენი გახდა რ. ბ-ი, რომელმაც ქონება შეიძინა 127500 ლარად.

6.10. პალატამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ 2011 წლის 8 ნოემბერს დაარსდა კომპანია შპს „ფ-ო“, საიდენტიფიკაციო კოდით ..., რომლის 100% წილის მფლობელ დამფუძნებელ პარტნიორსაც წარმოადგენდა რ. ბ-ი. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საგანი კი, საკვები ობიექტის მართვა იყო. ფიზიკურ პირს, რ. ბ-სა და შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) შორის გაფორმებული აქტის საფუძველზე რ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება (მდებარე თბილისში, ...-ის ქ. №3ა-ში, ს/კ ...) საზოგადოების კაპიტალში შესატანად უსასყიდლოდ გადაეცა შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...).

დღეისთვის უძრავი ქონება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) სახელზე.

6.11. აპელანტი სააპელაციო საჩივრით ასევე მოითხოვდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ბ. გ-ძის სახელზე აღრიცხული შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) 50%-იანი წილის საკუთრებაში გადაცემას და შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) 100% წილის მესაკუთრედ ცნობას; ასევე, თბილისში, ...-ის ქუჩა 3ა-ში, პირველ სართულზე მდებარე 94.81 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების (ს/კ ...) მესაკუთრედ შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) ცნობას.

6.12. ზემოაღნიშნულთან მიმართებით სააპელაციო პალატამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ 2020 წლის 10 მარტს ჩატარდა შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) პარტნიორთა კრება (განმეორებითი), დღის წესრიგით: ა) 28.02.2020 წელს მოწვეული კრების მიმოხილვა; ბ) ბ. გ-ძის შპს „ფ-ოს“ პარტნიორობიდან გარიცხვა; გ) საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების განხორციელება, გარიცხული პარტნიორის წილის მეორე პარტნიორის სახელზე აღრიცხვა; დ) ბ. გ-ძის შპს „ფ-ოს“ დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება; ე) შპს „ფ-ოს“ დირექტორად ლ. გ-ის დანიშნა. კრებას ესწრებოდნენ გ. რ-ი (საზოგადოების 50% წილის მფლობელი პარტნიორი) და ბ. გ-ძის (საზოგადოების 50% წილის მფლობელი პარტნიორი) წარმომადგენელი ბ. გ-ძე. პარტნიორთა 10.03.2020 წლის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით ბ. გ-ძე გაირიცხა პარტნიორობიდან და მისი წილი საკუთრებაში გადაეცა გ. რ-ს, რის შედეგადაც გ. რ-ის სახელზე უნდა აღრიცხულიყო შპს „ფ-ოს“ წილი – 100%. ასევე ბ. გ-ძე გათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან და შპს „ფ-ოს“ დირექტორად დაინიშნა ლ. გ-ი. მითითებულ კრებაზე ბ. გ-ძის წარმომად-

გენელი არ დაეთანხმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ არცერთ საკითხს. შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) პარტნიორთა 10.03.2020 წლის კრების ოქმი სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნით წარედგინა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება, ვინაიდან კრებაზე გადაწყვეტილება არ იყო მიღებული უფლებამოსილი პირის მიერ.

6.13. პალატის მითითებით, ზემოაღნიშნული კრების ოქმის სასამართლოს გზით კანონიერად აღიარების შედეგად დადასტურდებოდა შპს „ფ-ოს“ დირექტორობიდან ბ. გ-ძის გათავისუფლებისა და ახალ დირექტორად გ. გ-ის დანიშვნის საკითხი.

6.14. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ შპს „ფ-ოს“ წესდების თანახმად, დამფუძნებელ პარტნიორთა კრება არის საზოგადოების მმართველი ორგანო და შედგება პარტნიორებისგან ან მათი რწმუნებულებისგან, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების დირექტორის დანიშვნის/გამოწვევის შესახებ და კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრებიან დამფუძნებელი პარტნიორები, რომელსაც საერთო ჯამში 50%-ზე მეტი ხმა გააჩნიათ. ამასთან, დამფუძნებელ პარტნიორებს კრებაზე გააჩნიათ სანესდებო კაპიტალში მათი წილის პროპორციული ხმების რაოდენობა და კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით. იმ შემთხვევაში, თუ დამფუძნებელ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება ერთ ან რამოდენიმე პარტნიორს, კერძოდ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საკითხის განხილვისას, ეს პარტნიორი კენჭისყრაში არ მონაწილეობს. მოსარჩელის განმარტებით, დღის წესრიგში დირექტორის თანამდებობიდან ბ. გ-ძის გადაყენების, ასევე პარტნიორობიდან გარიცხვის საკითხი დადგა სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენის საფუძველზე.

6.15. პალატამ გაიზიარა აპელანტის განმარტება იმის თაობაზე, რომ შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე არ დაუკარგავს და არც საკუთარი ნებით არავისთვის არ გადაუცია. სადავო უძრავი ქონება ჯერ რ. ბ-ის და შემდეგ შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) სახელზე აღმოჩნდა ბ. გ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, თაღლითობით, ანუ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებითა და ქონებრივი უფლების მოტყუებით მიღებით და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის შედეგად, რისი უარყოფაც ეწინააღმდეგებოდა კეთილსინდისიერების პრინციპს და აღნიშნულის დასადასტურებლად, პალატამ კიდევ ერთხელ მიუთითა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა 19.02.2016 წლის განაჩენით დადგენილ და დამტკიცებულ გარემოებაზე: გამოკვლეული მტკი-

ცებულებებით ერთმნიშვნელოვნად დგინდებოდა, რომ ბრალდებულის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით დაზარალებულ გ. რ-ის მფლობელობიდან გავიდა მისი წილი, რომელიც შეადგენდა 50%-ს. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ შპს „ფ-ოს“ კუთვნილი მოძრავი და უძრავი ქონება გატანილ იქნა იძულებით აუქციონზე. 2011 წლის 1 ნოემბერს გამართულ პირველ იძულებით აუქციონზე შპს „ფ-ოს“ უძრავი ქონება 127.500 ლარად, ხოლო მოძრავი ქონება 15.660 ლარად ბ. გ-ძის მეუღლის – რ. ბ-ის სახელით ფაქტობრივად შეიძინა ბ. გ-ძემ. შესაბამისად, მიხედვად იმისა, რომ რ. ბ-მა უძრავი ქონება შეიძინა აუქციონზე, პალატის მოსაზრებით, იგი ვერ ჩაითვლებოდა უძრავი ქონების კეთილსინდისიერ შემძენად და შესაბამისად მესაკუთრედ.

6.16. რაც შეეხება აპელანტის (მოსარჩელის) მოთხოვნას სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკის გაუქმების თაობაზე, სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე პალატამ დაადგინა, რომ მოთხოვნილ უძრავ ქონებაზე იპოთეკა გაუქმებული იყო, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის ზემოაღნიშნულ მოთხოვნის მიმართ, აღარ არსებობდა ინტერესი.

7. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბ. გ-ძემ, შპს „ფ-ომ“ (...) და რ. ბ-მა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

7.1. ბ. გ-ძის საკასაციო მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

7.1.1. კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ მცდარად ასახა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოება. კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ იგი დადგენილად ვერ მიიჩნევდა, რომ დღეისათვის სადავო უძრავი ქონების მესაკუთრე არის შპს „ფ-ო“ (ს/კ ...), ხოლო, სააპელაციო პალატამ დასახელებული სადავო ფაქტობრივი გარემოების ფორმულირება შეცვალა და მიუთითა, რომ სასამართლომ ზემოაღნიშნული გარემოება დადგენილად მიიჩნია, რაც საბოლოო ჯამში დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი გახდა.

7.1.2. კასატორის მითითებით, სააპელაციო პალატამ არ შეაფასა, არ იმსჯელა და არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ უდავო ფაქტობრივ გარემოებას მასზედ, რომ კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 10.08.2011 წლის გადაწყვეტილებაზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება წარდგენილი არ ყოფილა. ამასთან, ამავე გადაწყვეტილების საფუძ-

ველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოების შედეგები ადმინისტრაციული წესით გ. რ-ს არ გაუსაჩივრებია. აღნიშნული უდავო ფაქტობრივი გარემოების შეფასების გარეშე, სააპელაციო პალატამ არსებითად მცდარად და კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნია რ. ბ-ი არაკეთილსინდისიერ შემძენად და ისე ჩამოართვა აუქციონზე შეძენილი ქონება მესაკუთრეს, რომ მხედველობაში არ მიიღო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვით, სააღსრულებო წარმოებისას ქონების შემძენისათვის საკუთრების მინიჭების შესახებ განკარგულება არის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო, იმისათვის, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივმა აქტმა ძალა დაკარგოს, ის უნდა გახდეს საცილო და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული საპროცესო წესით შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით კი, იქმნება საშიში პრეცედენტი იმისა, რომ აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ადმინისტრაციული წარმოების წესით ძალადაკარგულად ან ბათილად ცნობის გარეშე, შეძენილი უფლება ცნობილ იქნეს არარად და შეძენილი საკუთრება ჩამორთმეულ იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამასთან, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატას არ მიუცია შეფასება იმ უმნიშვნელოვანესი ფაქტობრივი გარემოებისათვის, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილ თბილისის საქალაქო სასამართლოს 19.02.2016 წლის განაჩენში, არსად არის მტკიცება იმის თაობაზე, რომ რ. ბ-ის მიმართ, რომელმაც კანონიერად გამართულ აუქციონზე შეიძინა ქონება და შემდგომ, იგივე ქონება შეიტანა 2011 წლის 8 ნოემბერს დაფუძნებულ შპს „ფ-ოს“ სანესდებო კაპიტალში, დაიწყო, მიმდინარეობდა ან შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა.

7.1.3. კასატორის განმარტებით, მისთვის გაუგებარი და დაუსაბუთებელი დარჩა, ეთანხმება თუ არა სააპელაციო პალატა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომლის მიხედვითაც სასამართლოს განაჩენს პირდაპირ დადგენილი პრეიუდიციული ძალა არ გააჩნია და სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენი განსახილველ დავაში წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას, რომელიც სსსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, საჭიროებს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეფასებას. კასატორის მითითებით, განსახილველი სარჩელი არ მიეკუთვნება სსსკ-ით გათვალისწინებულ, ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ დავათა კატეგორიას, ხოლო, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ვერ მოისმინა განმარტება მასზედ, თავად სააპელაციო სასამართლო მიიჩნევდა თუ არა განსახილველ სარჩელს სსსკ-ით გათვალისწინებულ, ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ დავა-

თა კატეგორიად.

7.1.4. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატის შეფასება მასზედ, რომ ბ. გ-ძე არის არაკეთილსინდისიერი და ამორალური ქმედების განმახორციელებელი პირი, რომელმაც თითქოსდა მისი მართვის ქვეშ მყოფი კომპანიის – „ფ-ოს“ და 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის – გ. რ-ის ინტერესების საზიანოდ იმოქმედა, არის დაუსაბუთებელი, რადგან თვით სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებები ხაზს უსვამს საზოგადოების მართვისას ბ. გ-ძის კეთილსინდისიერ მოქმედებას ამავე საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ, რამეთუ სწორედ ბ. გ-ძის პირადი თანხა – 50 000 აშშ დოლარი მოხმარდა კომპანიის მიერ სადავო უძრავი ქონების შეძენას, ხოლო, სასამართლოზე თავად გ. რ-ის მიერ მიცემული ჩვენებიდან ცალსახად ირკვევა, რომ მან კომპანია პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე, 2010 წლიდან საკუთარი ნებით მიატოვა და სათანადო გულისხმიერებითა და პროფესიონალიზმით ვერ უზრუნველყო მის მოვალეობის შესრულება კლიენტებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. კერძოდ, მაკონტროლებელმა ორგანომ, სწორედ მისი მართვის სფეროში გამოავლინა დარღვევები მასზედ, რომ არ ხდებოდა კლიენტისაგან შეკვეთილი პროდუქტის საცვლოდ, სათანადო ჩეკის ამოწერა.

7.1.5. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა ბ. გ-ძესა და შპს „ფ-ოს“ შორის გაფორმებული 2008 წლის 01 იანვრის სესხის ხელშეკრულების ფიქტიური ხასიათი, რომ არ იმსჯელა და არ შეაფასა ის გარემოება, რომ მითითებული გარიგება არასოდეს გამხდარა გ. რ-ის მხრიდან შეცილების საგანი სამოქალაქო სამართალი წარმოების წესით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 19.02.2016 წლის განაჩენის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია ზუსტი დრო, თუ როდის გახდა ცნობილი გ. რ-ისათვის ფიქტიურ სესხად მიჩნეული გარიგების დადების შესახებ და სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის შესაბამისად, შეცილებისათვის დადგენილ ვადაში მიმართა თუ არა სასამართლოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მიმართა თუ არა მოთხოვნის დაკმაყოფილების სხვა საშუალებას. სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია და არ გამოურიცხავს, თუ რატომ ვერ იქნებოდა ცნობილი გ. რ-ისათვის, როგორც შპს „ფ-ოს“ 50%-იანი წილის მესაკუთრისა და კომპანიის ერთ ერთი პასუხისმგებელი მენეჯერისათვის, 2008 წლის 01 იანვრის სესხის ხელშეკრულების არსებობის ფაქტი 2011 წლის ნოემბრამდე, როგორც მითითებულია განაჩენში დაფიქსირებულ გ. რ-ის ჩვენებაში.

7.1.6. კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატას ასევე, არ დაუდგენია და საქმეში არ მოიპოვება რაიმე სახის მტკიცებულება მასზედ, რომ კომპანია შპს „ფ-სა“ და ფიზიკურ პირ ბ. გ-ძეს შორის 2008

წლის 01 იანვარს გაფორმებული სესხი არ იყო მიზნობრივი და რომ საბუღალტრო დოკუმენტებით არ დასტურდება, რომ სესხად შესული თანხები ხმარდებოდა სწორედ საზოგადოების საქმიანობებს. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საზოგადოების ბუღალტრის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა არც კი დაწყებულია.

7.1.7. კასატორის მითითებით, სააპელაციო პალატამ არ შეაფასა და მსჯელობის მიღმა დატოვა ის გარემოება, რომ შპს „ფ-ომ“ 2007 წელს 300 000 აშშ დოლარად ...-ის ქუჩაზე შეიძინა უძრავი ქონება, საიდანაც 250 000 აშშ დოლარი იყო ბანკის კრედიტი, ხოლო 50 000 აშშ დოლარი – ბ. გ-ძის პირადი სახსრები და მოსარჩელეს ამ მხრივ, ფინანსურად მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია. ბანკის კრედიტის გასტუმრებაც ბ. გ-ძის პირადი თანხებით ხდებოდა, რომელსაც იგი სესხად გადასცემდა შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...).

7.1.8. ასევე, კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა და მსჯელობის მიღმა დატოვა ის გარემოებაც, რომ ბ. გ-ძემ, როგორც საზოგადოების დირექტორმა და ხელმძღვანელმა გაასაჩივრა მაკონტროლებელი ორგანოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, სსიპ შემოსავლების სამსახურის 22.12.2012 წლის საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე, შპს „ფ-ოს“ გადასახდელად დაერიცხა 2319339,55 ლარი, ხოლო სსიპ შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 1 ნოემბრის ცნობით, შპს „ფ-ოს“ გადასახადი არ ერიცხება; შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 31 აგვისტოს ბრძანებით კი, გაუქმდა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება კომპანიის ქონებაზე.

7.1.9. კასატორი აღნიშნავს, რომ შპს „ფ-ოს“ მიმართ დარიცხული უკანონო გადასახადების გაუქმებისა და ჩამოწერისათვის სამართლებრივ დავას ბ. გ-ძე აწარმოებდა და საქმეში არ მოიპოვება რაიმე სახის მტკიცებულება მასზედ, რომ გ. რ-მა, როგორც საზოგადოების პარტნიორმა, რაიმე ფორმით განახორციელა სამართლებრივი დავის უზრუნველყოფა კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, რასაც შედეგად გადასახადების ანუღირება მოჰყვებოდა. აქედან გამომდინარე, კასატორისათვის გაუგებარია, თუ რატომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატამ პირველი ინსტანციის სასამართლოს ის დასაბუთებული მოტივაცია, რომლითაც სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია მასზედ, რომ ბ. გ-ძის, როგორც პარტნიორის ქმედება, ასევე დირექტორის საქმიანობა ზიანის მომტანი იყო კომპანიისთვის.

7.1.10. კასატორი იმასაც აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით, შპს „ფ-ოს“ უარი ეთქვა ბ. გ-ძის, რ. ბ-ისა და შპს „ფ-ოს“ მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე, სადაც მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხე-

ების მიერ ზიანის ანაზღაურება, რ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებული ქონებების 50%-ის მესაკუთრედ ბ. გ-ძის ცნობა, ბ. გ-ძის პარტნიორობიდან გარიცხვა და ბ. გ-ძის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება, რაც ფაქტობრივად განსახილველი საქმის იდენტური სასარჩელო მოთხოვნაა იმავე მხარეებს შორის.

7.1.11. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ განახორციელა უხეში ჩარევა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით აღიარებულ საკუთრების უფლებაში და კასატორ ბ. გ-ძეს უკანონოდ, სათანადო სამართლებრივი საფუძვლების გარეშე ჩამოართვა შპს „ფ-ოს“ 50%-იან წილზე საკუთრების უფლება; ასევე, უკანონოდ ჩამოართვა „ფ-ოს“ საჯარო რეესტრში კანონიერების დაცვით რეგისტრირებული უძრავი ქონება, მდებარე: თბილისში, ...-ის ქ. №3-ში, ს/კ...

7.2. შპს „ფ-ოს“ და რ. ბ-ის საკასაციო მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

7.2.1. კასატორების განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისად, არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. კასატორები აღნიშნავენ შემდეგს:

7.2.1.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა აპელანტის განმარტება იმის თაობაზე, რომ თითქოსდა შპს „ფ-ოს“ საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე საერთოდ არ დაუკარგავს და არც საკუთარი ნებით არავისთვის გადაუცია ეს უფლება, რის გამოც, სადავო ქონება გადაწყვეტილებით არასწორად მიაკუთვნა სხვას, მაშინ, როდესაც საუბარია კეთილსინდისიერ შემძენზე, შპს „ფ-ოზე“, რომლის საკუთრებაშიც ეს ქონება აღმოჩნდა რ. ბ-ის მიერ სანესდებო კაპიტალში განხორციელებული შენატანის შედეგად.

7.2.1.2. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, თუ მესამე პირი ამტკიცებს, რომ მას აღსრულების საგანზე გააჩნია უფლება, მაშინ იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ხდება აღსრულება, მესამე პირს შეუძლია აღძრას სარჩელი. ასეთ სარჩელს სასამართლო განიხილავს სასარჩელო წარმოების წესით (სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ). მითითებული ნორმით დადგენილია აღსრულების საგანზე მესამე პირის უფლების დაცვის გარანტია. აღნიშნული მოთხოვნით სარჩელის წარდგენისას მოსარჩელემ უნდა ადასტუროს სადავო ქონებაზე მისი საკუთრების უფლება. განსახილველ შემთხვევაში, გ. რ-ს არც აღსრულების მასალები არ გაუსაჩივრებია და არც თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც მოახ-

დინა აღსრულების ეროვნულმა ბიურომ.

7.2.1.3. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ კეთილსინდისიერი შემძენის – შპს „ფ-ოს“ სახელზე სადავო უძრავი ქონების რეგისტრაციას წინ უძღოდა საჯარო სააღსრულებო წარმოება, სადაც რ. ბ-მა უძრავი ქონება შეიძინა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ორგანიზებულ იძულებით აუქციონზე, აღმასრულებლის განკარგულების საფუძველზე. თავის მხრივ, სააღსრულებო წარმოება დაიწყო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 10 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რომლითაც პირვანდელ შპს „ფ-ოს“, როგორც მოვალეს, მისი კრედიტორის ბ. გ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის გადახდა. უდავოა, რომ გ. რ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 10 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია. მას არც ადმინისტრაციული წესით გაუსაჩივრებია ამავე გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოებული სააღსრულებო წარმოების შედეგები.

7.2.1.4. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი გ. რ-ის იურიდიულ ინტერესთან მიმართებაში. თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნული ნორმის განმარტებისას გამოიყენა უზენაესის სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკაც (იხ. სუსგ №ას-839-805-2016, 06.03.2017წ.) და სწორად მიუთითა, რომ სისხლის სამართლის განაჩენის არსებობის მიუხედავად, საკუთრების წარმოშობის დამადასტურებელი საფუძველების ნამდვილობის პირობებში, მოქმედებს ჩანაწერის მიმართ უტყუარობის პრეზუმფიცია და მოსარჩელეს ვერ ექნება იურიდიული ინტერესი მესაკუთრედ ცნობის თაობაზე. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად უთხრა უარი გ. რ-ს სადავო უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობაზე.

7.2.1.5. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რაც არსებითი იყო საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გადაანაწილა მხარეებს შორის მტკიცების ტვირთი. კერძოდ, სასამართლომ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ პირვანდელ შპს „ფ-ოს“ საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე არ დაუკარგავს და არც საკუთარი ნებით არავისთვის გადაუცია იგი, მაშინ როდესაც, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სადავო უძრავი ქონების რეალიზაცია საჯარო აუქციონზე მოხდა კანონიერ ძალაში შესული 2011 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. აღნიშნულ აუქციონზე ნებისმიერ მესამე პირს შეეძლო მონაწილეობის მიღება და ქონების შეძენა. ის, რომ რ. ბ-მა (გ. გ-ძის მეუღლემ) ბანკიდან აღებული კრედიტის სა-

ფუძველზე, საკუთარი სახსრებით შეიძინა აღნიშნული ქონება, ეს გარემოება არ უნდა გამხდარიყო რ. ბ-ის ქმედების სამართლებრივად უარყოფითად შეფასების საფუძველი. მის ადგილას შეიძლება სულ სხვა პირი ყოფილიყო.

7.2.1.6. სასამართლომ შეფასების მიღმა დატოვა საქმისათვის ისეთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოებები, როგორებიცაა:

ა) რ. ბ-ის მიერ კომერციული ბანკიდან საკუთარი რისკისა და პირადი და მესამე პირთა ქონებების უზრუნველყოფით კრედიტის აღება;

ბ) რ. ბ-ის მიერ ბანკიდან აღებული კრედიტით საჯარო აუქციონზე მონაწილეობა და ამ აუქციონზე ქონების შეძენა;

გ) რ. ბ-ის მიმართ არ არსებობს სისხლისსამართლებრივი განაჩენი სადავო ქონების მითვისებასთან დაკავშირებით.

დ) რ. ბ-მა, რომელმაც კანონიერად შეიძინა სადავო ქონება აუქციონზე, შემდეგ ეს ქონება ასევე კანონიერად (მენარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული წესით) შეიტანა შპს „ფ-ოს“ სანესდებო კაპიტალში.

7.2.1.7. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, შპს „ფ-ოს“ კუთვნილი ქონება საკუთრებაში გადაეცა სხვა პირს – პირვანდელ შპს „ფ-ოს“, რითაც აშკარად იქნა დარღვეული საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით, ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლითა და სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლით გარანტირებულ საკუთრების უფლება.

7.2.1.8. სააპელაციო სასამართლომ სადავო გადაწყვეტილებაში უპირობოდ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, თითქოსდა თავდაპირველ შპს „ფ-ოს“ არ დაუკარგავს საკუთრების უფლება ქონებაზე. ასეთი მსჯელობა არასწორია, ვინაიდან, საკუთრების უფლების დაკარგვა გულისხმობს საჯარო რეესტრში კონკრეტულ მესაკუთრეზე შესაბამისი ჩანაწერის გაუქმებას. ფაქტია, რომ თავდაპირველმა შპს „ფ-ომ“ საკუთრების უფლება დაკარგა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც 2011 წლის 14 ოქტომბრის ამონაწერით რ. ბ-ის საკუთრებად აღირიცხა აუქციონზე შეძენილი სადავო ქონება, ხოლო, თავდაპირველი შპს „ფ-ო“ თავის საკუთრების უფლებას კიდევ უფრო დასცილდა მაშინ, როდესაც 2011 წლის 9 დეკემბრის ამონაწერით დადასტურდა რ. ბ-ის მიერ შპს „ფ-ოს“ სანესდებო კაპიტალში აუქციონზე შეძენილი ქონების შეტანა. ამ ბოლო განკარგვითი გარიგებიდან გადის 11 წელი (დგება 2022 წელი) და სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკუთრების უფლება თავდაპირველ შპს „ფ-ოს“ თურმე არ დაუკარგავს.

7.2.1.9. სამართლებრივი ბმა არა აქვს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, როდესაც კეთილსინდისიერი შემძენის – შპს „ფ-ოს“ ქონების სხვა პირზე (გ. რ-ძე) მიკუთვნება მან დაუკავშირა სხვა პირის – ბ.

გ-ძის მიერ, თითქოსდა ჩადენილ დანაშაულს. ამ დანაშაულთან არც ერთ კასატორს არავითარი შემხებლობა არ აქვს. უფრო მეტიც, არც ერთ კასატორს პროცესუალური სტატუსიც კი არ ჰქონია გამოძიებასა და სიხლის სამართლის საქმეში.

7.2.1.10. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმადაც, საკუთრების უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. ნიშანდობლივია, რომ რ. ბ-იც და შპს „ფ-ოც“ თავად აპელირებდნენ კონსტიტუციის მე-19 მუხლზე და ითხოვდნენ საკუთრების უფლების დაცვას, რომელიც მათ შეიძინეს კანონიერად. მართალია, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კონსტიტუციის ზემოაღნიშნული მუხლი, მაგრამ იგი არასწორად განმარტა, როდესაც კასატორების მიერ კანონიერად შეძენილი ქონება არასწორად მიაკუთვნა აპელანტს თითქმის 10 წელზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ.

7.2.1.11. კასატორების საკუთრების წარმომშობი და მათი უფლების დამდგენი დოკუმენტები (სააღსრულებო წარმოების მასალები/ქონების კაპიტალში შეტანის გადანიშნულებები) არ გასაჩივრებულა გ. რ-ის მიერ. ამის მიზეზად სხდომაზე გ. რ-ი მათ ხანდაზმულობაზე მიუთითებდა, რომ იგი ვეღარ გაასაჩივრებდა ვერც უფლების დამდგენ დოკუმენტებს და ვერ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 10 აგვისტოს გადანიშნულებას მათი ხანდაზმულობის გამო. სააპელაციო სასამართლომ კი, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და მოთხოვნის ხანდაზმულობის მიუხედავად, მაინც მიაკუთვნა ქონება აპელანტს.

7.2.1.12. მოცემულ საქმეში იკვეთება სასამართლოს მხრიდან სამართლის ფუნდამენტური პრინციპის დარღვევა: „დაუშვებელია პასუხისმგებლობა სხვის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის“. თუკი დანაშაული ჩაიდინა ბ. გ-ემ და მის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, სააპელაციო სასამართლომ რატომ აზღვევინა ქონებით ეს დანაშაული კასატორებს და რატომ ჩამოართვა მათ საკუთრების უფლება შეძენილ ქონებაზე.

7.2.1.13. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 170-ე-172-ე მუხლები გ. რ-ის მიმართ, რადგან აღნიშნული მუხლები იცავენ მესაკუთრის უფლებებს. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ უძრავი ქონება წარმოადგენს შპს „ფ-ოს“ საკუთრებას და აღნიშნული ნორმების სწორად გამოყენების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს უნდა დაეცვა სწორედ ამჟამინდელი კეთილსინდისიერი შემძენის – შპს „ფ-ოს“ საკუთრების უფლება.

7.2.1.14. სააპელაციო სასამართლომ კასატორების მიმართ არასწორად გამოიყენა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი, რომლითაც სასამართლოში საქმის სამართლიანი განხილვის (და არა: სამართლიანი სასამართლოს) უფლების რეალიზება, უმეტესწილად, დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე დამყარებული გადაწყვეტილების მიღებას. განსახილველ შემთხვევაში, გ. რ-მა ვერ უზრუნველყო მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურება, რის გამოც სწორად უთხრა უარი საქალაქო სასამართლომ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ამიტომაც, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 07 ოქტომბრის გადაწყვეტილება არ უნდა გაუქმებულიყო.

7.2.1.15. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი, რომელიც ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლებას აძლევს, შუფერხებლად ისარგებლოს თავისი საკუთრებით და მისი ჩამორთმევა მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისთვისაა გამართლებული. ფაქტია, რომ შპს „ფ-ო“ წარმოადგენდა სადავო უძრავი ქონების ბოლო მესაკუთრეს – კეთილსინდისიერ შემძენს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია კასატორის მიმართ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი, როდესაც მისი ქონება მიაკუთვნა სხვა პირს – გ. რ-ს.

7.2.1.16. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი, რომლის თანახმად, რეესტრის ჩანაწერის მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია. კეთილსინდისიერი შემძენის უფლებრივი მდგომარეობა გარანტირებულია საჯარო რეესტრის სპეციფიკური დანიშნულებით. განსახილველ შემთხვევაში, ქონება გასხვისდა საჯარო აუქციონზე. იგი შეიძინა კასატორმა რ. ბ-მა. ამასთან, რ. ბ-მა ქონება შეიძინა თავისუფალ მდგომარეობაში, რომელიც არ იმყოფებოდა არავითარი სამართლებრივი შეზღუდვის ქვეშ. ამის შემდეგ, რ. ბ-მა სადავო ქონება, შესაბამისი სამეწარმეოსამართლებრივი აქტის საფუძველზე (პარტნიორის გადაწყვეტილება), შეიტანა მეორე კასატორის, შპს „ფ-ოს“ საწესდებო კაპიტალში და სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენდა 2011 წლიდან აღნიშნული ქონების მესაკუთრეს.

7.2.1.17. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი. განსახილველ შემთხვევაში, სადავო უძრავი ქონება იყო თავდაპირველი შპს „ფ-ოს“ საკუთრება, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით იქცა მოვალედ და დაეკისრა თანხის გადახდა. მისი, როგორც

მოვალის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება კი, განხორციელდა იძულების წესით – აუქციონზე. შესაბამისად, როდესაც რ. ბ-ი საჯარო აუქციონზე ბანკისაგან ნასესხები თანხით ყიდულობდა ქონებას, იგი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერი იყო, რადგან ქონება გამოტანილი იყო საჯაროდ და აუქციონში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ნებისმიერ მესამე პირს (მათ შორის გ. რ.-ს). არსებობდა თეორიული დაშვება იმისაც, რომ აუქციონის გამარჯვებული სრულიად სხვა პირი გამხდარიყო. უფრო მეტად დასაბუთებული კეთილსინდისიერება არსებობს შპს „ფ-ოს“ მიმართ, რომელსაც რ. ბ-მა შენატანის სახით საწესებო კაპიტალში გადასცა მას აუქციონზე შეძენილი ქონება. არც სააღსრულებო წარმოება და არც საწესდებო კაპიტალში ქონების გადაცემა არ გაუხდია სადავოდ აპელანტს. ამ გარემოებების უგულებელყოფით, სასამართლომ უკანონოდ მიაკუთვნა მოსარჩელეს შპს „ფ-ოს“ ქონება.

7.2.1.18. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საკასაციო სასამართლოს განმარტებები კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლო სადავო გადაწყვეტილებაში თავად განმარტავს კეთილსინდისიერების პრიციპს, მის ფუნქციებს და ყველა ფუნქციას უკავშირებს მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებას. განსახილველ შემთხვევაში, რ. ბ-სა და შპს „ფ-ოს“ (ს/კ ...) ან/და ბ. გ-ძეს შორის არ დადებულია ხელშეკრულება უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ. შესაბამისად, სასამართლოს განმარტებები კეთილსინდისიერების პრინციპთან დაკავშირებით არ შეიძლება გამოყენებული იქნეს კასატორების საწინააღმდეგოდ.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 30 მაისის განჩინებებით, ბ. გ-ძის, შპს „ფ-ოსა“ და რ. ბ-ის საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 18 ნოემბრის განჩინებით, ბ. გ-ძის საკასაციო საჩივარი 2020 წლის 10 მარტის პარტნიორთა კრების ჩატარების წესისა და შედეგების კანონიერად აღიარების, პარტნიორის გარიცხვისა და საზოგადოების წილზე მესაკუთრედ ცნობის შესახებ მოთხოვნების ნაწილში ცნობილ იქნა დასაშვებად, ხოლო, უძრავი ქონების (მდებარე: ქ. თბილისში, ...-ის ქუჩა 3ა, პირველი სართული, 94.81 კვ.მ. ს/კ ...) მესაკუთრედ შპს „ფ-ოს“ ცნობის ნაწილში დარჩა განუხილველი, დაუშვებლობის გამო; ამასთან, შპს „ფ-ოსა“ და რ. ბ-ის საკასაციო საჩივარიც დარჩა განუხილველი, დაუშვებლობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

10. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო სა-

ჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევა, რომ გამოიკვეთა სსსკ-ის 412-ე მუხლის წინაპირობები, რის შედეგადაც მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე 2020 წლის 10 მარტის პარტნიორთა კრების ჩატარების წესისა და შედეგების კანონიერად აღიარების, პარტნიორის გარიცხვისა და საზოგადოების წილზე მესაკუთრედ ცნობის შესახებ მოთხოვნების ნაწილში ხელახალი განხილვის მიზნით, იმავე სასამართლოს უნდა დაუბრუნდეს.

11. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ხოლო, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

12. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია განსახილველი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

12.1. სამენარმოო რეესტრში შპს „ფ-ოს“ დაარსების დღიდან დღემდე ირიცხება ორი პარტნიორი: მოსარჩელე – გ. რ-ი და მოპასუხე – ბ. გ-ძე, თითოეული 50%-50%-იანი წილით; პარტნიორული წილების ამგვარი გადანაწილების პირობებში, საწარმოს დირექტორია მოპასუხე – ბ. გ-ძე.

12.2. შპს „ფ-ოს“ წესდებით, დამფუძნებელ პარტნიორთა კრება არის საზოგადოების მმართველი ორგანო და შედგება პარტნიორებისგან ან მათი რწმუნებულებისგან (12.1 და 12.2 პუნქტები);

კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრებიან დამფუძნებელი პარტნიორები, რომელსაც საერთო ჯამში 50%-ზე მეტი ხმა გააჩნიათ. კრებას არა აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხზე, რომელიც არ არის ჩართული დღის წესრიგში (12.6 პუნქტი);

დამფუძნებელ პარტნიორებს კრებაზე გააჩნიათ საწესდებო კაპიტალში მათი წილის პროპორციული ხმების რაოდენობა და კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით (12.7 პუნქტი);

იმ შემთხვევაში, თუ დამფუძნებელ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება ერთ ან რამოდენიმე პარტნიორს, კერძოდ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საკითხის განხილვისას, ეს პარტნიორი კენჭისყრაში არ მონაწილეობს (12.8 პუნქტი);

პარტნიორთა კრების კომპეტენციას განეკუთვნება: საზოგადოების დირექტორის დანიშვნა და გამონევა... (13.1.5 პუნქტი); საზოგადოებიდან დამფუძნებელი პარტნიორის გარიცხვა (13.1.14 პუნქტი);

საზოგადოების მართვას ახორციელებს დირექტორი, რომელიც განაგებს საზოგადოების ქონებას, ფინანსური სახსრების ჩათვლით (14.3 პუნქტი).

12.3. 2020 წლის 10 მარტს ჩატარდა შპს „ფ-ოს“ პარტნიორთა კრება (განმეორებითი) შემდეგი დღის წესრიგით:

ა) 28.02.2020 წელს მოწვეული კრების მიმოხილვა;

ბ) ბ. გ-ძის შპს „ფ-ოს“ პარტნიორობიდან გარიცხვა;

გ) საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების განხორციელება, გარიცხული პარტნიორის წილის მეორე პარტნიორის სახელზე აღრიცხვა;

დ) ბ. გ-ძის შპს „ფ-ოს“ დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება;

ე) შპს „ფ-ოს“ დირექტორად ლ. გ-ის დანიშვნა.

კრებას ესწრებოდნენ გ. რ-ი (საზოგადოების 50% წილის მფლობელი პარტნიორი) და ბ. გ-ძის (საზოგადოების 50% წილის მფლობელი პარტნიორი) წარმომადგენელი – ბ. გ-ძე;

ბ. გ-ძის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ არცერთ საკითხს;

კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ბ. გ-ძე გაირიცხა პარტნიორობიდან და მისი წილი საკუთრებაში გადაეცა გ. რ-ს, რის შედეგადაც გ. რ-ის სახელზე უნდა აღრიცხულიყო შპს „ფ-ოს“ წილი – 100%; ასევე, ბ. გ-ძე გათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან და შპს „ფ-ოს“ დირექტორად დაინიშნა ლ. გ-ი.

12.4. შპს „ფ-ოს“ 2020 წლის 10 მარტის პარტნიორთა კრების ოქმი სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნით წარედგინა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, თუმცა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით, შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება, ვინაიდან კრებაზე გადაწყვეტილება არ იყო მიღებული უფლებამოსილი პირის მიერ.

13. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სისწორის შესახებ საკასაციო საჩივარში შედაგება განხორციელებული არ არის; ამასთან, არც რაიმე ისეთი სახის მტკიცებულებაა წარმოდგენილი, რაც სასამართლოს მათ სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველს შეუქმნიდა; შესაბამისად, საკასაციო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს ამ განჩინების 12.1-12.4 პუნქტებში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

14. განსახილველი დავის ფარგლებში, საკასაციო პალატის შეფასების საგანს სამენარმეო იურიდიული პირის – შპს „ფ-ოს“ პარტნიორთა 2020 წლის 10 მარტის კრების ოქმის ჩატარების წესისა და შედეგების კანონიერად აღიარების, ბ. გ-ძის პარტნიორობიდან გარიცხვისა და მისი კუთვნილი 50%-იანი წილის გ. რ-ის სახელზე აღრიცხვის მართლზომიერების დადგენა წარმოადგენს.

15. სადავო საკითხთან მიმართებით, საკასაციო პალატა პირველ რიგში განმარტავს, რომ სამენარმეო საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივ ფორმებს, დაფუძნებას, კორპორაციული მართვის სისტემებს, პარტნიორისა და დირექტორის უფლება-მოვალეობებს აწესრიგებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონი ძირითადად აგებულია დისპოზიციურ ნორმებზე და საზოგადოების მართვის შიდა კორპორაციული საკითხები თავად მხარეთა ნებას ექვემდებარება. სამენარმეო სამართალში აღნიშნული ნების ავტონომია გამოიხატება წესდებაში და განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, რომელთა შესრულების ვალდებულებაც მხარეებს კანონით ეკისრებათ.

16. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით, რეგლამენტირებული იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის მხოლოდ ერთი საფუძველი – პარტნიორის მიერ შენატანის შეუტანლობა, რაც განსაზღვრული იყო კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის დანაწესით (პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი). მიუხედავად ამისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, აღიარებული იყო შპს-დან პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობა სხვა შემთხვევაშიც – მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას. ასეთ შემთხვევაში, გარიცხვის კორპორაციულსამართლებრივ საფუძველს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზ-

ღვრული საკითხების გარდა, კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე: იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას დაუფძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვს ღირექტორის ან/და პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი ღირექტორების წინააღმდეგ წარმართავს) წარმოადგენდა.

17. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონი ზუსტად არ განსაზღვრავდა, თუ რა იგულისხმებოდა საზოგადოების დამატებითი უფლებებში, მაგრამ ერთ-ერთ ასეთ უფლებად სწორედ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა მოიაზრებოდა. ასევე, კანონში არ იყო მოცემული წინაპირობები, თუ რა შემთხვევაში იყო შესაძლებელი პასუხისმგებლობის ამ სახის გამოყენება, თუმცა, ამ მიმართებით, საკასაციო პალატის არაერთი გადაწყვეტილებით გამარტებულ იქნა შემდეგი:

17.1. პარტნიორის გარიცხვის მნიშვნელოვანი საფუძველი სახეზეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებამ აღარ უნდა ითმინოს გასარიცხი პარტნიორის კორპორაციულსამართლებრივი მონაწილეობა. კერძოდ, როდესაც, მისი ქცევა შეუძლებელს ხდის ან მნიშვნელოვნად ართულებს საზოგადოების მიზნის მიღწევას, რაც აუტანელს გახდის მისი საზოგადოების რიგებში დარჩენას. საუბრია პიროვნულ თვისებებსა და ურთიერთობებზე, როგორიცაა, მაგალითად, ნდობის დეფიციტი, ვალდებულებების მძიმე დარღვევა, დანაშაულებრივი საქმიანობა, ნდობის ბოროტად გამოყენება და სხვა პარტნიორებთან დაძაბული ურთიერთობები. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძველი შეიძლება გახდეს არა ყველა სახის, არამედ იმგვარი ზიანი, რომელიც საწარმოს საქმიანობას უშლის ხელს გრძელვადიან პერსპექტივაში და მაშასადამე მის არსებობას საფრთხის ქვეშ აყენებს (იხ. სუსგ საქმეზე №ას-812-1099-2009, 09.11.2009 წ.; №ას-1203-2018, 25.04.2019წ.). ამდენად, საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, როდესაც სახეზეა კომპანიისათვის არსებითი ზიანის მიყენება, რაც არღვევს ნდობას პარტნიორთა შორის და რის გამოც მათი ერთობლივი საქმიანობა შეუძლებელი ხდება (იხ. სუსგ №ას-ას-1203-2018, 25.04.2019).

17.2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის სამართლებრივ შედეგს წილზე საკუთრების უფლების ჩამორთმევა წარმოადგენს. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა დაუშვებელია განხორციელდეს მისი წილის კომპენსაციის საკითხის გადაწყვეტის გარეშე, რათა არ მოხდეს მისი კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლების შელახვა. აღნიშნული კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია კომპანიაში თავისუფალი სახსრების არსებობაზე (იხ. სუსგ

საქმეზე №ას-1203-2018, 25.04. 2019 წ.). საკუთრების უფლების ამგვარი შეზღუდვის კონსტიტუციურობა მოითხოვს, რომ პარტნიორი საზოგადოებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაირიცხოს. შესაბამისად, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების შედეგად წილის ჩამორთმევის ავტომატური სამართლებრივი შედეგი არ დგება და არც საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების საფუძველი არ არის. სწორედ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ მიიჩნევა პარტნიორი გარიცხულად საზოგადოებიდან (მდრ. სუსგ №ას-1060-1090-2011, 21 ივლისი, 2011 წელი; №ას-556-939-06, 13 მარტი, 2007 წლი; №ას-614-951-07, 12 ოქტომბერი, 2007 წელი; სუსგ №3კ/303-01, 9 მარტი, 2001 წელი. ასევე – მდრ. „მენარმეთა შესახებ“ კანონის თაობაზე მოსამართლეთა სამუშაო შეხვედრის შედეგად მიღებული რეკომენდაციები და მასალები, თბ. 2009, 33-35).

17.3. პარტნიორის გარიცხვის მოთხოვნით აღძრული სარჩელის განხილვისას, სასამართლომ უნდა დაადგინოს პარტნიორის გარიცხვის უფლების წარმოშობის წინაპირობები და სსკ-ის 399-ე მუხლის საფუძველზე (ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადები საფუძველიდან გამომდინარე, უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. პატივსადებია საფუძველი, როცა ხელშეკრულების მომშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე...) უნდა გამოიკვლიოს საზოგადოების მიერ ამ უფლების გამოყენების მართლობიერება. სასამართლომ უნდა დაადგინოს პარტნიორის მიერ საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულების დარღვევა – საზოგადოების მიზნის შელახვა, რის შედეგადაც შეუძლებელი ხდება პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნება; საზოგადოებისთვის ზიანის მიყენება; პირველ და მეორე წინაპირობას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. გარიცხვის შესახებ სასარჩელო წარმოებისას, სასამართლო ამოწმებს, რამდენად კეთილსინდისიერად გამოიყენეს პარტნიორებმა (პარტნიორმა) გარიცხვის უფლება, ხომ არ იყო მათი გადაწყვეტილება მოტივირებული პირადი ინტერესებით, პირადი სარგებლის ან ქონებრივი უპირატესობის მოსაპოვებლად (მდრ. სუსგ №ას-201-201-2018, 08.10.2018).

18. უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნულმა პრაქტიკამ და განმარტებებმა ასახვა ჰპოვა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციის 143-ე მუხლში [მუხლი 143. პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან: 1.

მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას სასამართლოს შეუძლია პარტნიორთა გადანაცვეტილების შესაბამისად წარდგენილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სარჩელის საფუძველზე მიიღოს გადანაცვეტილება პარტნიორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ. 2. მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს, როდესაც პარტნიორის ქმედება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინტერესებს ან მისი პარტნიორად დარჩენა საზიანოა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემდგომი საქმიანობისთვის, თუ პარტნიორი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ წერილობით უშედეგოდ გააფრთხილა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინტერესების დამაზიანებელი ქმედების შეწყვეტისა და შესაძლო გარიცხვის შესახებ... 8. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გარიცხულ პარტნიორს უნდა მიეცეს წილის სამართლიანი ფასი.

19. ამდენად, „მენარმეთა შესახებ“ კანონის როგორც დავის წარმოშობის დროს, ისე ამჟამად მოქმედი რედაქციიდან და უზენაესი სასამართლოს განმარტებებიდან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძველია აღნიშნულის თაობაზე საზოგადოების მიერ მიღებული გადანაცვეტილება, რაც კომპანიის პარტნიორთა კრების დისკრეციაში შემავალ საკითხს წარმოადგენს და საზოგადოების სარჩელის საფუძველზე მიღებული სასამართლო გადანაცვეტილება, რა დროსაც სასამართლო გარიცხვასთან დაკავშირებით მიღებული გადანაცვეტილების ნამდვილობაზე ახორციელებს კონტროლს, სახელდობრ, რამდენადაა დაცული კანონითა და კომპანიის წესდებით განსაზღვრული პროცედურები სადავო გადანაცვეტილების მიღებისას; ამასთან, საზოგადოებისთვის ზიანის მიყენების საფუძვლით პარტნიორის გარიცხვის თაობაზე გადანაცვეტილების მიღებისას, შეფასების საგანია პარტნიორის ქმედება და ამ ქმედების შედეგად კომპანიისათვის ზიანის მიყენების ფაქტი.

20. განსახილველ შემთხვევაში, 2020 წლის 10 მარტის პარტნიორთა კრების ჩატარების წესისა და შედეგების კანონიერად აღიარების, პარტნიორის გარიცხვისა და საზოგადოების წილზე მესაკუთრედ ცნობის შესახებ მოთხოვნების ნაწილში, სასარჩელო მოთხოვნა სწორედ საზოგადოებისთვის ზიანის მიყენების ფაქტს ეყრდნობა. კერძოდ, მოსარჩელის განმარტებით, ბ. გ-ძის პარტნიორობიდან გარიცხვის საკითხი დღის წესრიგში დადგა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის განაჩენის საფუძველზე, რომლითაც ბ. გ-ძეს, რომელიც ერთდროულად არის შპს „ფ-ოს“ პარტნიორი და დირექტორი, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა თაღლითობის, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და გადასახადებისგან თავის არიდების საფუძველით. გა-

ნაჩენზე დაყრდნობით, მოსარჩელე დადასტურებულად მიიჩნევს, რომ პარტნიორის (ბ. გ-ძის) მხრიდან ჩადენილია დანაშაულებრივი ქმედებები და ასევე, დადასტურებულია მისი მხრიდან დირექტორის ფიდუციური ვალდებულებების უხეში დარღვევა, რომელთა საფუძველზეც, კომპანიას მიადგა ზიანი და აზრს მოკლებულია პარტნიორების შემდგომი ერთობლივი საქმიანობის გაგრძელება.

21. პალატა აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ფ-ოს“ 2020 წლის 10 მარტის პარტნიორთა კრების ჩატარების წესისა და შედეგების კანონიერად აღიარების, საზოგადოებიდან ბ. გ-ძის გარიცხვისა და მის სახელზე აღრიცხული 50%-იანი წილის გ. რ-ის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, სწორედ იმ ფაქტობრივ გარემოებებს დაეფუძნა, რომ შეუძლებელი იყო საზოგადოებას მომავალში მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობა გაეგრძელებინა, რადგან ბ. გ-ძემ დაარღვია ნაკისრი ვალდებულება – შელახა საზოგადოების მიზანი, რაც თავისთავად შეუძლებელს ხდიდა პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნებას, ხოლო, ბ. გ-ძის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული და ამორალური ქმედების გამო, საზოგადოების პარტნიორთა შორის არსებობდა იმდენად სიღრმისეული უთანხმოება და უნდობლობა, რომ წარმოუდგენელი იყო შემდგომში, პარტნიორების ერთობლივი საქმიანობის გაგრძელება.

22. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საზოგადოებაში მონაწილეებისმიერი პირის, განსაკუთრებით დირექტორისა და პარტნიორების საქმიანობა მიმართული უნდა იყოს საზოგადოების ინტერესების სასიკეთოდ. პარტნიორების საქმიანობას საზოგადოებაში უნდა ახასიათებდეს ნდობა, ურთიერთშეთანხმება და საერთო ინტერესი, რაც საზოგადოებისათვის სარგებლის მოტანა უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების პარტნიორები უნდობლობას უცხადებენ სხვა პარტნიორს, შესაძლოა მათი ერთობლივი საქმიანობა შეუძლებელი გახდეს. ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, თუ რა უდევს საფუძვლად პარტნიორის მიმართ უნდობლობას.

23. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების ქვაკუთხედს წარმოადგენს, რაც საბაზრო ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. ზემოაღნიშნული მუხლი, ზოგადი დებულების სახით არის დეკლარირებული, რაც შესაძლებლობას ანიჭებს სასამართლოს, ყოველი კონკრეტული შემთხვევა შეაფასოს მორალური ღირებულებების საფუძველზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველი სადავო საკით-

ნიც სწორედ ამ ჭრილში უნდა იქნეს განხილული.

24. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დასტურდება, რომ ბ. გ-ძემ თავისი მდგომარეობის გამოყენებით და დახმარებით ჩაიდინა: ა) სსსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და დიდი ოდენობით); ბ) სსსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია) და გ) სსსკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (გადასახადებისთვის თავის არიდება) გათვალისწინებული დანაშაულები.

25. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დასტურდება, რომ ბ. გ-ძე სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მოტყუებით დაეუფლა შპს „ფ-ოს“ კუთვნილ დიდი ოდენობით ქონებას, რაზედაც გ. რ-ს, როგორც მეორე დამფუძნებელსა და 50% წილის მფლობელ პარტნიორს გააჩნდა საკუთრების უფლება. ამავე განაჩენით დგინდება, რომ ბ. გ-ძემ თაღლითური გზით მიღებული უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემისა და მისი წარმოშობის დაფარვის მიზნით, ჩაიდინა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია. ბ. გ-ძის მიერ ჩადენილ მითითებულ დანაშაულებებთან მიმართებით, პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 18 ნოემბრის განჩინებით, ბ. გ-ძის საკასაციო საჩივარი უძრავი ქონების (მდებარე: ქ. თბილისში, ...-ის ქუჩა 3ა, პირველი სართული, 94.81 კვ.მ. ს/კ...) მესაკუთრედ შპს „ფ-ოს“ ცნობის ნაწილში დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო. დასახელებული განჩინების თანახმად, საკასაციო პალატამ საქმეში არსებული მტკიცებულებების – 01.01.2008 წლის სესხის ხელშეკრულების, 10.12.2011 წლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის და ამავე გადაწყვეტილებაზე 18.08.2011 წელს გაცემული სააღსრულებო ფურცლის, 03.10.2012 წლის დოკუმენტური რევიზიის აქტის, №A...-019/001 და №A...-013/001 განკარგულებების, მონშეების: ზ. ფ-სა და ზ. გ-ის გამოკითხვის ოქმების, გაზეთ „სიტყვა და საქმედან“ ამონაბეჭდის, შპს „ფ-ოს“ ერთადერთი დამფუძნებელი პარტნიორის გადაწყვეტილების, საჯარო რეესტრის ამონაწერების, საზოგადოების კაპიტალში ქონების გადაცემის შესახებ 30.11.2011 წლის აქტის და სხვა მტკიცებულებების თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის კანონიერ ძალაში შესულ განაჩენთან ერთობლიობაში გაანალიზების, გონივრული და ობიექტური განსჯის შედეგად, ასევე, მოვლენათა განვითარების ქრონო-

ლოგიისა და განხორციელებულ ტრანზაქციათა ჯაჭვში მონაწილე პირთა ურთიერთკავშირის მხედველობაში მიღებით, გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა მასზედ, რომ შპს „ფ-ოს“ მიმართ ბ. გ-ძის მიერ განხორციელებულმა არამართლზომიერმა ქმედებებმა, საზოგადოებისათვის მისი კუთვნილი ერთადერთი ქონების უკანონოდ ჩამორთმევა და მესამე პირზე არამართლზომიერი გასხვისება განაპირობა.

26. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კორპორაციის დირექტორებს სამართავად გადაცემული აქვთ რა საზოგადოების ქონება, მათ უპირველეს ვალდებულებას სწორედ ამ ქონების დაცვა და ზიანის თავიდან აცილება წარმოადგენს. შესაბამისად, ბ. გ-ძის მიერ განხორციელებული ზემოაღნიშნული ქმედებები – თაღლითობა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, რამაც საზოგადოებისათვის მისი კუთვნილი ერთადერთი ქონების უკანონოდ ჩამორთმევა, ამ უძრავი ქონების ბ. გ-ძის მეუღლის – რ. ბ-ის 100%-იანი ნილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიის საკუთრებად ქცევა და ფაქტობრივად, შპს „ფ-ოს“ უფუნქციოდ დარჩენა განაპირობა, შეფასების ყველა ტესტის გათვალისწინებით, არღვევს როგორც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებებს, რომლითაც ბ. გ-ძეს, როგორც პარტნიორსა და დირექტორს ევალებოდა საწარმოს კეთილსინდისიერად გაძღოლის ვალდებულება, ისე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ უფლებათა და მოვალეობათა კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპს.

27. გარდა ზემოაღნიშნული გარემოებისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული განაჩენითა და საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2012 წლის 03 ოქტომბრის დოკუმენტური რევიზიის აქტითა და აქტის თანდართული დოკუმენტებით დასტურდება, რომ ბ. გ-ძის დავალებით, შპს „ფ-ოს“ თანამშრომლები, კლიენტთა უმრავლესობას არ აძლევდნენ სალარო აპარატის ჩეკებს და საზოგადოების რეალური შემოსავლის დაფარვის მიზნით, მუდმივად აწარმოებდნენ ე.წ. „შავ ბუღალტერიას“. ამავდროულად, შპს „ფ-ოს“ თანამშრომელთა უმრავლესობა მუშაობდა შესაბამისი ხელშეკრულების გარეშე, ასევე საბუღალტრო დოკუმენტებში ხდებოდა ოფიციალურად გაფორმებულ თანამშრომლებზე გაცემული ხელფასის ოდენობების შემცირება და ხარჯების ხელოვნური ზრდა, რითაც იმალებოდა კომპანიის რეალური შემოსავლები და შესაბამისად, მცირდებოდა დასაბეგრი მოგება. 2012 წლის 13 მარტს, შპს „ფ-ოდან“ ამოღებული დოკუმენტაციისა და ე.წ. „შავი ჩანაწერების“ საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სპეციალურ გამოკვლევათა ექსპერტიზის დეპარტამენტში და-

ინიშნა 2007-2012 წლების საანგარიშო პერიოდის დოკუმენტური რევიზია. 2012 წლის 3 ოქტომბრის რევიზიის აქტის თანახმად, შპს „ფ-ოს“ ბიუჯეტში დამატებით გადასახდელად დაეკისრა 1 474 083 ლარი, მათ შორის ძირითადი გადასახადის სახით 1 001 684 ლარი და ჯარიმის სახით 472 399 ლარი. დარიცხვა ძირითადად განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ფაქტობრივი შემოსავლები მნიშვნელოვნად აღემატებოდა ბუღალტრულად ნაჩვენებ მონაცემებს. აღნიშნულის საფუძველზე, შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ, 2012 წლის 22 დეკემბერს გამოცემული იქნა №001-625 საგადასახადო მოთხოვნა, რითაც საზოგადოებას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯამში დაერიცხა 2 319 339,55 ლარი, მათ შორის ძირითადი 1 045 466 ლარი, ჯარიმა 472 399 ლარი და საურავი – 801 474.55 ლარი. ამდენად, მართალია, ბ. გ-ძემ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დიდი ოდენობით გადასახადის გადახდისაგან თავის არიდებით ზიანი სახელმწიფოს მიაყენა, თუმცა, საყურადღებოა, რომ ამ გადასახადის გადაუხდელობამ თავის მხრივ, კომპანიისათვის ჯარიმის – 472 399 ლარისა და საურავის – 801 474.55 დაკისრება განაპირობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბ. გ-ძეს არ წარმოუდგენია რაიმე რელევანტური მტკიცებულება იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ შემოსავლების დაფარვა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადების გადაუხდელობა განპირობებული იყო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ამავე საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე კი, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას მასზედ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებით, ბ. გ-ძემ ზიანი მიაყენა არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ საზოგადოებასაც.

28. პალატას მხედველობის მიღმა არ დარჩენია ის გარემოება, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 1 ნოემბრის ცნობით, შპს „ფ-ოს“ გადასახადი არ ერიცხება და შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 31 აგვისტოს ბრძანებით გაუქმდა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება კომპანიის ქონებაზე, თუმცა, პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას მასზედ, რომ გადასახადების ანულისება ბ. გ-ძის მხრიდან წარმოებულ სამართლებრივ დავას მოჰყვა შედეგად, რამეთუ, სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი კანონიერ ძალაში შესული განაჩენითა და საქმეში წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2014 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ №001-625 საგადასახადო მოთხოვნა რითაც საზოგადოებას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯამში დაერიცხა 2 319 339,55 ლარი, გასაჩივრებულ იქნა ფინანსთა სამინისტროს მიერ.

ნისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში, სადაც შპს „ფ-ოს“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულის შემდგომ, 2014 წლის 25 აპრილს, საგადასახადო მოთხოვნა და შემოსავლების სამსახურის ბრძანება გასაჩივრებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომლის 2014 წლის 9 ივლისის განჩინებით, შპს „ფ-ოს“ უარი ეთქვა სასარჩელო განცხადების მიღებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება გადამხდელის მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომლის 2014 წლის 30 სექტემბრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. საქმეში წარმოდგენილი მასალებით კი, ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ შპს „ფ-ოს“ მიმართ დარიცხული დავალიანების სრულად ჩამოწერა არა ბ. გ-ძის მიერ განხორციელებული აქტივობების საფუძველზე, არამედ 2018 წლის 21 ივლისის №3263-რს კანონით საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საგადასახადო ორგანოს ინიციატივით განხორციელდა, ხოლო დავალიანების ჩამოწერის ერთ-ერთი საფუძველი იყოს ის, რომ შპს „ფ-ოს“ 2013 წლის 01 იანვრის შემდგომი პერიოდისათვის (თანხის ჩამოწერამდე) საგადასახადო ორგანოსათვის არ წარუდგენია საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება, გადახდილი არ არის გადასახადი, რაც თავის მხრივ ადასტურებს შპს „ფ-ოს“ უფუნქციოდ დარჩენას.

29. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გამომდინარე იქიდან, რომ განსახილველი დავა არ განეკუთვნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV3 თავით გათვალისწინებულ საქმეთა კატეგორიას (ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი), იგი სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა ზოგადი სტანდარტით შეფასებას ექვემდებარება, რაც ნიშნავს იმას, რომ განაჩენი, საქმის მასალებში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთად, როგორც ერთ-ერთი წერილობითი მტკიცებულება ისე უნდა შეფასდეს და გადაწყვეტილებაც სწორედ მათი შეპირისპირების შედეგად უნდა იქნეს მიღებული. ასეთ შემთხვევაში, განაჩენის მტკიცებულებითი ძალის შესუსტებას, შესაძლებელია მოპასუხე მხარის კვალიფიციური შედავება ანდა იმავე ან უფრო მაღალი სამართლებრივი ძალის ისეთი საპირისპირო მტკიცებულების წარდგენა ინვევდეს, რომელიც განაჩენში მოყვანილ მსჯელობას გააქარწყლებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ ყოველი მხარე იმ ტვირთის მატარებელი შეიძლება იყოს, რომლის ზიდვაც მას შეუძლია. როცა დასტურდება, რომ იგი უძღურია ზიდოს ეს ტვირთი, პასუხისმგებლობის საკითხიც იხსნება. განსახილველ შემთხვევაში, სწორედ, მოპასუხეს ეკისრებოდა გა-

ნაჩენში მოყვანილი მსჯელობის გამაქარწყლებელი გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რაც მან ვერ განახორციელა. სანინალმდე-გო მტკიცებულების არარსებობის პირობებში კი, განაჩენი უნდა შეფასდეს, როგორც შეუდავებელი წერილობითი მტკიცებულება.

30. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეს, განაჩენით დადგენილი ფაქტების გამაქარწყლებელი რელევანტური მტკიცებულებები არ წარმოუდგენია, საქმეში კი, ბ. გ-ძის არამართლზომიერი ქმედებების დასადასტურებლად, გარდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა, წარმოდგენილია სხვა მტკიცებულებები, კერძოდ: შპს „ფ-ოს“ მიმართ ჩატარებული 2012 წლის 03 ოქტომბრის დოკუმენტური რევიზიის აქტი თანდართული მასალებით, ზ. ფ-ს გამოკითხვის ოქმი, აუდიტის დეპარტამენტის 21/12/2012 წლის №30420 ბრძანება, ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოს №5494/2/13 გადაწყვეტილება, შემოსავლების სამსახურის 31/08/2018 წლის წერილი, შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 30/08/2018 წლის №96910-21-11 დასკვნა და სხვა, რომელთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას მასზედ, რომ ბ. გ-ძემ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულად შეარცხული ქმედებები, რამაც საწარმოსათვის ზიანის მიყენება განაპირობა. აღნიშნული კი, გამოიხატა საზოგადოებისათვის მისი კუთვნილი ერთადერთი ქონების უკანონოდ ჩამორთმევასა და მესამე პირზე არამართლზომიერ გასხვისებაში, ასევე, საზოგადოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებითი გადასახადების დაკისრებაში, რაც ბ. გ-ძის დანაშაულებრივი ქმედებების უშუალო შედეგს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, პალატა ლოგიკურად და დასაბუთებულად მიიჩნევს სააპელაციო პალატის მხრიდან მოსარჩელის მითითების გაზიარებას მასზედ, რომ მეორე პარტნიორის – ბ. გ-ძის მიმართ გააჩნია ისეთი უნდობლობა, რაც მათი შემდგომი საქმიანობის ერთობლივად გაგრძელებას გამოიწვევს.

31. პალატა აქვე, მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნოს, რომ პარტნიორის გარიცხვის მიზნით, საზოგადოების ინტერესებისათვის საზიანო ქმედებების შეფასებისას, ზიანის მატერიალიზაცია (დადგომა) არ არის აუცილებელი. ხშირად, თავად ზიანის დადგომის ფაქტი არ არის რელევანტური, თუკი პარტნიორის ქმედება თავისთავად (მისი უარყოფითი ფინანსური შედეგის დადგომის გარეშე) საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული და პარტნიორებს შორის არსებულ ნდობას, როგორც საწარმოს არსებობის განმსაზღვრელ ელემენტს, გამოუსწორებლად ანგრევს. თუკი აშკარაა რომ პარტნიორის მოქმედებების მთავარი მამოძრავებელი მოტივი სამენარმეო საზოგადოების ინ-

ტერესებისადმი გაუფრთხილებელი დამოკიდებულებაა, საკანონმდებლო წესებთან ფორმალური შესაბამისობაც კი არ აქცევს მათ კანონიერად. გარეგნულად კანონშესაბამისი ქმედებები სამოქალაქო-სამართლებრივი შეფასებით უფლების ბოროტად გამოყენებაა (სკ 115-ე მუხლი), რაც ასევე ზოგადი კეთილსინდისიერების პრინციპის (სკ 8 III) გამოხატულება და დაკონკრეტებაა. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, მართლსაწინააღმდეგოდ ითვლება უფლების განხორციელება, რომელიც ზიანს აყენებს სხვა პირს და არ ისახავს უფლების განხორციელების აუცილებლობით ნაკარნახევი ინტერესის დაცვას (იხ. განმარტებები საქართველოს კანონზე „მენარმეთა შესახებ“, (2022 წლის თებერვლის მდგომარეობით), თბილისი 2022, გ. გიგუაშვილი, გ. ჯუღელი, გვ. 225).

32. საკასაციო პალატა პარტნიორთა შორის ნდობის დეფიციტის, ვალდებულების დარღვევის სიმძიმის, ნდობის ბოროტად გამოყენებისა თუ საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების მიზნის შეფასებისას, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ბ. გ-ძის არამართლზომიერმა ქმედებებმა არა მხოლოდ საზოგადოებისათვის ქონების უკანონოდ ჩამორთმევა და მესამე პირზე გასხვისება განაპირობა, არამედ ამ არამართლზომიერი ქმედების შედეგად შპს „ფ-ოს“ კუთვნილი ქონების მესაკუთრე გახდა ბ. გ-ძის მეუღლის მიერ დაფუძნებული კომპანია – შპს „ფ-ო“, რომლის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად საგანს საკვები ობიექტის მართვა წარმოადგენდა, რითაც საბოლოო ჯამში ის ფაქტობრივი მოცემულობა შეიქმმა, რომ ბ. გ-ძე თავისი მეუღლის მეშვეობით ფაქტობრივად თვითონ გახდა კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი, რომლის საკუთრებაში აღმოჩნდა შპს „ფ-ოს“ კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონება, გააჩნია იდენტური სახელწოდება და ახორციელებს იგივე საქმიანობს იმავე პერსონალის მეშვეობით, რომლებიც დასაქმებულები იყვნენ შპს „ფ-ომი“. ამდენად, პრაქტიკულად ბ. გ-ძის არამართლზომიერი ქმედების განხორციელების მიზანი იყო და შედეგადაც მიიღო ის, რომ ფაქტობრივად გახდა იგივე კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი (განსხვავებული საიდენტიფიკაციო კოდით და გ. რ-ის 50%-იან წილობრივი მონაწილეობის გარეშე) რომელიც მას დაფუძნებული ჰქონდა გ. რ-თან ერთად 50-50 პროცენტიაწიანი წილობრივი მონაცემებით. აქედან გამომდინარე კი, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას მასზედ, რომ ბ. გ-ძემ დაარღვია ნაკისრი ვალდებულება – შელახა საზოგადოების მიზანი, რაც თავისთავად შეუძლებელს ხდიდა პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნებას, ხოლო, ბ. გ-ძის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული და ამორალური ქმედების გამო, საზოგადოების პარტნიორთა შორის არსებობდა იმდენად სიღრმისეული უთანხმოება და უნდობლობა, რომ

წარმოდგენილი იყო შემდგომში, პარტნიორების ერთობლივი საქმიანობის გაგრძელება.

33. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ მართებულად დაადგინა, რომ ბ. გ-ქმ ჩაიდინა ისეთი სახისა და ხარისხის არაკეთილსინდისიერი და არამართლობიერი ქმედებები, რომლებმაც პარტნიორთა შორის ნდობა გამოუსწორებლად დააზიანა, შელახა საზოგადოების მიზანი და პრაქტიკულად, შეუძლებელი გახადა საზოგადოების მიერ საქმიანობის შემდგომში განხორციელება. აღნიშნული, ბუნებრივია, შეუძლებელს ხდის პარტნიორებს შორის ერთობლივი საქმიანობის გაგრძელებას, მით უფრო იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ბ. გ-ქ და გ. რ-ი წარმოადგენენ თანაბარი, 50-50%-იანი წილობრივი მონაწილეობის პარტნიორებს. ამ სახის წილობრივი გადანაწილებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების პირობებში კი, გარდაუვალია პარტნიორთა საერთო კრების პარალიზება. საერთო კრება ვერ იქნება გადანაცვტილებაუნარიანი, რაც ავტომატურად წარმოშობს დაბრკოლებებს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი გადანაცვტილებების მიღებისას. შესაბამისად, სამოქალაქო სამართალურ-თიერთობაში მოქმედი კეთილსინდისიერების პრინციპის მხედველობაში მიღებით, პალატა მიიჩნევს, რომ საკითხი უნდა გადანაცვტილიყო საწარმოსა და კეთილდინდისიერი პარტნიორის სასარგებლოდ, რის გამოც, სააპელაციო პალატამ მართებულად დაასკვნა, რომ არსებობდა ბ. გ-ქ-ის საზოგადოებიდან გარიცხვის მნიშვნელოვანი წინაპირობები.

34. აქვე, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პარტნიორის გარიცხვის თაობაზე სააპელაციო პალატის მიერ მიღებული სასამართლო გადანაცვტილება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას იმ კუთხით, რომ, როგორც უკვე აღინიშნა (იხ. ამ განჩინების 17.2 აბზაცი), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის სამართლებრივ შედეგს წილზე საკუთრების უფლების ჩამორთმევა წარმოადგენს. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა დაუშვებელია განხორციელდეს მისი წილის კომპენსაციის საკითხის გადანაცვტილის გარეშე, რათა არ მოხდეს მისი კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლების შელახვა. აღნიშნული კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია კომპანიაში თავისუფალი სახსრების არსებობაზე (იხ. სუსგ საქმეზე №ას-1203-2018, 25.04. 2019 წ.).

35. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ ისე იმსჯელა პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის მართებულობასთან დაკავშირებით, რომ არ დაუდგენია პარტნიორის წილის კომპენსირებასთან დაკავშირებული გარემოებები, რის გამოც არსებობს საქმეს ხელახლა განსახილველად დაბრუნების სამართლებრივი საფუძველი. დასახელე-

ბული გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შემდგომ კი, სააპელაციო პალატამ ხელახლა უნდა იმსჯელოს 2020 წლის 10 მარტის პარტნიორთა კრების ჩატარების წესისა და შედეგების კანონიერად აღიარების, პარტნიორის გარიცხვისა და საზოგადოების წილზე მესაკუთრედ ცნობის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნების ნაწილში.

36. რაც შეეხება კასატორის არგუმენტს მასზედ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით, შპს „ფ-ოს“ უარი ეთქვა ბ. გ-ძის, რ. ბ-ისა და შპს „ფ-ოს“ მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე, სადაც მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხეებისთვის ზიანის ანაზღაურება, რ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებული ქონებების 50%-ის მესაკუთრედ ბ. გ-ძის ცნობა, ბ. გ-ძის პარტნიორობიდან გარიცხვა და ბ. გ-ძის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება, რაც ფაქტობრივად განსახილველი საქმის იდენტური სასარჩელო მოთხოვნა იმავე მხარეებს შორის, პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა გ. რ-ის მოთხოვნა პარტნიორის გარიცხვის თაობაზე იმ საფუძველით, რომ შპს „ფ-ოს“ პარტნიორთა კრებას არ ჰქონდა ნამსჯელი ბ. გ-ძის საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ, ანუ, სახეზე არ იყო საზოგადოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება/კრების ოქმი, რასაც დაეთანხმა გ. რ-ი და სააპელაციო განხილვის ეტაპზე უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის იმ ნაწილზე, რომლითაც იგი ბ. გ-ძის შპს „ფ-ოს“ პარტნიორობიდან გარიცხვასა და დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებას ითხოვდა. განსახილველი სასარჩელო მოთხოვნა კი, შეეხება შპს „ფ-ოს“ 2020 წლის 10 მარტის კრების ოქმის ჩატარების წესისა და შედეგების კანონიერად აღიარებას, რომლითაც გარიცხული იქნა პარტნიორი ბ. გ-ძე და ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი დირექტორობიდან გათავისუფლების შესახებ. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ სახეზეა დავის სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველი.

37. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

38. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განსახილველ საქმეზე, შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების გათვალისწინებით არ შეუფასებია საქმეში წარმოდ-

გენილი მტკიცებულებები წილის კომპენსაციის ღირებულების განსაზღვრის ნაწილში, საკასაციო პალატა სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას, თვითონ მიიღოს საქმეზე გადაწყვეტილება.

39. შესაბამისად, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებაში მოცემული მსჯელობების შესაბამისად, უნდა შეამოწმოს მოსარჩელის მოთხოვნის წინაპირობები და საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი კვლევის შედეგად, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბ. გ-ძის საკასაციო საჩივარი 2020 წლის 10 მარტის პარტნიორთა კრების ჩატარების წესისა და შედეგების კანონიერად აღიარების, პარტნიორის გარიცხვისა და საზოგადოების წილზე მესაკუთრედ ცნობის შესახებ მოთხოვნების ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება 2020 წლის 10 მარტის პარტნიორთა კრების ჩატარების წესისა და შედეგების კანონიერად აღიარების, პარტნიორის გარიცხვისა და საზოგადოების წილზე მესაკუთრედ ცნობის შესახებ მოთხოვნების ნაწილში და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ინფორმაციის მიღებისა და დოკუმენტის გაცემის უზღუდა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმთ

№ას-205-2023

16 ნოემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
რ. ნადარაია (მომხსენებელი),
თ. ზამბახიძე

დავის საგანი: დოკუმენტაციის გადაცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. მ-მა (შემდეგში – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „ჩ. ... ს-ესა“ და შპს „დ. გ-ის“ მიმართ (შემდეგში – მოპასუხეები, კასატორები), შემდეგი სასარჩელო მოთხოვნებით:

1.1. შპს „დ. გ-ის“ და შპს „ჩ. ... ს-ის“ დამფუძნებელ პარტნიორს – მ. მ-ს გადაეცეს, მოპასუხე შპს „დ. გ-ისა“ და შპს „ჩ. ... ს-ის“ საბუღალტრო და მასთან დაკავშირებული კომპანიის ფინანსურ შემოსავალსა და ხარჯვასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტები, რომელიც მოიცავს – 2015 წლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდს:

1.1.1. შპს „დ. გ-ის“ შემოსავლების სამსახურის (RS-ის) მონაცემები (მომხმარებელი და პაროლი ნახვის ფუნქციით);

1.1.2. საგადასახადო დოკუმენტები და ჩეკები;

1.1.3. შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები, პარტნიორთა კრების ოქმები და მიღება-ჩაბარების აქტები;

1.1.4. გასავლის და შემოსავლის ორდერები;

1.1.5. ორისის ბაზა (2015 წლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე), ამ პროგრამით შედგენილი ბაზების ასლი;

1.1.6. ამავე კომპანიის საბანკო ვალის დამადასტურებელი დოკუმენტი (წვდომა საბანკო ანგარიშებზე ბანკიდან ცნობა);

1.1.7. ბ. გ-ძის პ.ნ. ... მიერ კომპანია შპს „დ. გ-სი“ თანხის 230000 ლარის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

1.1.8. სს „ს.ჯ.დ-თვის“ დირექტორ ბ. თ-ას მიერ 10 სექტემბერს გაგზავნილი აუდიტორული დასკვნა;

1.1.9. შპს „ჩ. ... ს-ესა“ და შპს „დ. გ-ს“ შორის გაფორმებული სესხის

ხელშეკრულება (სესხის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე პარტნიორთა კრების ოქმი);

1.1.10. შპს „დ. გ-სა“ და ბ. თ-ას შორის გაფორმებული სესხის ხელშეკრულება (სესხის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე პარტნიორთა კრების ოქმი);

1.1.11. ყველა თანამშრომლის მივლინებებთან დაკავშირებული ინფორმაცია (დოკუმენტაცია);

1.1.12. დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნები 2015 წლიდან გადანყვებილების აღსრულებამდე;

1.1.13. ყველა ის დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის ბიზნეს საქმიანობასთან;

1.1.14. შპს „დ. გ-ის“ ყველა კრედიტორის შესახებ ინფორმაცია (შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია);

1.1.15. 2015 წლიდან გადანყვებილების აღსრულებამდე წლიური ანგარიში (ბალანსი მოგება – ზარალის ანგარიშთან ერთად), წლების მიხედვით.

1.2. შპს „ჩ. ... ს-ესთან“ მიმართებაში (2015 წლიდან გადანყვებილების აღსრულებამდე);

1.2.1. შპს „ჩ. ... ს-ესთან“ შემოსავლების სამსახურის (ღშ-ის) მონაცემები (მომახმარებელი და პაროლი, ნახვის ფუნქციით);

1.2.2. საგადასახადო დოკუმენტები და ჩეკები;

1.2.3. შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები, პარტნიორთა კრების ოქმები და მიღება ჩაბარების აქტები;

1.2.4. გასავლის და შემოსავლის ორდერები;

1.2.5. ორისის ბაზა (2015 წლიდან გადანყვებილების აღსრულებამდე), ამ პროგრამით შედგენილი ბაზების ასლი;

1.2.6. ამავე კომპანიის საბანკო ვალის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

1.2.7. მივლინებებთან დაკავშირებული ინფორმაცია (დოკუმენტაცია);

1.2.8. საბანკო ამონაწერები 2015 წლიდან დღემდე (ვალი და სხვა, ნახვის ფუნქციით);

1.2.9. დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნები 2015 წლიდან გადანყვებილების აღსრულებამდე;

1.2.10. ყველა ის დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის ბიზნეს საქმიანობასთან;

1.2.11. შპს „ჩ. ... ს-ის“ ყველა კრედიტორის შესახებ ინფორმაცია (შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია);

1.2.12. 2015 წლიდან გადანყვებილების აღსრულებამდე, წლიური ანგარიში (ბალანსი მოგება – ზარალის ანგარიშთან ერთად), წლების მი-

ხედვით.

2. მოპასუხებმა წარმოდგენილი დაზუსტებული შესაგებლითა და სამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებით, სარჩელი არ ცნეს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით, მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეებს დაევალათ შპს „დ. გ-ის“ და შპს „ჩ. ... ს-ის“ დამფუძნებელ პარტნიორს – მ. მ-ისთვის გადაეცა მოპასუხე შპს „დ. გ-ისა“ და შპს „ჩ. ... ს-ის“ საბუღალტრო და მასთან დაკავშირებული კომპანიის ფინანსურ შემოსავალსა და ხარჯვასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტები, რომელიც მოიცავს – 2015 წლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდს: შპს „დ. გ-ის“ შემოსავლების სამსახურის (RS-ის) მონაცემები (მომხმარებელი და პაროლი ნახვის ფუნქციით); საგადასახადო დოკუმენტები და ჩეკები; შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები, პარტნიორთა კრების ოქმები და მიღება ჩაბარების აქტები; გასავლის და შემოსავლის ორდერები; ორისის – ბაზა (2015 წლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე), ამ პროგრამით შედგენილი ბაზების ასლი; ამავე კომპანიის საბანკო ვალის დამადასტურებელი დოკუმენტი (წვდომა საბანკო ანგარიშებზე ბანკიდან ცნობა); ხ. გ-ძის პ.ნ. ... მიერ, კომპანია შპს „დ. გ-ში“ თანხის 230 000 ლარის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; სს „ს.ჯ.დ-თვის“ დირექტორ ბ. თ-ას მიერ 10 სექტემბერს გაგზავნილი აუდიტორული დასკვნა; შპს „ჩ. ... ს-ესა“ და შპს „დ. გ-ს“ შორის გაფორმებული სესხის ხელშეკრულება (სესხის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე პარტნიორთა კრების ოქმი); შპს „დ. გ-სა“ და ბ. თ-ას შორის გაფორმებული სესხის ხელშეკრულება (სესხის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე პარტნიორთა კრების ოქმი); ყველა თანამშრომლის მივლინებებთან დაკავშირებული ინფორმაცია (დოკუმენტაცია); დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნები 2015 წლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე; ყველა ის დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის ბიზნეს საქმიანობასთან; შპს „დ. გ-ის“ ყველა კრედიტორის შესახებ ინფორმაცია (შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია); 2015 წლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე წლიური ანგარიში (ბალანსი მოგება – ზარალის ანგარიშთან ერთად), წლების მიხედვით; შპს „ჩ. ... ს-ესთან“ მიმართებაში (2015 წლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე): შპს „ჩ. ... ს-ესთან“ შემოსავლების სამსახურის (RS-ის) მონაცემები (მომხმარებელი და პაროლი, ნახვის ფუნქციით); საგადასახადო დოკუმენტები და ჩეკები; შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები, პარტნიორთა კრების ოქმები და მიღება ჩაბარების აქტები; გასავლის და შემოსავლის ორდერები; ორისის – ბაზა (2015 წლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე), ამ პროგრა-

მით შედგენილი ბაზების ასლი; ამავე კომპანიის საბანკო ვალის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; მივლინებებთან დაკავშირებული ინფორმაცია (დოკუმენტაცია); საბანკო ამონაწერები 2015 წლიდან დღემდე (ვალი და სხვა, ნახვის ფუნქციით); დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნები 2015 წლიდან გადანაცვეტილების აღსრულებამდე; ყველა ის დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის ბიზნეს საქმიანობასთან; შპს „ჩ. ... ს-ის“ ყველა კრედიტორის შესახებ ინფორმაცია (შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია); 2015 წლიდან გადანაცვეტილების აღსრულებამდე, წლიური ანგარიში (ბალანსი მოგება – ზარალის ანგარიშთან ერთად), წლების მიხედვით; მოსარჩელის შუამდგომლობა გადანაცვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

4. ზემოაღნიშნული გადანაცვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს „ჩ. ... ს-ემ“ და შპს „დ. გ-მა“, რომლებმაც მოითხოვეს გაასაჩივრებული გადანაცვეტილების გაუქმება და ახალი გადანაცვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის განჩინებით, შპს „ჩ. ... ს-ისა“ და შპს „დ. გ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 27 ივნისის გადანაცვეტილება.

6. სააპელაციო სასამართლოს განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

6.1. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია საქმის გადანაცვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივი გარემოებები:

6.1.1. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შესახებ რეესტრის ამონაწერების მიხედვით, მოსარჩელე მ. მ-ი (პ/ნ ...) წარმოადგენს შპს „დ. გ-ის“ 23 % წილის და შპს „ჩ. ... ს-ის“ 27.5 % წილის მფლობელ პარტნიორს.

6.1.2. მოპასუხე კომპანიის დირექტორები ბ. თ-ა და შ. ო-ია თავს არიდებენ პარტნიორისათვის დოკუმენტაციის გადაცემას.

6.2. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტზე, ამავე კანონის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტზე და განმარტა, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი აღიარებს პარტნიორის უფლებას, ინფორმირებული იყოს საზოგადოების საქმიანობის თაობაზე და დაუბრკოლებლად მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ამ საქმიანობის შედეგებთან შემხებლობაშია.

6.3. მოცემულ შემთხვევაში უდავოდ დადგენილი იყო მოსარჩელე

მხარის ინტერესი მიეღო გარკვეული სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია იმ კომპანიების თაობაზე, რომლის 23 და 27.5 პროცენტია ნილის მესაკუთრესაც თავად წარმოადგენდა, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა მოპასუხეს სამართალწარმოების ფარგლებშიც კი, არ გამოუვლენია ნება მ. მ-ისათვის მის დაინტერესებაში არსებული დოკუმენტაციის გადაცემაზე.

6.4. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მოპასუხის იმ განმარტებაზე (რასაც ასევე აფიქსირებდა სააპელაციო საჩივარში), რომ გამოთხოვილი დოკუმენტაციის უმეტესი ნაწილი მოსარჩელეს უკვე გადაცემული ჰქონდა, ნაწილი მოთხოვნილი ინფორმაციისა კომპანიაში არ მოიპოვებოდა, ხოლო ნაწილი ინფორმაციის მიღების უფლება მოსარჩელეს არ ჰქონდა, რადგან იგი საწარმოს დირექტორის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა. ამ მიმართებით, სააპელაციო პალატამ უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ მოსარჩელე, მოპასუხე კომპანიების ერთერთი პარტნიორი იყო და შესაბამისად, მას ჰქონდა საზოგადოების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის გადაცემის თაობაზე მოთხოვნის უფლება. პალატის მითითებით, სპეციალური კანონი „მენარმეთა შესახებ“ აწესებდა პარტნიორთა უფლებების იმ მინიმალურ სტანდარტს, რომელთა შეზღუდვაც დაუშვებელი იყო პარტნიორთა შეთანხმების შემთხვევაშიც კი. ასეთი სტანდარტის ფარგლებში მოიაზრებოდა პარტნიორის უფლება – თავისუფლად მიუწვდებოდეს ხელი საზოგადოების საქმიანობის ამსახველ დოკუმენტაციაზე.

6.5. სააპელაციო პალატის მითითებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდებოდა, რომ მოპასუხე მხარეების მიერ წარმოდგენილი იყო გარკვეული სახის მტკიცებულებები, თუმცა დადგენილი იყო, რომ აღნიშნული დოკუმენტები არ იყო სრულყოფილი და არ ასახავდა იმ ინფორმაციას, რისთვისაც საწარმოს პარტნიორი ითხოვდა სარჩელით მოპასუხე კომპანიებისაგან დოკუმენტების გადაცემას. შესაბამისად, წარდგენილი გარკვეული ინფორმაციის შემცველი მტკიცებულებები ვერ ჩაითვლებოდა კომპანიის პარტნიორისათვის კანონით მინიჭებული უფლებების სრულყოფილ რეალიზებად. ამდენად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდებოდა, რომ კომპანიების დირექტორებმა უგულვებელყვეს კანონით მათთვის დაკისრებული ვალდებულება – სრულყოფილად არ მიაწოდეს და გააცნეს მოსარჩელეს (საწარმოს პარტნიორს) მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტები, რის გამოც არსებობდა სასამართლო გადანყვეტილებით კანონით დადგენილი ამ ვალდებულების შესრულების დავალების საფუძველი. ამასთან, პალატის მითითებით, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობად არ ითვალისწინებდა საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორ-

მაციის წერილობითი მოთხოვნის აუცილებლობას, არამედ საკმარისი იყო გამოვლენილიყო საზოგადოების დირექტორის მხრიდან, საზოგადოების პარტნიორებისათვის კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების გასაცნობად გადაცემის ნების არარსებობა, რაც განსახილველ შემთხვევაში უდავოდ სახეზე იყო.

6.6. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა აპელანტების იმ პოზიციაზეც, რომ დოკუმენტაციიდან გარკვეული ნაწილი საწარმოში შესაძლოა არც არსებულიყო. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატამ მიუთითა, რომ მსგავსი დავის პირობებში, არ იყო აუცილებელი დადგენილიყო სადავო დოკუმენტაციაზე მოპასუხის მფლობელობის ფაქტი. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენდა კომპანიის პარტნიორის მიერ გარკვეული ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის მოპოვება. კანონის თანახმად, პარტნიორს უნდა ჰქონოდა შეუზღუდავი წვდომა კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ საფინანსო და საბუღალტრო დოკუმენტებთან. იმ შემთხვევაში, თუ ამ დოკუმენტაციის გარკვეული ნაწილი, რაიმე ობიექტური მიზეზის გამო, საწარმოს არ გააჩნდა, ეს გაირკვეოდა გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე.

6.7. სააპელაციო პალატამ ასევე შეაფასა აპელანტების არგუმენტი საწარმოს საქმიანობის ამსახველი გარკვეული დოკუმენტაციის გადაცემის დაუშვებლობის თაობაზე და მიუთითა, რომ საწარმოს პარტნიორს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მინიჭებული ჰქონდა უფლება კონტროლი გაენია საწარმოს საქმიანობისათვის, რისთვისაც აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენდა შესაბამისი ინფორმაციის ფლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს პარტნიორი არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო ისეთ პირად, ვისთვისაც საწარმოს ჰქონდა მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გადაცემაზე უარის თქმის უფლება.

6.8. ამდენად, პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე მ. მ-ი წარმოადგენდა მოპასუხე საზოგადოებების პარტნიორს, მისი მოთხოვნა საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე საფუძვლიანი იყო და არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

7. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა – შპს „ჩ. ... ს-ემ“ და შპს „დ. გ-მა“, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

8. კასატორების მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

8.1. კასატორების განმარტებით, გამოთხოვილი დოკუმენტაციის

უმეტესი ნაწილი მ. მ-ს უკვე გადაცემული აქვს და გაცნობილია. აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებებიც საქმეში წარმოდგენილია. შესაბამისად, სასამართლოს სათანადო წესით უნდა გამოეკვლია მტკიცებულებები და ამის საფუძველზე დაედგინა, რამდენად არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები.

8.2. კასატორების მოსაზრებით, მოსარჩელის ქმედებაში ვლინდება უფლების ბოროტად სარგებლობის ნიშნები და ცდილობს მაქსიმალურად შეავიწროვოს კომპანიის დირექტორები და რაც შეიძლება მეტი თანხა და დრო დაახარჯინოს. არ შეიძლება კომპანიას ჰქონდეს ვალდებულება ერთიდაიგივე ინფორმაცია და დოკუმენტაცია რამოდენიმეჯერ გადასცეს პარტნიორს.

8.3. კასატორების მითითებით, სააპელაციო პალატამ ფაქტიურად აღუსრულებელ გადაწყვეტილებას დაუჭირა მხარი, რამეთუ არის რიგი დოკუმენტები, რომელიც მათ არ გააჩნიათ და ამ ნაწილში, გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი იქნება. აგრეთვე, ზოგი მოთხოვნა ბუნდოვანია და გაურკვეველია. ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები არის ფართო დოკუმენტაცია და სუბიექტური შეფასების საგანია.

8.4. გარდა ამისა, კასატორების მოსაზრებით მოსარჩელე ითხოვს ისეთი ინფორმაციის გადაცემასაც, რომელმაც შეიძლება საწარმოს და სხვა პარტნიორებს მიაყენოს ზიანი. გასათვალისწინებელია, რომ პარტნიორები არ წარმოადგენენ კომპანიების ერთადერთ პარტნიორებს და მათ შეუძლიათ როგორც კომპანიას, ისე პარტნიორებს მიაყენონ ზიანი. თუ RS-ის პორტალზე ნებისმიერი მესამე პირის დაშვება მიაყენებს კომპანიას რაიმე სახის ზიანს, დადგება ამ საზოგადოების დირექტორების პასუხისმგებლობა. ამასთან, არაუფლებამოსილი პირის პორტალზე დაშვებამ, შესაძლოა, საზოგადოებას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს. ინფორმაციის გაცნობის უფლება არ შეიძლება გულისხმობდეს პარტნიორისთვის საზოგადოების ხელმძღვანელობის ბერკეტების გადაცემას.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 16 მარტის განჩინებით, წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ჩ. ... ს-ისა“ და შპს „დ. გ-ის“ საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო, ამავე სასამართლოს 2023 წლის 02 ნოემბრის განჩინებით, შპს „ჩ. ... ს-ისა“ და შპს „დ. გ-ის“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

10. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო სა-

ჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია; შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

11. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორებმა წარმოადგინეს ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

12. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ დავაში, მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს საწარმოს პარტნიორის მიერ, კომპანიის სამენარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გამოთხოვის საფუძვლიანობა.

13. სადავო საკითხთან მიმართებით, საკასაციო პალატა პირველ რიგში განმარტავს, რომ სამენარმეო საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივ ფორმებს, დაფუძნებას, კორპორაციული მართვის სისტემებს, პარტნიორისა და დირექტორის უფლება-მოვალეობებს აწესრიგებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი (მოცემულ გადაწყვეტილებაში მითითებული და შეფასებული იქნება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით). აღნიშნული კანონი ძირითადად აგებულია დისპოზიციურ ნორმებზე და საზოგადოების მართვის შიდა კორპორაციული საკითხები თავად მხარეთა ნებას ექვემდებარება. სამენარმეო სამართალში აღნიშნული ნების ავტონომია გამოიხატება წესდებაში და განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, რომელთა შესრულების ვალდებულებაც მხარეებს კანონით ეკისრებათ.

14. პალატა აღნიშნავს, რომ საწარმოს პარტნიორი, საზოგადოების წილის შეძენასთან ერთად იძენს მის წილთან დაკავშირებულ ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს, მათ შორის, ერთ-ერთ არაქონებრივ უფლებას წარმოადგენს საზოგადოების კონტროლისა და შემოწმების, საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ, კონტროლი გაუწიონ საზოგადოების ხელმძღვანელობას. მეთვალყურეობა შესაძლებელია თითოეული პარტნიორის მიერ როგორც ინდივიდუალურად, ისე პარტნიორთა კრების მეშვეობით. სწორედ პარტნიორის მიერ ინდივიდუალური კონტროლის ფორმას წარმოადგენს საზოგადოების პარტნიორის უფლება, თავისუფლად მიუწვდებოდეს ხელი საზოგადოების საქმიანობის ამსახველ დოკუმენტაციაზე (იხ. სუსგები საქმეებზე №ას-1571-2018, 02/08/2019 წ. და №ას-54-2022, 28/09/2022 წ.).

15. განსახილველ შემთხვევაში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილია სადავო საკითხის გადანყვევცისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ მოსარჩელე მ. მ-ი წარმოადგენს შპს „დ. გ-ის“ 23%-იანი წილისა და შპს „ჩ. ... ს-ეს“ 27.5%-იანი წილის მფლობელ პარტნიორს, რომელიც გამოხატავს საწარმოში არსებული გარკვეული სახის ინფორმაციის და დოკუმენტაციის მიღების ინტერესს. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სავსებით მართებულად მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც აღიარებს პარტნიორის უფლებას, ინფორმირებული იყოს საზოგადოების საქმიანობის თაობაზე და დაუბრკოლებლად მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ამ საქმიანობის შედეგს უკავშირდება. მენარმე სუბიექტის (ამ შემთხვევაში, საწარმოს პარტნიორის) ამგვარი მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა ზემოაღნიშნული კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტია (ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს, შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით და საწარმოს ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მაგრამ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიშში არსებითი შეცდომაა, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება საწარმოს. კონტროლისა და შემოწმების ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ამ კანონით, გაფართოება კი შესაძლებელია წესდებით), ხოლო 46-ე მუხლის მე-4 პუნქტით (დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ, გაეცნოს საზოგადო-

ების წიგნებსა და ჩანაწერებს) აღიარებულია დირექტორის, როგორც ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მოვალეობა, ხელი შეუწყოს პარტნიორს სპეციალური კანონით (მათ შორის 3.10 მუხლით) გათვალისწინებული უფლების განხორციელებაში (მრავალთა შორის, იხ. სუსგ-ები: №ას-700-663-2013, 10.12.2013 წ.; №ას-800-759-2013, 24.01.2014 წ.; №ას-54-2022, 28.09.2022 წ.; №ას-1340-2022, 27.01.2023 წ.).

16. საკასაციო პალატის მოსაზრებით, პარტნიორის ზემოაღნიშნული უფლებების განხორციელების გამოსარიცხად, არარელევანტურია კასატორების მითითება მოთხოვნილი დოკუმენტაციის ნაწილის არარსებობის გამო, დაკისრებული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისა და გადაწყვეტილების აღუსრულებლობის თაობაზე. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ასეთი მტკიცება ვერ გამოორიცხავს სასარჩელო მოთხოვნის მართლზომიერებას, ვინაიდან წინამდებარე დავის საგანს ვინდოვანი მოთხოვნა არ წარმოადგენს და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის არ არის აუცილებელი დადგინდეს სადავო დოკუმენტაციაზე მოპასუხის მფლობელობის ფაქტი, ურომლისოდაც ვერ იქნება გამოტანილი გადაწყვეტილება ამ ნივთის გამოთხოვის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანია კომპანიის მეწილის მიერ გარკვეული ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის მოპოვება. კანონის მიხედვით, მეწილეს უნდა ჰქონდეს შეუზღუდავი წვდომა კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტებთან. ამდენად, თუ ამ დოკუმენტაციის გარკვეული ნაწილი, რაიმე ობიექტური მიზეზის გამო, საწარმოს არ გააჩნია, ეს გაირკვევა გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე (იხ. სუსგ-ები საქმეებზე: №ას-1515-2022, 02/03/2023 წ.; №ას-731-2021, 15/10/2021 წ.).

17. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნის მართლზომიერებას კასატორების ვერც ის მითითება გამოორიცხავს, რომ გამოთხოვილი დოკუმენტაციის უმეტესი ნაწილი მ. მ-ს უკვე გადაცემული აქვს და გაცნობილია, რამეთუ საქმეში არ არის წარმოდგენილი იმგვარი მტკიცებულებები, რაც შექმნიდა კასატორების მითითების გაზიარების შესაძლებლობას; ამასთან, იმ პირობებში, როდესაც საწარმოს პარტნიორი ამტკიცებს, რომ კომპანიის დირექტორები თავს არიდებენ მისთვის დოკუმენტების გადაცემას და სურს გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას გაიზიაროს კასატორთა მითითება, რამეთუ აღნიშნული ზღუდავს პარტნიორის უფლებას.

18. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებმა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზიით, სრულად ვერ გააქარწყლეს სასარჩელო მოთხოვნის მართლზო-

მიერება, რომლის კანონიერებაც წინამდებარე განჩინების მე-15 აბზაცში მითითებული სამართლებრივი დანაწესებიდან გამომდინარეობს და მოპასუხე მხარეებს ავალდებულებს, უზრუნველყოს შემომწმებისა და კონტროლის შესახებ პარტნიორის უფლების რეალიზაცია, თუმცა, მოსარჩელისათვის შემოსავლების სამსახურის (RS-ის) მონაცემების (მომხმარებელი და პაროლი ნახვის ფუნქციით) გადაცემის დავალების ნაწილში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებმა წარმოადგენს დასაბუთებული პრეტენზია.

19. ამ უკანასკნელ მოთხოვნასთან მიმართებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგადასახადო ორგანო დოკუმენტს პირს უგზავნის ან/და წარუდგენს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. ამავე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის ელექტრონული ფორმით გაგზავნილი დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე. ამავე კოდექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში - გაცნობისთანავე ან გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე განთავსებიდან 30-ე დღეს, თუ ამ ვადაში ადრესატი შეტყობინებას არ გასცნობია. „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელს შორის კომუნიკაცია (მათ შორის, დეკლარირება) შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით, ონლაინ რეჟიმში, შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის www.rs.ge (შემდეგში – სამსახურის ვებგვერდი) გამოყენებით. დასახელებული ნორმების საფუძველზე, საგადასახადო ორგანოსა და გადასახადის გადამხდელს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით, შემოსავლების სამსახურის მომსახურების პორტალის მეშვეობით. მომსახურების პორტალს ჰყავს ავტორიზებული მომხმარებელი – გადასახადის გადამხდელის სახით, რომელიც ფლობს აღნიშნული პორტალის გამოსაყენებელ სახელწოდებასა და პაროლს. შესაბამისად, საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის მე-9 ნაწილში დასახელებულ ადრესატში იგულისხმება სწორედ გადასახადის ის გადამხდელი, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული პორტალის ავტორიზებულ მომხმარებელს და ინტერნეტ-პორტალზე განხორციელებული ყველა ქმედება, სწორედ მისთვის წარმოშობს სამართლებრივ შედეგს. „გადასახადის ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის ელექტრონული

ფორმით გაგზავნილი ნებისმიერი დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი სამსახურის ვებგვერდზე ან ელექტრონულ ფოსტაში გაცნობისთანავე, რის თაობაზეც საგადასახადო ორგანოს ინფორმაცია მიეწოდება სამსახურის ვებგვერდიდან. ამგვარად, ადრესატის მიერ საგადასახადო ორგანოს მხრიდან გაგზავნილი ელექტრონული დოკუმენტის გაცნობის ფაქტი დასტურდება პროგრამულად, კერძოდ, შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდიდან, მაშინ როდესაც ადრესატი გაგზავნილი დოკუმენტის „ლინკს“ გახსნის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვებპორტალზე წვდომა გააჩნია მხოლოდ და მხოლოდ ავტორიზებულ მომხმარებელს – გადასახადის გადამხდელს ან მის უფლებამოსილ პირს. შესაბამისად პორტალზე გაგზავნილი ელექტრონული დოკუმენტის მიმღები ყოველთვის არის შესაბამისი ადრესატი, კონკრეტული გადასახადის გადამხდელი. პორტალზე გაგზავნილი ელექტრონული დოკუმენტის გახსნისას ყოველთვის ივარაუდება, რომ მისი გაცნობაც ამავე ადრესატის მიერ ხდება (იხ. სუსგ. საქმეზე №ბს-308(კ-21); 30/09/2021 წ.). აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მითითებას მასზედ, რომ არაუფლებამოსილი პირის პორტალზე დაშვებამ, შესაძლოა საზოგადოებას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს. გარდა ამისა, შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი www.rs.ge „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, წარმოადგენს შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელს შორის კომუნიკაციის (მათ შორის, დეკლარირების) ელექტრონული ფორმით, ონლაინ რეჟიმში განხორციელების საშუალებას; შესაბამისად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტისა და ამავე კანონის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, პარტნიორისათვის გადაცემას შესაძლოა ექვემდებარებოდეს მისი მეშვეობით ნაწარმოები დოკუმენტაცია და არა უშუალოდ RS-ის მონაცემები (მომხმარებელი და პაროლი), რომელიც არ განეკუთვნება დოკუმენტთა კატეგორიას. შესაბამისად, ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია (სსკ-ის 393-ე მუხლი), რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ამავე ნაწილში, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

20. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

21. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ შპს „ჩ. ... ს-ისა“ და შპს „დ. გ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება მოსარჩელის სასარგებლოდ შემოსავლების სამსახურის (RS-ის) მონაცემების (მომხმარებელი და პაროლი ნახვის ფუნქციით) გადაცემის შპს „ჩ. ... ს-ისა“ და შპს „დ. გ-ისათვის“ დავალების შესახებ და ამ ნაწილში, მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება მ. მ-ის საარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

22. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად, მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიცხადდა მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. შესაბამისად, მ. მ-ს შპს „ჩ. ... ს-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 225 (75+150) ლარის გადახდა, ხოლო, შპს „დ. გ-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 225 (75+150) ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე ჯ ი ტ ა :

1. შპს „ჩ. ... ს-ისა“ და შპს „დ. გ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება მოსარჩელის სასარგებლოდ შემოსავლების სამსახურის (RS-ის) მონაცემების (მომხმარებელი და პაროლი ნახვის ფუნქციით) გადაცემის შპს „ჩ. ... ს-ისა“ და შპს „დ. გ-ისათვის“ დავალების შესახებ და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. მ-ის სარჩელი შპს „ჩ. ... ს-ისა“ და შპს „დ. გ-ის“ მიმართ, შემოსავლების სამსახურის (RS-ის) მონაცემების (მომხმარებელი და პაროლი ნახვის ფუნქციით) მოსარჩელისათვის გადაცემის დავალების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

4. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;

5. მ. მ-ს შპს „ჩ. ... ს-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 225 (75+150) ლარის გადახდა;

6. მ. მ-ს შპს „დ. გ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 225 (75+150) ლარის გადახდა;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის
ფორმის ბოროტად გამოყენება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმით**

№ას-532-2021

13 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. მიქაუტაძე,
ვ. კაკაბაძე**

დავის საგანი: ნასყიდობის საფასურისა და პირგასამტეხლოს და-
კისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ე. გ-ი“ (შემდგომში „შპს“, „კომპანია“, „მოპასუხე კომპანია“ ან „მყიდველი“) საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტია (რეგისტრაციის თარიღი – 19.07.2016წ.), რომლის 100% წილის მესაკუთრე პარტნიორი და დირექტორია ნ. ბ-ი (შემდგომში „კომპანიის დირექტორი“, „მოპასუხე“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“, შემდგომში ტექსტში ორივე ერთად მოხსენებული, როგორც „მოპასუხე-ბი“).

2. 2018 წლის 23 იანვარს მოპასუხე კომპანიასა და შპს „ს-ს“ (შემდგომში „მოსარჩელე“ ან „გამყიდველი“) შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“), რომლის შესაბამისად, მოსარჩელეს მოპასუხისათვის უნდა მიეწოდებინა ტექნიკა და თანმდევი მომსახურება (ინსტალაცია/გამართვა). ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრა 42 605,40 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარში, დღგ-ს ჩათვლით, გადახდის დღისათვის არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით.

3. მყიდველს ნასყიდობის საფასური უნდა გადაეხადა 3 ნაწილად. კერძოდ, ღირებულების 35% მყიდველს უნდა გადაეხადა შეკვეთის განთავსებისას; მე-2 ნაწილი – ღირებულების 35% – ტექნიკის ჩამოსვლისას, ხოლო დარჩენილი მე-3 ნაწილი – მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა.

4. ხელშეკრულების 7.2 პუნქტით, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარეებმა გაითვალისწინეს პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,2%.

5. მყიდველმა შეკვეთის განთავსებისას გადაიხადა ხელშეკრულების ღირებულების 35 % – 37500 ლარი.

6. 2018 წლის 24 იანვარს მყიდველმა გამყიდველს გადაურიცხა ნასყიდობის საფასურის ნაწილი – 37 500 ლარი.

7. 2018 წლის 20 მარტს მხარეთა შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი ხელშეკრულებით შეთანხმებულ პროდუქტიაზე.

8. შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 17 მაისის №025-2018-073544 ბრძანების საფუძველზე გადასახადის, საურავის და ჯარიმის თანხების ჩამოწერის და შესაბამის ბიუჯეტში ჩარიცხვის მიზნით, მყიდველის საბანკო ანგარიშებზე წარდგენილ იქნა საინკასო დავალებები.

9. კომპანიის 100% წილის მესაკუთრე პარტნიორმა და დირექტორმა 2018 წლის 8 ივნისს გამყიდველის ანგარიშზე დამატებით გადარიცხა 35 000 ლარი (გადახდის დანიშნულებაში მიეთითა – „შეძენილი საქონლის ღირებულება“).

10. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2018 წლის 13 ივნისის საგადასახადო შემოწმების აქტის შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის ერთიან ელექტრონულ ბაზაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ შესამოწმებელ პერიოდში კომპანიის დღგ-თი დასაბეგრმა ბრუნვამ შეადგინა 2016 წლის ივლისში – 10 533 ლარი; 2018 წლის თებერვალში – 53 964 ლარი; მარტში 109 868 ლარი. სსკ-ს 275-ე მუხლის მიხედვით, შპს დაჯარიმდა ბიუჯეტში გადასახდელი თანხის შემცირებისათვის. ამავე აქტის შესაბამისად, კომპანიამ დაარღვია სსკ-ს 175-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანების მოთხოვნები, კერძოდ, დღგ-ს დეკლარაციაში ანგარიშ-ფაქტურების რეესტრით არ არის ასახული 2018 წლის მარტის ანგარიშ-ფაქტურები. შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელს მიეთითა უზრუნველყო ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მონესრიგება კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, გამოვლენილი დარღვევების მიხედვით მოეხდინა ცვლილებები საბუღალტრო დოკუმენტაციაში.

11. მყიდველს გამყიდველის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დარჩენილი აქვს დავალიანება – 12 781.62 აშშ დოლარი.

12. მოსარჩელის მოთხოვნა

12.1. გამყიდველმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მყიდველისა და კომპანიის დირექტორის მიმართ და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების 11 791.75 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს, 14 191.33 აშშ დოლარის მოპასუხეთათვის სოლიდარულად გადახდის დაკისრება.

12.2. მოსარჩელის განცხადებით, 2018 წლის 23 იანვარს მასსა და შპს-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ტექნიკისა და თანმდევი მომ-

სახურების ნასყიდობის შესახებ, რომლის მიხედვით, შპს-ს მოსარჩელისგან უნდა შეეძინა 41 605.4 აშშ დოლარის ღირებულების საქონელი. მოსარჩელემ მას მიაწოდა ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონელი, თუმცა შპს-მ არ შეასრულა გარიგებით ნაკისრი ვალდებულება და არ გადაიხადა საქონლის ღირებულება. მოსარჩელის არაერთი მოთხოვნის შემდგომ, 2018 წლის 8 ივნისს, კომპანიის დამფუძნებელმა პარტნიორმა, დირექტორმა გადაიხადა შეძენილი საქონლის ღირებულების ნაწილი, ხოლო დარჩენილი თანხის გადახდაზე განაცხადა უარი. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის განსაზღვრული იყო პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.2%. მოსარჩელის აზრით, კომპანიის დამფუძნებელი/დირექტორის არაკეთილსინდისიერად უძღვებოდა შპს-ს საქმიანობას და კომპანიიდან იღებდა პირად სარგებელს, რის გამოც, მის მიმართ არსებობს ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების წინაპირობა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ შპს გადახდისუუნაროა და მას სახელმწიფოსა და სხვა კრედიტორების წინაშე აქვს შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებები, მოპასუხეს არ დაუწყია გადახდისუუნარობის საქმისწარმოება. ამდენად, კომპანიას მის დირექტორთან ერთად სოლიდარულად გადასახდელად უნდა დაეკისროს ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანებისა და პირგასამტეხლოს გადახდა.

13. მოპასუხეების პოზიცია

13.1. მოპასუხე კომპანიამ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი ნაწილობრივ ცნო და განმარტა, რომ მას მოსარჩელის მიმართ დავალიანება მართლაც აქვს, თუმცა, თავის მხრივ, მოსარჩელემაც დაარღვია ხელშეკრულების პირობა – შესყიდული საქონელი მიაწოდა დავიანებით, რამაც კომპანიის საქმიანობა შეაფერხა, რადგან შესყიდული საქონლის ნაწილი დარჩა გამოუყენებელი. ამასთან, მოსარჩელემ შპს-ს არ გადასცა სრულყოფილი დოკუმენტაცია, რის გამოც, კომპანიას წარმოეშვა დავალიანება (ჯარიმის სახით) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

13.2. კომპანიის დირექტორმა წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ არასწორია მოსარჩელის პრეტენზია დავალიანების გადახდაზე სოლიდარულად ვალდებულ პირად მისი მიჩნევის შესახებ. მოსარჩელის განმარტება იმის შესახებ, რომ კომპანიის დირექტორი არაკეთილსინდისიერად უძღვებოდა შპს-ს საქმიანობას და კომპანიის ქონებას იყენებდა პირადი მიზნებისთვის ეწინააღმდეგება მისივე განცხადებას, რომ მოპასუხემ პირადად გადაურიცხა დავალიანების ნაწილი მოსარჩელეს. 2018 წლის 8 ივნისისთვის შპს-ს საბანკო ანგარიშზე წარმოშობილი იყო საინკასო დავალიანება, რის გამოც, კომპანია ვერ შეძლებდა მოსარჩელისთვის თანხის გადარიცხვას,

სწორედ ამიტომ, შპს-ს დირექტორმა თანხა გადარიცხა პირადად.

14. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება

14.1. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ დავალიანების, 30 658.55 ლარისა და პირგასამტეხლოს, 3747.42 ლარის გადახდა.

15. კომპანიის დირექტორის (მოპასუხის) სააპელაციო საჩივარი

15.1. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მის მიმართ დაყენებული მოთხოვნის ნაწილში (თანხის სოლიდარულად დაკისრება) სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

16. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

16.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 24 თებერვლის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

16.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-11 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

16.3. სასამართლომ იხელმძღვანელა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო პერიოდში მოქმედი 3.2, 3.6, 9.6, 44-ე მუხლებით, სამოქალაქო კოდექსის 463-ე, 464-ე მუხლებით და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და წარდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება, რომ კომპანიის დირექტორი არაკეთილსინდისიერი განზრახვით იყენებდა კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივ ფორმას, რაც წარმოშობს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 3.6 მუხლით განსაზღვრულ ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ ამოქმედებისათვის საკმარის ნაწინამძღვარს. პალატის შეფასებით, კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა პარტნიორის/დირექტორის „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი – კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა. დირექტორი, რომლის მოვალეობაა კეთილსინდისიერად გაუძღვეს საწარმოს საქმიანობას და ზრუნავდეს შემოსავლის გაზრდაზე, არ/ვერ ასრულებს ამ ვალდებულებას, რის გამოც საწარმოში სრულად მოშლილია კორპორაციული მართვის სისტემა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებითაა დადგენილი, კომპანიის დირექტორისთვის უცნობია, თუ რამდენი პირია დასაქმებული მის კომპანიაში და რა სახელფასო ანაზღაურება გაცივმა მათ მიმართ მისთვის ასევე უცნობია, თუ რა დანიშნულებით რიცხავდა კომპანია თანხების.

შემოსავლების სამსახურიდან წარდგენილი დეკლარაციების მიხედვით, დეკლარირებული თანხები არ ემთხვევა საბანკო ანგარიშების ამონაწერებში მითითებულ თანხებს.

16.4. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მითითება იმის შესახებ, რომ კომპანიის დირექტორმა შექმნილი პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი გამოიყენა არა კომპანიის საქმიანობის განვითარებისა და ორგანიზაციის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის, არამედ პირადი ინტერესებისთვის. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ კომპანიაში არ კონტროლდებოდა შემოსული და გასული თანხები, აღრეული იყო კომპანიის დირექტორის პირადი და საწარმოს ქონება, მოშლილი იყო ბუღალტრული აღრიცხვა. ეს ყოველივე კი, მიმართული იყო საზოგადოების წინაშე არსებული ვალდებულებებისაგან თავის არიდებისა და პარტნიორის/დირექტორის პირადი სარგებლის მიღებისაკენ. ამდენად, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ შპს-ს დირექტორი კომპანიის საფარველს ამოფარებული ზრუნავდა პირად კეთილდღეობაზე, იყენებდა რა ბოროტად კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტს. მისი ამ ქმედებით კი, ზიანი მიადგა მოსარჩელეს, რაც გამოიხატა აუნაზღაურებელ ვალდებულებებში. შესაბამისად, არსებობდა მოპასუხე კომპანიასთან ერთად მისი დირექტორისთვის სოლიდარულად გადასახდელად თანხის დაკისრების საფუძველი.

17. კომპანიის დირექტორის (მოპასუხის) საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები

17.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 24 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს-ს დირექტორმა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, კომპანიის დირექტორის მიმართ წარდგენილი მოთხოვნის ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

17.2. კასატორის განცხადებით, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა – „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 3.6 მუხლი და დაასკვნა, რომ შპს-ს დირექტორი კორპორაციულ საფარველს ამოფარებული ზრუნავდა პირად კეთილდღეობაზე, რითაც ზიანი მიადგა მოსარჩელეს, თუმცა საქმეში არ მოიპოვება არცერთი მტკიცებულება და სასამართლოც ვერ მიუთითებს იმგვარ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც დაადასტურებდა „მენარმეთა შესახებ“ კანონის 3.6 მუხლით გათვალისწინებულ ე.წ „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დაკისრებისთვის აუცილებელ წინაპირობებს. მხოლოდ ის გარემოება, რომ დირექტორმა არ იცის რამდენი ადამიანი მუშაობს მის საწარმოში და რა რაოდენობის ხელფასები გაიცემა მათზე, რა თქმა უნდა არ მოიცავს პარტნიორის განზრახვას საზოგადოების „ინსტრუ-

მენტად“ გამოყენებისთვის და ასევე არ მოიცავს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მარტოოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას.

17.3. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა კანონი, რომელიც არ გამოიყენა – „მენარმეთა შესახებ“ კანონის 3.4 მუხლი, რომლის მიხედვით. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისთვის პასუხს არ აგებენ. ამავე კანონის 44-ე მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. ამ ნორმებით შპს-ს პარტნიორების პირადი ქონება გამიჯნული და დაცულია კომპანიის ვალდებულებებისაგან. კომპანიის შეუსრულებელი ვალდებულების გამო დირექტორის ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დაკისრებისთვის აუცილებელია არსებობდეს კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

18. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

18.1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 24 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

18.2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 29 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი საფუძვლიანია.

19. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შე-

დავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

20. მოცემულ შემთხვევაში, სადავო არ არის, რომ მცხეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა წარდგენილი სარჩელი და მოპასუხეებს – კომპანია და მის დირექტორს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად გადასახდელად დაეკისრა თანხის გადახდა, კომპანიას არ გაუსაჩივრებია. შესაბამისად, გადაწყვეტილება კომპანიის მიმართ წარდგენილი მოთხოვნის ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში.

21. განსახილველი დავის ფარგლებში შესაფასებელია კომპანიის დირექტორის მიმართ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების კანონიერება.

22. კასატორის ძირითადი საკასაციო პრეტენზია ემყარება იმას, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად გამოიყენეს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი 3.6 მუხლი (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს) და მოპასუხე კომპანიასთან ერთად კომპანიის დირექტორის სოლიდარული პასუხისმგებლობის საკითხი არასწორად დააფუძნეს ე.წ. „გამჭოლ პასუხისმგებლობას“.

23. მითითებული პრეტენზიის შემონგების მიზნით, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს განმარტოს „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ ცნება და მისი წარმოშობის წინაპირობები. მანამდე კი, ყურადღებას მიაცევს დავის წარმოშობის დროს მოქმედ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლზე, რომლითაც დადგენილია, რომ შპს-ს პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საზოგადოების მთელი ქონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ვალდებულებებისათვის საზოგადოების პარტნიორები პირადი ქონებით პასუხს არ აგებენ. ამ წესიდან გამონაკლისს ადგენს ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი და საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობას აკისრებს პარტნიორს ამ უკანასკნელის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში.

24. პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის აღნიშნული წესი გამოდინარეობს იმ დოქტრინიდან, რომელსაც სამენარმეო სამართალში „კორპორაციული საფარველის გაჭოლის“ ან სხვაგვარად, „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა ეწოდება.

25. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების საჭიროება, როგორც წესი, წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულება წარმოეშვა კომპანიას, მაგრამ იგი არ არის გადახდისუნარიანი. კრედიტორი, გადახდისუნარიანი პირის ძიებაში, უჩივის კომპანიის პარტნიორს და მიუთითებს, რომ ამა თუ იმ მიზეზის გამო, ის პირადად აგებს პასუხს კომპანიის სახელით წარმოშობილი ვალდებულებებისათვის. ასეთ შემთხვევაში, როდესაც კომპანია გადახდისუნაროა და კრედიტორი ითხოვს გადახდას პარტნიორისაგან, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოშობილი დანაკარგი მესამე პირს თუ პარტნიორს დააკისროს. ყოველ ასეთ შემთხვევაში შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის უპირობო გამოყენება გამოინვევდა შედეგს, რომელიც ყოველთვის კრედიტორს აზარალებს.

26. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების საფუძვლები პირველად განიმარტა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მიერ. აღნიშნული განმარტების მიხედვით, გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როდესაც პარტნიორის მხრიდან ადგილი აქვს მოტყუებას, შეცდომაში შეყვანას ან მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას (fraud, misrepresentation, illegality). მოგვიანებით, სამოსამართლო სამართალი განეწესა აღნიშნულ თემაზე და გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძვლად მიიჩნია ისეთი შემთხვევები, როცა კომპანია წარმოადგენს პარტნიორის ხელში „ინსტრუმენტს“, პარტნიორის „ალტერ ეგოს“ ან „ფიქციას“ (Melvin Aron Eisenberg, *Corporations and Other Business Organizations, Cases and Materials*, at 220-257, Foundation Press (9th ed. 2005)).

27. გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების ფართოდ გავრცელებული საფუძვლებია კომპანიის „არაადეკვატური კაპიტალიზაცია“ (გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების მიზნებისათვის არაადეკვატური კაპიტალიზაცია არ გულისხმობს კანონით დადგენილი მინიმალური კაპიტალის ქონას (მრავალ ქვეყანაში, საქართველოს ჩათვლით, ასეთი მოთხოვნა კომპანიების მიმართ აღარ არსებობს). არაადეკვატურ კაპიტალიზაციაში იგულისხმება ის შემთხვევა, როცა კომპანიის კაპიტალი ძალიან მცირე ან შეუსაბამოა იმ კომპანიის საქმიანობის სახისათვის და იმ რისკების დასაზღვევად, რომელსაც კომპანიის ბიზნეს საქმიანობა წარმოშობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ იგულისხმება მოსალოდნელი ეკონომიკური საჭიროებები და არა ფორმალურ-სამართლებრივი მოთხოვნები. „არაადეკვატური კაპიტალიზაციის“ ელემენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არასახელშეკრულებო (არანებაყოფლობით) კრედიტორებთან მიმართებით პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისას), ასევე, „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“ (ამ ელემენტის დარღვევა აშკარაა, როცა არ იმართება დირექტორებისა და პარტნიორების კრებები, როცა პარტნიორებისა და

დირექტორების მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლება-
მოსილებები არ არის ნათლად გამიჯნული, როცა აღრეულია პარტნიო-
რებისა და კომპანიის ქონება, როცა კომპანიის სახსრები გამოიყენება
პარტნიორთა პირადი მიზნებისათვის, ხოლო პირადი ხარჯები მიიჩნე-
ვა კომპანიის ხარჯებად ბუღალტრული ანგარიშგების წესების დარღვე-
ვით, ან როცა არ ხდება სათანადო ბუღალტრული და ფინანსური ანგა-
რიშგება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება). საგადასახადო ვალ-
დებულებების კონტექსტში გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება,
როცა კომპანიის პარტნიორების საქმიანობა მიმართულია გადასახადე-
ბისაგან თავის არიდების სქემების შექმნისაკენ და კომპანია გამოიყე-
ნება, როგორც გადასახადებისაგან თავის არიდების „ინსტრუმენტი“.

28. როგორც უკვე აღნიშნა, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კა-
ნონი კომპანიის პარტნიორთა გამჭოლ პასუხისმგებლობას ითვალისწი-
ნებს მაშინ, როდესაც ისინი ბოროტად იყენებენ პასუხისმგებლობის
შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას.

29. საკასაციო პალატას მიჩნია, რომ აღნიშნული ნორმა ფართოდ
განიმარტება და მოიცავს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდ-
ვის კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენებას (მაგ., კორპორა-
ციის, როგორც მხოლოდ პარტნიორის მიზნის მისაღწევი „ინსტრუმენ-
ტის“ დანიშნულებით გამოყენება; „კორპორაციული ფორმულობების და-
უცველობა“; კორპორაციის, როგორც პარტნიორის „ალტერ ეგოს“ არ-
სებობა), არამედ თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც პა-
სუხისმგებლობის ელემენტის, ბოროტად გამოყენებას, რაც გულის-
ხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგი-
ის მარტოოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუ-
თარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას
კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით.

30. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს,
რომ პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბო-
როტად გამოყენება სახეზეა, როცა შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოების პარტნიორი საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანე-
ლობს და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს
გადასახადებისაგან თავის არიდებას, ანუ როცა საზოგადოება პარტნი-
ორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერი-
რებელი წყაროს დანიშნულებით. აღნიშნული გარემოების მტკიცების
ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს (იხ. სუსგ საქმე №ას-1307-1245-2014, 6
მაისი, 2015 წელი; საქმე №1307-1245-2014, 6 მაისი, 2015 წელი).

31. განსახილველ დავაში, ვინაიდან დადგენილია, რომ მოპასუხე
კომპანიის ერთადერთი პარტნიორი არის თავად კომპანიის დირექტო-
რი (კასატორი), საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ასევე შეე-

ხოს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ცნებას – დირექტორის ზრუნვის მოვალეობას. როგორც უზენაესი სასამართლოს არაერთ განჩინებაშია განმარტებული, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (დავის წარმოშობის დროს მოქმედი) მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კომპანიის დირექტორს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომლებსაც ფიდეუციური მოვალეობები ეწოდება, და რომლებიც, სხვასთან ერთად, მოიცავს დირექტორის მოვალეობას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის („ზრუნვის მოვალეობა“) (იხ. სუსგ საქმე №ას-1307-1245-2014, 06 მაისი, 2015 წელი; №ას-1158-1104-2014, 06 მაისი, 2015 წელი) აღნიშნული მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, დირექტორი საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებს სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ [დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ].

32. ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმები მიუთითებენ როგორც დირექტორის, ასევე პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის სამართლებრივ საფუძვლებზე.

33. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა წარმოადგენს საგამონაკლისო მექანიზმს, განსაკუთრებით კი, პირადი პასუხისმგებლობა „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ ფორმით. შესაბამისად, იგი აერთიანებს ფაქტობრივ გარემოებათა და წინაპირობათა ფართო წრეს, რის გამოც, ერთ-ერთ რთულად დასამტკიცებელ სამართლებრივ მოცემულობად მიიჩნევა. ამ სახის პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის საჭიროა, ერთი მხრივ, პარტნიორის ქმედებებსა და კომპანიის გადახდისუნარობას და, მეორე მხრივ, პარტნიორის ქმედებებსა და კრედიტორისთვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა.

34. მოცემულ საქმეში, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე კომპანიის დირექტორი ორგანიზაციის საფარველს ამოფარებული ზრუნავდა პირად კეთილდღეობაზე, იყენებდა რა ბოროტად

საკუთარ უფლებამოსილებებს – მან შეძენილი პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი გამოიყენა არა კომპანიის საქმიანობის განვითარებისა და ორგანიზაციის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის, არამედ პირადი ინტერესებისთვის. დირექტორისათვის „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დაკისრების უმთავრეს საფუძვლად კი, სასამართლომ „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“ დაასახელა. კერძოდ, მიუთითა, რომ კომპანიის დირექტორისთვის უცნობია, თუ რამდენი პირია დასაქმებული მის კომპანიაში და რა სახელფასო ანაზღაურება გაიცემა მათ მიმართ, ასევე უცნობია, რა დანიშნულებით რიცხავდა კომპანია თანხებს (საშემოსავლო დეკლარაციებში ასახული თანხები არ ემთხვევა საბანკო ანგარიშების ამონაწერებში მითითებულ თანხებს), აღრეულია კომპანიის დირექტორის პირადი და საწარმოს ქონება, მოშლილია ბუღალტრული აღრიცხვა და სხვა.

35. კასატორი არ ეთანხმება ქვედა ინსტანციის სასამართლოს მითითებულ დასკვნას და აცხადებს, რომ საქმეში არ მოიპოვება არცერთი მტკიცებულება, რომელიც ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დაკისრებისთვის აუცილებელ წინაპირობებს დაადასტურებდა.

36. ამდენად, საკასაციო საჩივრის ფარგლებში სადავოა, ჰქონდა თუ არა სასამართლოს შესაძლებლობა, მხარეთა მიერ საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად, დაედგინა დირექტორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენების ფაქტი და ამ საფუძვლით მისთვის დაეკისრებინა ფინანსური პასუხისმგებლობა.

37. სასამართლო მიუბრუნდება მსჯელობას, რომლის მიხედვით, ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული საფუძველია „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“, რაც გულისხმობს იმას, რომ კომპანიაში დარღვეულია შემდეგი ფორმალური ნესები: არ იმართება დირექტორებისა და პარტნიორების კრებები; პარტნიორებისა და დირექტორების მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები არ არის ნათლად გამიჯნული; აღრეულია პარტნიორებისა და კომპანიის ქონება; კომპანიის სახსრები გამოიყენება პარტნიორთა პირადი მიზნებისათვის, ხოლო პირადი ხარჯები მიიჩნევა კომპანიის ხარჯებად ბუღალტრული ანგარიშგების ნესების დარღვევით; არ იწარმოება სათანადო ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი დოკუმენტაცია (იხ. სუსგ საქმე №ას-1307-1245-2014, 6 მაისი, 2015 წელი). აღსანიშნავია, რომ კორპორაციულ ფორმალობათა ისეთი დაუცველობა, რომელსაც არ მოჰყოლია კრედიტორისთვის უარყოფითი შედეგი, არ წარმოადგენს გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მითითებული გარემოებები დგინდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებებით (იხ. სუსგ საქ-

მე №ას-433-2020, 19 ნოემბერი, 2020 წელი).

38. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული მტკიცების ტვირთი [სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი] ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს.

39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია განმარტებული, რომ მტკიცებულებათა შეფასება სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს. მტკიცებულებათა შეფასება ეფუძნება შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და არა – სასამართლოს სუბიექტურ მოსაზრებებს. სასამართლო ობიექტურ სანყისებზე მტკიცებულებათა ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის შედეგად ადგენს მათ იურიდიულ ძალას, კერძოდ, განსაზღვრავს, თუ რა გარემოების დადგენა ან პირიქით, უარყოფაა შესაძლებელი. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მტკიცებულებათა შეფასება მათი უტყუარობის თვალსაზრისით, რისთვისაც საჭიროა ამ მტკიცებულებათა ყოველმხრივი შემოწმება, მათი დაპირისპირება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან. მტკიცებულებათა შეფასებას კი, პროცედურულად მოჰყვება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა (იხ. სუსგ საქმე №ას-400-2020, 15.02.2020).

40. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკიდან გამომდინარე, ე.წ „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დაკისრებისთვის აუცილებელია დგინდებოდეს პარტნიორის განზრახვა საზოგადოების „ინსტრუმენტად“ გამოყენებისთვის, რაც თავისთავად გულისხმობს პარტნიორის აქტიურ მოქმედებებს დასახული მიზნის მისაღწევად. ამდენად, ამ ტიპის დავის მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვეტისთვის აუცილებელია საქმის გარემოებებიდან აშკარად იკვეთებოდეს პარტნიორის მიზანი – თუ რის მისაღწევად მოქმედებს იგი და ამ მიზნის მისაღწევად რა აქტიურ მოქმედებებს ასრულებს.

41. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ კომპა-

ნიის დირექტორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენების ფაქტი დაადგინა შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით: კომპანიის დირექტორს არ ახსოვს, თუ რამდენი პირია დასაქმებული მის კომპანიაში და რა სახელფასო ანაზღაურება გაიცემა მათ მიმართ; მისთვის ასევე უცნობია რა დანიშნულებით ირიცხებოდა ორგანიზაციიდან თანხები; ამასთან, ვინაიდან დირექტორმა პირადად, თავისი სახელით გადაიხადა დავალიანების ნაწილი, აღნიშნული ცალსახად მიუთითებდა კორპორაციული მართვის ფუნქციის მოშლასა და, ზოგადად, კორპორაციული ფორმალობების დაუცველობაზე, რასაც ვერ გაიზიარებს საკასაციო სასამართლო და აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული გარემოებები არ არის საკმარისი ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დაკისრებისთვის აუცილებელი წინაპირობების დასადასტურებლად. მეტიც, მითითებული გარემოებებით არ შეიძლება დადგინდეს კომპანიის დირექტორის მიერ ორგანიზაციის არაკეთილსინდისიერად გაძღოლის, საწარმოს ფულადი სახსრების არამიზნობრივად გახარჯვისა და, მით უფრო, დირექტორის პირადი მიზნებისთვის საწარმოს ქონების მოხმარების ფაქტი. რაც შეეხება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2018 წლის 13 ივნისის შემოწმების აქტის პროექტს, რომლის მიხედვითაც, შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, მოპასუხე კომპანიას მიეცა მითითება კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად მოენესრიგებინა ბუღალტრული დოკუმენტაცია, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მითითებული დოკუმენტიც არ ქმნის საფუძველს დასკვნისთვის, რომ კომპანიის დირექტორი არაკეთილსინდისიერად უძღვებოდა საწარმოს საქმიანობას და მისი ქმედებები მიმართული იყო საზოგადოების წინაშე არსებული ვალდებულებებისაგან თავის არიდებისკენ.

42. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნებისთვის სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული საფუძველი – კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა არ ვლინდება. მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხე კომპანიის დირექტორის/პარტნიორის მხრიდან საზოგადოების „ინსტრუმენტად“ გამოყენების განზრახვა მაშინ, როდესაც სწორედ მას ეკისრებოდა პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენების მტკიცების ტვირთი (იხ. სუსგ საქმე №ას-1307-1245-2014, 6.05.2015წ., საქმე №ას-1158-1104-2014, 6.05.2015წ.).

43. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები არ ქმნიდა კომპანიის დირექტორის-

თვის ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დაკისრებისთვის აუცილებელ წინაპირობებს, რაც დირექტორის მიმართ წარდგენილი მოთხოვნის ნაწილში კრედიტორის სარჩელზე უარის თქმის საფუძველია.

44. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძველები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი არ არსებობს, რადგან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

45. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად, 53-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 53-ე, 408-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ჯ ი ტ ა:

1. ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი, დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 24 თებერვლის განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
3. შპს „ს-ის“ მიერ სარჩელზე გადახდილი ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად;
4. შპს „ს-ს“ ნ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 3 218.64 ლარი;
5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. სააქციო საზოგადოება

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-243-2020

25 ნოემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. თოდუა,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: კრების ოქმის ბათილად ცნობა, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

ვ. ს-ძემ, გ. ლ-ძემ და მ. მ-მა (შემდეგში ტექსტში ცალ-ცალკე მოხსენიებული, როგორც „პირველი მოსარჩელე“, „მეორე მოსარჩელე“, „მესამე მოსარჩელე“ ან ერთად მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელები“) სარჩელი აღძრეს სასამართლოში სს „კ-ის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“, „კასატორი“, „საზოგადოება“, „კორპორაცია“) მიმართ და მოითხოვეს მოპასუხის აქციონერთა საერთო კრების 09.03.2015წ. ოქმის ბათილად ცნობა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის შრომის ანაზღაურების შეწყვეტის ნაწილში და, თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ, თანხის – 5904,51 ლარის დაკისრება (ანაზღაურება 09.03.2015 წლიდან 01.10.2015 წლამდე).

2. სარჩელის საფუძვლები:

2.1. მოსარჩელების მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით მოპასუხე საზოგადოება დაფუძნდა 10.04.1998წ.

2.2. მისი მართვის ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება, დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭო.

2.3. მოსარჩელები 16.08.2013წ. გამართულ აქციონერთა კრების მიერ ხმების 100%-ის თანხმობით არჩეულ იქნენ მოპასუხის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად 4 წლით (16.08.2017 წლამდე) და ყოველთვიური ანაზღაურება თითოეულს 880 ლარი განესაზღვრა.

2.4. 09.03.2015წ. აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებულ იქნა მოქმედი სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის შრომის ანაზღაურების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

2.5. 09.03.2015წ. აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის მე-2 საკითხზე უკანონოა, რადგან:

– მენარმეთა შესახებ კანონის 54.6 მუხლის „ვ“, „თ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, საერთო კრება უფლებამოსილია, აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან, განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ვადა, ასევე, გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი.

– სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა კომპლექსური ხასიათისაა: არჩევა/გამოწვევა – კორპორაციულსამართლებრივი აქტი; სხვა დანარჩენი ურთიერთობა – სახელშეკრულებოსამართლებრივი აქტი.

– აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შორის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ისე – წერილობით. როცა აქციონერთა საერთო კრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ანაზღაურების გადახდის შესახებ იღებს გადაწყვეტილებას, ის მოქმედებს კორპორაციის სახელით და ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან სახელშეკრულებო ბოჭვას.

– მოსარჩელებსა და აქციონერებს შორის ზეპირი ფორმით დადებულ ვადიან ხელშეკრულებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 16.08.2013წ. აქციონერებმა კორპორაციულსამართლებრივი აქტის (სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა) გარდა გააკეთეს შეთავაზება (ოფერტი) კონკრეტული ანაზღაურების სანაცვლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობების შესრულების თაობაზე, რაც აქცეპტირებულ იქნა მოსარჩელეთა მხრიდან.

– არ არის დადასტურებული, რომ მოსარჩელებმა რაიმე უფლება-მოვალეობა ჯეროვნად ვერ შეასრულეს ან სათანადო გულისხმიერებით არ განახორციელეს საქმიანობა.

– სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად და ჯეროვნად შესრულებისა და ხელშეკრულების არსებითი პირობის ცვლილებაზე მათი თანხმობის არარსებობის პირობებში, ანაზღაურების ცალმხრივად გაუქმების შესახებ საერთო კრების 09.03.2015წ. გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგო და ბათილია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 54-ე მუხლი).

2.6. 01.10.2015წ. საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რეგისტრაცია გაუქმდა და ახალი წევრები და-რეგისტრირდნენ.

2.7. მოპასუხეს უნდა დაეკისროს 09.03.2015 წლიდან 01.10.2015 წლამდე პერიოდზე (საჯარო რეესტრის მიერ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რეგისტრაციის გაუქმების თარიღამდე) სამეთვალყურეო საბჭოს

წევრის თითოეული მოპასუხისათვის 5904,51 ლარის ანაზღაურება.

3. მოპასუხის პოზიცია:

3.1. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხზე უნდა გავრცელდეს არა სსკ ან შრომის კოდექსი, არამედ მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, რომლის 54.6 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საერთო კრება უფლებამოსილია, გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი, რაც გულისხმობს როგორც ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, ისე ანაზღაურებაზე უარის (შენწყვეტის) თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. აღნიშნული გადაწყვეტილება მხოლოდ აქციონერთა გადაწყვეტილებაა, რომელიც სწორედ მათი ნების გამოვლენის შედეგია და იგი დამოუკიდებელი გარიგებაა.

3.2. გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება კანონით და საზოგადოებასთან მათი ურთიერთობა არის კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა აქციონერთა საერთო კრების მიერ მათი არჩევის შემდეგ და წევრის მიერ მისი მიღების მომენტიდან.

3.3. მოპასუხემ მტკიცებულების სახით მიუთითა მოსარჩელების 16.08.2013წ. თანხმობებზე, რომლებითაც ისინი ადასტურებენ თანხმობას მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობაზე და არა წევრობაზე რაიმე სახის, თუნდაც ანაზღაურების მიღების პირობით. მათ გამოთქვეს თანხმობა, შეესრულებინათ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებები და მოვალეობები ისე, რომ ეს თანხმობა არ იყო დამოკიდებული ანაზღაურების მიღებაზე. არ არსებობს ისეთი სახის მტკიცებულება, როგორიცაა – მოსარჩელეთა თანხმობა მათ მიერ საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებისათვის რაიმე სახის გასამრჯელოს მიღებაზე.

3.4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ხელშეკრულებები, როგორც წესი, არ იდება. მათი უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება კანონით და საბჭოს წევრობა ანაზღაურების მიღების უფლებას არ წარმოშობს. ამ საკითხის გადაწყვეტა აქციონერთა საერთო კრების ექსკლუზიურ უფლებას წარმოადგენს, მით უფრო, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეთა სამეთვალყურეო საბჭოს წევრად განწესება დამოკიდებული არ ყოფილა ანაზღაურებაზე და მხოლოდ საერთო კრების ცალმხრივი ნების, კეთილი ნების საფუძველზე გადაწყდა საკითხი, ისიც მას შემდეგ, რაც მოსარჩელები არჩეულ იქნენ საბჭოს წევრებად.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლე-

გიის 30.03.2018წ. საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირებად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაებნენ სს „ს.ს.ბ-ა“ (მოპასუხის აქციათა 56,32%-ის მფლობელი) და სს „გ.ე.თ-ი“.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძვლები:

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 31.05.2018წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის 09.03.2015წ. აქციონერთა საერთო კრების ოქმი, კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის შრომის ანაზღაურების შეწყვეტის ნაწილში (დღის წესრიგის მე-2 საკითხი). მოპასუხეს თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 09.03.2015 წლიდან 01.10.2015 წლამდე გადაუხდელი სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურების – 5904,51 ლარის გადახდა, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.1. მოპასუხე რეგისტრირებულია 1998 წელს. საზოგადოების მმართველობის ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანო არის აქციონერთა საერთო კრება. აქციონერთა კრებაზე, რომელიც უფლებამოსილია, აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და გადაწყვიტოს საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი, ყველა გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრით. სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისაგან და იგი აირჩევა 4 წლის ვადით.

5.2. მოპასუხის აქციონერთა კრების 16.08.2013წ. გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულ იქნა მეორე მოსარჩელე. პირველი მოსარჩელე და მესამე მოსარჩელე სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულ იქნენ ახალი ვადით. ამავე კრებაზე, აქციონერთა გადაწყვეტილებით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრა დარიცხული 880 ლარის ოდენობით.

5.3. მოპასუხის აქციონერთა კრების 09.03.2015წ. გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შეუწყდათ შრომის ანაზღაურება.

5.4. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თუ ამ კანონით ან საწარმოს წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, პარტნიორთა საერთო კრების მონვევის, ჩატარების წესი და მისი კომპეტენცია განისაზღვრება ამ მუხლით დადგენილი წესების მიხედვით. მოპასუხის წესდების 4.3. პუნქტის შესაბამისად, აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 54.6 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში. წესდების თანახმად, ასევე განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა – 3-

ით და უფლებამოსილების ვადა – 4 წლით.

5.5. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 9.7 მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით. ამავე კანონის 54.6 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით, საერთო კრება უფლებამოსილია, გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი.

5.6. სსკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და საზოგადოებას შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა მოიცავს როგორც კორპორაციული, ასევე – შრომითი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ ელემენტებს და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, იმის მიხედვით, თუ რა უფლებამოვალეობებია სადავოდ გამხდარი და შესაფასებელი, უნდა განისაზღვროს შესაბამისი მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმებიც.

5.7. სასამართლომ მიუთითა №ას-1634-1533-2012 საქმეზე საკასაციო სასამართლოს განმარტებაზე და აღნიშნა, რომ მხოლოდ ის საკითხები, რაც არ არის მოწესრიგებული მენარმეთა შესახებ კანონით, საზოგადოების წესდებით ან თავად დირექტორთან/სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება გახდეს შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი (მაგ.: სოციალური გარანტიები, ანაზღაურებადი შვებულება და ა.შ.).

5.8. მოსარჩელები რჩებოდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად, თუმცა, მათ შეუწყდათ აღნიშნული სამუშაოს შესრულების მიზნით განსაზღვრული ანაზღაურება. აქციონერთა კრების 09.03.2015წ. გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგო და ბათილია.

მოპასუხემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძველი:

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 28.11.2019წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 31.05.2018წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ სამართლებრივ შეფასებებს და განმარტა, რომ ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნა გამართლებულია, მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივ ჩარჩოში მოექცევა საზოგა-

დოებასა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შორის არსებული სა-ხელშეკრულებო ურთიერთობა. მოთხოვნა შეესაბამება როგორც მენარ-მეთა შესახებ საქართველოს კანონს, ასევე, საქართველოს შრომის კო-დექსის 1.2 და 2.1 მუხლებს. იმ პირობებშიც, თუ სადავო ურთიერთობა მონესრიგდება დავალების ხელშეკრულების ნორმებით, სსკ-ის 710-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მარნმუნებელი ვალდებულია, გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამავე მუხლის მე-2 ნაწი-ლით, გასამრჯელო ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ გარე-მოებათა მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი. მხარეები შეთანხმებული იყვნენ ანაზღაურება-ზე, უდავოა, რომ 16.08.2013 წლიდან 01.10.2015 წლამდე იყვნენ საზო-გადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და მათ 09.03.2015 წლის შემდგომ ანაზღაურება არ მიუღიათ, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

საკასაციო საჩივარი აგებულია შემდეგ მოსაზრებებსა და სავა-რაუდო დარღვევებზე:

7. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა სა-კასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილე-ბით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი საფუძველ-ებით:

7.1. გასაჩივრებული განჩინება საქართველოს სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 393.2 მუხლის თანახმად, კანონის დარ-ღვევითაა გამოტანილი, ვინაიდან სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. ამასთან, როგორც საქა-ლაქო, ისე სააპელაციო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვე-ტილება/განჩინება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამარ-თლოს დამკვიდრებულ პრაქტიკას.

7.2. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად მიიჩნიეს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსა და საზოგადოებას შორის წარმო-შობილი სამართლებრივი ურთიერთობა მოიცავს როგორც კორპორაცი-ული, ასევე – შრომითი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ ელემენ-ტებს. სასამართლომ არასწორადვე განმარტა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ანაზღაურების დანიშვნით კორპორაციამ მათ-თან დამოუკიდებელი სახელშეკრულებო ურთიერთობა დაამყარა. სა-ქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით, საზო-გადოების ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსი-ლებით აღჭურვილ პირებთან ურთიერთობაზე არ ვრცელდება შრომის კოდექსი. ასეთი ურთიერთობა წესრიგდება სპეციალური კანონით მე-

წარმეთა შესახებ და კორპორაციას ყოველთვის აქვს უფლება, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოხსნას აღნიშნული პირები დაკავებული პოზიციებიდან ან გააუქმოს მათთვის დანესებული შეღავათები.

7.3. მცდარია განმარტება, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევა ნიშნავს პირის შრომით თანამდებობაზე განწესებას და იგი წარმოადგენს იურიდიულ პირსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეებს შორის ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა. აღნიშნული მსჯელობა კანონშეუსაბამოა.

7.4. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მოპასუხემ იკისრა საბჭოს წევრებისათვის ხელფასების გადახდის ვალდებულება. საქმეში წარმოდგენილი არ არის და ვერც იქნება მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს, რომ საბჭოს წევრები ამ პირობით დასთანხმდნენ საბჭოს წევრობას და რომ არა მათთვის ანაზღაურების დანიშვნა, ისინი უარს იტყოდნენ საბჭოს წევრობაზე.

7.5. სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა მენარმეთა შესახებ კანონის 9.7 მუხლით, რომლის თანახმად, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე, სამეთვალყურეო საბჭოსა და კორპორაციის სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ სხვა პირებს არ აქვთ საზოგადოებასთან ჩვეულებრივი შრომით სამართლებრივი ურთიერთობა. ისინი არ არიან დასაქმებულები. კორპორაცია უფლებამოსილია, ამ პირებთან დაამყაროს ისეთი სამართლებრივი ურთიერთობა, როგორიც კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით საზოგადოების საუკეთესო ინტერესებშია. პარტნიორები აკონტროლებენ საზოგადოების ხელმძღვანელობას, მათ უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს დაუნიშნონ და შეუწყვიტონ სამეთვალყურეო საბჭოს ანაზღაურება.

7.6. რომც დგინდებოდეს სახელშეკრულებო ურთიერთობა, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ საკორპორაციო სამართლის მიზნებისათვის საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღებული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწევი ვალდებულია, განიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური. სსკ-ის 720-ე მუხლის შესაბამისად, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. ამ უფლებაზე უარის თქმის შესახებ შეთანხმება ბათილია. ამდენად, შეიძ-

ლება დავასკვნათ, რომ იურიდიული პირის მმართველობის უმაღლეს ორგანოს, განსახილველ შემთხვევაში – სააქციო საზოგადოების აქციონერთა კრებას, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, შეუძლია, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს დავალების ხელშეკრულება ხელმძღვანელობასთან და გამოვლენილი ნება მისი ექსკლუზიური უფლებაა.

7.7. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩილეებს არ მიუთითებიათ და არც სასამართლოს არ დაუდგენია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მხარეთა შორის არსებობდა წერილობითი სასამსახურო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც განსხვავებულად მოწესრიგდა შრომის ანაზღაურების საკითხი.

7.8. წინამდებარე საქმეში ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა განმარტეს, რომ გასაჩივრებული კრების ოქმით სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვერ გათავისუფლდნენ, ვინაიდან გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ხმების რაოდენობამ (75%). მიზეზი, რის გამოც ჩაითვალა, რომ ხმების საკმარისი რაოდენობა ვერ მოგროვდა, არის ის, რომ არსებობს 03.08.2012წ. კრების ოქმი, სადაც მითითებულია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა გათავისუფლება საჭიროებს ხმათა 75%-ს. აღნიშნული კრების ოქმი გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი ბათილად ცნობის მოთხოვნით.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.03.2020წ. განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 16.06.2020წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე (საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებ-

რივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

10. დადგენილია და საკასაციო საჩივრით დასაშვები, დასაბუთებული პრეტენზია წამოყენებული არ არის, რომ:

10.1. მოპასუხე დაფუძნდა 1998 წელს. საზოგადოების მართვის ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი.

10.2. სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისაგან. წევრებს საერთო კრება ირჩევს 4 წლის ვადით.

10.3. მოპასუხის აქციონერთა საერთო კრების 16.08.2013წ. გადაწყვეტილებით – სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულ იქნა მეორე მოსარჩელე; პირველი მოსარჩელე და მესამე მოსარჩელე სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულ იქნენ ახალი ვადით; ამავე კრებაზე აქციონერთა გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრა 880 ლარით (დარიცხული), ანუ თითოეული წევრის წლიური ანაზღაურება შეადგენდა 10560 ლარს.

10.4. მოპასუხის წესდების 4.3. პუნქტის შესაბამისად, აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები მენარმეთა შესახებ კანონის 54.6 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კანონის შესაბამის პერიოდში მოქმედი რედაქციის 54.6 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების (მიიღოს ცვლილებები სააქციო საზოგადოების წესდებაში; მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ; მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება (ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში); აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან, განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ვადა) მისაღებად წესდების თანახმად, საჭიროა დამსწრე ხმების 75%-ზე მეტის, ხოლო მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ყველა სხვა გადაწყვეტილების (მათ შორის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა) მისაღებად, დამსწრე ხმების 50%-ზე მეტის თანხმობა.

10.5. 09.03.2015წ. საერთო კრებაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული ერთ-ერთი საკითხი იყო მოსარჩელების სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან გამოწვევა და ახალი წევრების არჩევა; ამ საკითხზე გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული (გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა დამსწრე 75%-ზე მეტი ხმის მქონე აქციონერებმა).

10.6. 09.03.2015წ. აქციონერთა საერთო კრებამ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ანაზღაურების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

10.7. მოსარჩელები სამეთვალყურეო წევრის უფლებამოსილებას ახორციელებდნენ 01.10.2015წ.-მდე და სწორედ ამ პერიოდზე ითხოვენ ყოველთვიური ანაზღაურების მიღებას.

10.8. სარჩელის საფუძვლად არის მითითებული და მოპასუხის შესაგებლით შედაგებული არ ყოფილა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები თავიანთ ვალდებულებებს ასრულებდნენ პირნათლად და ჯეროვნად.

10.9. მხარეთა შორის არცერთ ეტაპზე სადავო არ გამხდარა ფაქტი, რომ მოპასუხე საზოგადოების სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

10.10. მოსარჩელებს წინამდებარე სარჩელის აღძვრამდე ჰქონდათ აღძრული ალიარებითი სარჩელი მოთხოვნით – აქციონერთა საერთო კრების 09.03.2015წ. ოქმის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ანაზღაურების შეწყვეტის ნაწილში ბათილად ცნობა, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.06.2017წ. განჩინებით დატოვებულ იქნა განუხილველად სსსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.06.2017წ. განჩინება). ამის შემდეგ მოსარჩელებმა მიმართეს სასამართლოს სარჩელით, სადაც მიკუთვნებითი მოთხოვნაც დააყენეს.

11. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ანაზღაურების შეწყვეტის თაობაზე საერთო კრების გადაწყვეტილების კანონიერება, კერძოდ, სადავოა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ანაზღაურების შეწყვეტის ნაწილში მოპასუხის საერთო კრების 09.03.2015წ. ოქმი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად მოსარჩელეთა ყოფნის პერიოდში (09.03.2015 წლიდან 01.10.2015 წლამდე) გაუცემელი ანაზღაურება.

შესაბამისად, წინამდებარე დავის ფარგლებში უნდა განიმარტოს ისეთი საკითხები, რომლებიც უკავშირდება სააქციო საზოგადოების (შემდეგში სს) მართვის უმაღლესი ორგანოს – საერთო კრების კომპეტენციას სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, კერძოდ, ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი, მისი დანიშვნა, შემცირება, შეწყვეტა.

12. სს ყველაზე მსხვილი კაპიტალური საზოგადოებაა. იგი მიიჩნევა კაპიტალური საზოგადოების კლასიკურ მოდელად, რამეთუ მას აქვს წესდებით განსაზღვრული კაპიტალი, რომელიც აქციებად არის დაყოფილი (იხ: ლადო ჭანტურია, „კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში“, გამომცემლო-

ბა „სამართალი“, თბილისი, 2006, გვ.82). სააქციო საზოგადოება კორპორაციულად მოწყობილი სუბიექტია, რაც გამოდინარეობს სსკ-ის 24-ე მუხლის მოცემულობიდან (იურიდიული პირის ცნება) (იხ: ირაკლი ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტი (თსუ, იურიდიული ფაკულტეტი), თბილისი, 2010). ძირითადად ოთხი მნიშვნელოვანი მახასიათებელი არსებობს, რითაც კორპორაცია სხვა ბიზნესწარმონაქმნებისაგან განსხვავდება: ა) მესამე პირთა (კრედიტორთა) წინაშე ინვესტორებისათვის შეზღუდული პასუხისმგებლობა (რითაც ინვესტიციის განხორციელების თვალსაზრისით ეს სამართლებრივი ფორმა შეიძლება მიმზიდველი იყოს მათთვის); ბ) წილთა (აქციათა) თავისუფალი გასხვისების რეჟიმი; გ) ე.წ. perpetual life, ანუ უვადო მოქმედების რეჟიმი (აქ იგულისხმება ის, რომ კორპორაციის არსებობა-ფუნქციონირება არ არის დამოკიდებული მასში წევრთა ცვლილებასა თუ სხვა ფაქტორზე; დ) ცენტრალიზებული მენეჯმენტი. კორპორაციის ეს მახასიათებლები განაპირობებს მის ქმედუნარიანობას (იხ: ირაკლი ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტი (თსუ, იურიდიული ფაკულტეტი), თბილისი, 2010).

13. ყველა სს-ის მართვის სავალდებულო ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება და დირექტორატი. რაც შეეხება სამეთვალყურეო საბჭოს, მისი არსებობა ფაკულტატურია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა სავალდებულოა იმ სს-თვის, რომელიც ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით არის ანგარიშვალდებული საწარმო და დაშვებულია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ან სს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის ლიცენზირებული, ან სს-ის აქციონერთა რაოდენობა აღემატება 100-ს. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა არ არის სავალდებულო.

14. მოპასუხე ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეა, კერძოდ, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 44-ე პუნქტის თანახმად, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრს და ასრულებს სხვა ფუნქციებს, რომლებიც განსაზღვრულია ემიტენტსა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს შორის დადებული ხელშეკრულებით. მოპასუხის მართვის ორგანოებია: საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი.

15. საერთო კრება სს-ის მართვის უმაღლესი ორგანოა, რომელზეც

აქციონერები თავიანთ უფლებებს ახორციელებენ. მიუხედავად ამისა, მისი უფლებები კანონით ზუსტადაა განსაზღვრული და, ამავე დროს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრებისაგან განსხვავებით საკმაოდ შეზღუდულია (იხ.: ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002, გვ.373). მხედველობაშია საერთო კრების კომპეტენციის „ენუმერაციულობა“, რაც ნიშნავს, რომ კანონის მუხლი კონკრეტულად შეიცავს იმ უფლებამოსილების ჩამონათვალს, რომელიც ამ ორგანოს აქვს მიკუთვნებული (იხ: ირაკლი ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, II ტომი, საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტი (თსუ, იურიდიული ფაკულტეტი), თბილისი, 2013).

16. საერთო კრება აქციონერთა ნების გამოვლენისა და კორპორაციის ძირითადი პოლიტიკის შემუშავებელი და განსაზღვრელი ორგანოა. საერთო კრება ის ადგილია, სადაც აქციონერები ხმის უფლებას იყენებენ და ამით საზოგადოების ნების ფორმირებაზე თავიანთ გავლენას ახდენენ. აქციონერის ცენტრალური უფლებები რეალიზებას სწორედ საერთო კრებაზე ჰპოვებს. ამ ცენტრალურ უფლებებს განეკუთვნება: საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლება, სიტყვის უფლება, განცხადების გაკეთების უფლება, კითხვის უფლება. საერთო კრება კორპორაციის ისეთი ორგანოა, რომლის ჩამოყალიბება-შექმნასაც არ ესაჭიროება ისეთი დანიშვნითი აქტების მიღება, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობისთვის არის დამახასიათებელი. იგი ავტომატურად კორპორაციის ყველა პარტნიორისაგან შედგება (ირაკლი ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, II ტომი, საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტი (თსუ, იურიდიული ფაკულტეტი), თბილისი, 2013). კრების ოქმის (კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების) ნამდვილობისთვის არ უნდა არსებობდეს მისი ნამდვილობის დამაბრკოლებელი გარემოებები და იგი გარიგების ნამდვილობის ყველა ელემენტს უნდა აკმაყოფილებდეს (შდრ. სუსგ №ას-938-2018, 08.10.20186; სუსგ №ას-1548-2019, 14.02.20206.).

17. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 54.1 მუხლით, თუ სააქციო საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში ტარდება მორიგი საერთო კრება, რომელზედაც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები. სხვა შემთხვევებში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს ან ამ კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში – აქციონერების მოთხოვნით.

18. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 54.6 მუხლი განსაზ-

ღვრავს საერთო კრების კომპეტენციას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევისა და გამოწვევის გადაწყვეტილების მიღება (მენარმეთა შესახებ კანონის მუხ. 54.6. „ვ“, აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან, განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ვადა), რისთვისაც კანონით საკმარისია დამსწრე ხმის მქონე პარტნიორთა ხმების 50%-ზე მეტის თანხმობა. ამასთან, მხარეები უფლებამოსილი არიან, წესდებით ხმათა უფრო მაღალი ზღვარი განსაზღვრონ. მოპასუხე კორპორაციის წესდებით მოპასუხის აქციონერთა მიერ განხორციელებული თვითბოჭვის ფარგლებში ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმების 75%-ზე მეტი. სწორედ ეს წინაპირობა გახდა 09.03.2015წ. კრებაზე მოსარჩელეთა გამონევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ხელისშემშლელი ფაქტორი. მენარმეთა შესახებ კანონის 55.12 მუხლით სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ვადამდე გადარჩევა ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი და რაიმე სპეციალურ პირობას არ უკავშირდება.

19. აქციონერთა საერთო კრება არა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის საკითხს წყვეტს, არამედ მას საბჭოს წევრთა ანაზღაურების საკითხის დადგენის და გადაწყვეტის კომპეტენციაც აქვს (მენარმეთა შესახებ კანონის მუხ. 54.6. „თ“, საერთო კრება უფლებამოსილია გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი). პალატა ამახვილებს ყურადღებას მასზე, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა ავტომატურად არ წარმოშობს ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ამდენად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურებისათვის არ არსებობს მისი სასყიდლიანობის პრეზუმფცია.

20. ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა საერთო კრების კომპეტენციაა. ამასთან, მენარმეთა შესახებ კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის ბოლო წინადადებით, ეს კომპეტენცია შეიძლება გადაცემულ იქნეს სხვა ორგანოზე. წევრთა ანაზღაურების დადგენისა და მისი განსაზღვრის საკითხი, შესაძლოა, კორპორაციის დირექტორატის კომპეტენციაში მოექცეს (ირაკლი ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, II ტომი, საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტი (თსუ, იურიდიული ფაკულტეტი), თბილისი, 2013). თუმცა, ასეთი დელეგირებით პრაქტიკაში გარკვეული პრობლემების საფრთხე იქმნება სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქციის – მართვის პროცესის კონტროლის კუთხით, რადგან მისი წევრები იქნებიან დირექტორატზე დამოკიდებული.

21. ანაზღაურების გარეშე საქმიანობა არ არის პასუხისმგებლობისაგან საბჭოს წევრის გათავისუფლების საფუძველი. უსასყიდლოდ მუ-

შაობა, თავის მხრივ, არ ნიშნავს, რომ მას არა აქვს უფლება, მოითხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც მან განია საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე (მაგ.: მივლინების ხარჯები და ა.შ.). შესაძლოა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურება განისაზღვროს განსაზღვრული თანხის ფარგლებში, ასევე, დაშვებულია მიბმული იყოს კორპორაციის მოგებაზე და განისაზღვროს მოგებიდან პროცენტის მიცემით (იხ.: ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002, გვ. 383, 384). ძირითადად გამოყოფენ ალტერნატიულად ან კუმულაციურად მყარად განსაზღვრულ ყოველთვიურ ხელფასს ან მოგების მიღებაში მონაწილეობის უფლებას (იხ.: ირაკლი ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, II ტომი, საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტი (თსუ, იურიდიული ფაკულტეტი), თბილისი, 2013). ანაზღაურება შეიძლება იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი.

22. არის შემთხვევები, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოებისაგან ანაზღაურებას საერთოდ არ იღებენ, თუმცა უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს საკმაოდ მაღალი ანაზღაურება აქვთ დანიშნული და, შესაბამისად, მათი საქმიანობა სასყიდლიანია. ბუნებრივია, თავად ანაზღაურების სისტემა და მოცულობა სს-ზე და მის ფინანსურ სიძლიერეზეა დამოკიდებული, მაგრამ გასათვალისწინებელი ყველა შემთხვევაში ის არის, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად ასრულებდეს დაკისრებულ მოვალეობებს, რისი საწინდარიც, პიროვნულ ფაქტორებთან ერთად, შესაძლოა, მისი ანაზღაურების სიდიდეც იყოს (ირაკლი ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, II ტომი, საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტი (თსუ, იურიდიული ფაკულტეტი), თბილისი, 2013).

23. არსებობს მოსაზრება, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი არ არის სახელშეკრულებო, რადგან საერთო კრებაა კანონით უფლებამოსილი, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება (Drygala in: Schmidt, K./Lutter, AktG, 4. Aufl. 2020, § 113 AktG, 2. Herabsetzung, Rn26). ასევე არსებობს მოსაზრება, საკითხი ე.წ. „პრინციპალ-აგენტის“ ურთიერთობის ჩრილში იქნეს განხილული. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება დავალების მიმცემისა და მისი მიმღების ეკონომიკურსამართლებრივ ურთიერთობაზეა დაფუძნებული. აღნიშნული ურთიერთობა წარმოიშობა მაშინ, როდესაც დავალების მიმცემი დავალების მიმღებს გარკვეული ამოცანების შესრულებისა და ამ ფუნქციების შესრულებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციას ანიჭებს ისე, რომ ამაში აგენტი სას-

ყიდელს იღებს. დავალების მიმცემი (პრინციპალი) საზოგადოების აქციონერია, რომელიც გარკვეული ამოცანების შესრულებისა და გადან-ვეტილებ(ებ)ის მიღების უფლებამოსილებას კორპორაციის სხვა ორგა-ნოებს ანიჭებს. გერმანულ სამართალში ფუნქციები გადანაწილებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და კორპორაციის გამგეობას შორის. აქციო-ნერი სამეთვალყურეო საბჭოს ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქციას გადასცემს, სამეთვალყურეო საბჭო კი გადანყვეტილებე-ბის მიღებით მოქმედებს (ირაკლი ბურდული, სააქციო სამართლის სა-ფუძვლები, II ტომი, საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამარ-თლის ინსტიტუტი (თსუ, იურიდიული ფაკულტეტი), თბილისი, 2013). საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით, საზოგადოების დი-რექტორსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა შეფასებულია და-ვალების ხელშეკრულებად და დადგენილია, რომ მენარმეთა შესახებ კანონის ნორმებთან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს არა შრომითი ურთიერთობების, არამედ დავალების ხელშეკრულების მომწესრიგე-ბელი სამართლებრივი ნორმები (შდრ. სუსგ №ას-895-845-2015წ., 29.01.2016წ.; №ას-240-228-2016, 28.09.2016წ.; №ას-1203-2018, 25.04.2019წ.). მეწამეთა შესახებ კანონის 9.7 (ხელმძღვანელობაზე/წარ-მომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთ-ვალყურეო საბჭოსა და სანარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთი-ერთობები რეგულირდება მეწარმეთა შესახებ კანონით, საზოგადოე-ბის წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით) და 55.9. (სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობისათვის გამოიყენება ამ კა-ნონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი და 56-ე მუხლის მე-4 პუნქტი) მუხლე-ბის საფუძველზე დირექტორების მიმართ მოქმედი წესები გამოიყენე-ბა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიმართ.

ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით პალატას მიაჩნია: მიუხედა-ვად იმისა, რომ მეწარმეთა შესახებ კანონი სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურებას მოიხსენიებს „შრომის ანაზღაურების“ საკით-ხად, შინაარსობრივად ეს არ არის შრომითსამართლებრივი ურთიერ-თობიდან გამომდინარე ხელფასი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება არ ექვემდებარება შრომის კოდექსით მოწესრიგებას.

24. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების საკითხის დამ-დგენ ცენტრალურ ნორმას ქართულ სამართალში წარმოადგენს მეწარ-მეთა შესახებ კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი. კა-ნონი ზოგადად უთითებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაუ-რების განსაზღვრის შესახებ, შესაბამისად, საკმარისად მიიჩნევა სა-ერთო კრების წერილობით გადაწყვეტილებას ანაზღაურების შეწყვე-ტის ან მისი მოცულობის შემცირების თაობაზე, რასაც, თავის მხრივ, წესდებაში სათანადო ცვლილება არ სჭირდება. ამასთან, არ არის და-

კონკრეტული სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შრომის ანაზღაურების საკითხის დროში მოქმედების კონტექსტი, რაც შესაბამის განმარტებებს მოითხოვს და განაპირობებს მის მართებულობას.

25. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგებას და უცხო ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციას თუ პრაქტიკას მოცემულ საქმეზე პირდაპირი მოქმედება ვერ ექნება, თუმცა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის, ყურადსაღებია განსახილველ სადავო საკითხზე გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომა (იხ: ბესარიონ ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, გვ. 182-188).

26. გერმანიის სააქციო კანონის (Aktiengesetz) § 113 არეგულირებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურების (Vergütung) საკითხს, კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საქმიანობისათვის შეიძლება იღებდნენ ანაზღაურებას. ეს შეიძლება, განსაზღვრული იყოს წესდებაში ან გადაწყდეს აქციონერთა საერთო კრებაზე. ის უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინაშე მდგარი ამოცანებისა და კომპანიაში არსებული მდგომარეობის თანაზომიერი. სამეთვალყურეო საბჭოს შექმნისას/დაკომპლექტებისას საერთო კრება წყვეტს მისი წევრების ანაზღაურების საკითხს. იმ სააქციო საზოგადოებებში, რომელთა აქციებიც დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების საკითხი უნდა გადაწყდეს არანაკლებ 4 წელიწადში ერთხელ. წესდებაში აღნიშვნით ან საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, რომელიც გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, სათანადოდ უნდა დარეგისტრირდეს სავაჭრო რეესტრში, სამეთვალყურეო საბჭოს წევრსა და კორპორაციას შორის ყალიბდება ურთიერთობა, რომელიც ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურება განსაზღვრულია საზოგადოების წესდებით, მისი ცვლილება/შემცირება მოითხოვს წესდებაში ცვლილების შეტანას (Drygala in: Schmidt, K./Lutter, AktG, 4. Aufl. 2020, § 113 AktG, 2. Herabsetzung, Rn25).

27. პრაქტიკაში პრობლემატურია საერთო კრების მიერ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების შემცირების/შენიშვნის გადაწყვეტილების დროში მოქმედება, კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ გადაწყვეტილება ფიქსირებული ანაზღაურების შემცირების შესახებ შეიძლება შეეხებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების საკითხებს მხოლოდ მომავალი სამეურნეო წლისთვის (LG München I 5. Kammer für Handelssachen, Entscheidungsdatum: 30.08.2012; 5 HK O 1378/12, 5 HKO 1378/12). სამეთვალყურეო საბჭოს წევრს,

რომელიც სამეურნეო წლის დასაწყისში უკვე იკავებს ფიქსირებულ პოზიციას, წარმოეშობა უფლება ანაზღაურებაზე (LG München I 5. Kammer für Handelssachen, Entscheidungsdatum: 30.08.2012; 5 HK O 1378/12, 5 HKO 1378/12. Rn 65; Habersack in: Münchener Kommentar zum AktG, 3. Aufl., Rdn. 36 und 34 zu § 113; Mertens in: Kölner Kommentar zum AktG, 2. Aufl., Rdn. 34 zu § 113; Hopt/Roth in: Großkommentar zum AktG, a. a. O., Rdn. 96 zu § 113; Hoffmann-Becking in: Münchener Handbuch des Gesellschaftsrechtes, Band 4, Aktiengesellschaft, 3. Aufl., § 33 Rdn. 23). სამეურნეო წლის დასაწყისში იმის ცოდნა, რომ მიმდინარე წელს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მიიღებენ ფიქსირებულ ანაზღაურებას, ეფუძნება მათ ნდობას, რომელიც უნდა გამართლდეს (Drygala in: Schmidt, K./Lutter, AktG, 4. Aufl. 2020, § 113 AktG, 2. Herabsetzung, Rn26).

28. ბუნებრივია, შესაძლოა, აუცილებელი გახდეს საზოგადოების ადაპტირება გაუარესებულ ეკონომიკურ მდგომარეობასთან სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების მიმდინარე წელს შემცირების გზითაც (LG München I 5. Kammer für Handelssachen, Entscheidungsdatum: 30.08.2012; 5 HK O 1378/12, 5 HKO 1378/12. Rn65; aseve ix.: Hüffer, AktG, a. a. O., Rdn. 6 zu § 113; Breuer/Fraune in: Heidel, Aktienrecht und Kapitalmarktrecht, a. a. O., Rdn. 9 zu § 113)).

29. საერთო კრების მიერ ანაზღაურების შემცირების/შენეცვეტის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას არ სჭირდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა თანხმობა (Drygala in: Schmidt, K./Lutter, AktG, 4. Aufl. 2020, § 113 AktG, 2. Herabsetzung, Rn26). ამასთან, საერთო კრების მიერ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების შემცირების/შენეცვეტის შემთხვევაში საბჭოს წევრები არ არიან ვალდებული, დაემორჩილონ ამ გადაწყვეტილებას და გააგრძელონ შემცირებული ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე თავიანთი მოვალეობების შესრულება. საერთო კრების მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება ითვლება საპატიო მიზეზად, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრი უფლებამოსილია, დატოვოს საბჭო (Israel in: Bürgers/Körber, Aktiengesetz, 4. Aufl. 2017, § 113 Vergütung der Aufsichtsratsmitglieder, 4. Herabsetzung der Vergütung, Rn.19).

30. ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ:

ა) სს-ში საერთო კრებას არა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის, არამედ საბჭოს წევრთა ანაზღაურების საკითხის (ანაზღაურების დანიშნვის, შემცირების, შენეცვეტის) დადგენისა და გადანეცვეტის კომპეტენცია (აქვს; ბ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა ავტომატურად არ წარმოშობს ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ამდენად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურებისათვის არ არსებობს მისი სასყიდლიანობის პრეზუმფცია; გ) შესაძლოა, სამეთვალ-

ყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურება განისაზღვროს ფიქსირებული ან ცვალებადი ანაზღაურების სახით და უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინაშე მდგარი ამოცანების, კომპანიაში არსებული მდგომარეობის თანაზომიერი; დ) სამეთვალყურეო საბჭოს იმ წევრების მიმართ, რომლებსაც სამეურნეო წლის დასაწყისში უკვე ეკავათ პოზიცია და განსაზღვრული იყო მათი ფიქსირებული ანაზღაურების ოდენობა, საერთო კრება უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ანაზღაურების მომავალი სამეურნეო წლიდან შემცირების/ შეწყვეტის შესახებ; ე) რაც შეეხება მიმდინარე წელს ანაზღაურების შემცირებას/ შეწყვეტას, ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, თუ კორპორაციის ეკონომიკური მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ აუცილებელია საზოგადოების ადაპტირება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების მიმდინარე წელს შემცირების/ შეწყვეტის გზით; ვ) საერთო კრების მიერ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების შემცირების/ შეწყვეტის შემთხვევაში საბჭოს წევრები არ არიან ვალდებული, გააგრძელონ შემცირებული ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე თავიანთი მოვალეობების შესრულება.

31. წინამდებარე საქმეზე საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს: იმ პირობებში, როცა მოსარჩელების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად არჩევის მომენტში წევრობა იყო ანაზღაურებადი და საერთო კრების გადაწყვეტილებით ანაზღაურება განისაზღვრა ფიქსირებული ფორმით, პრეზუმირებულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მოლოდინი საზღაურის მიღებაზე. შესაგებლით შედავებული არ ყოფილა მოსარჩელეთა მხრიდან ვალდებულებების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულების ფაქტი. მოსარჩელებს ანაზღაურება შეუწყდათ მიმდინარე სამეურნეო/ კალენდარულ წელს – 09.03.2015წ. და ისინი სამეთვალყურეო წევრის უფლებამოსილებას ახორციელებდნენ 01.10.2015 წლამდე, შესაბამისად, სადავო გადაწყვეტილება შეეხება სწორედ 09.03.2015 წლიდან 01.10.2015 წლამდე პერიოდს. მოპასუხე ვერ უთითებს საზოგადოების/ კორპორაციის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ამსახველ გარემოებებს, რაც აუცილებელს გახდიდა საზოგადოების ადაპტირებას სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების მიმდინარე წელს შეწყვეტის გზით. შესაბამისად, მიმდინარე სამეურნეო/ კალენდარულ წელს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ანაზღაურების შეწყვეტა არ შეიძლება, შეფასდეს კანონიერ და კორპორაციის ინტერესების შესაბამის მოქმედებად. სასამართლომ მართებულიად ცნო ბათილად საზოგადოების სადავო კრების ოქმი გასაჩივრებულ ნაწილში და მოპასუხეს დააკისრა მოსარჩელეთა სასარგებლოდ მიუღებელი ანაზღაურების გადახდა.

32. სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, საკასაციო სასა-

მართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

33. საკასაციო საჩივრის უარყოფის გამო, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 399-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „კ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 28 ნოემბრის განჩინება;
3. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge